

ქართული არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლის – მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის „ახლად შენების“ დაწყებისა და XI ს-ის გამორჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწის გიორგი მთაწმიდელის დაბადების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს მონოგრაფია 2010 წლის გაზაფხულისათვის უკვე მზად მქონდა. მას შემდეგ საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ და ქართველმა ხალხმა ორჯერ იზეიმა სვეტიცხოვლობა, მაგრამ ამ წიგნის გამოცემა ვერ მოხერხდა.

მართალია, მონოგრაფიაში განხილული ზოგიერთი საკითხი სამეცნიერო კონფერენციებზე მოხსენებათა სახით წავიკითხე, ნაწილი გამოვაქვეყნე კიდევ. ასევე, მასში წარმოდგენილი საბუთები ყოველთვის აქტუალური იყო და იქნება ქართული საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეებისათვის, მაგრამ გამოცემა რადგან გვიანდებოდა, უმჯობესად ჩავთვალე იგი მცირე ტირაჟით მაინც გამომეჭვეყნებინა.

წიგნის კომპიუტერული ვერსია წავიკითხეს: პროფ. მიხეილ ქავთარიამ, პროფ. ელდარ ბუბულაშვილმა, ცნობილმა ლიტერატორმა ჯენეტო ჭანტურაიამ, ნაწილობრივ გაეცნო მას უდროოდ გარდაცვლილი პროფ. ვალერი სილოგავა. ნაშრომის მაღალი შეფასებისა და საინტერესო შენიშვნებისათვის მათ უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

16. XI. 2011

წინასიტყვაობა

2010 წელს ხუთი ათეული წელი შესრულდა, რაც თბილისსა და ბორჯომს შორის მიხდება მიმოსვლა. ამ დროის განმავლობაში, ვინ იცის, რამდენჯერ შემთავალი თვალი შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლის – მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრისათვის, არაერთხელ ვყოფილვარ ტაძარში, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დათარიღებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომიწევდა გამოკვლევის დაწერა. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ისტორიკოსი ვარ, ისე, როგორც ქართველთა დიდი ნაწილის, ჩემი ცოდნაც სვეტიცხოვლის ტაძრის შესახებ ძალიან მცირედით ამოიწურებოდა. ვიცოდი, მისი მშენებლობა რომ 1010–1029 წლებში მიმდინარეობდა და იგი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეღქმისედეკ I-ის სახელს უკავშირდებოდა. ხუროთმოძღვარი კი ნახევრად ლეგენდარული პიროვნება კონსტანტინე არსუკიძე იყო.

სვეტიცხოვლის ტაძართან და მის მშენებლობასთან დაკავშირებული პირების: მეფე გიორგი I-ის, მეღქმისედეკ I-ის, ხუროთმოძღვარ არსუკიძის განდიდება ყოველი ქართველის თვალში დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას „შემოქმედების მწვერვალად“ (გ. კანკავა) მიჩნეულ „დიდოსტატის მარჯვენასთანაა“ დაკავშირებული. ეს ისტორიული რომანი 1936 წელს გამოქვეყნდა და დღემდე ათეულ ათასობით ტირაჟითაა გამოცემული. რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ტაძრის ხუროთმოძღვარი კონსტანტინე არსუკიძე ლიტერატორთა შეფასებით, „ეროვნული შემოქმედებითი პოტენციის... განსახიერებად“, ხოლო თვით სვეტიცხოვლის ტაძარი „ერის სულიერ-ზნეობრივი აღნაგობის“, მისი „ესთეტიური იდეალების მატერიალიზებულ სიმბოლოდაა“ მიჩნეული (გ. კანკავა).

ხუროთმოძღვარ არსუკიძეზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, თვალწინ სვეტიცხოვლის ტაძრის კედელზე გამოკვეთილი, გონიოთი ხელში მისი მკლავი წარმოვიდგება. ეს რელიეფური გამოსახულება ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზე მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე არსებულ წარწერას შორის ჩასმულ მესამე ქვაზეა გამოკვეთილი.

სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარს მართლა მოჭრეს თუ არა მარჯვენა, ამის შესახებ ძველ საისტორიო წყაროებში არავითარი ცნობა არაა. როგორც ვარაუდობენ, აღნიშნული ლეგენდის შექმნა სწორედ სვეტიცხოვლის ტაძრის კედელზე გამოსახულ მარჯვენას უკავშირდება. მასვე უნდა უკავშირდებოდეს ხალხური ლექსიც:

ხეორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
არც არავი, არცა მტკვარი
ნამი არსად მომიკლია,
ქვაც იქიდან მიზიდნია.
აიღო და ხელი მომჭრა,
რატომ კარგი ავიგია¹.

საუკუნეების წინ შეთხზული ეს ხალხური ლექსი ყველას ჩააფიქრებს დიდოსტატ არსუკიძის ბედზე. მისი რომანიზებული ცხოვრების შესახებ კი დაინტერესებული პირი ბევრს შეიტყობს კ. გამსახურდიას რომანიდან. ამავე თხზულებიდან გაეცნობა: მეფე გიორგი I-ს, მეღქმისედეკ კათალიკოსსა და XI ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოში მოღვაწე სხვა ისტორიულ პირებს, მხატვრულ პერსონაჟებს. მაგრამ, ალბათ, თანამედროვე ქართველი

¹ Натроев А., Мцхета и его соборъ Свети-Цховели, Тифлис, 1900, გვ. 179, შენ. 1.

საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, ჩვენი ცოდნა არსუკიდის შესახებ მხოლოდ სვეტიცხოვლის ტაძრის კედლებზე არსებული იმ წარწერებით რომ ამოიწურება, რომლებშიც აღნიშნულია: „ხელი მონისა არსუკიდისაი შეუნდევთ“². ხუროთმოძღვარი არსუკიდე ასევე მოხსენიებულია ტაძრის მშენებლობის მოთავე კათალიკოს მელქისედეკთან ერთად, ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, შუა დეკორატიული თაღის ქვემოთ, თორმეტ დისკოზე არსებულ წარწერაში. მასში აღნიშნულია: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი ამენ. აღეშენა ესე წმინდაი ეკლესიაი (?) ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკიდისაითა ღმერთმან განუსუენე სულსა მისსა“³. რაც შეეხება მელქისედეკ კათალიკოსს, იგი იხსენიება ტაძრის სხვა წარწერებშიც: „წ. ქ. ნებითა ღვთისათა განახლდა სამირონო ესე ბრძანებითა ქრისტეს მიერ ქათალიკოზისა მელქიზედეკისათა. შეიწყალე უფალო მონა შენი ამის გალატოზნი ოთხნი ამენ“⁴. მელქისედეკის შესახებ სხვა წარწერა გვაუწყებს: „მს ქს ადიდე მქდე“⁵.

ზემომოტანილი მასალით ამოიწურება სვეტიცხოვლის ტაძარზე არსებული წარწერების მონაცემები, რაც ერთობ მწირ ცნობებს გვაწვდის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის შესახებ.

ეს არაფერი, – იფიქრებს მკითხველი, საქართველოს უპირველესი ტაძრის – საქართველოს „წმიდა დედაქალაქის“ (ასე უწოდებს მცხეთას მელქისედეკი) მშვენიერების – სვეტიცხოვლის ტაძრის კედლებზე მის ქტიტორთა, ხუროთმოძღვრის და „გალატოზთა“ შესახებ თუ მწირი მონაცემებია, სამაგიეროდ, ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში იქნება სათანადო ცნობებით, მაგრამ ეს ასე არ არის.

ათეულობით წელია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ საისტორიო თხზულებებს ვიკვლევ, მაგრამ მხოლოდ ამ მონოგრაფიაზე მუშაობისას დავინტერესდი, რა ცნობები იყო სვეტიცხოვლის ტაძრისა და მელქისედეკ კათალიკოსის შესახებ XI ს-ის ქართველი ავტორების: სუმბატ დავითის ძის თხზულებასა და „მატიანე ქართლისას“ ავტორთან. ჩემი გაოცება იმან გამოიწვია, რომ ამ ისტორიკოსთა თხზულებებში არც სვეტიცხოველი და არც მელქისედეკ კათალიკოსი ნახსენები არაა. არც იმის შესახებაა მითითება, ამ ტაძრის მშენებლობაში რა წვლილი მიუძღვით მელქისედეკ კათალიკოსის თანამედროვე, ერთიანი საქართველოს პირველ მეფეებს – ბაგრატ III-სა და გიორგი I-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, „ქართლის ცხოვრებაში“ არაფერია ნათქვამი მცხეთის საპატრიარქო ტაძრის – სვეტიცხოვლის მშენებლობის დროზე.

როგორც ცნობილია, ამჟამად „ბაგრატის ტაძრად“ წოდებული, საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლის მშენებლობის დასრულება ბაგრატ III-მ დიდი ზემოთ აღნიშნა. ტაძრის კურთხევაზე ქუთაისში უამრავი სტუმარი მიიწვია. ამ ცერემონიალის შესახებ სათანადო ცნობა აქვს „მატიანე ქართლისას“ ავტორს. საქართველოს „წმიდა დედაქალაქში“ აგებული სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მშენებლობის დამთავრება ხომ არანაკლები მნიშვნელობისა იყო ბაგრატ III-ის (ან გიორგი I-

² ანდლულაძე ნ. და სხვები, სვეტიცხოვლის კომპლექსი. წიგნში – საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი 5, თბ., 1990, გვ. 262. ნატროევთანაა – „ხელი მონისა არს კს რუ შენდ“. იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

³ ანდლულაძე ნ. და სხვები, დასახ. ნაშრომი, გვ. 262 (შემდეგში მივუთითებ: მხოლოდ – ანდლულაძე ნ.).

⁴ Натроев А., დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

⁵ იქვე, გვ. 178. მელქისედეკი იხსენიება ორსართულიანი კარიბჭის წარწერაშიც: „ქრისტე ადიდე შენ მიერ დამყარებული მეოხე ჩვენი ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოსი რომელმან მეორედ აღაშენა წმიდა კათალიკე ესე საღვინებლად სულისა მათისა“. ანდლულაძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 269.

ის) თანადროული საქართველოსათვის, რა მოხდა, ამ ფაქტის შესახებ რატომ დუმან ძველი ქართული საისტორიო წყაროები?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას მკითხველი, ალბათ, პირველ რიგში ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში მელქისედეკ I-ის მოუხსენებლობის ფაქტს გაიხსენებს. იფიქრებს, მან ხომ არ მოიმოქმედა ისეთი რამ, რამაც ძველი ავტორები აიძულა მისი სახელის ხსენებაზე უარი ეთქვათ⁶. არა, მთლად ასე არაა საქმე, საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია 1020 წელს თვით მელქისედეკ I-ის მიერ შედგენილმა ე. წ. „მელქისედეკის დაწერილმა“ (იგი „მცხეთის საბუთადაც“ იწოდება).

სწორედ ამ დოკუმენტიდან ვიცით ზოგიერთი დეტალი მელქისედეკ კათალიკოსის მოღვაწეობისა და სვეტიცხოვლის ტაძრის შესახებ (ამ საბუთში ხუროთმოძღვარი არსუკიძე არ იხსენიება). თუმცა, სამწუხაროდ, ამ დოკუმენტის დედანმა ჩვენამდე არ მოაღწია. ეს საბუთი XII ს-ში გადაწერილი პირითაა ცნობილი, და მასაც შესავალი აკლია. თანაც, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს, მელქისედეკის „დაწერილი“ „ნაკლულევანია და, საერთოდ, საკმაოდ დამახინჯებული, ხოლო სწორედ ის ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო ტაძრის შენებაზედ ლაპარაკი... XII ს-ის პირს აკლია“⁷. გვაქვს აგრეთვე ამ დოკუმენტის XVII–XVIII ს-ში გადაწერილი პირები⁸.

ასე რომ, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრისა და თვით მელქისედეკ კათალიკოსის შესახებ ძირითადად „მცხეთის საბუთიდან“ ვიცით. მასში არსებული ცნობებიდან გამომდინარე, მელქისედეკ კათალიკოსი ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც იმ დროის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, ქვეყნისათვის თავდადებული პიროვნება.

სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დაწყებაზე საუბრისას ბ-ნი კონსტანტინე გამსახურდია მელქისედეკ კათალიკოსს ასე წარმოგვიდგენს: „გაჭიანურებულმა მწუხრმა ფრიად მოქანცა კათალიკოსი. მას გულის მანკი სჭირდა, ფეხები უსივდებოდა. წირვა გათავდა თუ არა, თვალთ დაუბნელდა და მცხეთელი ეპისკოპოსი რომ არ მიშველებოდა, წაიქცეოდა“ („დიდოსტატის მარჯვენა“, გვ. 38, 1966 წლის გამოცემა).

სინამდვილეში რა სწეულება აწუხებდა მელქისედეკს, არ ვიცით. ჩემი გამოკვლევიდან გამომდინარე, მას კარგა ხნის განმავლობაში ეპყრა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტი. როგორც გაირკვა, მელქისედეკმა ბაგრატ III-ის ქართლში გადმოსვლის (980 წ.) შემდგომ ახლო ხანში დაიკავა საკათალიკოსო ტახტი და დაიწყო სვეტიცხოვლის ახლად აშენება. მეორე მხრივ „მცხეთის საბუთში“ იგი ბაგრატ III-ს რადგან თავის გამზრდელად ასახელებს, მელქისედეკი ბაგრატის თანატოლი მაინც უნდა ყოფილიყო (ბაგრატ III-ს 980 წელს შეუსრულდა 18 წელი)⁹.

⁶ ამ მხრივ ნიშანდობლივია V ს-ის გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწის პეტრე იბერის ძველი „ქართლის ცხოვრებაში“ მოუხსენებლობა. რის მიზეზადაც მის მონოფიზიტურ მრწამსს თვლიან. ახალი თვალსაზრისი პეტრე იბერის მრწამსის შესახებ იხ. ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002, თავი X.

⁷ ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი XI საუკუნისა. საქართველოს იტორიის საკითხები, წიგნი IV, თბ., 1967, გვ. 250–251.

⁸ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა მოხსენებული მცხეთის საყდრისადმი. წიგნი – ქართული ისტორიული საბუთები IX–XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ.ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 20–21.

⁹ მელქისედეკის ახალგაზრდული ასაკი ხელის შემშლელი არ იყო, რათა მას საკათალიკოსო ტახტი დაეკავებინა. 933 წელს იმპერატორმა რომანოზ II ლაკაპინმა, საეკლესიო ოპოზიციის დასამორჩილებლად კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტზე თავისი 16 წლის ძე – თეოფილაქტე დასვა. იხ. გოილაძე ვ., გიორგი მთაწმიდელიდან მომდინარე ერთი ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ანალები, 2004, № 2, გვ. 33.

ახალგაზრდა, ენერგიულმა კათალიკოსმა დიდხანს იღვაწა. 1020 წელს მის მიერ შედგენილი „მცხეთის საბუთი“ ერთგვარი ანგარიშია სვეტიცხოვლის ახლად აშენებისა და მისი შემკობა-გამშვენებების მხრივ გაწეული ღვაწლის შესახებ.

აღბათ, დამეთანხმებით, მელქისედეკ კათალიკოსის სახელის უკვდავსაყოფად საკმარისია სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დასახელებაც, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ უკვე მის სიცოცხლეში სვეტიცხოველი კარგად მოწყობილი და იმ დროის საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი ტაძარი გამხდარა. „მელქისედეკის დაწერილიდან“ ვიგებთ იმ უამრავ შეწირულობათა შესახებ, რომლებიც მას ბიზანტიის იმპერატორებისაგან (ბასილ II, კონსტანტინე VIII, რომანოზ III არგირი) მიუღია. იმპერატორ ბასილ II-ის ნაბოძვართაგან ყურადღებას იპყრობს კესტორის 105 სოფლიანი მონასტერი. როგორც ჩანს, სწორედ ამ მონასტრის შემოსავლით დაიწყო მელქისედეკ I-მა ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული დიდი ბაზილიკური ტიპის ეკლესიის გუმბათიან ტაძრად გადაკეთება. ჩემი ვარაუდით, სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობაში სწორედ ბასილ II-ის დიდი წვლილი გახდა შემდეგში ძველ ქართულ წყაროებში მელქისედეკის სახელისა და ღვაწლის მოუხსენებლობის მიზეზი. ვიმეორებ, ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია და სათანადო დასკვნის გაკეთება ამ მონოგრაფიის გაცნობის შემდეგ მკითხველისათვის მიმინდვია.

აქვე უნდა აღვნიშნო: „მელქისედეკის დაწერილის“ გაცნობისას მნიშვნელოვან მითითებად მჩვენა ამ საბუთში იმპერატორი ძმების – ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის ერთად მოხსენიება – მათ მიერ მელქისედეკისათვის ერთად საბოძვრების მიცემა. „დაწერილის“ ეს ცნობა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჩემი კვლევის ერთ-ერთი ამოსავალი საყრდენი შეიქნა. მონოგრაფიაზე მუშაობისას გაირკვა, მელქისედეკის „დაწერილში“ დედნისეული 1020 წელი აკად. ნ.ბერძენიშვილის მიერ იქნა ჩასწორებული 1029 წლად, შემდეგში სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დამთავრებაც ამ წლით დათარიღდა. ასევე, არც მთლად დასაბუთებულად მჩვენა სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დაწყების თარიღად ჩვენს მეცნიერებაში მიღებული 1010 წელი (ეს თარიღი სამეცნიერო ბრუნვაში ისტორიკოს ლ. მუსხელიშვილის მიერ იქნა შემოტანილი).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალე სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების საკითხი ჩემი თვალთახედვით გამეაზრებინა. სათანადო კვლევა დამჭირდა ჩვენს მეცნიერთა მიერ მელქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსებად მიჩნეული პირების რიგის სანდოობის დასადგენად. ამ საკითხის კვლევასთან დაკავშირებით XI ს-ის გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწის – გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მხარის შესწავლაც მომიხდა. თუმცა, ეს კარგიცაა. 2009 წელს გიორგი მთაწმიდელის დაბადებიდან 1000 წელი აღნიშნა ქართველმა საზოგადოებამ და საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ¹⁰. დღეს მიღებული ქრონოლოგიით 2010 წელს სვეტიცხოვლის ახლადშენების დაწყებიდან ასევე 1000 წელი შესრულდა. აღნიშნულის გარდა, მონოგრაფიაში საქართველოს მეფეთა ბიზანტიურ ტიტულატურასთან დაკავშირებული საკითხებიცაა განხილული.

¹⁰ როგორც გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებიდან“ ვიცით, ყრმობის სამი წელი გიორგიმ ტაძრისის დედათა მონასტერში (ახლანდელი ბორჯომის რაიონი) დასთან – თეკლასთან ერთად გაატარა. ამიტომ გიორგი მთაწმიდელის დაბადებიდან 1000 წელი ფართოდ აღნიშნა ბორჯომის საზოგადოებამ. ტაძრისს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ეწვია. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის, ქნ ვიოლეტა ბალახაშვილის ინიციატივით, ბორჯომსა და თბილისში (სამების ეკლესიის საკონფერენციო ცენტრში) გაიმართა ბორჯომელთა და თბილისში მცხოვრებ ბორჯომელ თანამემამულეთა სამეცნიერო სესია. გამოქვეყნდა ქნ ვ. ბალახაშვილის წიგნი – „ღირსი მამა გიორგი მთაწმიდელი“. გიორგი მთაწმიდელზე ვრცლად იხილეთ: ჯ. აფციაური, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“, თბ., 1980.

მკითხველს უკვე მოვახსენე: ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-სა და ხუროთმოძღვარ არსუკიდის შესახებ ცნობები თითქმის არაა. ამიტომ, ცხადია, მკითხველი ჩემგან ახალ აღმოჩენებს არ უნდა ელოდოს, თუმცა, არსებული მასალის ჩემი თვალთახედვით გაანალიზება და დასმული საკითხების შესწავლა წინადადებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ ბაგრატ III-ის პირველი მეუღლის – მართას შესახებ მოტანილი ცნობა, ბაგრატ III-ის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის დაზუსტება მეტად მნიშვნელოვნად მეჩვენება. ამ წიგნზე მუშაობისას ხშირად მაგონდებოდა VI ს-ის ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის შეგონება (მომაქვს რუსული თარგმანი): „Писание истории является делом величайшим, святейшим, стоящим выше всякого другого занятия“¹¹.

თავისი დროის უგანათლებლესი პიროვნების, შესანიშნავი იურისტის, ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის მითითება იმის შესახებ, რომ ისტორიის წერა (მით უმეტეს, თუ ეს ისტორია სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობასა და გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხებს ეხება) დიდი და წმინდა საქმეა, მუშაობისას ძალას მმატებდა. რამდენად შევძელი დასმული საკითხების შედარებით ისტორიული სინამდვილით წარმოდგენა, ეს თვით მკითხველმა განსაჯოს.

მონოგრაფიაში, გარდა იმისა, რომ სვეტიცხოვლის მშენებლობისა და XI ს-ის I მეოთხედში ხახულის ლავრაში მოღვაწე პირთა შესახებ არსებული მასალაა გაანალიზებული, გარკვეული ყურადღება ეთმობა ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს. ამავე დროს, გიორგი მთაწმიდელი, ხახულის ლავრის გარდა, რადგან ბიზანტიის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ მონასტრებშიც მოღვაწეობდა, მინდა, ქვემოთ მკითხველს მოკლედ ამ მხრივაც მივაწოდო ზოგიერთი ცნობა.

ბიზანტიას, შუა საუკუნეების ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს, თავისებური საზოგადოებრივი განვითარებითა და მაღალი კულტურით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების ისტორიაში. დასავლეთისა და აღმოსავლეთის შესაყარზე მდებარე ამ ქვეყნის ათასწლოვანი ისტორია აღსავსე იყო მშფოთვარე შინაგანი მოვლენებით, უსასრულო, შეიძლება ითქვას, პერმანენტული ომებით მეზობლებთან. ინტენსიური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობით ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანასთან¹².

ბიზანტიის იმპერიის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების მაღალმა დონემ, ამ ქვეყნის ურთიერთობამ თავის თანადროულ ევროპისა და აზიის ქვეყნებთან, დიდი გავლენა მოახდინა მეზობელი ქვეყნების კულტურაზე და განაპირობა ინტერესი ბიზანტიის ისტორიისადმი. თავის მხრივ, უკვე იმასაც აღიარებენ, რომ გარკვეულწილად იყო მეზობელი ქვეყნების უკუგავლენა ბიზანტიის არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არამედ კულტურაზე და სხვა.

ბიზანტიის იმპერია ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის (ქართლი, ეგრისი, სომხეთი, ალბანეთი) დასავლური ცივილიზაციის ნამდვილი ფორფოსტი იყო¹³. ეს იმპერია, როგორც სახელმწიფო, თუ ფეოდალურ ურთიერთობათა

¹¹ Агафий, О царствовании Юстиниана. Перевод, статья и примечания М. В. Левченко, М., 1953, гл. 69.

¹² Курбатов Г. Л., История Византии, М., 1984, гл. 3.

¹³ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბიზანტიის იმპერია რომის იმპერიის სამართალმემკვიდრედ გამოდიოდა, ქართველი და რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ხალხების ურთიერთობის ფესვები რომაულ ხანაში უნდა ვეძიოთ. ძვ. წ. 65 წელს რომაელი სარდლის პომპეუსის აღმოსავლეთში ლაშქრობის შემდეგ განსაკუთრებით იკვეთება ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ინტერესი ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი. ეს ინტერესი არ შენელებულა ბიზანტიის იმპერიის არსებობის მთელ მანძილზე.

დამკვიდრებისა და ქრისტიანობის გარშემო წარმოებული ბრძოლების პირობებში ყალიბდებოდა, ბიზანტიური ცივილიზაცია – ელინიზმის, რომანიზმის, ქრისტიანობისა და აღმოსავლური ელემენტების შერწყმის შედეგად შეიქმნა¹⁴. აღნიშნულმა განაპირობა ადრეშუასაუკუნეების ბიზანტიური ცივილიზაცია უფრო დიდი და ბრწყინვალე რომ იყო, ვიდრე მისი თანადროული დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ შექმნილი კულტურა. ბიზანტიური ცივილიზაციის შექმნაში გარკვეული წვლილი ბიზანტიის იმპერიის ორბიტაში მოქცეულ სხვა ხალხებთან (სირიელები, კოპტები, ებრაელები, კაპადოკიელები, სომხები და სხვანი) ერთად ქართველებსაც მიუძღვის¹⁵. ამ ქვეყნებიდან გამოსულმა არაერთმა მოღვაწემ თავისი შემოქმედებითი ნიჭი ბიზანტიის იმპერიის ასპარეზზე გამოავლინა. ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრები გახდა ის სავანეები, რომლებიც ადრექრისტიანული ხანიდან მოკიდებული ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე იქნენ დაარსებულნი. ეს წმინდა ადგილები საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველებისათვის შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის მნიშვნელოვანი კერები იყო. ამ კულტურულ ცენტრებში შექმნილი ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლები, ქართველ შემოქმედთა მაღალ განათლებაზე მიუთითებენ. როგორც ცნობილია, ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლებიდან ზოგი დღეს მხოლოდ ქართული თარგმანითაა შემონახული, რის გამოც მათ ქრისტიანული ცივილიზაციისათვის უდიდესი კულტურული მნიშვნელობა აქვთ. საზღვარგარეთის ქართულ კულტურულ ცენტრებში ნათარგმნი ლიტერატურასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია ამ სავანეებში შექმნილი ორიგინალური ლიტერატურის ძეგლები (მაგალითად, გიორგი მთაწმიდელის, გიორგი მცირეს და სხვათა თხზულებები), რომლებშიც მნიშვნელოვანი ცნობებია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ. ეს ცნობები ფასეულია არა მარტო საქართველოს ისტორიის წარმოსაჩენად, არამედ, საერთოდ, ქრისტიანული მწერლობისათვის.

ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ კულტურულ სავანეებში¹⁶ შექმნილი ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურის გარკვეული ნაწილი თუ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მონასტრებისათვის¹⁷ იყო განკუთვნილი, თავის მხრივ, თვით საქართველოში არსებულ სავანეებშიც არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი ითარგმნა. ზოგი მათგანი საზღვარგარეთის ქართულ სავანეებში იგზავნებოდა¹⁸. საქართველოს სავანეებში შექმნილი ზოგიერთი ორიგინალური თხზულება (მაგალითად, გიორგი მერჩულეს თხზულება და სხვა) ქართული საეკლესიო მწერლობის შესანიშნავი ძეგლია. აკად. კ. კეკელიძე ძველი ქართული მწერლობის შეფასებისას წერდა: ქართველმა ხალხმა არამცთუ მთლიანად აითვისა იმ დროის კულტურის მონაპოვარი,

¹⁴ ყაუხჩიშვილი ს., ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. პირველი წიგნი, IV–VII საუკუნეები, თბ., 1948, გვ. 27.

¹⁵ რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში ჩასახული და შექმნილი ახალი – ქრისტიანული რელიგია და მასზე დაფუძნებული ქრისტიანული კულტურა მისაღები აღმოჩნდა ამიერკავკასიაში მცხოვრები ხალხებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ახ. წ. III საუკუნის შუახანებიდან ამიერკავკასიის ქვეყნები სასანიანთა ირანის ხელდებულებად ითვლებოდნენ, ირანელები ძალდატანებით ცდილობდნენ ამ ქვეყნებში ცეცხლთაყვანისმცემლობის დანერგვას, ამიერკავკასიის ქვეყნების მესვეურებმა კურსი დასავლეთისაკენ აიღეს. ქრისტიანობამ განსაზღვრა მათი პოლიტიკური ორიენტაცია.

¹⁶ საზღვარგარეთ მდებარე ქართული კულტურული ცენტრების შესახებ იხ. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980.

¹⁷ საქართველოში არსებული მწერლობის კერების შესახებ იხ. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I, ნაკვეთი პირველი, თბ., 1962; ტ. I, ნაკვეთი მეორე, თბ., 1962.

¹⁸ მეტრეველი ე., საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტი. წიგნი – ე. მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 2007.

თავისი საკუთარი წვლილიც შეიტანა მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურში¹⁹.

ბიზანტია-საქართველოს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში მჭიდრო კულტურული კავშირების გვერდით იყო დაპირისპირებაც²⁰. ასეთ ვითარებაშიც კი, ორ სახელმწიფოს შორის არსებული კულტურული კონტაქტები არ მოშლილა. ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ სავანეებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მაინც გრძელდებოდა, იმპერიის მესვეურები მშვიდობიანობის ხანაშიც ცდილობდნენ საქართველოში თავიანთი ძველი გავლენა აღედგინათ. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მინიჭებით სურდათ საქართველოში სათანადო პოლიტიკური დასაყრდენი შეექმნათ. ეს პროცესი სათანადოდაა ასახული ქართულ ნარატიულ წყაროებსა და ეპიგრაფიკაში, ე. წ. ქართულ-ბიზანტიურ მონეტებზე და სხვ. ასე რომ, მონოგრაფიაში საქართველოს ისტორიისა და კულტურის ისტორიის არაერთი საკითხია განხილული.

¹⁹ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 7.

²⁰ ამ მხრივ ნიშანდობლივია ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის ომები საქართველოს წინააღმდეგ 1021–1023 და 1028 წლებში.

თავი I. სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დაწყებისას არსებული ისტორიული ვითარება

მამაკაცთა მხრივ მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლების: ბასილ II-ისა (976–1025 წწ.) და მისი ძმის კონსტანტინე VIII-ის (1025–1028 წწ.) თანადროული ბიზანტიის იმპერიის საქართველოსთან ურთიერთობის ცალკეული დეტალების გასარკვევად მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-ის მიერ შედგენილ „მცხეთის საბუთში“ არსებული ცნობები. „მცხეთის საბუთი“ ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა XI საუკუნის I ნახევრის საქართველოს ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურის ისტორიის შესასწავლად.

ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის ზეობის წლები, რა თქმა უნდა, კარგადაა ცნობილი თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში. საკამათოდ არც მელქისედეკ I-ის პატრიარქობის წლები ითვლება. მიჩნეულია, რომ მელქისედეკ I საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელი 1010–1033 წლებში იყო. მის სახელს უკავშირდება მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა და იგი იყო პირველი, რომელმაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ტიტული მიიღო (487 წლიდან ქართლის ეკლესიის მეთაურები კათალიკოსებად იწოდებოდნენ).

მელქისედეკ I, მის მიერ შედგენილ „მცხეთის საბუთში“ (ამ საბუთს მელქისედეკის „დაწერილსაც“ უწოდებენ) საქართველოს მეფეს ბაგრატ III-ს (978–1014 წწ.) თავის გამზრდელად ასახელებს („მოვაკსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა“¹), რის საფუძველზეც ზოგი მკვლევარი მელქისედეკ I-ს ბაგრატ III-ის ახლო ნათესავად თვლის². თავისი მოღვაწეობის მანძილზე მელქისედეკ I დაუღალავად ზრუნავდა საპატრიარქოს რეზიდენციის – მცხეთის კათედრალის განდიდება-გამშენიერებისა და გამდიდრებისათვის. მელქისედეკ I-ის მთავარი დამსახურება კი, როგორც ითქვამს, ქართული არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლის – მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის „მეორედ აღშენებაა“. მკვლევართა მითითებით, იგი არაერთხელ იყო დიპლომატური მისიით კონსტანტინოპოლში.

კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე მელქისედეკ კათალიკოსის დიპლომატური მისიით რამდენჯერმე ჩასვლა, იმპერატორების: ბასილ II-ის, კონსტანტინე VIII-ისა და რომანოზ III არგირის (1028–1034 წწ.) ზეობის ხანას ემთხვევა და როგორც „მცხეთის საბუთიდან“ ჩანს, საიმპერატორო კარზე მისი ყოველი ჩასვლა მისთვის საჩუქრების ბოძებით სრულდებოდა. მელქისედეკ კათალიკოსისადმი ბიზანტიის იმპერატორების მიერ ბოძებული ნივთებისა და სხვა საჩუქრების შესახებ „მცხეთის საბუთიდან“ ვიგებთ.

სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის კუთვნილი ქონების ჩამოთვლისას მელქისედეკ კათალიკოსი წერს: „და დაუსუენე ხატი ოქროდსაჲ, რომელი მიბოძა კოსტანტი ბერძენთა მეფემან. და სამარტუილოსავე შივან დაუსუენე ხატი ესე წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ შემკობილი ოქროთა, თუალითა და მარგალიტითა, რომელი მიბოძა ბასილი ბერძენთა მეფემან“³.

მელქისედეკ კათალიკოსისავე სიტყვით, სვეტიცხოვლის ტაძრის საგანძურში იყო: „...ბერძენთა მეფისა რომანოზის ნაბოძვარი შესამოსელი ოქროქსოფლი ა. და

¹ ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, გვ. 283.

² ლომინაძე ბ., მელქისედეკ I, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (შემდეგში – ქსე), ტ. 6, თბ., 1983, გვ. 561.

³ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 23; ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი..., გვ. 281. ამ ტექსტის რუსული თარგმანი იხ. Дарственная грамота католикоса Мелкизедека мцхетскому Свети-цховели (1020 и 1033 г.), წიგნში – Грузинские документы IX–XV вв., в собрании Ленинградского отделения Института Востоковедения АН СССР. Перевод и комментарии С. С. Какабадзе, М., 1982, გვ. 16.

მაღზარად ოქროქსოფლი ა. სან[ა]წილე ოქსინოდ ვ. და ზ-ე ასაპერობელი ხატოვანი ოქროდთა ა. სადავნი სანაწილენი ბ. და რომელ ეზონი ჩემნი დაკიდებულნი არიან, ბერძენთა მეფემან ბასილი მიბოდნა...“⁴.

კონსტანტინოპოლის საიმპერატორო სასახლეში ჩასულ საქართველოს კათალიკოსს, როგორც ეს „მცხეთის საბუთიდან“ ჩანს, იმპერატორ ბასილი II-სგან სხვა სახის საჩუქრებიც მიუღია⁵. რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, იმპერატორ ბასილი II-ს მეღქისედეკ კათალიკოსისათვის უბოძებია მონასტერი თავისი სოფლებით. იმ მონასტრებსა და სოფლებს შორის, რომლებიც მცხეთის სვეტიცხოველს ეკუთვნოდა, მეღქისედეკ I მასაც ასახელებს. საბუთში ნათქვამია: „ბერძენთა მეფემან ბასილ[ი] მიბოძა მონასტერი დიდი, რომელსა სახელი არს კესტორი, რომელსა სოფელი აქუს: რ-ე“⁶.

მეღქისედეკ კათალიკოსის „მცხეთის საბუთში“ მოხსენიებული „მეფე ბერძენთა ბასილი“ რომ იმპერატორი ბასილ II, ხოლო „კონსტანტი ბერძენთა მეფე“ იმპერატორი კონსტანტინე VIII-ა, ეს საეჭვოდ არავის გაუხდია. ასევე „მცხეთის საბუთში“ მოხსენიებული „ბერძენთა მეფე რომანოზი“ რომ კონსტანტინე VIII-ს შემდეგ ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ასული რომანოზ III არგირი (კონსტანტინე VIII-ს ასულის ზოიას მეუღლე) (1028–1034 წწ.) იყო, არც ეს ეეჭვებოდათ. მაგრამ, 1982 წელს „მცხეთის საბუთის“ რუსული თარგმანის გამოცემისას საურმაგ კაკაბაძემ ამ პიროვნებაში ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ II (959–963 წწ.) იგულისხმა. ს. კაკაბაძის თანახმად, „ბერძენთა მეფე რომანოზის“ პიროვნებაში „Имеется в виду, очевидно, византийский император Роман II (959–963). Дело в том, что этот Романоз упоминается только здесь, и в отличие от пожалований Василия и Константина, о его пожаловании сказано в безличной форме: *ნაბოძარი „пожалованное“*. По всей вероятности, речь идет о пожалованиях не самому Мелкиздеку, а одному из его предшественников, и, следовательно, пожалование сделано Романом II, а не Романом III Аргиром (1028–1034). Эта же форма *ნაბოძარი* употреблена ниже, там, где речь идет о пожаловании Баграмом Куропалатом скараманга“⁷.

ასე რომ, ს. კაკაბაძეს არა მარტო რომანოზ III არგირის *ნაბოძარი* გადააქვს 959–963 წლებზე, თვლის, რომ ბაგრატ III-ის „*ნაბოძარიც*“ უფრო ადრეულ ხანას შეეხება. „Поскольку, – წერს ს. კაკაბაძე, – здесь употреблена та же безличная форма *ნაბოძარი „пожалованное“*, что и во фразе о пожалованиях Романоза, надо думать, что речь идет о пожаловании Баграмом куропалатом не Мелкиздеку, а одному из его предшественников. Этот Баграт куропалат – безусловно Баграт III (975–1014)“⁸.

რომანოზ II-ის თანადროულად ვინ იყო ქართლის კათალიკოსი, ს.კაკაბაძე არ წერს. საურმაგ კაკაბაძე არც იმის შესახებ მიუთითებს, როგორი ურთიერთობა იყო რომანოზ II-ის ზეობისას იმპერიასა და ქართლს შორის და რატომ უნდა ებოძებინა რომანოზ II-ს ქართლის კათალიკოსისათვის „შესამოსელი ოქროქსოფლი“ და სხვა ნივთები. რაც მთავარია, ასეთი

⁴ დაწერილი მეღქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 25; ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი..., გვ. 282.

⁵ მცხეთის საბუთში ეს *ნაბოძარები* ძალიან მრავალფეროვანია.

⁶ ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი..., გვ. 282–283. რუსულ თარგმანშია: „Царь греков Басили пожаловал (мне) монастыр великий, имя которого Кестор и который имеет селения, 105“. იხ. Дарственная грамота..., გვ. 18.

⁷ იქვე, გვ. 29, შენ. 12.

⁸ იქვე, გვ. 29, შენ. 14. ჯერ კიდევ 1928 წელს გამოცემულ კრებულში საურმაგ კაკაბაძის მამა პროფ. ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ სვეტიცხოვლის ტაძრის გადაკეთება და ხელახლა აშენება მოხდა მეღქისედეკ კათალიკოსის დროს, დაახლ. 925–945 წლებში (იხ. მისი, როდის არის აშენებული სვეტიცხოვლის ტაძარი. საისტორიო კრებული, წიგნი I, ტფილისი, 1928, გვ. 107). სამწუხაროდ, არც სარგის კაკაბაძე წერს, 925–945 წლებში რა საფუძველზე გადააქვს მეღქისედეკის კათალიკოსობა.

მტკიცებისას მას უნდა უარყო ძველ ქართულ წყაროებში არსებული ცნობები რომანოზ III არგირის კარზე საქართველოდან ელჩობის ჩასვლის შესახებ. ს.კაკაბაძე ასევე არაფერს წერს, ვინ იყო ის კათალიკოსი, რომელსაც ბაგრატ III-მ „დიდი სკარამანგი“ უბოძა. ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, ვფიქრობ, საურმაგ კაკაბაძის მიერ წამოყენებული თვალსაზრისი გარკვეული ნიუანსით ანგარიშგასაწევი უნდა იყოს.

როცა ბიზანტიის იმპერატორებისაგან მელქისედეკ კათალიკოსისათვის სხვადასხვა საეკლესიო ნივთებისა და კესტორის მონასტრის ბოძების შესახებ ვსაუბრობთ, თავისთავად ისმის კითხვა – რამ განაპირობა ქართლის კათალიკოსის მელქისედეკის რამდენიმეჯერ ჩასვლა კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე და, კერძოდ, რომელ წლებში შედგა ეს ვიზიტები? როდის იყო ბიზანტიასა და საქართველოს შორის ისეთი ახლო ურთიერთობა, როცა ბასილ II-მ ქართლის კათალიკოსს (უფრო სწორად, მცხეთის სვეტიცხოველს) 105 სოფლიანი კესტორის მონასტერი უბოძა?

„მცხეთის საბუთი“, როგორც ლ. მუსხელიშვილი წერს, მართალია, „სვეტიცხოვლის ტაძრის აშენებაზე რატომღაც დუმს“⁹, მაგრამ, როგორც აკად. ს.ყაუხჩიშვილი შენიშნავს, „მატიანე ქართლისას“ ტექსტში შეტანილი ის ჩანართები (გვ. 282, 290, 294, 295), რომლებშიც მელქისედეკ კათალიკოსი იხსენიება, თუ მართლაც, „მცხეთის საბუთიდან“ ამოღებულ ექსცერპტებს წარმოადგენს¹⁰, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ „მცხეთის საბუთის“ (იგი ჩვენამდე მოღწეულია XII ს-ის პირით¹¹) თავდაპირველ ვერსიაში (უკიდურეს შემთხვევაში, საქართველოს სასულიერო წრეებში იყო ხსოვნა) ყოფილა მითითება სვეტიცხოვლის ტაძრის აღსადგენი სამუშაოების დაწყების შესახებ, რისთვისაც მელქისედეკ კათალიკოსს სათანადო სახსრები იმპერატორ ბასილი II-საგან ტაძრის მშენებლობის დაწყებამდე მიუღია.

ჩანართში ნათქვამია: მელქისედეკი „წარვიდა ბერძენთა მეფისა ბასილის წინაშე კოსტანტინეპოლედ, რათა შეეწიოს. რამეთუ იყო დიდი ესე კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტი-ცხოველი, რომელი ვახტანგ გორგასაღს აღეშენა, დაძველებულ იყო და ჟამთა შლილობით გარშემო სტოანი და ბჭენი დაქცეულ იყო, და აღარავინ იყო მწე აღშენებად და არცარავის ძალ-ედვა აღშენება მისი. და მივიდა და მიუთხრა ყოველი შეუძლებლობა ქართველთა და სათხოველი თჳსი.

მაშინ მეფემან ბასილი მოსცა მონასტერი კესტორია, რომელ[სა] რ~ე სოფელი აქუს, განძი და შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯუარნი, და ყოველივე სამდღელთმთავრო და სამდღელო სამკაული. წარმოვიდა და მოიწია ქუეყანასვე თჳსსა ქართლად და სამეუფოდ ქალაქად მცხეთად, და იწყო შენებად გარეთითა ბჭითა და გარეშემოთა სტოითა მოქმნითა და ზედადაბურვითა...“¹².

ტექსტი, საიდანაც ზემომოტანილი ციტატაა მოტანილი „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ თეიმურაზისეულ ნუსხაშია (ამ ჩანართით „სწავლულ კაცთა კომისიას“ არ უსარგებლია¹³) და „მატიანე ქართლისას“ ტექსტში XVIII ს-ის I ნახევარში რედაქტორის მიერაა შეტანილი¹⁴. ამ რედაქტორს, „მცხეთის საბუთის“ გარდა, ხელთ, როგორც ჩანს, სხვა მასალაც ჰქონდა, საიდანაც

⁹ მუსხელიშვილი ლ., მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან. ქართული ხელოვნება, ტ. 1, თბ., 1942, გვ. 139.

¹⁰ მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 282, შენ. 1.

¹¹ ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი, გვ. 250–251.

¹² მატიანე ქართლისა, გვ. 282 (ჩანართი).

¹³ გრიგოლია კ., ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 160, 163.

¹⁴ ყაუხჩიშვილი ს., შესავალი. წიგნში – „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 014.

ჩანართში შეიტანა ცნობა სვიმონ კათალიკოსის შესახებ. რაც მთავარია, ჩანართიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: მელქისედეკ I-მა ბასილ II-საგან „მონასტერი კესტორია“ სვეტიცხოვლის ტაძრის აღსადგენად მიიღო. იმავე დროს მიიღებდა იგი სხვადასხვა საეკლესიო ნივთებს კონსტანტი და ბასილი ბერძენთა მეფეებისაგან.

ახლა ვნახოთ, როდის დაიკავა მელქისედეკ I-მა ქართლის საკათალიკოსო ტახტი და როდის ჩავიდა იგი პირველად კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე?

თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრებით, მელქისედეკ I-მა საქართველოს ეკლესიის საჯეტომპყრობლის ტახტი ბაგრატ III-ის ზეობაში – 1010 წელს დაიკავა¹⁵. აღნიშნულიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ზემოაღნიშნული საბოძვრები მან კონსტანტინე და ბასილ კეისრებისაგან 1010 წლის შემდეგ ახლო ხანში მიიღო და დაიწყო სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა. შემდეგში, 1025–1028 წლებში კონსტანტინესაგან, ხოლო 1028–1034 წლებში რომანოზ III-საგან კვლავ მიიღო ის საბოძვრები, რომელთა შესახებ იგი „მცხეთის საბუთში“ მოგვითხრობს.

სხვათა შორის, ასე გაუაზრებია „მცხეთის საბუთის“ ცნობები XVIII ს-ის პირველ ნახევარში „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხის რედაქტორს და „მატიანე ქართლისას“ ტექსტში, იქ, სადაც კონსტანტინე VIII-ის ტახტზე ასვლის შესახებაა მოთხრობილი (როცა იყო „ქრონიკონი... ორას ორმოცდახუთი“ – ე. ი. 1025 წელი) შემდეგი ტექსტი ჩაურთავს: „ამისა შემდგომად წარვიდა პატრიაქი მელქისედეკ კონსტანტინე მეფისა წინაშე კონსტანტინეპოლედ. შეიწყნარა მეფემან ბერძენთამან კონსტანტინე(მ) და მოსცა შესამკობელნი ეკლესიათა, ხატნი და ჯუარნი, და ყოველი სამღვდელთმთავრო და სამღვდლო სამკაული...“¹⁶.

ჩანართში ზემომოტანილ ტექსტს მოსდევს იმ სოფლების ჩამონათვალი, რომლებიც ბიზანტიიდან დაბრუნების შემდეგ მელქისედეკ I-მა შეიძინა. „მცხეთის საბუთში“ დასახელებული სოფლების შესყიდვის შესახებ საუბარია „ბერძენთა მეფე ბასილის“ მიერ კესტორის დიდი მონასტრის ბოძების შემდეგ. ამიტომ „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხის რედაქტორის ინტერპრეტაციას ვერ გავიზიარებ. მას შემდეგ, რაც 1025 წლის დეკემბერში საიმპერატორო ტახტზე ასულმა კონსტანტინე VIII-მ უფლისწული ბაგრატ უკან ვედარ დააბრუნა, „მოქცევასა ოდენ წელიწდისასა“ საქართველოში ურიცხვი ლაშქარი გამოგზავნა¹⁷ [ომი მხოლოდ კონსტანტინე VIII-ის გარდაცვალების (1028 წლის 11 ნოემბერი) შემდეგ შეწყდა¹⁸]. ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენია მელქისედეკ I-ს კონსტანტინესაგან რაიმე საბოძვარი მიეღო.

ბასილისა და კონსტანტინე იმპერატორებისაგან მელქისედეკ I-სადმი საბოძვრებზე საუბრისას, ისმება კითხვა: როდის უნდა ყოფილიყვნენ ძმები ისე კეთილგანწყობილნი ქართველების მიმართ, მელქისედეკ I-სათვის რომ კესტორის მონასტერი ებოძებინათ?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ვფიქრობ, თვით „მცხეთის საბუთის“ ცნობებს გარდა, უპირველეს ყოვლისა, ბიზანტიის საიმპერატორო კარზე არსებული ვითარება და იმპერიის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა უნდა გავითვალისწინოთ.

ჯერ ვნახოთ, რა ვითარება იყო იმ დროის კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე.

¹⁵ ლომინაძე, ბ., მელქისედეკ I (ქსე, ტ. 6).

¹⁶ მატიანე ქართლის, გვ. 290 (ჩანართი).

¹⁷ იქვე, გვ. 291.

¹⁸ იქვე, გვ. 293.

XI ს-ის ბიზანტიელი ქრონიკის მიქაელ ფსელოსის ცნობით, ბარდა სკლიაროსის დამარცხების პირველ ხანებში ბასილ II ჯერ კიდევ არ ამჟღავნებდა დესპოტურ ხასიათს¹⁹, მაგრამ ბარდა ფოკას აჯანყების შემდეგ ბასილ მეფე სრულიად სხვაგვარი შეიქნა, თითქოს, სულაც არ ახარებდა მიღწეული გამარჯვება, ყველასადმი ეჭვიანი გახდა. თავში მუდამ ვერაგული აზრები უტრიალებდა, დამნაშავეებისადმი იყო მრისხანე და ბოროტი. მას აღარ სურდა ხელისუფლება გაეყო ბასილი პარაკიმომენისათვის²⁰. მისადმი ყოველგვარ სიძულვილსა და ზიზღს გამოხატავდა. უკვე აუტანლად ეჩვენებოდა ის, რომ ყრმობიდან გამოსვლის შემდეგაც არ იყო მეფე (ე. ი. რეალური მმართველი. – ვ.გ.), აღარ სურდა სახელმწიფოში კვლავ მეორე პირი ყოფილიყო.

ყოველდღიურად ასეთი ფიქრებით შეპყრობილმა, ერთ მშვენიერ დღეს, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა ბასილ პარაკიმომენი ხელისუფლებიდან ჩამოეშორებინა. ამასთან, სულაც არ შეეცადა, ეს ზედმეტი გამწვავების გარეშე, მსუბუქი ფორმით გაეკეთებინა, პირიქით, ყველაფერი მოიმოქმედა ისეთი ველური ფორმით, რომელსაც არ შეიძლება გამართლება მოუძებნო. ბასილ პარაკიმომენი ჩასვა გემში და გადასახლებაში გააგზავნა²¹, – აღნიშნავს მიქაელ ფსელოსი.

მიქაელ ფსელოსის თხზულების რუსული თარგმანის გამომცემლის ი. ლიუბარსკის თანახმად, ბასილ II-მ ბასილ პარაკიმომენი სასახლიდან 985 წელს გააძევა²². 985 წელს ბასილ II-მ ძმა – კონსტანტინე ჩამოაშორა მმართველობას. ბასილ II, – წერს მიქაელ ფსელოსი, – უპატივისცემლოდ ეპყრობოდა არა მარტო უცხო ხალხს, საკუთარი ძმაც არ დაინდო. მას შეუმცირა დაცვა, ნელ-ნელა ასუსტებდა მის ხელისუფლებას და ძალიან ადვილად შეძლო, ყველაფერი თავის ხელში მოექცია. კონსტანტინეს საშუალება მისცა ნადირობით, აბანოებითა და სხვა ამქვეყნიური სიკეთით დამტკბარიყო, რომელთა დიდი მოყვარულიც იგი იყო²³. ამრიგად, ბასილ II და კონსტანტინე მხოლოდ 979–985 წლებში განაგებდნენ ერთად იმპერიას.

ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის ერთად მმართველობა მათ მიერ მოჭრილ მონეტებზეცაა ასახული. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში დაცული მათი მონეტებიდან მხოლოდ თითო ნიმუშს წარმოვადგენ.

ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის ოქროს ნომისმის შუბლზე ორივე ძმის წელზევით გამოსახულებაა პირდაპირ. მარცხნივ წვერიანი ბასილ II, მარჯვნივ უწვერო კონსტანტინე VIII. ორივე ჯვრიანი გვირგვინითაა, ბასილი ღორღით, კონსტანტინე – წამოსასხამით. ორივეს მარჯვენა ხელი კათალიკოსის ჯვარზე უკიდია. ასეთივე გამოსახულებაა ძმების ერთად

¹⁹ Михаил Пселл, Хронография. Перевод, статья и примечания Я. Н. Любарского, М., 1978, гл. 17. „ბიზანტიის ისტორიაში“ არსებული მითითებით, ბასილ II იყო: მკაცრი, სიტყვაძვირი, ენაბრველი, ცხოვრებაში უბრალო, ენერგიული და ჭკვიანი. История Византии, II, М., 1967, гл. 218.

²⁰ როგორც იაჰია ანტიოქიელი წერს, იოანე ციმისხის გარდაცვალებისთანავე, რომანოზ II-ის ძეებმა დაიწყეს მეფობა და საქმეების გაძღოლა. იმავეთვე სახელმწიფო საქმეებს მხოლოდ ბასილ II განაგებდა (იხ. Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхьи Антиохийского. Издал, перевел и объяснил Барон В. Р. Розен, СПб., 1883, гл. 1), მაგრამ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ქვეყანას ფაქტობრივად ბასილი პარაკიმომენი მართავდა. იგი რომანოზ I ლაკაპინის უკანონო შვილი იყო. ტიტული პარაკიმომენი კი უმაღლესი საკარისკაცო თანამდებობის მქონე პირებს, ძირითადად საჭურისებს, ენიჭებოდათ. მათ ეძინათ იმპერატორის სამყოფში და მის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. იხ. ი. ლიუბარსკის შენიშვნა წიგნში – Михаил Пселл, Хронография..., гл. 264, შენ. № 3.

²¹ Михаил Пселл, гл. 11.

²² იქვე, გვ. 266, შენ. 21.

²³ იქვე, გვ. 12. ბასილ II-ის გარდაცვალების წინ კონსტანტინე ნიკეის მხარეში იყო და იგი მომაკვდავი იმპერატორის მოთხოვნით ჩაიყვანეს სასახლეში. იხ. კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 126–127.

მმართველობისას მოჭრილ ვერცხლის მონეტაზეც. მონეტის შუბლზე მარცხნივ ბასილ II-ის, მარჯვნივ კონსტანტინე VIII-ის ბიუსტებია. ორივე ჯვრიანი გვირგვინებით, ბასილ II ღორონით, კონსტანტინე – წამოსასხამით²⁴.

დასახელებულ მონეტებზე ძმების ერთად გამოსახვა (კონსტანტინეს უწვერო გამოსახულება მის უმცროსობაზე და ახალგაზრდულ ასაკზე მიანიშნებს), მათ ერთად მმართველობაზე – ე. ი. 985 წლის წინა ხანაზე მიგვითითებს, ხოლო ბასილ II-ის ღორონით წარმოდგენა, მისი შედარებით მეტი ძალაუფლების მაჩვენებელია. ხერსონესში მოჭრილ სპილენძის მონეტას შუბლზე მხოლოდ ბასილ II-ის მონოგრამა რომ აქვს, იმას მოწმობს, ამ მონეტის ემისიისას კონსტანტინე VIII მმართველობას ჩამოშორებული რომ იყო. სამაგიეროდ, კონსტანტინე VIII-ის ოქროს მონეტა, რომლის შუბლზე კონსტანტინეს წვერულვაშიანი გამოსახულებაა პირდაპირ, თავზე თვლებითა და ჯვრით შემკული გვირგვინი ადგას, შემოსილია ღორონით, მარჯვენა ხელში ჯვრითა და თვლებით მოოჭვილი ლაბარუმი უჭირავს, ხოლო მარცხენაში მაპაპა. მონეტაზე კი ზედწერილია იმპერატორი კონსტანტინე²⁵, იმაზე მიგვითითებს, მონეტა 1025–1028 წლებს შორისაა მოჭრილი და კონსტანტინე VIII-ის იმპერატორობის ხანას ეკუთვნის. ამჯერად ღორონით მისი გამოსახვა, კონსტანტინეს ერთპიროვნული მმართველობის მაჩვენებელია.

ახლა, რაც შეეხება ბასილ II-ის საგარეო პოლიტიკას.

გახდა თუ არა იმპერიის ერთპიროვნული მმართველი, ბასილ II 986 წელს ბულგართა წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა, მაგრამ იმავე წლის 17 აგვისტოს ბულგარელებმა ბიზანტიის არმია გაანადგურეს²⁶. იმ დროიდან 30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იმპერიის სამხედრო ძალები ევროპაში – ძირითადად ბულგარეთში აწარმოებდა მძიმე ბრძოლებს. პირველი ათი წელი ეს ბრძოლები მაინცდამაინც წარმატებული არ იყო²⁷.

987 წლის დამდეგს ბარდა სკლიაროსმა ახალი აჯანყება წამოიწყო. ბასილ II-მ ყოფილი მთავარსარდალი ბარდა ფოკა კვლავ იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის ჯარების სარდლად დანიშნა და ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა, მაგრამ 987 წლის აგვისტოში ბარდა ფოკამ თავი იმპერატორად გამოაცხადა. აჯანყებამ დიდი რეზონანსი მიიღო, იმპერიის დიდკაცობის უმეტესი ნაწილი ბარდა ფოკას მიემხრო (როგორც ცნობილია, ბარდა ფოკას მხარი დაიჭირა ტაოს მეფემ დავით III-მაც). აჯანყება 989 წლის 13 აპრილამდე გრძელდებოდა²⁸.

ბარდა ფოკას დამარცხების შემდეგაც იმპერიაში სიმშვიდე ვერ დამყარდა. 989 წელსვე ქ. ანტიოქიის მოსახლეობამ უარი განაცხადა იმპერიის ქვეშევრდომობაზე. ბასილ II-ს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ანტიოქიელები კვლავ იმპერიის ძალაუფლების ქვეშ მოექცია²⁹. 991 წელს ბასილ II-მ მეორე ლაშქრობა მოაწყო ბულგარეთის წინააღმდეგ. ეს ლაშქრობა 4 წელი გაგრძელდა და ბასილ II-მ პირველ წარმატებას მიაღწია³⁰. 992/993 წლებში ქ. ლაოდიაში იყო არეულობა. აჯანყებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ბასილ II-მ იმპერიის შიდა რაიონებში გადაასახლა³¹.

²⁴ აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1965, გვ. 91. ტაბულა № XIX, 327, 328, 329; ტაბულა № XX, 350, 351, 352.

²⁵ იქვე, გვ. 94.

²⁶ История Византии, II, გვ. 218.

²⁷ იქვე, გვ. 221.

²⁸ იქვე, გვ. 218–219.

²⁹ იქვე, გვ. 221.

³⁰ იქვე, გვ. 222.

³¹ იქვე, გვ. 221.

1001 წელს ტაოს მეფის დავით III-ის გარდაცვალების შემდეგ, როცა ბასილ II-მ აღმოსავლეთში საქმეები მოაწესრიგა³², მან კვლავ ბულგარეთში გაილაშქრა. ეს ომი 1005 წლამდე გაგრძელდა³³. 1009 წელს სამხრეთ იტალიაში ქ.პარის მოსახლეობა აჯანყდა, მათ დაამარცხეს ბიზანტიელთა ლაშქარი და რამდენიმე თვეს დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ³⁴. იტალიაში გართულებულ ვითარებას ზედ დაერთო ქ. ხერსონესის განდგომა. 1014 წელს ბასილ II-მ ბალკანეთში ბელასიცის მთებთან ბულგარელები დაამარცხა და 14 (თუ 15) ათას ტყვეს თვალები დასთხარა³⁵. ბასილ II-მ მხოლოდ ამის შემდეგ – 1016 წელს შეძლო აჯანყებულ ხერსონესელთა წინააღმდეგ ფლოტის გაგზავნა³⁶.

1018 წელს ბასილ II-მ კვლავ გაიმარჯვა ბულგარელებზე და 1019 წელს ბულგარეთის დედაქალაქში შევიდა³⁷.

როგორც ვნახეთ, 986 წლიდან მოკიდებული ბასილ II, თითქმის განუწყვეტლივ ლაშქრობებში იმყოფებოდა იმპერიის დასავლეთში. ამ მხარეში არსებულ რთულ ვითარებას ზედ ერთვოდა გართულებები აღმოსავლეთში, რის გამოც მან რამდენიმეჯერ შეწყვიტა სამხედრო ოპერაციები დასავლეთში³⁸. განუწყვეტელი ომები იმპერიას ძალიან ძვირი უჯდებოდა. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ბასილ II-ს არავითარი სურვილი არ ექნებოდა მეღქმისედეკ კათალიკოსისათვის 105 სოფლიანი მონასტრის შემოსავალი გადაეცა. იმ ხანად იგი თვით კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიმართაც კი არ იჩენდა კეთილ განწყობას. X ს-ის 90-იან წლებში 4 წლის განმავლობაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო კათედრა თავისუფალი იყო³⁹.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ბასილი და კონსტანტინე იმპერატორებისაგან მეღქმისედეკისათვის საჩუქრების ბოძების საკითხს სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ.

ბიზანტიის იმპერატორთა მიერ ნაბოძები ნივთების ჩამოთვლისას მეღქმისედეკი „კოსტანტი და ბასილ ბერძენთა მეფეებს“ რადგან ერთად ასახელებს, ივარაუდება, რომ მათ მეღქმისედეკი ერთად შეხვდა. მეორე მხრივ, მეღქმისედეკ I-მა თუ მართლაც, 1010 წელს დაიკავა საქართველოს საკათალიკოსო ტახტი, მაშინ იგი კონსტანტინოპოლში 1010 წლის შემდეგ უნდა შეხვედროდა კონსტანტინესა და ბასილს, რაც ზემომოტანილი მასალის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო.

აღნიშნულთან ერთად, 1010 წლისთვის ბიზანტიასა და საქართველოს შორის, მართალია, ჯერ კიდევ არ იყო საომარი მოქმედება დაწყებული, მაგრამ ამ ორ სახელმწიფოს შორის, არც ისეთი მეგობრული ურთიერთობა იყო, ბასილ II-ს ქართლის კათალიკოსისათვის 105 სოფლიანი კესტორის დიდი მონასტერი ებოძებინა. რაც მთავარია, 1010 წელს, როგორც ზემოთ ითქვა, კონსტანტინე კარგა ხნის ჩამოშორებული იყო მმართველობას და, შესაბამისად, მეღქმისედეკი მისგან საბოძვარს ვერ მიიღებდა. ყოველივე აღნიშნულის გამო უნდა გაირკვეს, როდის განაგებდნენ ძმები ერთდროულად იმპერიას და როდის უნდა ყოფილიყო ბასილ II კეთილგანწყობილი ქართველების მიმართ.

³² სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტცის ცნობით, დავით კურაპალატი „დიდ ხუთშაბათს“ მოწამლეს. იხ. მისი, ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 41. დავით III-ის მოწამვლით ბასილ II-მ დააჩქარა ამიერკავკასიაში საქმის მოგვარება და ბულგარეთისაკენ გაემგზავრა.

³³ История Византии, II, გვ. 223.

³⁴ იქვე, გვ. 221.

³⁵ იქვე, გვ. 223.

³⁶ იქვე, გვ. 221.

³⁷ იქვე, გვ. 223.

³⁸ იქვე, გვ. 224.

³⁹ იქვე, გვ. 220. Grumel V., Patriarches de Constantinople, წიგნში – La Chronologie, Paris, 1958, გვ. 436.

ბიზანტიასა და საქართველოს შორის ურთიერთობა 987 წელს ბასილ II-ის წინააღმდეგ ბარდა ფოკას აჯანყების შემდეგ გაუარესდა. როგორც ცნობილია, ამ აჯანყებაში მონაწილეობისათვის ტაოს მეფემ დავით III-მ ბასილ II-ს დანაშაულის პატიება და შენდობა სთხოვა. პირობა დადო, მისი გარდაცვალების შემდეგ თავის სამეფოს ბიზანტიის იმპერიას გადასცემდა (ასეთი შეთანხმების მიუხედავად, თორნიკე ერისთავის ძმისწულის – მაგისტროს ჩორდვანელის ლაშქარი ბიზანტიის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებებს აგრძელებდა. 990 წელს იგი მოკლეს⁴⁰).

1001 წელს დავით III-ის გარდაცვალების შემდეგ იმპერიასა და საქართველოს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა. დავითის მემკვიდრეობის მისაღებად ბასილ II ტაოში 6000-იანი რუსთა რაზმითა და ანტიოქიის მმართველის ლაშქრით მოვიდა. ბაგრატ III, მისი მამა გურგენი და, საერთოდ, დავით III-ის მომხრე ქართველები მას მტრულად დახვდნენ (შეხვედრას უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია – რუსებთან შეტაკებისას 30 ქართველი დიდებული დაიღუპა⁴¹). ამის შემდეგ იმპერიასა და საქართველოს შორის, თითქოს, მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდა, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო. იმპერიას გაურთულდა თუ არა ბალკანეთში მდგომარეობა, ბაგრატ III-ის ძე გიორგი I დავით III-ის მემკვიდრეობას დაეპატრონა. 1018 წელს ბულგართა დამარცხების შემდეგ ბასილ II-მ გიორგი მეფეს დაკავებული ტერიტორიების დაბრუნება მოსთხოვა, 1021 წელს კი საომარი ოპერაციები დაიწყო. საქართველოში ბასილ II-ის ლაშქრობის შედეგი იყო „გადაბუგული მესხეთი“ და აწიოკებული მოსახლეობა. სამართალი ძლიერი და გამარჯვებული იმპერიის მხარეზე იყო. სადავო ტერიტორიებს („დავითის მემკვიდრეობა“) კვლავ იმპერია დაეპატრონა. ტახტის მემკვიდრე ბაგრატ III, სამი წლის ყრმა, მძევლად გააგზავნეს კონსტანტინოპოლში⁴². მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეფე გიორგი I (1014–1027 წწ.) ძირძველი ქართული ტერიტორიების (იმიერ ტაო და სხვა მიწები) დასაბრუნებლად იბრძოდა, კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე საქართველო იმპერიის ორგულ მტერთა საძულველ ხალხებს შორის იხსენიებოდა. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის მოოხრება ბასილ II-ს თავის გამარჯვებათა ნუსხაში ჰქონდა შეტანილი⁴³. ბასილ II-ის ეპიტაფიაში ნათქვამია:

„მას შემდეგ, რაც ღმერთმან მეფე მიწოდა,
არავის უნახავს ჩემი ლახვარი დასვენებული,
და ამას მოწმობენ სკვითები და სპარსელები,
მათთან ერთად ისრაელი, აბაზგი, იბერი, არაბი“⁴⁴.

1025 წელს ბასილ II-ის წინააღმდეგ როცა ვასპურაკანის გამგებლის ნიკიფორე კომნენოსის შეთქმულება გამოძვლავნდა, საქართველოს მეფე გიორგი I, ამჯერადაც შეთქმულების მონაწილე იყო⁴⁵.

⁴⁰ კოპალიანი ვ., დასხ. ნაშრომი, გვ. 62.

⁴¹ არისტაკეს ლასტივერტეცი, დასახ. თხზ., გვ. 46; ლორთქიფანიძე მ., მეფე ბაგრატ მესამე, ქუთაისი, 2002, გვ. 43.

⁴² მატიანე ქართლისა, გვ. 288.

⁴³ ხინთიბიძე ე., ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982, გვ. 329.

⁴⁴ იქვე. საიმპერატორო კარზე ბასილ II-ის წარმატებული საგარეო და სამხედრო პოლიტიკა რომ თანაგრძობას იწვევდა, ეს XI ს-ის ბიზანტიელი ქრონისტის მიქაელ ფსელოსის თხზულებიდან ჩანს: ბასილმა, წერს ფსელოსი, „Дворцовую казну... увеличил до двухсот тысяч талантов, а кто сможет достойно описать другие его приобретения! Все чем владели иверы и арабы, все сокровища кельтов, богатство скифской земли, а вернее – всех соседних стран – все это он собрал воедино и вложил царскую казну“. იხ. Михаил Пселл, Хронография, გვ. 15.

⁴⁵ კოპალიანი ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 126. ორ სახელმწიფოს შორის არსებულ მრავალწლიან კონფლიქტში ათონის მთის ქართველი ბერებიც იყვნენ ჩაბმულნი. ათონის მთის ქართველთა მონასტრის მესამე წინამძღვარი გიორგი ვარაზეაჩე 1029 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა. იხ. ხინთიბიძე ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 329.

ასე რომ, 1010 წლიდან, როცა, თითქოს, მეღქისედეკ I-მა საქართველოს კათალიკოსის ტახტი დაიკავა და ინტენსიური სამუშაოები დაიწყო მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ახლად ასაშენებლად, საქართველოსთან იმპერიას ჯერ გართულებული მდგომარეობა, შემდეგ კი, თითქმის, გამუდმებული ბრძოლები ჰქონდა. ასეთ ვითარებაში, ვფიქრობ, როგორც არაერთგზის აღვნიშნე, ბასილ II-ს არავითარი სურვილი არ ექნებოდა თავისი ქვეყნის „მტრის“ ეკლესიის საჭეთმპყრობლისათვის 105 სოფლიანი მონასტერი ებოძებინა.

1025 წლის შემოდგომაზე ბასილ II-მ ქართველი უფლისწული ბაგრატ, როგორც ამას საზავო პირობა ითვალისწინებდა, საქართველოში დააბრუნა⁴⁶. ივარაუდებოდა, რომ ამ დროიდან ბასილ II-ის ურთიერთობა საქართველოსთან უფრო მეგობრული გახდებოდა, მაგრამ იმავე წლის 12 დეკემბერს ბასილ II გარდაიცვალა⁴⁷. მომაკვდავმა ბასილ II-მ ქვეყნის მმართველობას ჩამოშორებული კონსტანტინე სასახლეში მიიწვია და 70 წელს გადაცილებულ უმცროს ძმას სახელმწიფოს მართვის სადავეები თვითონ გადასცა⁴⁸.

უნებისყოფო, გართობისა და ქეიფის მოყვარე კონსტანტინე VIII-მ ტახტზე ასვლისთანავე ძმასავით დესპოტური ხასიათი გამოამჟღავნა⁴⁹. მას რადგან იმპერიის ერთიანობა ესაჭიროებოდა, იფიქრა, საქართველოში ბაგრატის გამოგზავნის შემდეგ იმპერიას აღმოსავლეთში მდგომარეობა გაუართულდებაო, ამიტომ მოიწადინა მცირეწლოვანი უფლისწული ისევ საიმპერატორო სასახლეში დაებრუნებინა, მაგრამ ბაგრატმა მოასწრო საქართველოს საზღვრებში შემოსვლა და მას იმდენად მრავალრიცხოვანი ქართველი წარჩინებულები დახვდნენ, რომ კონსტანტინე VIII-ის მანდატურმა ბაგრატის ძალით უკან წაყვანა ვერ გაბედა. ასე გადაურჩა მცირეწლოვანი უფლისწული მეორედ მიქვლობას⁵⁰. 1027 წლის 16 აგვისტოს გიორგი I გარდაიცვალა და ტახტზე მისი მცირეწლოვანი ძე ბაგრატ IV ავიდა. მისი გამეფებისთანავე კონსტანტინე VIII-მ საქართველოში ჯარი გამოაგზავნა. ბიზანტიელთა ლაშქარმა „მოვლო და მოაოხრა ქუეყანანი იგი, რომელნი პირველ მოეოხრეს ქუეყანანი ბასილი მეფესა, და უმეტესცა“⁵¹. ბიზანტიელთა ლაშქარი ქვეყნის შუაგულში – თრიალეთში შემოვიდა და კლდეკარის ციხეს შემოადგა⁵². სამხედრო მოქმედებების პარალელურად, სუმბატ დავითის-ძის ცნობით, ბიზანტიელებმა დაპირებებით დაიწყეს ხალხის გადაბირება – „მიიქცეს ერნი, სოფელნი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა“⁵³. ბიზანტიასთან ომში დასუსტებულ საქართველოს ბრძოლის გაგრძელება აღარ შეეძლო. როგორც ქართველი მემატიანე წერს, შემდგომი გასაჭირისაგან ქვეყანა ღმერთმა იხსნა. „პატივ-სცა ღმერთმან ბაგრატს, აფხაზთა და ქართველთა მეფესა. ეწია სენი სასიკუდინე კონსტანტინე მეფესა. მოუწერა პარკიმანოხს პროედროსსა, უწმო შეღმართ. ხოლო იგი წარემართა მსწრაფლ და, ვიდრე მოვიდოდა, მიიცვალა კონსტანტინე მეფე“⁵⁴.

კონსტანტინე VIII-ს ძე არ ჰყავდა. საიმპერატორო ტახტი კონსტანტინე VIII-ის ასულის ზოიას მეუღლემ რომანოზ III არგირმა დაიკავა. მან თავისი აგრესია შუამდინარეთის ქ. ედესისა და სიცილიისაკენ მიმართა, რამაც

⁴⁶ გოილაძე ვ., ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპიგრაფიკაში, თბ., 2008, გვ. 119.

⁴⁷ იქვე, გვ. 125.

⁴⁸ Михаил Пселл, დასახ. თხზ., გვ. 18.

⁴⁹ გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 120–121.

⁵⁰ სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 385.

⁵¹ იქვე; მატიანე ქართლისა, გვ. 291–292.

⁵² მატიანე ქართლისა, გვ. 292.

⁵³ სუმბატ დავითის-ძე, დასახ. თხზ., გვ. 386. „ამით მიზეზითა მიიქცეს მრავალნი კაცნი მის ქუეყანისანი წურილისა ერისგან“, წერს „მატიანე ქართლისას“ ავტორი, იხ. გვ. 292.

⁵⁴ მატიანე ქართლისა, გვ. 293.

საქართველოს მდგომარეობა შეამსუბუქა. ასეთ რთულ ვითარებაში, – წერს მ.ლორთქიფანიძე, – როცა ქვეყნის წინაშე გადაუდებელ ამოცანად იდგა ქართული მიწების (კახეთ-ჰერეთის, თბილისის საამიროს) შემოერთებისა და დიდგვაროვან ფეოდალთა თვითნებობის აღაგმვა, აუცილებელი იყო ბიზანტიის იმპერიასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება და დროებით ხელის აღება პრეტენზიებზე იმპერატოს მიმართ⁵⁵.

1031 წელს ბაგრატ მეფემ კონსტანტინოპოლში ელჩობა გააგზავნა, რომელსაც სათავეში მისი დედა – მარიამ დედოფალი ედგა. ამ ელჩობის შესახებ სუმბატ დავითის ძე წერს: მარიამ დედოფალი „წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშუდობა ყოს აღმოსავლეთისათუს და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყვნენ, და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თუსსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახელისა“⁵⁶.

დედოფალ მარიამის გარდა ვინ შედიოდა ელჩობაში, ამის შესახებ, მართალია, არც სუმბატ დავითის-ძე და არც „მატიანე ქართლისას“ ავტორი არ წერენ, მაგრამ, რადგან დედოფალს მისი პატივისა და შესასრულებელი მისიის შესაფერისი ამაღლა უნდა ჰყოლოდა⁵⁷, ელჩობის ერთ-ერთი წევრი, რა თქმა უნდა, საქართველოს კათალიკოსი მელქისედეკი უნდა ყოფილიყო⁵⁸. ამიტომ რეალობად მიიჩნევენ „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაში მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილიდან“ შეტანილ იმ ჩანართს, რომელშიც მემატინე ამ ელჩობის შესახებ მოგვითხრობს. „წარვიდა კათალიკოზ-პატრიარქი მელქისედეკ წინაშე რომანოზ ბერძენთა მეფისა კონსტანტინეპოლედ. შეიწყნარა და მოსცა შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯუარნი, სამღვდელთმთავრო და სამღვდლო სამკაული, და წარმოვიდა ქუეყანასა და სამწყსოსავე თუსსა“⁵⁹. ეს უკვე რომანოზ III-საგან ნაბოძები საჩუქრები იყო.

იმპერატორმა „აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მოსცნა ფიცნი და სიმტიცენი ერთობისა და სიყუარულისათუს, დაუწერნა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისთუს ელენე დედოფალი“⁶⁰.

ამრიგად, იმპერატორ რომანოზ III-ის ზეობისას კონსტანტინოპოლში მელქისედეკ კათალიკოსის ყოფნის შესახებ, თითქმის, უტყუარი ცნობა გვაქვს – მარიამ დედოფლის ხელმძღვანელობით 1031 წელს კონსტანტინოპოლში ჩასულმა ელჩობამ იმპერატორ რომანოზ III-სთან ზავი დადო. იმპერატორმა ბაგრატ IV-ს კურაპალატის პატივი უბოძა, ხოლო ქართლის კათალიკოსს – „შესამოსელი ოქროქსოფლი“ და საეკლესიო ნივთები. მარიამ დედოფლის ელჩობის შედეგად იმპერიასთან საქართველოს ურთიერთობა მოწესრიგდა. იმ ხანად (ე. ი. 1031

⁵⁵ ლორთქიფანიძე მ., საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 181.

⁵⁶ სუმბატ დავითის-ძე, დასახ. თხზ., გვ. 386.

⁵⁷ ლორთქიფანიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

⁵⁸ იქვე. ვ. კობალიანიც იმ აზრისაა, რომ მოლაპარაკებას კონსტანტინოპოლში საქართველოს მხრივ ბაგრატ მეფის დედა მარიამ დედოფალი და მცხეთის კათალიკოსი მელქისედეკი აწარმოებდნენ. იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78. „მატიანე ქართლისას“-ს ტექსტში შეტანილი ერთი ჩანართის ავტორის ცნობით, მარიამ დედოფალს თან ახლდა „წმიდა გიორგი მთაწმიდელი მთარგმნელი“ (იხ. გვ. 294), მაგრამ ასეთი ცნობა სხვა წყაროთი არ დასტურდება. ბიზანტიელი ავტორის კედრენეს თანახმად, მარიამი კი არ წავიდა კონსტანტინოპოლში, არამედ მან მეფესთან (ე. ი. რომანოზ არგიროსთან. – ვ. გ.) ელჩები გააგზავნა საჩუქრებით და თხოვდა საზავო ხელშეკრულებას და თავისი ვაჟისათვის, ბაგრატისათვის საცოლეს. იხ. გიორგი კედრენე. წიგნი – გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. 5, თბ., 1963, გვ. 55.

⁵⁹ მატინე ქართლისა, გვ. 294; შდრ., გვ. 282 (ჩანართები).

⁶⁰ იქვე, გვ. 294.

წლისათვის), როგორც ქართულ მეცნიერებაშია მიღებული, მცხეთის სვეტიცხოვლის მშენებლობა დამთავრებული იყო და ამიტომ ზემომოტანილ ცნობებში მცხეთის ტაძრის მშენებლობის შესახებ არაფერია ნათქვამი. რომანოზ III-ის მიერ ქართლის კათალიკოსისათვის მხოლოდ „შესამოსელი ოქროქსოვლისა“ და საეკლესიო ნივთების ბოძების შესახებაა მითითებული. მაგრამ, თვით „მცხეთის საბუთში“ მელქისედეკ I, მას შემდეგ, რაც „ბერძენთა მეფის რომანოზის“ მიერ მისდამი მიცემულ ნაბოძრებზე მოგვითხრობს⁶¹, აღნიშნავს: „ბერძენთა მეფემან ბასილი მიბოძა“-ო. 1031 წელს ბასილ II რადგან ცოცხალი აღარ იყო, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში და უფრო ქვემოთაც, სადაც „ბერძენთა მეფე ბასილის“ მიერ მელქისედეკისათვის (უფრო სწორად მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრისათვის) „რ~ე“ სოფლიანი (ე. ი. 105 სოფლიანი) კესტორის დიდი მონასტრის ბოძებაზეა მითითება⁶², უფრო ადრეულ ხანას ეკუთვნის. სავარაუდებელი ერთია, ბიზანტიის იმპერატორების მიერ ნაბოძები ნივთებისა და სხვადასხვა შესაწირთა ჩამოთვლისას ან მელქისედეკი არ იცავს თანმიმდევრობას, ან „მცხეთის საბუთი“ მოგვიანებით საფუძვლიანადაა გადაკეთებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ კესტორის მონასტერი იმპერატორმა ბასილი II-მ მელქისედეკ კათალიკოსს ბარდა სკლიაროსის დამარცხების (979 წ.) შემდგომ ახლო ხანში უბოძა?

დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებულ „მცხეთის საბუთში“, მართალია, პირდაპირი მითითება აღარაა 105 სოფლიანი კესტორის მონასტრის შემოსავალი მელქისედეკ კათალიკოსს საქართველოს უპირველესი ტაძრის – მცხეთის სვეტიცხოვლის აღსადგენად რომ უნდა გამოეყენებინა, მაგრამ მასში ასეთი მითითება, როგორც ჩანს, იყო („მცხეთის საბუთის“ ჩვენამდე მოღწეული XII ს-ის ტექსტი ხომ „ნაკლულევანია“ და, „საკმაოდ დამახინჯებული“⁶³). ზემოგამოთქმული თვალსაზრისის დასტურად უნდა მივიჩნიოთ „მატიანე ქართლისას“ ტექსტში („ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაში) შეტანილი ის ჩანართი, რომელშიც სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობაში ბასილ II-ის როლზეა ხაზგასმია. ქართულ საისტორიო ტრადიციაში, როგორც ჩანს, XVIII ს-ში ჯერ კიდევ იყო ხსოვნა სვეტიცხოვლის ტაძრის „მეორედ აღშენების“ საქმეში ბასილ II-ის წვლილის შესახებ.

როგორც ცნობილია, 979 წელს იმპერატორთა – ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხების საქმეში დიდი და გადამწყვეტი წვლილი ქართველებმა (კერძოდ, დავით III ტაოელმა) შეიტანეს, რაც ბიზანტიის საიმპერატორო კარმა სათანადოდ დააფასა.

დავით III-მ საიმპერატორო კარისაგან „ზემონი ქვეყანანი საბერძენთისანი“ მიიღო⁶⁴. ბრძოლაში მოპოვებული ნადავლის ნაწილი თორნიკე ერისთავმა

⁶¹ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 25.

⁶² იქვე, გვ. 26.

⁶³ ბერძენიშვილი, ნ., მცხეთის საბუთი..., გვ. 250. როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს, ამ საბუთს (XII ს-ის პირს) „სწორედ ის ადგილი აკლია, სადაც მოსალოდნელი იყო ტაძრის შენებაზე ლაპარაკი... ხსენებულ ადგილს ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ XVII–XVIII ს-ის პირის მიხედვით, რომელსაც შეცდომა-დამახინჯების გზით კვლავ ახალი ნაბიჯები წარუდგამს წინ“. იქვე, გვ. 250–251.

⁶⁴ გიორგი ხუცეს მონაზონი, ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი..., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 48. XI ს-ის სომეხ ისტორიკოსს სტეფანოზ ტარონეცის „ზემონი ქვეყანანიში“ შემავალი ტერიტორიები დასახელებული აქვს. იხ. Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия. Перевод с армянского Н. Эминым, М., 1864, გვ. 135.

ათონის მთაზე ათანასეს ლავრას შესწირა, ნაწილით 980–983 წლებში ათონის მთაზე ქართველთა მონასტერი ააგო⁶⁵.

მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენლებმა: ბასილ II-მ და კონსტანტინე VIII-მ ქართველებისა და დავით III-სადმი მადლიერება მისთვის მხოლოდ „ზემონი ქვეყანანი“-ს დათმობით არ გამოხატეს. როგორც ოშკის ტაძარზე არსებული წარწერა გვაუწყებს, მათი საფასით „განსრულებულ იქმნა მეორეთ დაბურვითა ტაძარი ესე“⁶⁶. ამ წარწერაში საყურადღებო ისაა, რომ „გურგუნოსანნი მეფენი ბასილი და კოსტანტი“ ერთად იხსენიებიან, რაც იმის დასტურად მივიჩნევ, ოშკის ტაძრის „განსასრულებლად“ ძმებმა გარკვეული საფასი ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ ახლო ხანაში რომ გაიღეს⁶⁷. ვფიქრობ, მსგავს ფაქტთან უნდა გვექონდეს საქმე „მცხეთის საბუთში“. მის თავდაპირველ ვარიანტში იმპერატორი ძმები ერთად უნდა ყოფილიყვნენ მოხსენიებულნი, რისი კვალიც „მცხეთის საბუთში“ ამჟამადაც ჩანს (მხედველობაში მაქვს ტექსტის დასაწყისშივე „კოსტანტი ბერძენთა მეფისა“ და „ბასილი ბერძენთა მეფის“ ერთად დასახელება⁶⁸).

იმპერატორი ძმებისადმი კეთილი განწყობა ათონის მთაზე მოღვაწე ქართველ მონაზვნებს კარგახანს შემორჩათ. სახელმწიფოს მმართველობიდან კონსტანტინეს ჩამოშორების მიუხედავად, ათონის მთაზე მოღვაწე ქართველთა თვალში იგი მაინც იმპერატორად რჩებოდა. ათონის მთაზე ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ 991 წელს გადაწერილი კრებულისადმი დართულ „ეფთვიმეს ანდერძში“ აღნიშნულია: დაიწერა „მთასა წმიდასა ათონას... მეფობასა ბასილისსა და კოსტანტინესსა, პატრიარქობასა ნიკოლაოსისასა, ინდიქტიონსა დ(4), დასაბამითგან წელთა ხჯუთ (6499 – 5508 = 991)“⁶⁹.

ბასილი და კონსტანტინე ერთადაა დასახელებული წმიდა თეოდორეს ცხოვრებისადმი დართულ მინაწერშიც. დ. ბაქრაძის მიერ მოტანილ ამ ტექსტში მინაწერის შესრულების დროდ ბერძნული დასაბამიდან 992, ხოლო ქართულით 996 წელია მითითებული⁷⁰.

ათონის მთაზე შესრულებულ ანდერძ-მინაწერში იმპერატორი ძმების ერთად დასახელება ძველი ტრადიციიდან მომდინარე რომ უნდა იყოს, ამას ბარდა სკლიაროსის აჯანყებისას 978 წელს უღუმბოს მთაზე შესრულებული მინაწერი მოწმობს. მიუხედავად იმისა, რომ იმ ხანად საიმპერატორო ტახტზე იოანე ციმისხი იჯდა, იმპერიაში მიმდინარე მოვლენები „მეფობასა ბასილისა და კონსტანტინესასა“ მომხდარადაა მიჩნეული⁷¹.

ყოველივე ზემოთქმული ასე უნდა შევაჯამო: ბარდა სკლიაროსის დამარცხებიდან (979 წ.) ბასილ II-ის წინააღმდეგ ბარდა ფოკას აჯანყებამდე (987 წ.) ბიზანტიის საიმპერატორო კართან საქართველოს ყველაზე ახლო ურთიერთობით აღინიშნა. ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ, როგორც

⁶⁵ თორნიკე ერისთავის მიერ მოპოვებულ განძზე საუბრისას, თავითავად ისმება კითხვა, განძის ნაწილი მან სვეტიცხოვლის მშენებლობისათვის ხომ არ გაიღო. ამ მხრივ მითითება არც ერთ წყაროში არაა.

⁶⁶ ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V–X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 51.

⁶⁷ წარწერაში ნათქვამია: „ქ. სამებაო წმიდაო, აღიდენ შენ მიერ გურგუნოსანნი მეფენი ბასილი და კოსტანტი, რომელთა მიერ განსრულებულ იქმნა, მეორედ დაბურვითა ტაძარი ესე...“. ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 51.

⁶⁸ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 23.

⁶⁹ ლოლაშვილი ი., ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982, გვ. 78–79.

⁷⁰ ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889, გვ. 255–256.

⁷¹ ჟორდანიას თ., ქრონიკები, I, ტფილისი, 1892, გვ. 123.

ზემოთ ითქვა, საქვეყნო საქმეებს ორივე ძმა ჯერ კიდევ ერთად განაგებდა⁷² (რა თქმა უნდა, უფროს ძმას – ბასილ II-ს კონსტანტინესთან შედარებით მეტი ძალაუფლება ჰქონდა⁷³) და ტაოს სამეფოსთან დამყარებული მეგობრული ურთიერთობის შემდეგ ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის აღსადგენად 105 სოფლიანი კესტორის მონასტრის შემოსავლის შეწირვა, ამჯერად უკვე საქართველოსთან დასახლოებლად საუკეთესო საშუალება იყო. სწორედ 979 წლის შემდგომ ახლო ხანაში (დაახლ. 982 წ.) უნდა შეხვედროდა მეღქისედეკ კათალიკოსი კონსტანტინოპოლის საიმპერატორო სასახლეში იმპერატორ ძმებს და მათგან საბოძვრები მიეღო. მეორე მხრივ, 985 წელს ბასილ II-მ უმცროსი ძმა კონსტანტინე რადგან საბოლოოდ ჩამოაშორა სახელმწიფო მმართველობას, ამის შემდეგ სახელმწიფო საქმეებს ისინი ერთად აღარ განაგებდნენ.

ზემომოტანილ მასალას თუ გავითვალისწინებთ, სავარაუდებელი ერთია: მას შემდეგ, რაც 986 წელს ბასილ II-მ დასავლეთში ლაშქრობები წამოიწყო (ლაშქრობისათვის მას დიდი სახსრები სჭირდებოდა), 987 წლიდან კი, როცა ბარდა ფოკას აჯანყებაში დავით III-ის მონაწილეობა გამოემდგინა, ბასილ II-მ ქართველები იმპერიის მტრებად მიიჩნია. 1001 წელს ბასილ II-ის მიერ დაქირავებულ რუსთა რაზმებსა და ქართველებს შორის შეტაკება მოხდა, რის შემდეგაც ურთიერთობა საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის უფრო გაუარესდა. რაც მთავარია, იმპერიას დასავლეთში წარმოებული ომის გამო ეკონომიურად უჭირდა. ასეთ ვითარებაში, 1010 წელს, საქართველოს საკათალიკოსო ტახტის დაკავების შემდეგ მეღქისედეკ I თუ კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე ჩავიდა (ეს დღეს ჩვენს მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისია), საეკვოა მისთვის ბასილ II-ს სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობისათვის 105 სოფლიანი მონასტრის შემოსავალი ებოძებინა.

„მცხეთის საბუთში“ ბასილ II-სთან ერთად მისი ძმის – კონსტანტინეს მოხსენიება და ორივე ძმისაგან მეღქისედეკ I-სათვის საბოძვრების მიცემა იმაზე მიგვიჩვენებს, მეღქისედეკ I-ის პირველი ვიზიტი კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე 1010 წელზე გაცილებით ადრე შედგა – კერძოდ, იმ დროს, როცა ორივე ძმა იმპერიას ერთად განაგებდა. ეს 979–985 წლები იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეღქისედეკ I-ს 1010 წელს კი არა, გაცილებით ადრე, ბაგრატ III-ის ქართლში გადმოსვლიდან (980 წ.) ახლო ხანაში, დაახლოებით 982 წელს უნდა დაეკავებინა საქართველოს ეკლესიის საკეთმპყრობლის ტახტი და შესაბამისად, 982 წლის შემდგომ ახლო ხანაში ჩასულიყო კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე. ბასილ II-საგან კესტორის მონასტრის შემოსავლის მიღების შემდეგ უნდა დაეწყო სამუშაოები სვეტიცხოვლის ტაძრის „მეორედ აღსაშენებლად“.

ჩემ მიერ მიღებულ ასეთ დასკვნას ერთი დიდი წინააღმდეგობა ხვდება. საქმე ისაა, რომ ქართულ მეცნიერებაში მიღებული მტკიცებულებებით 980 წლიდან მეღქისედეკ I-ის აღსაყდრების თარიღად მიჩნეული 1010 წლამდე საქართველოს საკათალიკოსო ტახტზე რამდენიმე პიროვნება იჯდა (იხ. ქვემოთ).

რა ვქნათ? გამოსავალი ერთია, ან მე ვცდები, ან ცდებიან ის ქართველი მეცნიერები, რომლებიც 980–1010 წლებისათვის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საკეთმპყრობლებად (ე. ი. მეღქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსებად) სხვადასხვა პირებს ასახელებენ.

⁷² 982 წელს იოანე იბერისა და იერისოს მოსახლეობას შორის დადებულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ იგი გაფორმდა ბასილისა და კონსტანტინეს მეფობაში (მეფეები საბუთს ხელს აწერენ). იხ. გეორგიკა, ტ. 8, თბ., 1970, გვ. 182.

⁷³ ასე მაგალითად, 980 წელს გამოცემულ ოქრობეჭდვზე მხოლოდ ბასილ II-ის ხელმოწერაა. გეორგიკა, ტ. 8, გვ. 168–170.

ქვემოთ შევეცდები ჩემი თვალსაზრისის დასაბუთებას. კვლევისას მომიწევს დროებით გვერდი ავუარო სვეტიცხოვლის ტაძრის „მეორედ აღშენების“ პრობლემას და კათალიკოსთა რიგთან ერთად X ს-ის ბოლო მეოთხედისა და XI ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ზოგიერთ საკითხსაც შევეხო.

თავი II. საქართველოს კათალიკოსები X ს-ის 80-იანო წლებიდან 1010 წლამდე

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა

ამრიგად, X საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XI ს-ის დამდეგის ქართლის კათალიკოსთა ვინაობის საკითხით მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის პრობლემასთან დაკავშირებით დაინტერესდი. საკითხის კვლევისას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-ის აღსაყდრების თარიღად ქართულ მეცნიერებაში მიღებულია 1010 წლის რეალურობამ დამაყვება. 1010 წელი მელქისედეკ I-ის მიერ სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დასაწყის თარიღად ითვლება¹, ამიტომ გადავწყვიტე, საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურას უფრო ღრმად გავცნობოდი.

„ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში აკად. ივ. ჯავახიშვილი X ს-ის მეორე ნახევრის, ასევე ბაგრატ III-ისა (978–1014 წწ.) და გიორგი I-ის (1014–1027 წწ.) თანადროული საქართველოს ისტორიის თხრობისას გარდა იმისა, რომ მელქისედეკ I-ის წინამორბედ ქართლის კათალიკოსებზე არაფერს წერს, სვეტიცხოვლის ტაძარს საერთოდ არ ახსენებს². უკეთესი მდგომარეობა არც „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომში გვაქვს. ამ წიგნში X ს-ის ბოლო მეოთხედისა და XI ს-ის 10/20-იანი წლების ამბების თხრობისას აკად. მ.ლორთქიფანიძე მელქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსთა შესახებ არაფერს წერს³.

როგორც შემდეგში გავარკვიე, დასახელებულ მკვლევართა მიერ მელქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსთა მოუხსენებლობა, სულაც არ ნიშნავდა იმას, ამ საკითხზე ქართველ მეცნიერებს სათანადო კვლევა არ ჰქონდათ ჩატარებული.

მელქისედეკ I-ის წინამორბედი ქართლის კათალიკოსთა რიგი და მათი ზეობის წლები, ამ საკითხისადმი მიძღვნილ როგორც ძველ, ისე თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ისე დეტალურადაა წარმოდგენილი, გამიკვირდა კიდევ. ამ ავტორთა ნაშრომებში ქართლის კათალიკოსთა რიგის სათანადო თარიღებია მითითებული და მკითხველს ეგონება, ყოველი მათგანის კათალიკოსობა დიდი სიზუსტითაა შესწავლილი და დადგენილი. ასე მაგალითად, 1900 წელს „მცხეთისა და სვეტიცხოვლის ტაძრისადმი“ მიძღვნილ მონოგრაფიაში X ს-ის მეორე ნახევრისა და XI ს-ის პირველი ნახევრის ქართლის კათალიკოსთა რიგი და მათი კათალიკოსობის წლები ანტონ ნატროვემა (ნატროშვილი) ასე წარმოადგინა:

¹ ქართული არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლის, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის კედლებზე არსებულ წარწერებში ტაძრის მშენებლობის დაწყება-დამთავრების შესახებ, როგორც ითქვა, არავითარი მითითება არაა.

² ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 123–136.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 153–162.

არსენ III	956–972
ბასილ III	973–983
ოქროპირი	984–995
ილარიონ II	996–1002
სვიმონ II	1002–1012
მელქისედეკ I	1013–1042
იოანე V ოქროპირი	1042–1063 ⁴ .

იმავე წელს გამოცემულ წიგნში „იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი“ პ. კარბელაშვილმა ჩვენთვის საინტერესო ხანის ქართლის კათალიკოსთა სია ასე გადმოსცა:

არსენ III	956–972
ბასილ III	973–983
ოქროპირი იოანე IV	984–995
ილარიონ II	996–1002
სვიმონ II	1002–1012
მელქისედეკ I	1013–1042
იოანე V (ოქროპირი)	1042–1063 ⁵ .

2000 წელს გამოიცა ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებული მონოგრაფია – „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“. ამ წიგნში იმ მონაკვეთის ავტორი, სადაც მელქისედეკ I-ის წინამორბედ ქართლის კათალიკოსთა რიგი და ზეობის წლებია გადმოცემული, ზ. აბაშიძეა და ასე გამოიყურება:

არსენ II	დაახლ. 955–980 წწ.
იოანე IV (ოქროპირი)	დაახლ. 980–1001 წწ.
სვიმონ III	დაახლ. 1001–1010 წწ.
მელქისედეკ I	დაახლ. 1010–1033 წწ.
იოანე V (ოქროპირი)	1033–1049 წწ. ⁶

რა უდევს საფუძვლად ასე დეტალურად გამართულ ქართლის (საქართველოს) კათალიკოსთა ზემომოტანილ რიგებს და მათ ქრონოლოგიას? – იკითხავს მკითხველი და პასუხი, ალბათ, ერთი იქნება: ძველქართულ საისტორიო წყაროებში ამ კათალიკოსთა შესახებ არსებული ცნობები. მაგრამ, XI ს-ის ქართველი ავტორებიდან სუმბატ დავითის-ძე თავის თხზულებაში არც ერთ მათგანს არ ახსენებს, ასევე, არაფერს წერს მცხეთის სვეტიცხოვლისა და

⁴ Натроев А., Мцхета и его соборь..., გვ. 454.

⁵ კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი, ტფილისი, 1900, გვ. 58–63.

⁶ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბ., 2000, გვ. 41–45. დასახელებულ მოღვაწეთა კათალიკოსობის შესახებ მსგავსი თარიღებია მითითებული აკად. რ. მეტრეველის მონოგრაფიაში – „საქართველოს მეფეები და პატრიარქები“, თბ., 2010, გვ. 53–54. ამ გამოკვლევაზე მუშაობისას პროფ. მ. ქავთარიასაგან შევიტყვე, რომ „საქართველოს ეკლესიის მამამთავართა“ ის სია, რომელიც საქართველოს ეკლესიის კალენდარშია შეტანილი აკად. კ. კეკელიძის მიერ ყოფილა შედგენილი. ამიტომ ამ სიის სათანადო მონაკვეთიც მომაქვს.

არსენ II	955–980
ოქროპირი (იოანე) I	980–1001
სვიმონ III	1001–1012
მელქისედეკ I	1012–1030, 1039–1045
ოქროპირი (იოანე) II	1031–1039, 1045–1049 (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1952 წლისათვის, თბ., 1952, გვ. 128).

კათალიკოს მელქისედეკ I-ის შესახებ⁷. თითქმის იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე „მატიანე ქართლისას“ ავტორთან. იგი იმ კათალიკოსთა სახელებსაც კი არ ასახელებს, რომელთა შესახებაც მოგვითხრობს⁸.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში არსებული ეს ნაკლი გვიანდელ რედაქტორს შეუმჩნევია და „მატიანე ქართლისას“ ტექსტში ჩაურთავს ცნობები მელქისედეკ და სვიმონ კათალიკოსების შესახებ⁹.

რაც შეეხება ზემოდასახელებულ ავტორთა მიერ წარმოდგენილ კათალიკოსთა რიგს, ის 1270 წელს გადაწერილ შიომღვიმის ხელნაწერიდანაა აღებული. როგორც თ. ჟორდანიას წერს, ეს ხელნაწერი მან შიომღვიმის უყდო და უთავბოლო ეტრატის წიგნში იპოვა. მისი თქმით, შიომღვიმის 1270 წლის ხელნაწერი 1172 წელს დაწერილი დედნიდან გიორგი მონაზონს გადაუწერია¹⁰.

ე. ი. ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს კათალიკოსთა რიგი 1172 წლიდან მომდინარეობს. მაგრამ აქვე ისმის კითხვა: თუ მელქისედეკ I-ის თანამედროვე ქართველ ავტორებს (სუმბატ დავითის-ძე, „მატიანე ქართლისას“ ავტორი) არ ჰქონდათ სათანადო ცნობები X ს-ის მეორე ნახევრის ქართლის კათალიკოსთა შესახებ, 1172 წლის საბუთის შემდგენელმა რა მასალაზე დაყრდნობით შეადგინა საქართველოს კათალიკოსთა სია?

შიდიღებოდა გვევარაუდა, რომ კათალიკოსთა რიგის შემდგენელმა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში კათალიკოსთა შესახებ არსებული ხარვეზი შეამჩნია და ამ ნაკლის შევსება განიზრახა, მაგრამ მის მიერ შედგენილ ხელნაწერში საქართველოს კათალიკოსებად დასახელებულ პირებთან ერთად, რადგან საქართველოს მეფეებისა და ბიზანტიის იმპერატორების სიებიც არის, ზემოგამოთქმული ვარაუდი გამორიცხულია. ბიზანტიის იმპერატორების, საქართველოს მეფეებისა და კათალიკოსთა შესახებ ცნობები მან, როგორც ჩანს, სხვადასხვა წყაროებში მოიძია, მაგრამ რამდენად რეალურია მის მიერ შედგენილი, ჩვენთვის საინტერესო ხანის, საქართველოს კათალიკოსთა რიგი?

ჯერ კიდევ 1928 წელს კათალიკოსთა ამ რიგის შესახებ ს. კაკაბაძემ აღნიშნა: 1270 წლის შიომღვიმის ხელნაწერში ქართლის კათალიკოსებად დასახელებული არც ერთი პირი, არა თუ X ს-ის მეორე ნახევარს, XI ს-ის პირველ ნახევარსაც არ ეკუთვნის¹¹. აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით კი, როგორც პ. კარბელაშვილის მიერ გადმოწერილი მინაწერი „სტოდირისა“, ისე „შიომღვიმის XIII ს. გადაწერილ ხელნაწერში დაცული კათალიკოსთა სია, – ყველა ესენი სადაო ხასიათის მოწმობებია და თვით მოითხოვენ შესწავლა-დათარიღებას“¹².

ეს თვალსაზრისი ნ. ბერძენიშვილმა 1930 წელს მელქისედეკ კათალიკოსის მიერ შედგენილ „მცხეთის საბუთის“ („დაწერილის“) გაანალიზებისას გამოთქვა და ამით მის შემდგომ მკვლევართ მოუწოდა შიომღვიმის ხელნაწერში დასახელებული პირების საქართველოს კათალიკოსებად მიჩნევის საკითხს კრიტიკულად მიდგომოდნენ. ქვემოთ სწორედ ამ კუთხით გაგანალიზებ იმ კათალიკოსთა შესახებ არსებულ ცნობებს, რომლებიც X ს-ის ბოლო მეოთხედის მოღვაწეებად არიან მიჩნეულნი. ვნახოთ, მართალი ხომ არ იყო პროფ. ს. კაკაბაძე, როცა X ს-ის მეორე ნახევარში მათ კათალიკოსობას საერთოდ უარყოფდა.

პ. კარბელაშვილისა და ა. ნატროვის ნაშრომებიდან ჩემ მიერ მოტანილ საქართველოს კათალიკოსთა რიგს თუ ჩაუუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ,

⁷ სუმბატ დავითის-ძე, დასახ. თხზ., გვ. 382–386.

⁸ მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 281–291.

⁹ იქვე, გვ. 282, 290, 294–296.

¹⁰ ჟორდანიას თ., ქრონიკები, I, გვ. 80.

¹¹ კაკაბაძე, ს. როდის არის აშენებული..., გვ. 102.

¹² ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი..., გვ. 247.

რომ ისინი, თითქმის იდენტურია (საიდან აქვთ მათ ეს რიგები აღებული, აქ ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი)*. მათგან გარკვეულწილად განსხვავდება 2000 წელს გამოცემული „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებისადმი“ მიძღვნილ წიგნში არსებული კათალიკოსთა რიგი და მმართველობის წლები. ამ უკანასკნელში ოქროპირ – იოანე IV-ის [კ. კეკელიძესთან იგი ოქროპირ (იოანე) I-ია] შემდეგ ქართლის კათალიკოსად დასახელებული ილარიონი შეტანილი აღარაა. პ. კარბელაშვილის თანახმად, ამ ილარიონის ბრძანებით, წმიდა ეფთვიმე ათონელმა ბერძნულიდან მათეს სახარების განმარტება თარგმნა, საკათალიკოსო ტახტი კი ნებით დატოვა¹³ (რატომ დატოვა ტახტი, – პ. კარბელაშვილი არ წერს და არც სათანადო წყაროს უთითებს). ვნახოთ, ვინ იყო ილარიონი.

პ. კარბელაშვილის მითითება ილარიონ II-ის მიერ ქართლის კათალიკოსის ტახტის ნებით დატოვების შესახებ საყურადღებო მომეჩვენა, ამიტომ ილარიონის პიროვნებით მეც დავინტერესდი.

ილარიონი

პ. კარბელაშვილი ილარიონ II-ს რადგან ექვთიმე ათონელთან (მთაწმიდელთან) აკავშირებს, უპირველეს ყოვლისა, აკად. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (ტ. I) ჩავიხედე. ამ წიგნში კ. კეკელიძე, მართლაც წერს, რომ ექვთიმე მთაწმიდელმა ჯერ კიდევ მამის – იოანეს სიცოცხლეში 1002 წელს „ბრძანებითა ღმერთშემოსილისა მამათმთავრისა ილარიონისითა“ ბერძნულიდან „მათეს თავი წმიდისა სახარებისა“ თარგმნა¹⁴. ამ წიგნისადმი დართულ საკუთარ სახელთა საძიებლიდან (გვ. 638) კი ვიგებთ, რომ „მამათმთავარი ილარიონი“ – ილარიონ იშხნელი ყოფილა. ილარიონ იშხნელზე საუბრისას კ. კეკელიძე აღნიშნავს: ეგრეთ წოდებული მესტიის სახარება 1033 წლისა ექვთიმე მთაწმიდელმა სწორედ ილარიონ იშხნელის შეკვეთით თარგმნა. იმავე ილარიონს შეუკვეთია ექვთიმესათვის, გადაეწერა მისივე ნათარგმნი 'Ανδρῶν ἑπτὰ Βίβλος-ის პირვანდელი რედაქცია. ილარიონ იშხნელს „გადაუწერინებია ისააკ ასურელის თხზულებანი“¹⁵.

ილარიონ იშხნელის ვინაობის დასადგენად ასევე საინტერესოა 973 წლით დათარიღებული „იშხნის საწინამძღვრო ჯვარზე“ არსებული წარწერები, რომელთაგან ორს მოვიტან: 1. „იშხნისათვის ილარიონ შექმნა. ვინ გამოაჭვას შემცაჩვენებელ არს“. 2. „ქ. ძელო ცხორებისაო წინამძღვარ და მფარველ ექმენ ილარიონ ებისკოპოსსა. ქრისტე აღიდენ მეფენი ჩუენნი და ერი მათი დაიფარე (ქორონიკონი იყო რუგ“ – ე. ი. 193 + 780 = 973 წელი)¹⁶.

ზემომოტანილი მასალიდან გამომდინარე, „ღმერთშემოსილი მამათმთავარი“ ილარიონი იშხნის ეპისკოპოსი ყოფილა (მან, რომ, თითქოს, ნებით დატოვა საქართველოს კათალიკოსის ტახტი, ამის შესახებ წყაროებში ვერაფერი მივაკვლიე).

აღნიშნულის შემდეგ, ილარიონ იშხნელის შესახებ მსჯელობა აღარ უნდა გამეგრძელებინა, მაგრამ 1982 წელს გამოცემულ ნაშრომში პროფ. ი.ლოლაშვილმა ილარიონი რადგან ისევ ქართლის კათალიკოსად მიიჩნია, მინდა

* პროფ. ე. ბუბულაშვილის თქმით, კათალიკოსთა რიგი პ. კარბელაშვილის მიერაა შედგენილი.

¹³ კარბელაშვილი პ., დასხ. ნაშრომი, გვ. 95.

¹⁴ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 198–199.

¹⁵ იქვე, გვ. 194–195.

¹⁶ Чубинашвили Г., Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 56–57.

ქვემოთ მისი მოტანილი მასალა გაგაცნოთ. აქვე გავიგებთ, ვინ დაასახელა პირველად ილარიონი ქართლის კათალიკოსად.

როგორც პროფ. ი. ლოლაშვილის ნაშრომიდან ჩანს, ილარიონი ქართლის კათალიკოსად პირველად პლატონ იოსელიანმა მიიჩნია. 1846 წელს მან აღნიშნა: „მათეს სახარების თარგმანება“ ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო საეკლესიო წიგნების მთარგმნელმა ეფთვიმემ „ქართველი პატრიარქის (მამა მთავრის) ილარიონის ბრძანებით XI საუკუნეში“. ამის შემდეგ, როგორც ი. ლოლაშვილი წერს, თ. უორდანიამ როდესაც განმარტა კათალიკოსთა და მღვდელმთავართა ნუსხაში მოხსენიებული პირები, დასძინა: „ილარიონ მამათმთავარი“ არის ქართლის კათალიკოსი, ცხოვრობდა X საუკუნეში. შემდეგში პ. კარბელაშვილმა იგი ცნო ილარიონ II ქართლის კათალიკოსად და მისი მოღვაწეობის დრო შემოფარგლა 996–1002 წლებით.

მოტანილი მსჯელობის შემდეგ ი. ლოლაშვილი დასძენს: „რასაკვირველია, სწორია ის მოსაზრება, რომლის მიხედვით ილარიონი გამოცხადებულია ქართლის კათალიკოსად“; თუმცა გაჭირდება ილარიონის კათალიკოსობის წლების დაზუსტება. რადგანაც არსენ II კათალიკოსად იჯდა 955–980 წლებში, ხოლო ილარიონი არსენ II-ს ხუთი კათალიკოსით უსწრებს წინ, პ. კარბელაშვილის იმ სიაშიც, რომელშიც VIII–XIII საუკუნეების კათალიკოსები არიან დასახელებული, ილარიონი მეთორმეტე ადგილზეა, არსენ II მეთორამეტეზე, ამის შემდეგ მოხსენიებული არიან ოქროპირი, სვიმონი, მელქისედეკი, იოვანე და ა. შ., ილარიონი კი არაა. ძნელია თქმა, რომელი კათალიკოსის შემდეგ მამათმთავრობდა იგი, მაგრამ ილარიონი რადგან იოანე მთაწმიდელის თანამედროვე იყო, ქართლის კათალიკოსად X ს-ის მიწურულსა და XI ს-ის პირველ წლებში უნდა ყოფილიყო. რამდენად სწორია პ. კარბელაშვილის მოსაზრება ილარიონი რომ „ნებისთი განეშორა საყდარსა საკათალიკოსოსა“, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი¹⁷, – დასძენს ი. ლოლაშვილი.

როგორც ვნახეთ, ი. ლოლაშვილი მაინც იმ აზრისაა, ილარიონს X–XI საუკუნეების მიჯნაზე რომ უნდა სჭეროდა საკათალიკოსო ტახტი. ქართლის კათალიკოსთა VIII–XIII საუკუნეების იმ რიგში, რომელზეც ი. ლოლაშვილი საუბრობს, არსენ II-ის წინამორბედ კათალიკოსთა სია, როგორც ჩანს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკიდანაა აღებული (რიგის შესახებ იხ. შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გივინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 327). ამ თხზულებაში არსენ კათალიკოსზე ხუთი პიროვნებით უკან დასახელებული ილარიონის, ილარიონ იშხნელთან გაიგივება არ შეიძლება.

კათალიკოსზე, რომლის სახელი ასევე ილარიონი ყოფილა, გიორგი მერჩულე გვაწვდის ცნობას. როგორც მერჩულე წერს, დავით მიძნაძორელის (IX ს. პირველი ნახევარი) მოწაფე, წყაროსთავის მონასტრის მაშენებელი ილარიონი „კათალიკოს იქმნა მცხეთას“ (იხ. ბ. ლომინაძე, ილარიონი, ქსე, ტ. 5, გვ. 105). მერჩულე ასევე ზუსტ ცნობას გვაწვდის არსენ II-ის წინამორბედ მიქაელ ქართლის კათალიკოსის მოღვაწეობის დროის შესახებ (951 წ.). მას აგათონ იერუსალიმელისა (951–964 წწ.) და ასევე სხვა ცნობილ პიროვნებათა თანამედროვედ ასახელებს. მიქაელს, არსენ II-ზე ცოტა უფრო ადრე უნდა სჭეროდა ქართლის კათალიკოსის ტახტი. ასე რომ, მერჩულეს მიერ ქართლის კათალიკოსებად დასახელებული ილარიონი და მიქაელი არსენ II-ის წინამორბედი მოღვაწენი ჩანან.

ამრიგად, ილარიონის ქართლის კათალიკოსად მისაჩნევად ძველ ქართულ წყაროებში ცნობები არაა და, როგორც ვნახეთ, ვერც პროფ. ი. ლოლაშვილმა მოიტანა სათანადო მასალა მისი კათალიკოსობის დასადასტურებლად.

¹⁷ ლოლაშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 67–68.

ილარიონი არც 1270 წლის შიომღვიმის ხელნაწერში „აღმოსავლელ პატრიარქთა“ შორის იხსენიება.

რაც შეეხება X ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწე სხვა კათალიკოსებს, ანატროევისა და პ. კარბელაშვილის მიერ საქართველოს კათალიკოსად მიჩნეული ბასილ III, რადგან აკად. კ. კეკელიძესაც არა აქვს შეტანილი კათალიკოსთა რიგში (მისი კათალიკოსობა უარყო ზ. აბაშიძემაც), მასზე ქვემოთ აღარ ვისაუბრებ და მხოლოდ იოანე IV-ის, სვიმონ III-ისა და არსენ II-ის კათალიკოსობის საკითხს შევეხები.

იოანე IV ოქროპირი

იოანე IV ოქროპირი, მართალია, 1270 წლის შიომღვიმის ხელნაწერში საქართველოს კათალიკოსადაა დასახელებული¹⁸, მაგრამ ეს პიროვნება, ისევე როგორც მელქისედეკ I, XI ს-ის ქართველმა ავტორებმა (სუმბატ დავითის-ძე, „მატიანე ქართლისას“ ავტორი) არ იცინან. აღნიშნულის მიუხედავად, როგორც XIX ს-ის მკვლევრებმა (ა. ნატროევი, პ. კარბელაშვილი), ისე შემდგომი ხანის ისტორიკოსებმა (კ. კეკელიძე, ზ. აბაშიძე) იგი საქართველოს კათალიკოსთა რიგში მელქისედეკ I-ის წინ ჩასვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ, 1172 წლის ხელნაწერიდან მომდინარე ცნობაში – ოქროპირი, სვიმონი, მელქისედეკი, იოვანე და სხვანი „აღმოსავლეთის პატრიარქებად“ არიან დასახელებულნი¹⁹.

მელქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსებად მიჩნეული ზემოდასახელებული პირების (ოქროპირის, სვიმონის) „აღმოსავლეთის პატრიარქებად“ დასახელებამ კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისით, კათალიკოს-პატრიარქის ტიტული პირველად მელქისედეკ I-მა მიიღო. მაგრამ, თუ შიომღვიმის ხელნაწერში არსებულ ცნობას გავითვალისწინებთ, მელქისედეკზე უფრო ადრე ოქროპირსა და სვიმონს ასევე პატრიარქის (უფრო მეტიც, „აღმოსავლეთის პატრიარქის“) ტიტული ჰქონიათ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში წარმოქმნილი ეს პრობლემა პროფ. ვ. სილოგავამ სპეციალურ გამოკვლევაში გააანალიზა. ქართლის კათალიკოსები რომ, მართლაც, „აღმოსავლეთის პატრიარქებად“ იწოდებოდნენ, ამის დასტურად მან პარხალის ტაძრის (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე) წარწერა მიიჩნია²⁰.

პარხალის ტაძარი 961–973 წლებში იქნა აგებული. როგორც ვ. სილოგავა წერს, ამ ტაძრის კედელზე წითელი საღებავით შესრულებულ წარწერაში „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქად“ დასახელებულ იოვანესთან ერთად სახელის გარეშე მოხსენიებული „კურაპალატი“ დავით მესამეა. ამიტომ არ იყო სწორი ვ. თაყაიშვილი წარწერაში „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქად“ მოხსენიებულ იოვანეს, იოვანე VIII-დ (1497–1507 წწ.) რომ თვლიდა. ვ. სილოგავას მტკიცებით, წარწერა დავით III-ის გარდაცვალებამდე დროით უნდა დათარიღდეს – პარხალის წარწერაში „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის

¹⁸ შორდანიას თ., ქრონიკები, I, გვ. 80; საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ. 42–43.

¹⁹ შორდანიას თ., ქრონიკები, I, გვ. 79–80.

²⁰ მკითხველისათვის რომ ადვილად აღსაქმელი გახდეს, წარწერის ტექსტს მოვიყვან. „† სახ(ელ)ითა ღ(მრთ)ისათა, მე(ო)ხებითა წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ისმშობლისათა, წ(მიდ)ისა იოვ(ან)ე ნათლ(ი)სმცემლისათა, ად(ი)დენ ღ(მერთ)ან, ქ(რისტ)ეს მიერ ქ(ართლ)ისა და ყ(ოვლ)ისა აღმ(ო)სავლ(ე)თისა პ(ატრ)იარქსა იოვანეს პარხალს ეკლ(ესი)ისა ზ(ედ)ა ჩასდ(უ)დარ(ა)დ კ(უ)რ(აპალ)ატსა აეშენა, აღარავ(ი)ს ეკ(ახ)მა და მ(ან) შეკ(ა)ზმა, ჰგი(ან)მცა ღ(იდე)ბ(ა)დ მისი უკ(უნ)ისამდე. წ(ინამდ)ურისა გ(იორგ)ი ღ(ა)ღ(უე)ლისა ს(ულს)ა შ(ე)ვ(ი)ენ ღ(მერთ)ან, ამენ, ა(მენ). ი(ოვ)ანე წ(ინ)ამდ(უ)არი“. იხ. სილოგავა ვ., პატრიარქი X საუკუნის საქართველოში (პარხალის წარწერა). კრებული – „ნათელი ქრისტესი საქართველო“, წიგნი I, თბ., 2003, გვ. 299–300.

პატრიარქად“ დასახელებული იოვანე, დავით კურაპალატის თანამედროვე ქართლის კათალიკოსი იოვანე I ოქროპირია (980–1001). მას 1270 წლის შიომღვიმის ხელნაწერიდან ვიცნობთ. ეს პიროვნება, – წერს ვ. სილოგავა, – ასევე იხსენიება კათალიკოს ბასილ III-ის²¹ (1090–1100) თხზულებაში – „თხრობად სასწაულისათვის წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოდისი“, სადაც ნათქვამია: „ეს ყრმა არს იოანე კათალიკოზი, რომელი ყოვლითურთ იქმნა სწორ იოანე ოქროპირისა, რომლისა სათნოებანი და საქმენი უკეთუ ვისმე უნდენ ცნობად მიიღეთ ხელად მისთვის აღწერილი წიგნი“²². ეს იოვანე, – დასძენს ვ. სილოგავა, – საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 3/16 მარტი²³.

პარხალის ტაძრის წარწერაში „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქად“ დასახელებული იოვანე, გარდა იმისა, რომ ქართულ ეკლესიას წმინდანად შეურაცხია, ვ. სილოგავას თანახმად, იგი იმავე წარწერაში ორჯერ „დიდებით“ არის ნახსენები. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში იგია პირველი კათალიკოსი, რომელიც პატრიარქის ტიტულს ატარებდა. ეს დოკუმენტურად მტკიცდება X ს-ის ბოლო ოცწლეულს შესრულებულ პარხალის ეკლესიის შესანიშნავი წარწერით²⁴. ვ. სილოგავას სიტყვით, გამორიცხული არაა, 980 წელს ქართლის კათალიკოსად ნაკურთხ იოვანეს იმთავითვე მიეღო პატრიარქის ტიტული²⁵, რასაც იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება განაპირობებდა. ორი წლით ადრე 978 წელს დავით კურაპალატმა შვილობილი (იგულისხმება ბაგრატ III. – ვ. გ.) ხომ მეფედ აკურთხა²⁶.

ვ. სილოგავა რადგან იზიარებს კ. კეკელიძიდან მომდინარე ზ. აბაშიძის მიერ გაზიარებულ იოანე IV-ის (ოქროპირის) კათალიკოსობის თარიღად მითითებულ 980–1001 წლებს, გამოდის, რომ 973 წელს დამთავრებულ პარხალის ტაძრის კედელზე წარწერა მას შემდეგ გააკეთეს, როცა იოვანეს უკვე „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქის“ ტიტული ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ, იმავე წარწერაში „კურაპალატი“ რომ სახელის გარეშეა დასახელებული, ეს ან იმაზე მიგვანიშნებს, წარწერის შემსრულებელმა არ იცოდა, კერძოდ, რომელი კურაპალატის დროს მოღვაწეობდა მის მიერ „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქად“ დასახელებული იოვანე, ან ეს „კურაპალატი“, საყოველთაოდ ცნობილი – მისი თანამედროვე მეფე იყო და სახელის მითითებას არ საჭიროებდა.

ტიტულ „კურაპალატის“ სახელის გარეშე მოხსენიებამ, ვფიქრობ, სამართლიანი საფუძველი მისცა ვ. თაყაიშვილს, იოვანეს კათალიკოსობა უფრო გვიანდელ ხანაზე გადაეტანა, თუმცა, პარხალის ტაძრის წარწერაში მოხსენიებული იოვანე რომ იოვანე VIII-დ მიიჩნია, ისიც შეცდა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, არ უნდა იყვნენ სწორი ის მკვლევრები, რომლებიც პარხალის წარწერაში მოხსენიებულ იოვანეს X ს-ის ბოლო ათწლეულის მოღვაწედ (საქართველოს კათალიკოსად) თვლიან. გარდა იმისა, რომ პარხალის წარწერაში იგი „ოქროპირად“ არ იხსენიება, პიროვნება იოვანე-ოქროპირის

²¹ ბასილ III კათალიკოსი – ესაა ბასილი ვაჩეს ძე XI ს-ის ქართველი მწერალი, საეკლესიო მოღვაწე, ვარაუდობენ, რომ იგი ეფრემ მცირეს ძმა იყო. სწავლა-განათლება კონსტანტინოპოლში ჰქონდა მიღებული. საქართველოში დაბრუნების შემდეგ შიომღვიმის სავანეში დამკვიდრდა. დასახელებული თხზულების გარდა, მას ეკუთვნის „დასადებელნი შიოდისი“. ეს თხზულებანი საქართველოს ისტორიისათვის საინტერესო ცნობებს შეიცავენ. იხ. ივ. ლოლაშვილი, ბასილი ვაჩეს ძე ქსე ტ. 2, გვ. 221; ბასილი ვაჩეს ძის თხზულებანი იხ. წიგნი – ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევიდა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თბ., 1955, გვ. 199–213.

²² სილოგავა ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 299–301.

²³ იქვე, გვ. 301.

²⁴ იქვე, გვ. 303.

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე.

სახელით 980–1001 წლებში საქართველოს საკათალიკოსო ტახტზე სხვა წყაროებით არ დასტურდება.

იოვანე-ოქროპირს რომ X ს-ის ბოლო ათწლეულში ეკავა საქართველოს საკათალიკოსო ტახტი, ამის დასტურად ვ. სილოგავამ, როგორც ვნახეთ, პარხალის წარწერასთან ერთად, კათალიკოს ბასილ III-ის თხზულებაში („თხრობად სასწაულთათვის წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოისთა“) არსებული ის მითითება მოიტანა, სადაც ნათქვამია: „ეს ყრმა არს იოანე კათალიკოზი... სწორ იოანე ოქროპირისა...“, მაგრამ აკად. კ. კეკელიძის თანახმად, ბასილ ვახეს ძის (კათალიკოსის) თხზულებაში (სასწაული № 11) ზემომოტანილი სიტყვები საქართველოს კათალიკოსის იოვანე II ოქროპირისადმი მიმართული²⁷. ეს თუ ასეა, მაშინ კათალიკოსი ბასილ ვახეს-ძე (1090–1100 წწ.) იმ იოვანე-ოქროპირზე საუბრობს, რომელსაც მეღქმისედეკ I-ის შემდეგ ეკავა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ტახტი. როგორც ჩანს, სწორედ ეს იოვანე-ოქროპირი იხსენიება პარხალის წარწერასა და „მცხეთის საბუთში“. ამ დოკუმენტში მოხსენიებული „ქართლის კათალიკოზი იოვანე“ და იქვე ნახსენები „ქართლის კათალიკოზი ოქროპირი“ („მცხეთის საბუთში“ იოვანე კიდევ სამჯერაა დასახელებული) რომ ერთი და იგივე პირია, აკად. ნ. ბერძენიშვილის თანახმად, ეს ფოკათა (სოფ. ფოკა ჯავახეთში ახლანდ. ნინოწმინდის რაიონშია) ეკლესიის წარწერებით დასტურდება. ამ ეკლესიის წარწერაში „ბაგრატ კორპალატთან“ (ბაგრატ IV. – ვ. გ.) ერთად იხსენიება „იოვანე ოქროპირი ქართლისა კათალიკოზი“. იქვე, ცალკე წარწერაში – „ოქროპირი ქართლისა კათალიკოზი“, სახელ იოვანეს გარეშე აღნიშნული. ნ. ბერძენიშვილის დასკვნით, ამ „...წარწერებიდან ცხადია: იოანე კათალიკოსს ერქვა ოქროპირი, და... ეს იოანე-ოქროპირი ზოგჯერ მხოლოდ ოქროპირად იხსენიებოდა“. იგი იყო „უშუალო მემკვიდრე მეღქმისედეკისა მცხეთის საკათალიკოსო ტახტზე“ და კათალიკოსად ჩანს 1033–1048 წლებში²⁸.

„მცხეთის საბუთის“ შინაარსიდან გამომდინარე, იოვანე-ოქროპირის მოღვაწეობა, რა თქმა უნდა, კარგად ეცოდინებოდა XI ს-ის დასასრულს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე მჯდომ ბასილ კათალიკოსს. ამიტომ წერს იგი, „ესე ყრმა არს იოანე კათალიკოსი, რომელი ყოვლითურთ იქმნა სწორი იოანე ოქროპირისა“.

ამრიგად, 980–1001 წლებში საქართველოს (ქართლის) საკათალიკოსო ტახტზე იოანე-ოქროპირი არ მჯდარა. პარხალის ტაძრის წარწერაში სახელის გარეშე ნახსენები „კურაპალატი“ საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ა. შიომღვიმის ხელნაწერში არსებულ საქართველოს კათალიკოსთა სიაზე დაყრდნობით, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითებანი იოანე-ოქროპირის 984–995 ან 980–1001 წლებში კათალიკოსობის შესახებ რეალურ-ისტორიულ დასაბუთებაზე არაა დამყარებული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იოანე (IV) ოქროპირი თუ მეღქმისედეკ I-ის წინამორბედი კათალიკოსი არ იყო, და იგი მხოლოდ მეღქმისედეკ I-ის გარდაცვალების შემდეგ გახდა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, ცხადია, მას კათალიკოს-პატრიარქისა და, შესაბამისად, „ქართლისა და ყოვლისა

²⁷ კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 270, შენ. 2. კ. კეკელიძემ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქების რიგის შედგენისას, როგორც ჩანს, ეს ნიუანსი არ გაითვალისწინა.

²⁸ ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი, გვ. 247–248. მეფე გიორგი I, მეღქმისედეკ და ოქროპირ ქართლის კათალიკოსები იხსენიებიან სოფ. ყაურმის (ახალქალაქის რ-ნი) ეკლესიის წარწერებშიც. იხ. ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 30.

ადმოსავლეთისა პატრიარქის“ ტიტულიც შეიძლება ეტარებინა²⁹ (ამ უკანასკნელი ტიტულის შესახებ იხ. ქვემოთ).

ახლა რაც შეეხება საქართველოს კათალიკოსთა სიებში უშუალოდ მელქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსად დასახელებულ სვიმონ III-ის პიროვნებას.

სვიმონ III

სვიმონ III-ის კათალიკოსობის შესახებ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი ცნობები გვაქვს, მაგრამ სანამ მასზე შევჩერებ მკითხველის ყურადღებას, ვნახოთ, დღეისათვის სვიმონ III-ზე რა არის ცნობილი (ქართულ ენციკლოპედიაში სვიმონ III-ის შესახებ წერილი არაა შეტანილი).

პ. კარბელაშვილსა და ა. ნატროვეს სვიმონ III-ის (მათთანაა სვიმონ II) კათალიკოსობის დროდ, როგორც ვნახეთ, 1002–1012 (სვიმონ III-ის კათალიკოსობის კ. კეკელიძისეული დათარიღების შესახებ იხ. ქვემოთ), ხოლო ზ. აბაშიძეს 1001–1010 წლები აქვთ მითითებული. პ. კარბელაშვილის თანახმად, „სვიმონის კათალიკოსობის უამს აღშენდნენ“ ქუთაისში ბაგრატის ტაძარი და აფხაზეთში ბედიის საეპისკოპოსო [ტაძარი]³⁰. ზ. აბაშიძის სიტყვით, კი სვიმონ III-მ აკურთხა 1003 წელს ქუთაისში ბაგრატის ტაძარი³¹. ვ. სილოგავა იზიარებს სვიმონ III-ის კათალიკოსობის ზ. აბაშიძისეულ წლებს და აღნიშნავს, სავარაუდებელია, რომ სვიმონი კათალიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებდაო³².

„ქართლის ცხოვრებაში“ – „მატიანე ქართლისას“ ტექსტში გვიან შეტანილ ჩანართსა³³ და შიომღვიმის ხელნაწერში³⁴ სვიმონი მელქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსადაა მიჩნეული, მეორე მხრივ, საისტორიო ტრადიცია თუ, მართლაც, მის სახელთან აკავშირებს 1003 წელს ქუთაისის ბაგრატის ტაძრის კურთხევას (როგორც ჩემთან საუბარში პროფ. ვ. სილოგავამ განაცხადა, გამორიცხვად არაა ასეთი მოსაზრება ზემოდასახელებულ ავტორთაგან მოდიოდეს. სვიმონი რადგან XI ს-ის მოღვაწე ჩანდა, ბაგრატის ტაძრის კურთხევაც მის სახელთან დააკავშირეს), ისტორიულ რეალობასთან უფრო ახლოს ხომ არ იქნება, XI ს-ის დამდეგიდან სვიმონი, მართლაც, დასავლეთ საქართველოს (ყოფილი აფხაზეთა სამეფოს) ეკლესიის საჭეთმპყრობელი ყოფილიყო?, და ხომ არ არის იგი ის პიროვნება, რომელიც სვიმონის სახელით „ახალციხური ტყავის სახარების“ ანდერძში აფხაზეთის კათალიკოსადაა დასახელებული? თუ ასეთი თვალსაზრისი დადასტურდება, მაშინ, იგი უნდა იყოს ერთ-ერთი იმ კათალიკოსთაგანი, რომელიც „მატიანე ქართლისას“

²⁹ ეს „ქართლისა კათალიკოზი ოქროპირი“ ცოცხლად იხსენიება „პალესტინური ოთხთავის“ 1048 წლის მინაწერში. ოთხთავი „მწირ მიქაელს“ გადაუწერია იერუსალიმის მახლობლად, საზღვარგარეთ ქართველთა ერთ-ერთ ძლიერ კულტურულ კერად მიჩნეულ პალავრას (ძველი ლავრა – ბერძნ. Παλαια λαύρα) მონასტერში. ხელნაწერის მომგებელი (შემკვეთი) „გლახაკი სტეფანე“ თავის თავს „პალავრელ ხუცესთან“ ერთად რადგან „მნათე ყოფილსა“ და „შიფილს მცხეთისას“ უწოდებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტეფანეს ქართლის კათალიკოს იოანე-ოქროპირთან და, საერთოდ, მცხეთის სვეტიცხოვლის მსახურებთან გარკვეული კავშირი ჰქონდა. წარწერის ტექსტისა და მისი ანალიზის შესახებ იხ. ივ. იმნაიშვილი, პალესტინური ოთხთავი. წიგნში – ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ. 80–81.

³⁰ კარბელაშვილი პ., დასხ. ნაშრომი, გვ. 60–61.

³¹ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ. 42–43.

³² სილოგავა, ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 303.

³³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 282.

³⁴ უორდანიას თ., ქრონიკები, I, გვ. 80.

ავტორის ცნობით, ბაგრატის ტაძრის კურთხევაში მონაწილეობდა. ბაგრატ მეფემ, – წერს ეს მემატინე, – „აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწოდებლთა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელი ყოველი კელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოდღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი“³⁵.

ხემომოტანილ ამონარიდში კათალიკოსთა მიერ რადგან ბაგრატის ტაძრის კურთხევაზეა მითითება, ჩანს, მის კურთხევაში სრულიად საქართველოს (ქართლის) კათალიკოსიც მონაწილეობდა, მაგრამ სანამ მის შესაძლო ვინაობაზე ვისაუბრებ, ისევ სვიმონ III-ის შესახებ არსებულ ცნობას მოვიტან.

VIII ს-ის 80/90-იან წლებში აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის დროიდან, როგორც ცნობილია, აფხაზთა საკათალიკოსოც შეიქმნა³⁶. მისი საეკლესიო ცენტრი ბიჭვინთაში მდებარეობდა. მას შემდეგ, რაც აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი გახდა, მოსალოდნელი იყო, რომ საკათალიკოსო კათედრა ბიჭვინთიდან ქუთაისში გადმოეტანათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს დაექვემდებარა³⁷.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითებით, აფხაზეთის კათალიკოსის სახელო საქართველოს გაერთიანების შემდეგაც განაგრძობდა არსებობას³⁸. XI–XIII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობაზე, მკვლევართა ნაწილის მტკიცებით, წყაროთა პირდაპირი თუ ირიბი ცნობები მეტყველებენ (ამ საკითხზე ასევე იხ. ქვემოთ). ერთ-ერთ ასეთ ცნობად „ახალციხური ტყავის სახარების“ ანდერძში „სვიმიონის“ აფხაზეთის კათალიკოსად დასახელებაა მიჩნეული³⁹.

თითქოს ყველაფერი ნათელია, სვიმონი XI ს-ის დამდეგიდან დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ჩანს. მაგრამ არსებობს ცნობა, რომელიც საკითხისადმი სხვაგვარ მიდგომას მოითხოვს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს კ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია თბილისის საეკლესიო-არქეოლოგიური მუზეუმის № 86 ხელნაწერში არსებულ ცნობას, რომელშიც ნათქვამია: „წმიდაო მღვდელთმთავარო პირველად მაწყოვერელო ... მე ქრისტეს-მიერ სვიმონ ქართლისა კათალიკოსიან დაწვერენ წმიდანი ესე ჟამის-წირვანი სამღვდელთ-მოდღოვროდ საწირავად“⁴⁰.

მოტანილი ცნობის გაანალიზებისას კ. კეკელიძემ აღნიშნა: ძველი ქართული ლიტურგიკისათვის ამ უნიკალურ ძეგლში ქართლის კათალიკოსად რამდენიმეჯერ დასახელებული სვიმონის მოღვაწეობის დროის საკითხი ვრცლად განვიხილე უფრო ადრე შესრულებულ გამოკვლევაში და იმ დასკვნამდე მივედი, რომ იგია სვიმონ III, რომელიც მიღებული ქრონოლოგიით ეკლესიას 1001/1002–1012 წლებში მართავდა⁴¹. მისივე თქმით, რადგან დაუშვებლად თვლიან იმას, რომ XI ს-ში მთელი ხელნაწერი ასომთავრულით ყოფილიყო შესრულებული, სვიმონ III-ის მმართველობა X ს-ის უკანასკნელ წლებზე გადაჰქონდათ და, შესაბამისად, ხელნაწერსაც X ს-ის დასასრულით ათარიღებდნენ. ამჯერადაც იმ აზრისა ვარ, – დასძენს კ. კეკელიძე, – რომ ხელნაწერში მოხსენიებული „სვიმიონი“ სწორედ სვიმონ III-ა, მაგრამ აღარ ვთვლი საჭიროდ მისი მოღვაწეობა X ს-ში გადავიტანო,

³⁵ მატინე ქართლისა, გვ. 281.

³⁶ დიასამიძე ბ., ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2001, გვ. 219.

³⁷ იქვე, გვ. 224.

³⁸ კუდავა ბ., დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX–XI სს.). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2002, გვ. 29.

³⁹ იქვე.

⁴⁰ Кекелидзе К., Древнегрузинский Архипастырь. Епископы древней Грузии. Тбилиси, 1973, г. 280.

⁴¹ იქვე, გვ. 281.

რადგან თითქმის XI ს-ის ნახევრადმე ერთიანად ასომთავრულით წერდნენ. ასეთია 1033 წელს გადაწერილი მესტიის სახარება⁴².

ასე რომ, თვალსაზრისს – საეკლესიო მუზეუმის № 86 ხელნაწერი მეათე საუკუნის ბოლოს რომ უნდა ყოფილიყო შესრულებული და აქედან გამომდინარე, მასში მოხსენიებული „სვიმონი“ X ს-ის ბოლო წლებიდან შეიძლება ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობელი იყო, მართალია, კ. კეკელიძე ბოლომდე არ იცავს, მაგრამ იგი ჩემთვის მაინც დიდად მნიშვნელოვანია.

კ. კეკელიძის მიერ უარყოფილი თვალსაზრისი მნიშვნელოვნად იმიტომ მომეხვეწა, რომ ჩემი დაკვირვებით, სვიმონი საკათალიკოსო ტახტზე სწორედ X ს-ის 80-იანი წლების დამდეგს უნდა მჯდარიყო.

*
* * *

სვიმონ III კათალიკოსზე საუბრისას აქვე ისმის კითხვა – საეკლესიო მუზეუმის № 86 ხელნაწერში დასახელებული „სვიმონ“-ი და ახალციხური სახარების მინაწერებში „აფხაზეთისა კათალიკოსად“ მოხსენიებული სვიმონი იდენტური პირები ხომ არ იყვნენ?

ამ პირთა იდენტურობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში არ დასმულა. იმიტომ არ დასმულა, რომ მელქისედეკ I-ის წინამორბედი კათალიკოსთა რიგის საკითხი სპეციალურად არავის უკვლევია. არ დასმულა, რადგან № 86 ხელნაწერში დასახელებული „სვიმონ“-ის კათალიკოსობის დროდ თუ 1001/02–1012 წლებია მიჩნეული, სვიმონ აფხაზეთისა კათალიკოსი XI ს-ის დასასრულისა და XII ს-ის დამდეგის მოღვაწედ ითვლება. ამ უკანასკნელ საკითხზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ქვემოთ მასზე შევხერდები.

ჯერ კიდევ 1897 წელს „ქრონიკების“ II ტომში, გამოკვლევაში – „ახალციხური ტყავის სახარება XII საუკუნისა“, თ. ჟორდანიამ აღნიშნა: „სახარება ეკუთვნოდა რომელსამე ეკლესიას აფხაზეთის კათალიკოსის ეპარქიისას“. მისი სიტყვით, „წარწერათგან სჩანს, რომ გადამწერი არის ვინმე საბა, ხოლო „მომეგებელი“ სახარებისა – ვინმე გიორგი, აფხაზეთის კათალიკოსის სვიმონის გაზრდილი“. „ეს ისტორიულნი პირნი უცნობნი არიან, მაგრამ რადგან პალეოგრაფიულ ნიშნებით სახარება ყოველს ეჭვს გარეშე დაწერილია XI საუკუნის დამდეგს ან XII საუკუნის დამდეგს, ამის გამო მტკიცე საბუთი გვეძლევა იმისა, რომ კათალიკოზი სვიმონ და სხვა ამ ხელნაწერში მოხსენიებულნი პირნი ამ დროს ცხოვრობდნენ (დაახლოებით 1080–1116 წ.)“⁴³.

ამის შემდეგ თ. ჟორდანიამ კვლავ დაუბრუნდა ახალციხური სახარების მინაწერებში დასახელებული პირების მოღვაწეობის დროის საკითხს – და დასძინა: „ყველა აქ მოხსენიებულნი პირნი: კათალიკოზი სვიმონ, მწერალი საბა, მომეგებელი გიორგი და დემეტრე მოძღვარი ერთსა-და-იმავე დროს ცხოვრობდნენ, დაახლოებით 1070–1100 წლებში“⁴⁴. აღნიშნულთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ „ქრონიკების“ პირველ ტომზე მუშაობისას თ. ჟორდანიამ შეეცადა ახალციხური სახარების გადამწერის – საბას ვინაობა გაერკვია და რუისის სახარების (XI ს.) მინაწერში მოხსენიებულ საბა პროკოპეშიდელთან მისი დაკავშირება სცადა⁴⁵, მაგრამ მათი იდენტურობის დასაბუთებისაგან თავი შეიკავა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს იყო პირველი და უკანასკნელი ცდა ახალციხური სახარების მინაწერებში მოხსენიებული ისტორიული პირების ვინაობის

⁴² იქვე.

⁴³ ჟორდანიამ თ., ქრონიკები, II, ტფილისი, 1897, გვ. 88.

⁴⁴ იქვე, გვ. 90.

⁴⁵ ჟორდანიამ თ., ქრონიკები, I, გვ. 209.

დასადგენად. თ. ჟორდანიას შემდეგ მათი ვინაობით აღარავინ დაინტერესებულა. რაც შეეხება ახალციხური სახარების მინაწერებში მოხსენიებული პირების მოღვაწეობის დროს, ამ მხრივ კვლევა გრძელდებოდა.

ახალციხური სახარების ანდერძ-მინაწერებში დასახელებული პირების მოღვაწეობის დროის საკითხს, როგორც ვ. სილოგავა წერს, აკად. ნ. ბერძენიშვილი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობილების – კერძოდ, აფხაზეთის საკათალიკოსოს შესწავლისას ორჯერ შეეხო და ორივეჯერ განსხვავებული თვალსაზრისი წარმოადგინა. 1926 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მან აღნიშნა: „ახალციხური ტყავის სახარება XII საუკუნისა“⁴⁶. 1941 წელს, – წერს ვ. სილოგავა, – როცა ნ. ბერძენიშვილი უშუალოდ გაეცნო ხელნაწერს და მის ანდერძ-მოსახსენებლებს, წიგნის გადამწერი საბა, წიგნის მომგები გიორგი ხუცესმონაზონი და ამ უკანასკნელის გამზრდელი აფხაზეთის კათალიკოსი სვიმონი ურთიერთთანამედროვე პირებად ჩათვალა, ხოლო სახარება საბას მიერ არა უგვიანეს XII ს-ის პირველ ნახევარში გადაწერილად მიიჩნია⁴⁷.

1963 წელს, – განაგრძობს ვ. სილოგავა, – ახალციხის მუზეუმის ხელნაწერების აღწერისას ილ აბულაძემ ოთხთავიცა და მისი ანდერძ-მოსახსენებლებიც დაათარიდა და ისინი ქრონოლოგიურად ერთმანეთს დააშორა. ხელნაწერის გადაწერის თარიღად XI ს-ის ბოლო, ხოლო მოსახსენებლები: სვიმონ კათალიკოსისა და გიორგისა, ასევე, ხელნაწერის ბოლოს დართული ვრცელი მოსახსენებელი XII–XIII ს-ების ნუსხურით შესრულებულად ჩათვალა⁴⁸.

ზემომოტანილი მსჯელობის შემდეგ ვ. სილოგავა დასძენს: სავსებით მართალია ილ. აბულაძე, როდესაც ხელნაწერს XI ს-ის ბოლო ხანით ათარიღებს. ხელნაწერს, მართლაც, XI საუკუნისათვის დამახასიათებელი იმდენად მკვეთრად გამოხატული პალეოგრაფიული ნიშნები ახასიათებს, რომ იგი საგანგებო განხილვას არ საჭიროებს⁴⁹. მაგრამ, ილ. აბულაძე არაა სწორი, ხელნაწერის მეორე ნაწილი „განყოფა“ XII–XIII საუკუნეებით რომ დაათარიდა⁵⁰. ვ. სილოგავას მტკიცებით, ახალციხური სახარება XI ს-ის ბოლოს – ორი გადამწერის – საბას და მეორე უცნობი პირის მიერაა გადაწერილი. პირველის გადაწერილია ოთხთავის ტექსტი. როგორც გადამწერი საბა, ისე ანდერძ-მოსახსენებლებში დასახელებული პირები – ხელნაწერის მომგები გიორგი, მისი მოძღვარი დიმიტრი და გამზრდელი – აფხაზეთის კათალიკოსი სვიმონი XI ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწეები არიან. ხელნაწერის გადაწერის დროს *აფხაზეთის კათალიკოსი სვიმონი ცოცხალი იყო*, რადგან ერთ-ერთ მოსახსენებელში იგი დიდებით მოიხსენიება. სვიმონი XI ს. მეორე ნახევრის მოღვაწეა და ახალციხურ სახარებაში დაცულია ჯერჯერობით *უძველესი წერილობითი ცნობა XI ს-ის მეორე ნახევარში აფხაზეთის კათალიკოსის არსებობის შესახებ*⁵¹.

2000 წელს გამოცემული მონოგრაფიის „საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები“ – IV თავში „აფხაზეთის – დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსები და კათოლიკოს-პატრიარქები“ (ავტორი თამარ ქორიძე) „ახალციხური ტყავის სახარების“ მინაწერში დასახელებული სვიმონი XI

⁴⁶ სილოგავა ვ., უძველესი წერილობითი ცნობა აფხაზეთის კათალიკოსის შესახებ (ახალციხური სახარების ანდერძ-მოსახსენებლები). ქართული წყაროთმცოდნეობა, XI, თბ., 2006, გვ. 111. ვ. სილოგავას მხედველობაში აქვს ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევა „სავაზირო ფეოდალურ საქართველოში“.

⁴⁷ სილოგავა ვ., უძველესი წერილობითი ცნობა, გვ. 111.

⁴⁸ იქვე, გვ. 111–112.

⁴⁹ იქვე, გვ. 112.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე, გვ. 113.

საუკუნის დამლევისა და XII საუკუნის დამდგის მოღვაწეაა მიჩნეული⁵². თ.ქორიძე სვიმონ III-ის კათალიკოსობის საკითხს ცალკე გამოკვლევაშიც შეესო. მისი მტკიცებით, „...კათოლიკოსი სვიმონი [უნდა] მივიჩნიოთ დღემდე სახელით მოხსენიებულ აფხაზეთის კათალიკოსთა შორის უძველესად და აფხაზეთის კათალიკოსთა სია მისი მოღვაწეობით დავიწყოთ, რაც XI ს-ის ბოლოთი და XII ს-ის დასაწყისით უნდა განისაზღვროს“⁵³.

როგორც ვხედავთ, მკვლევართა საერთო აზრით, სვიმონ აფხაზეთის კათალიკოსი XI ს-ის მეორე ნახევრის ან XII ს-ის დამდგის მოღვაწე იყო. მათი მტკიცებით, „სვიმონის“ შესახებ არსებული ასეთი ცნობა იმაზე მიგვითითებს, XI ს-ის მეორე ნახევარში და, შესაბამისად, შემდგომ ხანაშიც აფხაზეთის ცალკე საკათალიკოსო რომ არსებობდა.

რა ვქნათ, ვენდოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ასეთ მტკიცებებს? ვფიქრობ, მათ დასაბუთება აკლია.

თავი III. XI–XII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობის საკითხი

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო: მხოლოდ ერთ ფაქტზე დაყრდნობით XI–XII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში ცალკე საკათალიკოსოს არსებობის მტკიცება უსაფუძვლოა. XI ს-ის მეორე ნახევრისათვის სვიმონის სახელის მქონე კათალიკოსი არა თუ დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსთა შორისაც არაა ცნობილი⁵⁴. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ ბ. კუდავამ, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა XI–XIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში საკათალიკოსოს არსებობის პრობლემას, ზემოდასახელებული სვიმონის გარდა, ვერცერთ კათალიკოსს ვერ მიაკვლია⁵⁵. მისი დასკვნით, დასავლეთ საქართველოში – ძველი „ბიზანტიური“ ტრადიციების მქონე კათედრების მაგიერ, ახალი, „საფუძველშივე ქართული“ საეპისკოპოსოების დაარსების შემდეგ, III ეტაპი იყო ორი ქართული საკათალიკოსოს გაერთიანება ცენტრით მცხეთაში. „დასავლურ და აღმოსავლურ ქართულ ეკლესიათა გაერთიანება“ უნდა დაუუკავშიროთ ერთიანი საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის ეპოქას (X–XI სს. მიჯნა)⁵⁶.

ასეთი დასკვნის მიუხედავად, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ბ. კუდავა მაინც ფიქრობს, რომ *XI–XIII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობაზე მეტყველებს წყაროთა პირდაპირი თუ ირიბი ცნობები და IX–XIII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს უწყვეტად არსებობის საწინააღმდეგო*

⁵² საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ. 134.

⁵³ ქორიძე თ., XI–XVI საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა ქრონოლოგია. კლიო, 2002, № 15, გვ. 5–6.

⁵⁴ აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთა რიგიც მხოლოდ მეღქისედეკ I-ის შემდეგ ვიცით. ამ რიგშიც კი სვიმონის სახელის მქონე კათალიკოსი XII ს-ის მეორე მეოთხედის მოღვაწეაა დასახელებული და იგი მისი მომდევნო პატრიარქის – ნიკოლოზ გულბერისძის ბიძა იყო. პატრიარქობამდე არმაზის წმიდა საბას მონასტერში მოღვაწეობდა. იხსენიება ნიკოლოზ გულბერისძის თხზულებაში – „საკითხავი სუეტისა ცხოველისად, კუართისა საუფლოდსა და კათლიკე ეკლესიისა“ (რ. მეტრეველი, ნიკოლოზ I გულბერისძე. ქსე, ტ. 7, გვ. 433. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთა სია. იხ. ქსე, ტ. 5. ბ. ლომინაძის სტატიასთან – კათალიკოსი).

⁵⁵ კუდავა ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

⁵⁶ იქვე, გვ. 28.

არგუმენტად არ გამოდგება შემორჩენილი ცნობების ფრაგმენტული ხასიათი⁵⁷. მაგრამ, ბ. კუდავას სიტყვებით რომ ვთქვა, თუ ყველაზე ლოგიკურია დასავლურ და აღმოსავლურ ქართულ ეკლესიათა გაერთიანება X–XI საუკუნეების მიჯნას დაუუკავშიროთ და თანაც, X ს-ის ბოლოდან აფხაზთა საკათალიკოსოს დამოუკიდებლად არსებობა გარკვეულწილად უკვე ბარიერი ხდება ძლიერი, ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე⁵⁸, მაშინ საქართველოს გაერთიანებისათვის თავდადებული მებრძოლი ბაგრატ III დასავლეთ საქართველოში რატომ დატოვებდა ცალკე საკათალიკოსოს?

ასეთი თვალსაზრისიდან გამომდინარე, რაც, ვფიქრობ, ისტორიულ რეალობას ასახავს, „სუმეონ“-ის შემდგომი კათალიკოსი დასავლეთ საქართველოში, ალბათ, არც უნდა ვეძიოთ. XI–XII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ცალკე საკათალიკოსოს არსებობის დასამტკიცებლად, მხოლოდ ახალციხური სახარების მინაწერის ცნობა საკმარისი არაა. ფაქტი ისაა, რომ 1104 წლის რუის-ურბნისის ძეგლისწერაში მხოლოდ ყოველად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კათოლიკოსი და ყოვლისა საქართველოცა მამათ-მთავარი იოვანე იხსენიება⁵⁹. XII ს-ის დამდეგის დასავლეთ საქართველოში რომ ცალკე საკათალიკოსო არსებულებო, მისი საჭეთმპყრობელი აუცილებლად აისახებოდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მასალებში.

ჩემი დაკვირვებით, „მცხეთის საბუთში“ მელქისედეკ კათალიკოსის შემდეგ, საბუთის დამამტკიცებელთა შორის ხელმომწერი პიროვნება, რომელიც თავის თავს – „მეცა გლახაკს, უღირსს, რეცა სახელით კათალიკოსს“ უწოდებს⁶⁰, იმაზე მიგვითითებს, ამ კათალიკოსს საბუთზე ხელის მოწერისას, რეალური ძალაუფლება არ ჰქონდა. როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს, უსახელო კათალიკოსის დამტკიცება სრული არ არის. მას კრულობითი ნაწილი აკლია და არაბუნებრივად წყდება. შემდეგ საყურადღებოა ის, რომ „დამამტკიცებელი“ თავის თავს არ ასახელებს⁶¹. ნ. ბერძენიშვილისავე სიტყვით, ეს დამტკიცება, რადგან დამოუკიდებელია და ის მაშინაც იყო, როცა ოქროპირი (მელქისედეკ I-ის შემდგომი კათალიკოსი. – ვ. გ.) ამ საბუთს ამტკიცებდა⁶² – ე. ი. მელქისედეკის გარდაცვალების შემდეგ, უსახელო კათალიკოსი XI ს-ის 20-იან წლებში კვლავ ცოცხალი ყოფილა, და, მართლაც, ნ. ბერძენიშვილის დასკვნით, „ის აფხაზეთის კათალიკოსია, რომელიც ძეგლის (ე. ი. „მცხეთის საბუთის“. – ვ. გ.) დაწერის თანამედროვეა და მელქისედეკის სიცოცხლეშივე ამტკიცებს მას“⁶³. თუ ეს ასეა, მაშინ ვინ შეიძლება იყოს უსახელო კათალიკოსი, თუ არა ახალციხური სახარების მინაწერიდან ჩვენთვის ცნობილი „სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი“?

ამრიგად, ახალციხური სახარების მინაწერში აფხაზეთის კათალიკოსად დასახელებული სვიმეონი თუ XI ს-ის დამდეგის მოღვაწე იყო, ნ. ბერძენიშვილის დასკვნით კი, აფხაზეთის საკათალიკოსო XIII საუკუნიდან ჩანს, თანაც, მისივე თქმით, გადაჭრილი არ არის საკითხი, ეს საკათალიკოსო ერთმეფობის თუ ორმეფობის ხანაში დაარსდა⁶⁴, მაშინ მთელი ორი საუკუნის მანძილზე დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ტახტზე ერთადერთი პიროვნების –

⁵⁷ იქვე, გვ. 29.

⁵⁸ იქვე, გვ. 28.

⁵⁹ ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 126. რუის-ურბნისის კრების დათარიღების შესახებ იხ. რ. მეტრეველი, როდის გაიმართა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება? წიგნში – რ. მეტრეველი, საისტორიო ნარკვევები, თბ., 2009, გვ. 217–219.

⁶⁰ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 30.

⁶¹ ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი..., გვ. 246.

⁶² იქვე, გვ. 246–249.

⁶³ იქვე, გვ. 249.

⁶⁴ ბერძენიშვილი ნ., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობილება. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V, თბ., 1971, გვ. 99.

სვიმეონის სახელი ვიცით, რაც იმის დასტურად უნდა მივიჩნიოთ XI–XII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ცალკე საკათალიკოსო რომ არ არსებობდა. მას შემდეგ კი, რაც დასავლეთ საქართველოში საკათალიკოსო შეიქმნა, როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს, მისი კათალიკოსის უფლებები აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსთან შედარებით შეზღუდული იყო (იხ. ნ. ბერძენიშვილის დასკვნაში მუხლი 3–9)⁶⁵, რაც მას XIII ს-ის შემდეგაც კი სწორედ „რეცა კათალიკოსის“ პირობებში აყენებდა.

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სვიმეონ III-ის გარდაცვალების შემდეგ „აფხაზეთის საკათალიკოსო“, როგორც უფუნქციო კათედრა, უნდა მოშლილიყო. ასეთი თვალსაზრისის დასტურად 1104 წლის რუის-ურბნისის „ძეგლისწერაში“ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად მხოლოდ იოვანეს დასახელება უნდა მიუთითებდეს. ფაქტი ისაა, რომ ბაგრატ III-ის მემკვიდრეების ზეობისას, კარგა ხნის მანძილზე, დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა.

XI საუკუნის პირველ ნახევარში (ვგულისხმობ სვიმეონ III-ის გარდაცვალების შემდგომ ხანას) აფხაზეთის ეკლესია რომ ერთიანი საქართველოს იურისდიქციაში შედიოდა, ამის დასტურად აკად. ივ. ჯავახიშვილმა 1057 წელს ანტიოქიის პატრიარქთან თეოდოსი III-სთან (1057–1059 წწ.) კამათისას საქართველოს ავტოკეფალიის საკითხზე გიორგი მთაწმიდელის პასუხი მიიჩნია. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალობის საბუთად გიორგი მთაწმიდელმა ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულის – სვიმონ კანანელის აფხაზეთში – ნიკოფსიაში დაკრძალვის ფაქტი მოიყვანა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, იმ ხანად „აფხაზეთის ეკლესია საქართველოს საერთო ეკლესიას არ ჰკუთვნებოდა, გიორგი მთაწმიდელი ასეთ საბუთს ვერ მოიყვანდა“, რადგან უპასუხებდნენ აფხაზეთის ეკლესია კონსტანტინოპოლის პატრიარქს ეკუთვნისო⁶⁶.

მოტანილი მასალიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: XI ს-ის 30-იანი წლებიდან საქართველოში არსებული ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, აფხაზეთის კათალიკოსის სახელო მოიშალა, რის გამოც, კარგა ხნის განმავლობაში ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში აფხაზეთა კათალიკოსები აღარ იხსენიებიან, თუმცა ზოგიერთ მათგანში „კათალიკოსთა“ (მრავლობით რიცხვში) დასახელება (სახელების გარეშე) მკვლევართა ნაწილს იმის საფუძველს აძლევს, XI–XIII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობაზე მიუთითონ. როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთი თვალსაზრისისაა ბ. კუდავა. მსგავსი აზრისაა პროფ. გიორგი მჭედლიძე. 2008 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში სათანადო წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით მან სცადა IX–XII საუკუნეების საქართველოში აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობა დაედასტურებინა. მკვლევართა ერთი ნაწილი (მ. ბროსე, ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე) IX–XIII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობას თუ საეჭვოდ თვლიდა, – წერს გ. მჭედლიძე, – მკვლევართა მეორე ნაწილს (თ. ჟორდანიას, ნ. მარი, კ. კეკელიძე, ნ. ბერძენიშვილი, ბ. დიასამიძე) IX–XII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობა არ აეჭვებთ⁶⁷.

ზემოთ ჩემ მიერ გაანალიზებულ „მატიანე ქართლისას“ ცნობისა (მასში 1003 წელს ბაგრატის ტაძრის კურთხევაა ასახული) და „ახალციხური ტყავის სახარების“ ანდერძ-მინაწერის გარდა, გ. მჭედლიძემ გიორგი მთაწმიდელის

⁶⁵ იქვე, გვ. 99–100.

⁶⁶ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, თხზ. ტ. II, თბ., 1983, გვ. 122.

⁶⁷ მჭედლიძე გ. კუხუცაძე მ., ქუთაის-გაენათის ეპარქია, ქუთაისი, 2008, გვ. 35–36. იქვე (გვ. 37) გ. მჭედლიძე მიუთითებს, „ახალციხის ტყავის სახარებას“ ნ. ბერძენიშვილი XI ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს. დასავლეთ საქართველოში ცალკე საკათალიკოსოს არსებობის შესახებ ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი ზემოთ წარმოვადგინე.

„ცხოვრების“⁶⁸, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის⁶⁹, ასევე, ლაშა გიორგის მიერ 1207/1208 წწ. გელათის მონასტრისადმი მიცემულ ანდერძში სიტყვა „კათალიკოსის“ მრავლობით რიცხვში მოხსენიების ფაქტი დაიმოწმა⁷⁰ და დასძინა: „...ორივე ეს დოკუმენტი ორიგინალია. მათში მითითებული პასაჟები სინამდვილეს შეესაბამება და ადასტურებს, რომ XII საუკუნის II ნახევარსა და XIII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის კათალიკოსის კათედრა ფუნქციონირებდა. ჟამთააღმწერლის მიხედვით კი ცხადია, რომ ეს იერარქი XIII საუკუნის I მეოთხედის მნიშვნელოვანი მოვლენების აქტიური მონაწილე იყო. მაგალითად, როცა ლაშა-გიორგიმ „არა ინება ქორწინება ცოლისა, ამისთვის შეკრბეს კათალიკოზნი...“⁷¹. იგივე ავტორი ლაშა-გიორგის თანამედროვედ ასახელებს „კათალიკოსთა ორთავე“-ს. ასეთივე ფორმითაა მოხსენიებული კათალიკოსები რუსუდანის გამეფებისას – „შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი მის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი, კათალიკოსნი ორნივე და ეპისკოპოსნი“. ამის შემდეგ გ. მჭედლიძე ასკვნის: „სურათი ნათელია: XIII ს-ის I მეოთხედში საქართველოს ორი კათალიკოსი ჰყავს. ესენი სხვა არავინ შეიძლება იყოს, გარდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრებისა“⁷².

რა შეიძლება ითქვას ზემომოტანილ დასაბუთებათა შესახებ?

I. 1003 წელს ბაგრატის ტაძრის კურთხევისას „მატიანე ქართლისას“ ავტორის მიერ უსახელოდ დასახელებულ „კათალიკოსებში“, რა თქმა უნდა, მელქისედეკ I და სვიმეონ III აფხაზეთისა კათალიკოსნი იგულისხმებიან. ეს სვიმეონ III არის დასახელებული ახალციხური ტყავის სახარებისადმი დართულ გიორგი მთაწმიდელის ანდერძ-მინაწერშიც (შდრ. ზემოთ).

II. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ არსებული ცნობის შესახებ უნდა აღვნიშნო: ბაგრატ IV-ის მოწვევით 1057 წელს ფოთში ჩასულ გიორგი მთაწმიდელს სხვებთან ერთად „მღვდელთმოდგარი ქუთათისისაჲ, სახელით ილარიონ“ დახვდა და ქუთაისამდე მიაცილა. შემდეგ ქართლიდან დასავლეთ საქართველოში გამოსაზამთრებლად გადასულ გიორგის ჭყონდიდის ეპისკოპოსი შეხვდა⁷³ და გიორგიმ მთელი ზამთარი მასთან გაატარა. მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილში“ უსახელოდ მოხსენიებული სვიმეონ III-ის შემცვლელი კათალიკოსი ყოველმხრივ შეეცდებოდა დიდ ქართველ მოღვაწეს შეხვედროდა. მაგრამ ასეთი პირი იმ ხანად, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში არ არსებობდა. აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ ათონის მთაზე მოღვაწე გიორგი მცირეს აფხაზეთა საკათალიკოსოს შესახებ შეიძლება ცნობები არ ჰქონოდა. მან, მართალია, გიორგი მთაწმიდელისაგან სვიმეონ აფხაზეთა კათალიკოსის შესახებ იცოდა, მაგრამ, ალბათ, ცნობები არ ჰქონდა იმის თაობაზე, სვიმეონ III-ის გარდაცვალების შემდეგ საკათალიკოსო ტახტზე რომ არავინ ასულა. რაც მთავარია, გიორგი მცირეს ტექსტში, დასახელებულ გვერდზე (გვ. 156) ტერმინის „კათალიკოზთა“ განსხვავებული წაკითხვებია: „კათალიკოზმან“, „კათალიკოსმან“, რაც იმის მტკიცების საბაბს არ იძლევა, დედნისეულ ტექსტში მაინცდამაინც „კათალიკოზნი“ რომ ეწერა.

III. „ქართლის ცხოვრების“ 327 გვერდზე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მართლაც, ახსენებს კათალიკოსს, მაგრამ მხოლოდობით რიცხვში.

⁶⁸ იქვე, გვ. 36.

⁶⁹ იქვე, გვ. 36–37.

⁷⁰ იქვე, გვ. 37.

⁷¹ იქვე.

⁷² იქვე, გვ. 37–38.

⁷³ გიორგი მცირე, ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი II (XI–XV სს.) ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967, გვ. 160–161.

„კათალიკოზნი“ სქოლიოშია ჩატანილი. ასეთი მითითებებია „ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეული ნუსხის ახალ ნაწილში (გადაწერილია 1731 წელს), 1748 წელს გადაწერილ საეკლესიო მუზეუმისა და XVIII ს-ის თეიმურაზისეულ ნუსხებში⁷⁴, რაც კათალიკოსთა შესახებ ცნობებს ნაკლებ სანდოს ხდის.

IV. ლაშა-გიორგის მიერ 1207/1208 წელს გაცემულ ანდერძში გელათის მონასტრისადმი, მართლაც არის მითითება: „აფხაზთა] და ქართლისა] [კათალიკო]ზნი...“⁷⁵ (ე. ი. „ა. ქ. ზნი...“), მაგრამ „ა“-ს გარდა იმისა, რომ „აღმოსავლეთად“ აღადგენენ (ქართლის კათალიკოსები იხსენიებიან „ყოვლისა აღმოსავლეთისა კათალიკოსებადაც“. იხ. ქვემოთ. თავი XI), ამ სიგელში გაკვირვებას იწვევს არა მარტო „აფხაზეთის კათალიკოსის“ სახელის, თვით გელათის მონასტრის წინამძღვრის სახელის მოუხსენებლობა (საბუთს 1212 წლითაც ათარიღებენ⁷⁶), რაც მის ცნობებს ასევე საეჭვოდ ხდის.

V. დავითის 1125 წლის ანდერძის (მასში კათალიკოზი მრავლობით რიცხვშია ნახსენები) დედანი ჩვენამდე არაა მოღწეული და იგი XIX ს-ში სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ გადაწერილი ნუსხებითაა ცნობილი. რაც მთავარია, ეს საბუთი ნაყალბეგია და შედგენილია 1125 წლის შემდეგ⁷⁷.

VI. რაც შეეხება ჟამთააღმწერლის მიერ ლაშა-გიორგის თანამედროვე კათალიკოსთა (ისევე უსახელოდ) დასახელებას, ჟამთააღმწერელი XIV ს-ში მოღვაწეობდა და იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოში, მართალია, ცალკე საკათალიკოსოს არსებობა საისტორიო წყაროებით დამოწმებული არაა⁷⁸, მაგრამ მას, ალბათ, ეჭვიც არ ეპარებოდა აფხაზეთის კათალიკოსი ლაშა-გიორგის თანადროულ ღიხთიმერეთშიც რომ იჯდა.

წარმოდგენილ საბუთებში („მატიანე ქართლისასა“ და გიორგი მთაწმიდელის ანდერძ-მინაწერის გარდა) კათალიკოსის (ან კათალიკოზის) უსახელოდ მოხსენიება იმაზე მიგვანიშნებს, საბუთების შემდგენლებმა მათი სახელები რომ არ იცოდნენ. საბუთების შემდგენლები, ისევე, როგორც ჟამთააღმწერელი, მათ მიერ მოთხრობილი ამბების თანამედროვენი არ იყვნენ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის კათალიკოსებიდან ჯერჯერობით მხოლოდ სვიმონ III ვიცით. ქართლში ბაგრატ III-ის გადმოსვლის დროიდან (980 წ.), როგორც ჩანს, აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრა უშუალოდ დაექვემდებარა მცხეთის საკათალიკოსოს. ასე გაგრძელდა დაახლოებით XIII ს-ის 70-იანი წლების დამდეგამდე მაინც. თუკი იმ დროს აფხაზეთის საკათალიკოსო აღდგა, ისევე, როგორც სვიმონ III 982 წლიდან (ამ თარიღის შესახებ იხ. ქვემოთ) გარდაცვალებამდე ნომინალურად იწოდებოდა „აფხაზეთისა კათალიკოსად“, XIII ს-ის 70-იანი წლების დამდეგიდან აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტზე ასული პირების უფლებები, როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსებთან შედარებით იმდენად შეზღუდული იყო, რომ მათი სახელი ისტორიამ არ შემოინახა.

⁷⁴ ქართლის ცხოვრება, I. გვ. 327.

⁷⁵ სიგელი გიორგი მეფისა გელათისადმი [1207/1208], ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 106.

⁷⁶ იქვე, გვ. 105.

⁷⁷ იქვე, გვ. 60.

⁷⁸ ჩემი ვარაუდით, აფხაზეთის საკათალიკოსოს აღდგენისათვის გარკვეული პირობები 1259 წელს დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის გამეფების შემდეგ შეიქმნა. მას შემდეგ, რაც დავით ნარინი დასავლეთ საქართველოს დიდებულებმა „აფხაზეთის (ღიხთიმერეთის) მეფედ დაადგინეს, და საქართველოს ეს ნაწილი „ერთიან საქართველოს გამოეთიშა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 570, 600), ცხადია, აფხაზთა კათალიკოსის სახელოც აღსდგებოდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, აკად. ნ. ბერძენიშვილიც არ გამორიცხავდა აფხაზეთის საკათალიკოსოს აღდგენა ორმეფობის ხანაში მომხდარიყო.

**თავი IV. ახალციხური სახარების მინაწერებში დასახელებული საბასი
და „ბლახაკი ბიოჩის“ (ბიოჩი ხუცესმონაზონის)
ვინაობისათვის**

ზემოთ ახალციხური სახარების მოსახსენებელში „აფხაზეთის კათალიკოსად“ დასახელებული სვიმეონის მოღვაწეობის დროდ XI ს-ის დამდეგი მივიჩნევ. იმავე მოსახსენებელში დასახელებული გიორგი ხუცესმონაზონი სვიმეონ კათალიკოსს რადგან თავის გამზრდელად აცხადებს, საინტერესოა გაირკვეს, ვინაა ეს გიორგი ხუცესმონაზონი. მისი ვინაობის დადგენა, თავის მხრივ, სვიმეონ კათალიკოსის მოღვაწეობის დროის დაზუსტებაში დაგვეხმარება. ასევე უნდა გაირკვეს, რამ განაპირობა სვიმეონ კათალიკოსისა და გიორგი ხუცესმონაზონის დაახლოება.

ახალციხურ სახარებად წოდებული ოთხოვის ანდერძ-მინაწერში აფხაზეთის კათალიკოსად დასახელებული სვიმეონის მოღვაწეობის დროის გასარკვევად (გავიხსენოთ ამ სვიმეონის მოღვაწეობის დროის შესახებ ზემომოტანილი თვალსაზრისები), იმავე სახარების მინაწერებში სვიმეონის თანადროულ მოღვაწეებად მოხსენიებული საბას და გიორგი ხუცესმონაზონის ვინაობის დადგენას, ვფიქრობ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

იმის გამო, რომ თ. ჟორდანიადან მოკიდებული ახალციხურ სახარებას XI ს-ის დასასრულისა და უფრო გვიანი ხანის ძეგლად მიიჩნევენ, არავინ დაინტერესდა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ სახარების გადამწერი საბა და სახარების მომგები (ე. ი. დამკვეთი) გიორგი ხუცესმონაზონი. მაგალითად, აკად. ნ. ბერძენიშვილმა მხოლოდ შემდეგი აღნიშნა: „წიგნის გადამწერი საბა, წიგნის მომგები გიორგი ხუცეს-მონაზონი და უკანასკნელის გამზრდელი აფხაზეთის კათალიკოსი სვიმეონი ურთიერთის თანამედროვენი არიან და წიგნი გადაწერილია საბაძს მიერ არა უგვიანეს XII ს-ის პირველი ნახევრისა“¹. სახარების მინაწერებში დასახელებული ისტორიული პირების გასარკვევად, ასეთი ზოგადი მითითება, რა თქმა უნდა, გამოსავალი არაა. უფრო მეტიც, სახელმოსვეჭილი მეცნიერის ასეთი განცხადების შემდეგ, ალბათ, არაერთ მკვლევარს დაეკარგა სურვილი სახარების მინაწერებში დასახელებული ისტორიული პირების ვინაობის საკითხზე აზრი გამოეთქვა.

ზემოთ სვიმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი X ს-ის ბოლო ოცწლეულისა და XI ს-ის დამდეგის მოღვაწედ მივიჩნევ. ამ თვალსაზრისის გამყარებაში საბას და გიორგი ხუცესმონაზონის ვინაობის გარკვევა უნდა დაგვეხმაროს.

„სვიმეონ აფხაზეთისა კათალიკოსისა“ და № 86 ხელნაწერიდან ცნობილი სვიმეონ ქართლის კათალიკოსის იდენტიფიკაციის საფუძველს, ვფიქრობ, გიორგი მთაწმიდელის ანდერძ-მინაწერის გარდა ის მინაწერი გვაძლევს, რომელშიც „სვიმეონ აფხაზეთისა კათალიკოსისა“, მსაზღვრელის – „აფხაზეთის“ გარეშე იხსენიება (გვ. 249r. „ქრისტე აღიდე სვიმეონ კათალიკოსი“). აღნიშნული იმის მაჩვენებელია, სვიმეონი ჩვეულებრივ კათალიკოსადაც (ისე როგორც ეს № 86 ხელნაწერშია) რომ იწოდებოდა. რაც მთავარია, ანდერძ-მინაწერი რადგან 1034/1036 წლებს შორისაა შესრულებული, ეს იმაზე მიგვითითებს, იმ ხანად სვიმეონი ცოცხალი იყო და ხახულში იმყოფებოდა. მისი ხელისუფლება მხოლოდ ტიტულით გამოიხატებოდა. ამის შემდეგ იგი, ალბათ, ჩქარა გარდაიცვალა. აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრას კარგა ხანს კათალიკოსი აღარ განაგებდა.

როგორც ვ. სილოგავა წერს, ახალციხური სახარების ხელნაწერი ორი პირის მიერაა გადაწერილი. ხელნაწერის პირველი ნაწილი რადგან საბას მიერაა გადაწერილი და ტექსტის ამ ნაწილში (ე. ი. საბას გადაწერილ ტექსტში) იოვანეს სახარების ბოლოს, საბასავე ხელით ცალკე გვერდზეა (238r)

¹ ბერძენიშვილი ნ., სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი III, თბ., 1966, გვ. 47, შენ. 39.

მოთავსებული გიორგი მთაწმიდელის ცნობილი ანდერძი, ეს იმაზე მიგვანიშნებს, ტექსტის გადაწერისას საბამ საგანგებოდ რომ გამოყო ცალკე გვერდი, რათა მასზე მომგებლის (ე. ი. გიორგი ხუცესმონაზონის) ვრცელი ანდერძი მოეთავსებინა.

აღნიშნულთან ერთად, „სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი“ რადგან XI ს-ის დამდეგის მოღვაწე ჩანს, ასევე ხელნაწერის წარმომავლობას (ახალციხე – მესხეთი) თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ის გიორგი ხუცესმონაზონი, რომელიც „სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსს“ თავის გამზრდელად ასახელებს, როგორც სუმეონის უმცროსი თანამედროვე, სამხრეთ საქართველოს კულტურულ ცენტრებში უნდა ვეძიოთ. მეორე მხრივ, გიორგი მთაწმიდელი თავის თავს რადგან „გლახაკ გიორგის“, გიორგი ხუცესმონაზონს უწოდებს² და მისი მოღვაწეობის გარკვეული ხანა ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს – ხახულის მწიგნობრულ კერასთანაა დაკავშირებული, თავისთავად ისმის კითხვა, „ახალციხური სახარების“ მომგებელი გიორგი ხუცესმონაზონი, ერთხანს ხახულში მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი ხომ არაა? და იგი ხახულში ყოფნისას ხომ არ გაეცნო აფხაზეთის კათალიკოსად სახელდებულ სემეონს?

ახალციხური სახარების მინაწერში დასახელებული გიორგი ხუცესმონაზონი რომ იგივე გიორგი მთაწმიდელია, ამას, ვფიქრობ, შემდეგიც მოწმობს: ხელნაწერის (ოთხთავის) პირველი ნაწილის დასასრულს მოთავსებულ გიორგი მთაწმიდელის ცნობილ ანდერძში გიორგი თავის თავს იხსენიებს, არა როგორც სახარების მთარგმნელს, არამედ „ბერძულთა სახარებათა შემწამებელს“ (შემდარებელს, გამმართველს). ეს სიტყვები გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობის ადრეულ – ჩემი აზრით, ხახულურ ხანაზე მიგვიითითებს.

როგორც კ. კეკელიძე წერს, ათონის მთაზე მისვლის (1040 წ.) შემდეგაც დეკანოზად კურთხევამდე (1042 წ.) გიორგი მთაწმიდელი წიგნებს თუ არ თარგმნიდა³, მაშინ ახალციხური სახარების ტექსტში იოანეს სახარების ბოლოს, ცალკე გვერდზე (238r) მოთავსებულ ანდერძში არსებული მითითება „წმიდად ოთხთავი“ მას ახლად რომ არ უთარგმნია, მხოლოდ „ფრიაღითა გამოწულიღვითა“ „ბერძულთა სახარებათა“ „შეაწამა“ (შეადარა, შეათანხმა) (ეს ანდერძი, ისე სხვა მინაწერები და სახარების ტექსტი, როგორც ითქვა, საბას მიერაა შესრულებული), იმაზე მიგვიითითებს, იმ ხანად ჯერ კიდევ ხუცესმონაზონად წოდებულმა გიორგიმ, მის მიერ ჩასწორებული ოთხთავის ტექსტი თავისი მინაწერებითა და ანდერძით კონსტანტინოპოლიდან ხახულში დაბრუნების (1034 წ.) შემდეგ, თავისი საფასით 1034–1036 წლებში რომ გადააწერინა⁴.

მაგრამ ვინ იყო ტექსტის გადამწერი საბა?

² ასე იწოდება გიორგი მთაწმიდელი მის მიერ ბერძნული ტექსტის მიხედვით შესწორებულ „დავითნის ანდერძში“ და, როგორც აკად. ა. შანიძე წერს, დავითნის ანდერძიც იმგვარადვე იწყება, როგორც სახარების ანდერძი. რაც მთავარია, ამ ანდერძში გიორგი მთაწმიდელი თავს სწორედ „გლახაკ გიორგიდ, უღირს ხუცეს-მონაზონად“ ასახელებს. ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო. წიგნში – ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. თხზულებანი, I, თბ., 1957, გვ. 287. „იოვანესი და ეფთვიმეს ცხოვრების“ ავტორი გიორგი მთაწმიდელი თავს „გიორგი ხუცეს-მონაზონს“ უწოდებს – „აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა“. იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 38.

³ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 219.

⁴ მას შემდეგ რაც გიორგი მთაწმიდელმა წიგნების თარგმნა დაიწყო, როგორც ჩანს, იგი თავს მაინც „გლახაკად“ და „ხუცესმონაზონად“ იხსენიებდა. ასე იწოდება იგი მის მიერ ნათარგმნი „პარაკლიტონისადმი“ დართულ ზანდუკში. „ითარგმნა პარაკლიტონი... ჳელთა ჩემ გლახაკისა გიორგი ხუცესმონაზონისადათა“. გიორგი იგივეს იმეორებს პარაკლიტონის ტექსტის ბოლოს. „დაესრულა ახალ-თარგმნილი ესე პარაკლიტონი თარგმანით და ნუსხვით ჳელითა ჩემ გლახაკისა გიორგისითა ხუცესმონაზონისადათა მთასა საკვირველსა“. იხ. ლოლაშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 20–22.

თუ გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიის დეტალებს გავითვალისწინებთ, ახალციხურ სახარებად წოდებული ტექსტის გადამწერი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ადგილას მინაწერების შემსრულებელი საბა, გიორგი მთაწმიდელის ბიძა უნდა ყოფილიყო. გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიის ცნობით, იმ ხანად „ესხნეს ნეტარსა ამას ორნი მამის-ძმანი [ხახულს], ორნივე უხუცესნი მამისა მისისანი, კაცნი [დმერთ] შემოსილნი და სავსენი საღმრთოთა მადლითა“⁵. ძმებიდან უფროსი, რომლის სახელი იყო „გიორგი მწერალი“ – „ყოფილ იყო მწერალთა ზედა მთავარად კურაპალატისათა“. ხოლო მეორე ძმის სახელი იყო „საბა, კაცი წრფელი და უმანკოდ. ესენი მკვდრ იყვნეს ხახულს ორითავე ცხორებითა შეზავებულად, რამეთუ სიმდიდრესა თანა საღმრთოდსა მოქალაქობისასა ვორციელიცა სიმდიდრე უხუცებით აქუნდა“⁶.

გიორგი მთაწმიდელის ბიძა საბა (საბაჲ) რომ საღმრთო წიგნების გადამწერიც იყო, ამის შესახებ ზემომოტანილ ცნობაში, მართალია, არაფერია ნათქვამი, მაგრამ სავარაუდებელი ერთია, იგი უფროს ძმასთან ერთად მოღვაწეობდა კურაპალატის კარზე: საბაჲს უფროსი ძმა „გიორგი მწერალი“, რადგან „მწერალთა ზედა მთავრად ყოფილ იყო“, მას არაერთი „მწერალი“ (გადამწერი) ეყოლებოდა, მაგრამ როგორ მოხვდნენ ისინი ხახულში?

გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ არსებული ცნობიდან გამომდინარე, 1022 წელს კონსტანტინოპოლში გამგზავრებისას (იხ. ქვემოთ) „გიორგი მწერალი“ რადგან უკვე მოხუცებული იყო⁷, ის კუროპალატი, რომლის კარზეც „გიორგი მწერალი“ მოღვაწეობდა, ტაოს მეფე დავით III უნდა იყოს. დავით III-ის გარდაცვალების (1001 წ.) შემდეგ, როცა მის სამეფოს ბიზანტიის იმპერია დაეპატრონა, და ქ. ოლთისში სამეფო კარმა არსებობა შეწყვიტა (გაუქმდა სამეფო კანცელარიაც), „გიორგი მწერალმა“ და მისმა გარემოცვამ, როგორც ჩანს, ხახულის სავანეში განაგრძო მოღვაწეობა.

ხახულის სავანეში შეხვდა ახალგაზრდა გიორგი როგორც თავის ბიძებს, ისე სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსს (სუმეონ კათალიკოსი რატომ უნდა ყოფილიყო ხახულში, ამის შესახებ ქვემოთ მექნება საუბარი). ამ უკანასკნელმა, ვინმე დიმიტრისთან (ამ პიროვნების შესახებ იხ. ქვემოთ) ერთად, ჩანს, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ყმაწვილ გიორგიზე, რომ შემდეგში გიორგიმ ისინი თავის „გამზრდელთა“ შორის მოიხსენია⁸.

გიორგი მთაწმიდელის „გამზრდელი“ სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი სამოღვაწეო ასპარეზზე, რა თქმა უნდა, გიორგიზე გაცილებით ადრე უნდა გამოსულიყო. მაგრამ როდის, ეს გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიიდან უნდა გავარკვიოთ. გადავხედოთ გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ მონაცემებზე დაყრდნობით აკად. კ. კეკელიძის მიერ შედგენილ გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიას და ვნახოთ, როდის უნდა შეხვედროდა გიორგი მთაწმიდელი სუმეონ კათალიკოსს.

შვიდი წლის გიორგი 1016 წელს ტაძრისის დედათა მონასტერში (ტაძრისი სოფელია ახლანდელ ბორჯომის რაიონში, ძველ აღმოსავლეთ სამცხეში) მიიყვანეს. 1019 წლიდან გიორგი ხახულის სავანეში იმყოფებოდა. 1022 წელს როცა აჯანყებაში მონაწილეობისათვის ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II-მ (გარდ. 1025 წ. 12 დეკემბერს) ტაოელი დიდებული ფერის ჯოჯიკის ძე სიკვდილით დასაჯა, და მისი ოჯახი სოფ. ტვარწატაფიდან კონსტანტინოპოლში გაასახლა, გიორგი და მისი ბიძა „გიორგი მწერალი“ მის ოჯახს გაჰყვა

⁵ გიორგი მცირე, დასხ. თხზ., გვ. 114–115.

⁶ იქვე, გვ. 115.

⁷ იქვე, გვ. 117.

⁸ გიორგი მთაწმიდელის გამზრდელთა ხახულური წრის შესახებ გიორგი მცირეს ცნობები თვით გიორგისა და გიორგი შეყენებულსაგან მომდინარეობს. იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 213.

კონსტანტინოპოლში (გიორგიმ იქ ბრწყინვალედ შეისწავლა ბერძნული ენა). 1034 წელს გიორგი ხახულში დაბრუნდა (აქ 25 წლისა ბერად აღიკვეცა). ორი წლის შემდეგ – 1036 წელს შავ მთაზე წავიდა და იქ (ანტიოქიის მახლობლად) რომანას მონასტერში დაემკვიდრა. 3 წლის შემდეგ იერუსალიმში, ხოლო იქიდან დაახლ. 1040 წელს ათონის მთაზე გადავიდა. დაახლ. 1044 წელს გიორგი უკვე ათონის ივერთა მონასტრის იღუმენად აკურთხეს⁹.

ვეფქრობ, ყველაფერი ნათელია. ზემომოტანილი მასალის გათვალისწინებით ასეთი სურათი წარმოგვიდგება: 1019 წელს, როცა საბას უმცროსმა ძმამ იაკობმა თავისი 10 წლის ძე – გიორგი ხახულში ჩაიყვანა, უკვე იქ იმყოფებოდა სვმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი. ეს სვიმეონ კათალიკოსი, სწორედ ის პიროვნება იყო, რომელიც „მცხეთის საბუთში“ თავის თავს „გლახაკს, უღირსს“ და „რეცა სახელით კათალიკოსს“ უწოდებს (აკად. ნ.ბერძენიშვილს იგი ხომ აფხაზეთის კათალიკოსად მიაჩნდა). რაც იმას ნიშნავს, იმ დროისათვის მას რეალური ხელისუფლება არ ჰქონდა, თუმცა, მას მაინც ძველი ტიტულით მოიხსენიებდნენ.

აღნიშნულთან ერთად, თუ საეკლესიო მუხეუმის № 86 ხელნაწერის ცნობას გავითვალისწინებთ, და იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ კ. კეკელიძეს ამ ხელნაწერში დასახელებული სვმიონი, სვიმონ III-ის იდენტურ პირად მიაჩნდა, გამოდის, რომ სვიმეონი ჯერ აფხაზეთ-ქართლის კათალიკოსი იყო, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო (იხ. ქვემოთ) მან დატოვა ეს სახელო და მხოლოდ აფხაზეთის კათალიკოსად იქნა დადგენილი, თუმცა მას დასავლეთ საქართველოს ეკლესიის საჭეთმკურობლად ყოფნა დიდხანს არ დასცალდა.

სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოსი, როგორც კ. კეკელიძე წერს, არის ავტორი „ქართული ლიტურგიკის უნიკალური ძეგლის“ „წმიდა ჟამისწირვათა სამღვდელმოდღვრო საწირავებისა“. ასეთი პიროვნება, მართლაც, დიდ გავლენას მოახდენდა ყმაწვილ გიორგიზე. რის გამოც, „სვიმონი“ მან თავის გამზრდელთა შორის მოიხსენია. სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოსთან ერთად ხახულის სავანეში გიორგი 1019–1022 და შესაძლოა, 1034–1036 წლებში იმყოფებოდა.

ყოველივე ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ გამოდის, რომ ახალციხური სახარების მინაწერებში დასახელებული პირებიდან: „გიორგი გლახაკი“ იგივე „გიორგი ხუცესმონაზონი“ გიორგი მთაწმიდელია. ტექსტის გადამწერი და ტექსტზე მინაწერების გამკეთებელი საბა, გიორგის მამის ძმა, ხახულის მონასტერში მოღვაწე საბაა. ხოლო გიორგის მიერ „გამზრდელად“ დასახელებული „სვმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი“ იგივე პიროვნებაა, რომელიც „მცხეთის საბუთსა“ და „მატიანე ქართლისა“-ში უსახელოდ იხსენიება. ამ სვიმონს ადრე აფხაზეთ-ქართლის კათალიკოსის სახელო ჰქონია, რასაც საეკლესიო მუხეუმის № 86 ხელნაწერში ქართლის კათალიკოსად მისი დასახელება მოწმობს.

თუ ეს ასე იყო, მაშინ სამეცნიერო საზოგადოებისათვის დღეს „ახალციხური სახარების“ სახელით ცნობილი ხელნაწერი გიორგი მთაწმიდელის ბიძის – საბაძს მიერ XI ს-ის 30-იან წლებში ხახულის ლავრაში გადაწერილად უნდა მივიჩნიოთ.

„ახალციხური სახარების“ ტექსტი რომ XI ს-ის 30-იან წლებშია გადაწერილი, ეს თ. ჟორდანიას დაკვირვებით დასტურდება. მისი თქმით, 1060 წელს გადაწერილ ლენხუმური სახარების ხელნაწერში, ისევ იოანეს სახარების დასასრულს („ახალციხურ სახარებაშიც“ აქაა ჩართული გიორგი მთაწმიდელის ცნობილი ანდერძი. – ვ. გ.), მინაწერში რადგან ნათქვამია: „წმიდა ესე ოთხთავი მამისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან“ იქნა გადაწერილი¹⁰, ეს იმაზე

⁹ იქვე, გვ. 219.

¹⁰ ჟორდანია თ., ქრონიკები, I, გვ. 207.

მიგვითითებს, „ახალციხური სახარების“ ხელნაწერი 1060 წლის წინა ხანაში რომ მომზადდა.

დაბოლოს, „ახალციხური სახარების“ ხელნაწერი ტექსტი, რომ ათონის ივერთა მონასტრის ილუმენად გიორგი მთაწმიდელის არჩევის (1044წ.) წინა ხანას ეკუთვნის, ამას ტექსტის მინაწერში მისი – „უდები გიორგის“ „სახელად ოდენ ხუცესმონაზონად“ დასახელება მოწმობს¹¹. როგორც ზემოთ შევნიშნე, გიორგი მთაწმიდელი თავის თავს ასევე გიორგი ხუცესმონაზონს უწოდებს 1042–1044 წლებს შორის შექმნილ თხზულებაში – „ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი“ („აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცესმონაზონისა“).

კ. კეკელიძის თანახმად, გიორგი მთაწმიდელმა ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი ოთხთავი ჩაასწორა¹². კ. კეკელიძეს ეს პროცესი ასე ჰქონდა წარმოდგენილი: გიორგის აუღია ექვთიმეს სახარება, შეუწამებია ბერძნული ტექსტისათვის და, როგორც ექვთიმე-გიორგის რედაქციათა შედარება გვარწმუნებს, ცოტათი შეუსწორებია იგი. ამიტომ, – წერს კ. კეკელიძე, – მართალი იყო გიორგი, როდესაც თავის სახარების ანდერძში წერდა: „ესე ოთხთავი არა თუ ახლად გვითარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ვიეთმე სულიერთა [ძმათადათა] ბერძულთა სახარებათადა შეგუძომუშებიანო“¹³. „რაც უნდა ყოფილიყო, – დასძენს კ. კეკელიძე, – გიორგიმ მოგვცა ახალი რედაქცია სახარებისა და, მსგავსად დავითნის ანდერძისა, გადამწერთ სთხოვს: თუ გინდათ, ძველი რედაქციები გადაწერეთ, – ყველა ჩვენი სახარება, – ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიც, პირველითგანვე წმიდად და კეთილადან ნათარგმნი, ხოლო ჩემსას ნურც შეცვლით და ნურც სხვებთან არევთო“¹⁴.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღეს „ახალციხურ სახარებად“ წოდებული ოთხთავის ტექსტი გიორგი მთაწმიდელის მიერაა „შეწამებული“ ბერძნულთან. იგი გიორგის ბიძის საბას მიერაა გადაწერილი ხახულის ლავრაში 1034–1036 წლებში. საბას ხელითვეა შესრულებული გიორგი მთაწმიდელის ანდერძ-მინაწერი, რომელშიც გიორგი იმ ხანად ხახულში მყოფ სვიმეონ აფხაზთა კათალიკოსსა და დიმიტრის თავის გამზრდელებად ასახელებს.

¹¹ სილოგავა ვ. უძველესი წერილობითი ცნობა, გვ. 110.

¹² სავარაუდოდ საბას 1002 წელს ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი და გიორგის მიერ ჩასწორებული სახარება უნდა გადაეწერა. ექვთიმეს რედაქციის ხელნაწერები XI ს-ის დასაწყისში აღმოცენდნენ. იხ. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია..., გვ. 9.

¹³ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 222.

¹⁴ იქვე.

**თავი V. რომელ ხელნაწერს დაურთო ბიორბი მთაწმიდელმა
თავისი ცნობილი ანდერძი?**

როცა გიორგი მთაწმიდელის მიერ რედაქტირებულ სახარების ტექსტზე ვსაუბრობთ, აქვე დგება საკითხი: რომელ ოთხთავს დაურთო მან თავისი ცნობილი ანდერძი (რომელიც შემდეგ არაერთ ხელნაწერში იქნა გადატანილი) და XI ს-ის პირველი ნახევრიდან შემონახულ სახარებათა ხელნაწერი ტექსტებიდან რომელი უნდა იყოს ამ ანდერძის დედანი?

1923 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აკად. ა. შანიძემ გიორგი მთაწმიდელის ანდერძი სპეციალურად გააანალიზა. ერთმანეთს შეუდარა: გელათის, ვანის, ლენხუმის, ლაბსყაღდის (ესენი 2 ვარიანტად ჩათვალა), ბრეთის, ახალციხური, მოქვის, ეჯშიაწინის, სიძველეთა მუზეუმისა და უბისის (ესენი 2 ვარიანტს მიაკუთვნა) ხელნაწერებში არსებული ანდერძის ტექსტები, მაგრამ გიორგი მთაწმიდელს კერძოდ რომელი ხელნაწერისათვის უნდა დაერთო ანდერძი, ამის შესახებ არაფერი უთქვამს¹ (როგორც ა. შანიძე წერს, 1922 წლამდე 11-ჯერ გამოცემულა გიორგი მთაწმიდელის ანდერძი, მაგრამ პირველად რომელ ხელნაწერს უნდა დართოდა იგი, არავინ დაინტერესებულა²).

ქვემოთ ამ მხრივაც მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა.

ახალციხური სახარების გადამწერი და ამავე ტექსტის გვერდებზე (114r, 184r) მინაწერების გამკეთებელი საბა რომ გიორგი მთაწმიდელის ბიძა – ხახულის სავანეში მოღვაწე „საბაა“ არის, საეჭვო არაა. ვფიქრობ, ასევე საეჭვო არაა, ამ ხელნაწერის „მომგებელი“ გიორგი ხუცესმონაზონი, რომ საბას ძმისწული გიორგი მთაწმიდელია. არც ისა ჩანს საკამათო, ოთხთავი საბას ხახულში რომ უნდა გადაეწერა და მისთვის საბოლოო სახე მიეცა.

ის ფაქტი, ტექსტის პაგინაცია თავიდან ბოლომდე რომ ტექსტის ხელით (ე. ი. საბას ხელით. – ვ. გ.) არის შესრულებული, ზემოთქმულის სასარგებლოდ მიუთითებს.

ხელნაწერი ტექსტის ერთიანმა პაგინაციამ თ. ჟორდანიას იმის მტკიცების საფუძველი მისცა, სახარების ორივე ნაწილი საბას გადაწერილად მიეჩნია³. თ. ჟორდანიას ამ თვალსაზრისის შესახებ ვ. სილოგავა წერს: „ეს, მართლაც, ასეა, რაც იმის მაჩვენებელია, ხელნაწერმა „განყოფიანად“ მისი გადაწერის შემდეგ კიდევ ერთხელ გაიარა საბას ხელში“⁴.

ასე რომ, ვ. სილოგავა ეთანხმება თ. ჟორდანიას, რომელიც თვლის, რომ სახარების მთელი ხელნაწერის პაგინაცია საბას ხელითაა ათვლილი, მაგრამ ამასთანავე ფიქრობს, რომ სახარების ტექსტის მეორე ნაწილი – „განყოფა...“ სხვა გადამწერის მიერაა შესრულებული⁵. ეს რომ ასეც იყოს, საინტერესო ისაა, ხელნაწერის ბოლო ფურცლებზე (265v, 266r) არსებული 23 სტრიქონიანი ანდერძ-მინაწერი ისევ საბას ხელით რომაა შესრულებული⁶ და, როგორც ვ. სილოგავა წერს, სწორედ საბამ „ჩაწერა ბოლო მოსახსენებელი და დაუსვა მთელ წიგნს რვეულების სათვალავი“⁷.

სწორედ ამ ანდერძ-მინაწერში „ყოვლად უდები გიორგი, სახელით ოდენ ხუცესმონაზონი“ (ე. ი. გიორგი მთაწმიდელი) აცხადებს: ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, ღოცვისას პირველად მოიხსენიოს „გამზრდელნი“ მისნი „სუმეონ

¹ შანიძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 285–286.

² იქვე, გვ. 284.

³ ჟორდანია თ., ქრონიკები, II, გვ. 90.

⁴ სილოგავა ვ., უძველესი წერილობითი ცნობა, გვ. 120, შენ. 26.

⁵ იქვე, გვ. 113.

⁶ იქვე, გვ. 112.

⁷ იქვე, გვ. 120, შენ. 26.

აფხაზეთისა კათალიკოსი“ და „მოძღვარი მისი დიმიტრი“ და შემდგომად, „სულიერნი მოძღვარნი და მშობელნი“ მისნი „და ძმანი და თუთ [იგი] საწყალობელი...“⁸.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ვფიქრობ, გარკვეულ საფუძველს იძლევა დაუასკვნა: ექვთიმე ათონელის მიერ 1002 წელს ბერძნულიდან ნათარგმნი სახარების ტექსტი, რომელმაც გარკვეული რედაქცია გიორგი მთაწმიდელის ხელში განიცადა, ხახულის სავანეში გიორგი მთაწმიდელის ბიძის საბას მიერ იქნა გადაწერილი. მანვე დაურთო ამ ტექსტს გიორგი მთაწმიდელის ცნობილი ანდერძი.

საბას მიერ გადაწერილი ოთხთავის ტექსტი თავისი ანდერძ-მინაწერებით, დღეს სამეცნიერო წრეებში „ახალციხური სახარების“ სახელით არის ცნობილი.

თავი VI. არსენ II ქართლის კათალიკოსი

მელქისედეკ I-ის წინამორბედ საქართველოს კათალიკოსებად მიჩნეული პირების შესახებ ზემოთ ვისაუბრე და ვაჩვენე, მათგან მხოლოდ სვიმონს უნდა სჭეროდა მცირე ხნით საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტი. ახლა ვნახოთ, რა მასალა გვაქვს სვიმონის წინამორბედი ქართლის კათალიკოსის არსენ II-ის ზეობის წლების შესახებ.

„მატიანე ქართლისას“ ავტორი დაახლ. 975 წლისათვის დემეტრე აფხაზთა მეფისა და მისი ძმის თეოდოსის ურთიერთობის ამბავის თხრობისას ქართლის კათალიკოსს სახელის გარეშე ახსენებს. ისინი, – წერს ეს მემატიანე, – „ეფუცნეს წინაშე სუეტსა ცხოველსა¹ კათალიკოსი, მღვდელთ-მოძღვარნი და დიდებულნი ყოველნი“².

ზემომოტანილი ცნობიდან გამომდინარე, 975 წელს ქართლში კათალიკოსი მჯდარა. მეორე მხრივ, თუ აკად. კ. კეკელიძის იმ მოსაზრებას გავიზიარებთ, რომლის თანახმად, ასურელ მამათა „ცხოვრებების“ შემქმნელს – არსენ II-ს 955–980 წლებში ეპყრა ქართლის საკათალიკოსო ტახტი³, მაშინ ის კათალიკოსი, რომელმაც სვეტიცხოველში ტახტისათვის მებრძოლი ძმები აფიცა, არსენ II უნდა ყოფილიყო. თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას, კ. კეკელიძის მიერ არსენ II-ის კათალიკოსობის დასაწყის თარიღად მითითებული წელი საკმაოდ პრობლემატურია.

1928 წელს „ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპების“ გამოცემისას ს.კაკაბაძემ, ამ „ცხოვრებათა“ ავტორად არსენ I მიიჩნია, ხოლო დაწერის დროდ 680–700 წლები⁴. უფრო ადრე მ. საბინინმა არსენ კათალიკოსის მიერ ასურელ მამათა „ცხოვრებების“ დაწერა 903–910 წლებში ივარაუდა⁵.

კ. კეკელიძის შენიშვნით, ყოვლად შეუძლებელია ეს არქეტიპები (აქედან გამომდინარე არსენ II-ის კათალიკოსობა) მეშვიდე საუკუნეს მივაკუთვნოთ⁶. არსენ II-ის მიერ ასურელ მამათა „ცხოვრებების“ დაწერის დრო კი მან ასე განსაზღვრა: მისი თქმით, იოანე ზედაზნელის მეტაფრასულ „ცხოვრებაზე“

⁸ იქვე, გვ. 110.

¹ მატიანე ქართლისას ამ ცნობიდან გამომდინარე, 975 წლისათვის ვახტანგ გორგასალის მიერ აგებული ტაძარი ჯერ კიდევ მოქმედი იყო.

² მატიანე ქართლისას, გვ. 271.

³ კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 161. არსენ II-ის კათალიკოსობის ეს წლები აქვს მითითებული ზ. აბაშიძეს. ა. ნატროვესა და პ. კარბელაშვილს არსენ II-ის კათალიკოსობის წლებად 956–972 წწ. აქვთ მითითებული. იხ. ზემოთ.

⁴ ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, გამოსცა ს. კაკაბაძემ, ტფ., 1928, გვ. 14, 17.

⁵ კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 160.

⁶ იქვე, გვ. 160–161.

დართული შენიშვნის თანახმად, „წმიდამან მამამან ჩუენმან არსენი ქართლის კათალიკოსმან“ ქართლში ასურელ მამათა მოსვლიდან „შემდგომად ოთხას ოთხისა წლისა“ (ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეულ ვარიანტშია „ოთხას ოცისა“) „გამოიკითხა და გამოიძია ცხოვრება იოანესი“⁷. მეორე მხრივ, კ. კეკელიძის თანახმად, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითებით, იოანე რადგან VI ს-ის 40-იან წლებში მოვიდა ქართლში, არსენის მიერ ასურელ მამათა „ცხოვრებების“ დაწერა (VI ს-ის 40-იან წლებს + 404 ან 420) X ს-ის 50-იან წლებზე მოვა და იმ დროის ქართლში კათალიკოსი, მართლაც, არსენ II იყო⁸, ასკვნის კ. კეკელიძე.

ასურელი მამები ქართლში მეფე ფარსმან სხვადასხვა ზეობისას, დაახლ. 534 წელს მოვიდნენ⁹ (VI ს. 40-იან წლებში ქართლში მეფის ხელისუფლება აღარ არსებობდა). მათი მოსვლიდან 404 ან 420 წელი (როგორც ამას კ. კეკელიძე ანგარიშობს) 938/954 წელზე მოვა, რაც არსენ II-ის კათალიკოსობის დასაწყისი თარიღის ზუსტად განსაზღვრავად არ გამოგვადგება, თუმცა 975 წლისათვის მას რომ ქართლის საკათალიკოსო ტახტი ეპყრა, ეს საეჭვო არა ჩანს. ამიტომ არსენ II-ის გარდაცვალების თარიღად ქართულ მეცნიერებაში მიღებული 980 წელი გარკვეულწილად რეალური უნდა იყოს.

რა მოხდა? „მატიანე ქართლისას“ ავტორმა ვერ მოიძია ცნობები ცნობილი საეკლესიო მწერლის – ქართლის კათალიკოს არსენ II-ის შესახებ¹⁰ (თუ, მართლაც, მან აფიცა სვეტიცხოველში დემეტრე და თეოდოსი, მაშინ მისი სახელი გახმაურებული იქნებოდა), ან რატომ არ მიუთითა, ვინ იყვნენ ის კათალიკოსები, რომლებმაც 1003 წელს ბაგრატის ტაძრის კურთხევაში მიიღეს მონაწილეობა?

„მატიანე ქართლისას“ ავტორის მიერ კათალიკოსთა უსახელოდ მოხსენიება გამონაკლისი არაა. როგორც ვნახეთ, მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე მეღქისედეკ კათალიკოსის „მცხეთის საბუთში“. მასში, ამ საბუთის დამამტკიცებელთა შორის დასახელებულია „უღირსი, რეცა სახელით კათალიკოზი“ (როგორც ზემოთაც მივუთითე, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ეს პიროვნება „აფხაზეთის კათალიკოზია, ... ძეგლის თანამდროვე და მეღქისედეკის სიცოცხლეში ამტკიცებს მას“)¹¹.

XI ს-ის ავტორთა მიერ მეღქისედეკის არა თუ წინაპარი, მისი თანამდროვე (ჩემი გამოკვლევიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად სვიმეონი/სვიმონი იგულისხმება) კათალიკოსის სახელის მოუხსენებლობა, მართლაც, უცნაურად გამოიყურება და იგი ახნას მოითხოვს.

ქვემოთ შევეცდები ამ მოვლენის შესახებ ჩემი აზრი გამოვთქვა.

როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის მთელი საუკუნენახევარი მიმდინარეობდა ბრძოლა ქართლის დასაუფლებლად. ამ ბრძოლაში ეგრის-აფხაზეთის სამეფო განსაკუთრებით აქტიურობდა. ეგრის-აფხაზეთის მეფეთა გავლენაში მოექცა ჯავახეთი, მათი მოხელე იჯდა ქართლშიც. ასეთ პირობებში საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი ეგრის-აფხაზეთის მეფეები: კონსტანტინე III (893–922 წწ.), გიორგი II (922–957 წწ.), ლეონ III (957–967 წწ.), დაბოლოს, ზემოხსენებული მეფე დემეტრე, ცდილობდნენ მცხეთის საკათალიკოსოს (რომლის სამწყსოს წარმოადგენდა მთელი საქართველოს ეკლესია ეგრის-

⁷ იქვე, გვ. 161.

⁸ იქვე.

⁹ გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002, გვ. 178.

¹⁰ კათალიკოს არსენ II-ის შესახებ ჩანართი ჯუანშერის თხზულებაშია შეტანილი. იხ. ქართლის ცხოვრება, I. გვ. 208.

¹¹ ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი, გვ. 249.

აფხაზეთის ეკლესიის გარდა) მხარდაჭერის მოპოვებას¹². ბ. დიასამიძის აზრით, ეს მეფეები მზად იყვნენ მცხეთის საკათალიკოსოსაგან მხარდაჭერის სანაცვლოდ, აფხაზეთის საკათალიკოსო მცხეთის კათედრისათვის დაექვემდებარებინათ¹³.

ბ. დიასამიძის ზემომოტიანილი თვალსაზრისი, თითქოს, მისაღებია, მაგრამ, ვფიქრობ, აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში პოლიტიკურად გაბატონებული ეგრის-აფხაზეთის მეფეები, ქართლის კათალიკოსის მხოლოდ მხარდაჭერით არ დაკმაყოფილდებოდნენ. ისინი შეეცდებოდნენ, მცხეთის საკათალიკოსო ტახტზე მათთვის სასურველი პირი დაესვათ. იქნებ, სწორედ ასეთი პიროვნება იყო არსენ II-ის შემდეგ საკათალიკოსო ტახტზე ასული სვიმონ III. არაა გამორიცხული, რომ იგი ბაგრატ III-ის ქართლელი დიდგვაროვანი ოპოზიციონრების კანდიდატი ყოფილიყო¹⁴. ფაქტი ერთია, როგორც ჩანს, მელქისედეკ I-ს სვიმონ აფხაზეთა კათალიკოსთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა (ამის დასტურია მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილში“ სვიმონ (სვიმონ) III-ის „რეცა სახელით“ მოხსენიება).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ უნდა დავასკვნა: 1270 წელს გადაწერილ შიომღვიმის ხელნაწერში X–XI საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე კათალიკოსებად დასახელებული პირებიდან, ილარიონი („მამამთავარი ილარიონი“) თუ იგივე ილარიონ იშხნელი, იშხანის ეპისკოპოსი (იგი ამ კათედრაზე ჩანს 1002, 1033 წლებში) იყო, იმავე სიაში ქართლის კათალიკოსად დასახელებულ ოქროპირს მელქისედეკ I-ის შემდეგ ეპყრა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ტახტი, სვიმონ III კი XI ს-ის დამდეგს უკვე დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად ითვლებოდა, მაშინ 980 წელს (როცა არსენ II გარდაიცვალა) ვის უნდა დაეკავებინა საქართველოს საკათალიკოსო ტახტი?

ამ შემთხვევაში უნდა გავიხსენოთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება.

როგორც ცნობილია, 980 წელს ბაგრატ III სრულწლოვანი გახდა, აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და გარდა იმისა, რომ ხელში აიღო ქვეყნის მართვის სადავეები, მმართველებად თავისი ერთგული მოხელეები დანიშნა. თავისთავად ცხადია, იგი შეეცდებოდა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლადაც თავისი ერთგული პიროვნება დაესვა. ამ მხრივ მისი „გაზრდილი“ მელქისედეკი საუკეთესო კანდიდატი იყო.

ამ რეორგანიზაციის დროს მელქისედეკმა, როგორც ჩანს, უშუალოდ არსენ II-ის შემდეგ არ დაიკავა საკათალიკოსო ტახტი. თუ პ. კარბელაშვილს დავუჯერებთ, მელქისედეკის აღსაყდრებისას ქართლის კათალიკოსი ილარიონი უნდა ყოფილიყო და მას ნებით უნდა დაეტოვებინა საკათალიკოსო ტახტი. მაგრამ, რადგან მისი კათალიკოსობა არ დადასტურდა, ისტორიულ რეალობასთან უფრო ახლოს იქნება მელქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსად სვიმონი მივიჩნიოთ.

სვიმონ III-ის ქართლში (უფრო სწორად აფხაზეთ-ქართლში) კათალიკოსობის წლების განსასაზღვრავად, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია პროფ. ზ. ალექსიძის თვალსაზრისი. მისი სიტყვით, ქართლში გადმოსული ბაგრატ III-ის მოწინააღმდეგეთა შორის მისი დედა, იმ ხანად ქართლს გამეფებული დედოფალი გურანდუხტიც რომ იყო, ამ მხრივ „მატიანე ქართლისას“ ცნობა

¹² დიასამიძე ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 225–226.

¹³ იქვე, გვ. 226.

¹⁴ როგორც ცნობილია, ქართლის დიდი აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით ბაგრატ III-ის ქართლში გადმოსვლას მტრულად შეხვდნენ. იხ. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 276. ცხადია, ბაგრატ III-ს ქართლის სასულიერო წრეებს შორისაც მოწინააღმდეგენი ეყოლებოდა.

ატენის სიონში არსებული გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერით¹⁵ დასტურდება. ზალექსიდის თანახმად, უფლისციხის დაკავებისას ბაგრატ III-ს გურანდუხტ „ქართველთა დედოფლისა“ წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა, რის შემდეგაც დედა-დედოფალი დაახლ. 982 წელს „ფაქტიურად ექსორიაყო“ ქართლიდან. აფხაზეთში გაბრუნებულმა დედოფალიც ქუთაისს გაიყოლა¹⁶.

როგორც ჩანს, დაახლ. 982 წელს ქართლიდან დედოფალ გურანდუხტის „ექსორიას“ მოჰყვა საკათალიკოსო ტახტიდან სვიმონ III-ის გადაყენება. იმ დროიდან იგი აფხაზეთის კათალიკოსად იწოდა, ქართლის საკათალიკოსო ტახტი მელქისედეკ I-მა დაიკავა.

ამრიგად, არსენ II-ის გარდაცვალების (დაახლ. 980 წელი) შემდეგ, ქართლის საკათალიკოსო ტახტი სვიმონ III-ს ეკავა (როგორც ზემოთ ვნახეთ, კეკელიძის მიერ მიკვლეულ № 86 ხელნაწერში სვიმონ III ქართლის კათალიკოსადაა დასახელებული), მაგრამ ბაგრატ III-ის ნებით, დაახლ. 982 წელს, საქართველოს ეკლესიის საჭეთმკურობლად მისი ახლობელი („აღზრდილი“) მელქისედეკი იქნა დადგენილი, ამ დროიდან სვიმონ III აფხაზეთის კათალიკოსად იწოდა. მაგრამ მას არც დასავლეთ საქართველოში დასცალდა მოღვაწეობა. როგორც „მატიანე ქართლისას“ ავტორი წერს, ბაგრატ III-მ „...თეოდოსი მეფე, დედის ძმა მისი, [გააგზავნა] ტაოს წინაშე დავით კურაპალატისა, რამეთუ ესე საქმე გამონახა უმჯობესად, რათა ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სახეობა კეთილისა, გინა შიში უწესოებისათჳს მისა მიმართ აქუნდეს“¹⁷. აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, ბაგრატ III-მ ეს იმიტომ მოიმოქმედა, რათა „ქვეყნის ერთადერთი ბატონი ყოფილიყო“¹⁸. ერთიან სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, ერთიანი ეკლესია სჭირდებოდა. როგორც ჩანს, 982 წლის მომდევნო ახლო ხანაში მეფე თეოდოსის შემდეგ სვიმეონიც ტაოში გადავიდა, 1001 წლიდან კი ხახულის ლავრაში დაიდო ბინა (ეს, რა თქმა უნდა, ბაგრატ III-ის მოთხოვნით მოხდებოდა). იმ დროიდან იგი ნომინალურად იწოდებოდა „აფხაზეთა კათალიკოსად, რისი დასტურია ბაგრატის ტაძრის კურთხევისას (1003 წ.) და მელქისედეკ I-ის „დაწერილის“ დამოწმებისას (1033 წ.) მისი უსახელოდ მოხსენიება.

უფუნქციოდ დარჩენილი სვიმონ III, როგორც ჩანს, ძირითადად ხახულის ლავრაში იმყოფებოდა, თუმცა კვლავ აფხაზეთის კათალიკოსად იწოდებოდა.

1019 წლიდან ხახულის ლავრაში მყოფი გიორგი მთაწმიდელი, „სვიმეონ აფხაზეთისა კათალიკოსს“ რადგან თავის ერთ-ერთ გამზრდელად ასახელებს, ეს იმას მოწმობს, სვიმონ კათალიკოსი თავის დროისათვის განათლებული პიროვნება იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო მოიშალა, რასაც მოწმობს 1104 წლის რუის-ურბნისის „ძეგლისწერაში“ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად მხოლოდ იოანეს დასახელება. ბაგრატ III-ის მემკვიდრეების ზეობისას, კარგა ხნით, დასავლეთ საქართველოს ეკლესია, როგორც ჩანს, მცხეთის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა.

დაბოლოს, რაც შეეხება ჩემი კვლევის მთავარ მიზანს: თუ როდის დაიწყო მელქისედეკ I-მა მცხეთის სვეტიცხოვლის კათედრალის „ახლად შენება“.

¹⁵ წარწერაში ნათქვამია: „ჩ ეს მე, გერგიუმ ერჰასანის ძე ვინც ამას კითხულობს, ღმრთის მქანდაკეებელი [მოიხსენიეთ]. ბარგრატ აფხაზეთა მეფე როცა დედოფალს ქართველთა შეედავა და [სატახტო] (?) ოფლიცხე დაიკავა...“. იხ. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978, გვ. 51.

¹⁶ იქვე, გვ. 56–57. ზ. ალექსიძე ბაგრატ III-ის მიერ მეტოქე მეფის მოცილებას და ყველა „ურჩის“ შეცვლას „ერთგულითა და მისანდობლით“ დაახლ. 980 წლიდან დაახლ. 982 წლის ახლო ხანებით განსაზღვრავს (იქვე, გვ. 53–56).

¹⁷ მატიანე ქართლისა, გვ. 275–276.

¹⁸ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 126.

ამ საკითხზე კიდევ ერთხელ მოკლედ შემდეგი უნდა ვთქვა: ზემომოტანილი კვლევიდან გამომდინარე, მელქისედეკ I-ს რადგან დაახლ 982 წლიდან ეპყრა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტი და მის „დაწერილში“ ბიზანტიის იმპერატორები – ძმები ბასილი და კონსტანტინე, როგორც მშენებლობის შემწენი, ერთად იხსენიებიან, მეორე მხრივ 985 წლიდან ბასილ I ერთპიროვნული მმართველი იყო, კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე მელქისედეკი 985 წლის წინა ხანაში უნდა ჩასულიყო და იმპერატორი ძმებისგან საჩუქრად სათანადო სახსრები (აქ უპირველესად, კესტორის მონასტრის 105 სოფლის შემოსავალი იგულისხმება) მიეღო სვეტიცხოვლის ტაძრის „ახლად ასაშენებლად“. იმ დროს იმპერატორ ძმებს ქართველებთან, მართლაც, კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. 987 წელს, როგორც ზემოთ ვახვენე, ბასილ II-ის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა ფოკას მხარეზე დავით III-ის მონაწილეობის გამო, ბასილ II-ის დამოკიდებულება ქართველების მიმართ მკვეთრად შეიცვალა, რაც საბოლოო ჯამში დიდ სამხედრო შეტაკებებში გადაიზარდა. 987 წლის შემდეგ, საეკვოა ბასილ II-ს სვეტიცხოვლის მშენებლობისათვის რაიმე გაეღო.

თავი VII. სვეტიცხოვლის ტაძარი აღადგინეს თუ ახალი ააგეს?

975 წელს სვეტიცხოვლის ტაძარში (უნდა ვივარაუდოთ, აფხაზეთ-ქართლის კათალიკოსის არსენ II-ის კურთხევით), როგორც ითქვა, დემეტრე აფხაზთა მეფისა და მისი ძმის – თეოდოსის შერიგების (დაფიცების) ცერემონია შედგა¹. რაც იმის შესახებ მიგვითითებს, იმ ხანად ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული სვეტიცხოვლის ტაძარი ჯერ კიდევ მოქმედი იყო².

ამის შემდეგ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გავიდა მცირე ხანი და მელქისედეკ ქართლის კათალიკოსმა ერთი ვერსიით სვეტიცხოვლის აღდგენა-გადაკეთება დაიწყო, ხოლო მეორე ვერსიით სვეტიცხოვლის ახალი ტაძარი ააგო.

რამ აიძულა ქართლის კათალიკოსი სვეტიცხოვლის ტაძარზე ასეთი სამუშაოები ჩატარებინა?

ჩვენს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებში 975 წლის შემდგომ ახლო ხანაში მცხეთის მიდამოებში მიწისძვრაზე მითითება არაა³, ამის შესახებ არც მელქისედეკ კათალიკოსი გვატყობინებს. მელქისედეკი მის მიერ შედგენილ „მცხეთის საბუთში“ წერს: „მას ეამსა, უღირსი (ესე) ღირს ვიქმენ საჭეთ-პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოდსა ეკლესიისა... შევამკვე ყოვლითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედადაბურვითა...“⁴.

მოტანილ ამონარიდში მელქისედეკ კათალიკოსი ტაძრის მდგომარეობის არც ისე მძიმე სურათს წარმოგვიდგენს, რომ ხელახლა მისი აგება ყოფილიყო საჭირო. მელქისედეკი მხოლოდ „გარეთითა ბჭის“, „გარეშემო სტოითა“ და ტაძრის „ზედადაბურვის“ შესახებ წერს.

¹ მატიანე ქართლისა, გვ. 271–272.

² 487 წელს ქ. ანტიოქიაში ქართლის კათალიკოსად ხელდასმული პეტრე კაპადოკიელი, როცა ქართლში ჩამოვიდა სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა ვახტანგ გორგასალს უკვე დამთავრებული ჰქონდა. მაშინ მოხდა მისი საკათალიკოსო ტაძრად კურთხევა.

³ 986 წლის ოქტომბერში, 989 წლის 25 ოქტომბერსა და 1010 წლის იანვარ-მარტში მიწისძვრები კონსტანტინოპოლში აღინიშნა (იხ. Grumel V., დასახ. ნაშრომი, გვ. 486). იმ დროის ქართლში მიწისძვრის შესახებ ცნობები არა გვაქვს.

⁴ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 22.

ზემომოტანილ ცნობაში, როგორც ვხედავთ, ტაძრის ახლად აგება არ ივარაუდება. „მცხეთის საბუთში“ არსებულმა ასეთმა მითითებამ მისცა საფუძველი პროფ. ს. კაკაბაძეს, განეცხადებინა: „...1020–1031 წლებში მცხოვრებ მელქისედეკ კათალიკოსს არ ეკუთვნის სვეტიცხოვლის აშენება, ეს ცხადად ჩანს მის მიერ 1020 წელს მიცემული სიგელიდანაც“⁵. აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით კი: „მართლაც და, სვეტიცხოვლის აშენებაზე მელქისედეკის დაწერილში არაფერია ნათქვამი. მაგრამ გვაძლევს თუ არა ეს გარემოება მსგავსი დასკვნის გამოყვანის უფლებას? ფიქრობთ – არა“, – ასკვნის ნ.ბერძენიშვილი და დასძენს: „ჩვენს ძეგლში (იგულისხმება „მცხეთის საბუთი“. – ვ. გ.) არც ის არის ნათქვამი, თუ ვინ ააშენა სვეტიცხოველი და არც ის, – რომ ეს ტაძარი ჩვენი ძეგლის დამდებ მელქისედეკს არ აუშენებია. რომ ჩვენი ძეგლი პირმშო დედანი იყოს, ს. კაკაბაძის argumentum ad silentium-იც მართებული იქნებოდა. მაგრამ სიძნელეც იმაშია, რომ ჩვენი ძეგლი პირია (და, შესაძლებელია, არც პირველი პირი) და, რაც მთავარია, ის ნაკლულევანია და, საერთოდ, საკმაოდ დამახინჯებული, ხოლო სწორედ ის ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო ტაძრის შენებაზედ ლაპარაკი (თუ ასეთი რამ იყო), XII ს-ის პირს აკლია, და ხსენებულ ადგილს ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ XVII–XVIII ს-ის პირის მიხედვით, რომელსაც შეცდომა-დამახინჯების გზით კვლავ ახალი ნაბიჯები წარუდგამს წინ“⁶.

მელქისედეკ კათალიკოსის „მცხეთის საბუთი“ რომ ნაკლული, დამახინჯებული და მას სწორედ ის ადგილი აკლია (ჩემი ვარაუდით, საბუთი გადაკეთებულია), სადაც ტაძრის აგებაზე უნდა ყოფილიყო საუბარი, ეს ნათელია (ამ მხრივ ჩემს აზრს ქვემოთ წარმოვადგენ). მაგრამ ნ. ბერძენიშვილი ამ საბუთის XVII–XVIII საუკუნეების პირს რომ „უფრო დამახინჯებულად“ თვლის, არა მგონია, მთლად ასე იყოს.

„ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი „მატიანე ქართლისას“ ტექსტში ჩანართის სახით შეტანილ ცნობაში სვეტიცხოვლის ტაძრის მდგომარეობა უფრო დამძიმებულ ვითარებაში ჩანს. „...სვეტი-ცხოველი, რომელი ვახტანგ გორგასალს აღეშენა, – ნათქვამია ჩანართში, – დაძველებულ იყო და ჟამთა შლილობით გარშემო სტოანი და ბჭენი დაქცეულ იყო.“⁷.

ჩანართიდან ზემომოტანილ ცნობაში (ჩანართი მელქისედეკ კათალიკოსის მიერ შედგენილი „მცხეთის საბუთიდან“ ამოღებულად ითვლება. ს.ყაუხჩიშვილის თანახმად, ჩანართი „მატიანე ქართლისას“ ტექსტში „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხის რედაქტორის მიერაა შეტანილი)⁸, როგორც ვხედავთ, ტაძრის „ზედადაბურვაზე“ აღარაა მითითება.

თუ მხოლოდ „მცხეთის საბუთის“ XII ს-ის პირის ცნობებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ, მელქისედეკ კათალიკოსს ვახტანგ გორგასლისეული ტაძრისათვის „გარეთითა ბჭე“ (ე. ი. გარეთა შესასვლელი), „გარემშემო სტოანი“ (შენობის გარე გვერდებზე სვეტებიანი კამარები) „მოუქმნია“ (ამოუშენებია) და „ზედადაბურვის“ (გადახურვის) სამუშაოები ჩაუტარებია. ეს ყველაფერი, ცხადია, ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ბაზილიკური ტიპის ტაძრის ჯვარ-გუმბათოვან ტაძრად გადაკეთებასაც არ გულისხმობს, არა თუ ახლის აშენებას. მაგრამ, ნ. ბერძენიშვილის მიერ XVII–XVIII საუკუნეების პირად და „უფრო მეტად დამახინჯებულად“ მიჩნეულ „მცხეთის საბუთში“, საიდანაც ჩანართის ტექსტია ამოღებული, სვეტიცხოვლის ტაძრის მდგომარეობა ისეთ ვითარებაშია დახატული, რომ მისი „ახლად აღშენება“ იყო საჭირო. რაც თვით მცხეთის

⁵ კაკაბაძე ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

⁶ ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი..., გვ. 250–251.

⁷ მატიანე ქართლისა (ჩანართი), გვ. 282.

⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 282, შენ. 1.

სვეტიცხოვლის ტაძრის წარწერით დასტურდება. წარწერაში ნათქვამია: „ქ-ე ად-ე შ-ნ მი-რ დამყარებული მ-ფე ჩ-ნი ქ-ს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი რ-ნ მა მეორედ აღაშენა წ-დ კათო[ლ]იკე... სოლისა მათისა“⁹.

როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს, „თავის დროზე თ. ჟორდანიას ამ წარწერაში სწორედ იმის ცნობას ჰხედავდა, რომ ამ ბჭის აღმშენებელი მელქიზედეკ კ-ზი თვით სვეტიცხოვლის ტაძრის მაშენებელიც არის“¹⁰. მაგრამ, მაშინ ყველა ასე არ ფიქრობდა. თ. ჟორდანიას თანამედროვე ა. ნატროვი 1900 წელს სპეციალურად „მცხეთისადმი“ მიძღვნილ მონოგრაფიაში წერდა: ტაძრის წარწერაში მოხსენიებული მელქიზედეკ კათალიკოსი XI საუკუნეში (1020 წ.) ცხოვრობდა და ტაძარიც ძირითადად იმ შენობას წარმოადგენს, რომელიც V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ააშენა¹¹.

საკითხის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხელოვნებათმცოდნეთა აზრს. 1925 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აკად. გ.ჩუბინაშვილი მიუთითებს: სვეტიცხოვლის მელქიზედეკისეულ შენობაში „არის... უფრო ძველი შენობის ნაწილებიც, რომლებიც შეიძლება გამოიყოს ანალიზის შემწევობით, მაგრამ ისინი მელქიზედეკის ხუროთმოძღვრის მიერ მოქცეულნი არიან შენობის საერთო მწკრივში“¹². ამის შემდეგ გ. ჩუბინაშვილი უფრო აზუსტებს თავის აზრს და წერს: „მცხეთის საპატრიარქო ტაძარი... წარმოადგენს თავის ძირითადი ნაწილებით მელქიზედეკ კათალიკოსის შენობას, დასრულებულს 1020 წელს“¹³.

აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის შემდეგ უფრო დაბეჭდვით მიუთითებენ XI საუკუნეში სვეტიცხოვლის ტაძრის ახლად აშენების შესახებ¹⁴. აკად. ვ. ბერიძის თანახმად, „XI ს-ში დაზიანებული ბაზილიკის ადგილზე ქართლის კათალიკოსმა მელქიზედეკმა ახალი ტაძარი ააგო. მან ხუროთმოძღვრად არსუკიძე მიიწვია“¹⁵.

არსუკიძის მოღვაწეობის დროისათვის საქართველოში და, საერთოდ, ქრისტიანულ ქვეყნებში გუმბათიანი ტაძრების მშენებლობას უკვე ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა და მან ჯვარგუმბათოვანი ტიპის შესანიშნავი ტაძარი ააგო.

მკვლევართა ნაწილი ბაზილიკური ტიპის ნაგებობიდან გუმბათიანი ტაძრების მშენებლობაზე გადასვლას გარკვეულ პროცესთან, კერძოდ, ბიზანტინიზმის გამარჯვებასთან აკავშირებს.

მას შემდეგ, რაც დაახ. 487 წელს ანტიოქიის საპატრიარქოსაგან ქართლის ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა¹⁶, იგი თანდათან ჩამოშორდა სირიულ და ასურულ კულტურულ სამყაროს. ამ პროცესს ზედ დაერთო ბიზანტინიზმის¹⁷ გამარჯვება. ამ დროს, – წერს აკად. კ. კეკელიძე, – მოხდა „გადაფასება რელიგიურ-კულტურული წარსულისა“. მოიშალა „ყოველგვარი კვალი

⁹ ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი..., გვ. 255–256. წარწერის ტექსტი განსხვავებულად არის წარმოდგენილი ახალ გამოცემაში (იხ. ქვემოთ, გვ.).

¹⁰ ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 255; ჟორდანიას თ., ქრონიკები, I, გვ. 176.

¹¹ Натроев А., Мухета и его собор..., გვ. 178.

¹² ჩუბინაშვილი გ., ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი (მხატვრული შედარების ცდა), ტფილისი, 1925, გვ. 110.

¹³ იქვე, გვ. 125–126.

¹⁴ ეს საკითხი ვრცლად გააანალიზა აკად. ნ. ბერძენიშვილმა ს. კაკაბაძის დებულებათა უარყოფისას (იხ. მისი, მცხეთის საბუთი..., გვ. 250 და შემდეგი). მისი დასკვნით, „ზოგჯერ აშენება“ ახლის აგებას ნიშნავდა, „ზოგჯერ კი ის მხოლოდ გადაკეთებას, განახლებას, რესტავრაციას გულისხმობდა“ (იქვე, გვ. 273, 277–278). ვრცელი მსჯელობის მიუხედავად, მელქიზედეკის მიერ სვეტიცხოვლის ტაძრის ახლად აგების საკითხი მან ღიად დატოვა (იქვე, გვ. 278).

¹⁵ ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 54.

¹⁶ ამ საკითხზე იხ. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თავი X.

¹⁷ ბიზანტინიზმის განამარტება იხ. ს. ყაუხჩიშვილის, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, გვ. 25.

აღმოსავლური იდეოლოგიისა და ნიადაგი მოუმზადა ორთოდოქსალურ ბიზანტინიზმს¹⁸. ამის შემდეგ იმპერიის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ სავანეებში მოღვაწე ქართველთა წინაშე დღის წესრიგში დადგა ქართულ ენაზე ადრე სირიულიდან ნათარგმნი წმინდა წიგნები, ახალი დროის მოთხოვნის შესაბამისად, ბერძნული რედაქციის მიხედვით გაემართათ. ამ მხრივ დიდი გულმოდგინებით იღვაწეს ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებმა.

სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, ბიზანტინიზმის გამარჯვებამ არქიტექტურაზეც მოახდინა გავლენა. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ სომხურ და ქართულ არქიტექტურაში?

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა VI-VII და VIII ს-ის დამდეგის სომხეთში მიმდინარე ლიტერატურული ძვრების არქიტექტურასთან კავშირის შესახებ გამოთქმული მოსაზრება: „იმ ხანებში, როდესაც ბიბლია ასურულიდან ითარგმნებოდა სომხურზე, ამის პარალელურად სომხეთში სჭარბობდა ასურული ტიპის სამნავიანი ბაზილიკების მშენებლობა (ასეთებია: ერერუიქის ბაზილიკა, ტეკორი, ოძუნ-უზუნლარი და სხვა). როდესაც ბიბლიას ბერძნულიდან თარგმნიდნენ, მაშინ მის პარალელურად შენდებოდა ცენტრალურ-გუმბათოვანი ჯვრის ტიპის ეკლესიები (ასეთებია: რიფსიმეს ტაძარი, ადიამანი, სისიანის ყარაქილისა, არამუსი და სხვა). ხოლო როდესაც ასურულიდან ნათარგმნი ბიბლიას ამოწმებდნენ და ასწორებდნენ ბერძნულის მიხედვით, მაშინ ხდებოდა ბაზილიკური ეკლესიების გუმბათოვანი ტაძრებად გადაკეთება-აშენება (ასეთებია ტეკორის ტაძარი, ოძუნ-უზუნლარი და სხვა)¹⁹.

როგორი ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში? ისევე როგორც სომხეთში, საქართველოშიც ხომ დაიწყო ადრე ასურულიდან ნათარგმნი წმინდა წიგნების ბერძნულის მიხედვით გამართვა?

რამდენად იყო საქართველოში დაკავშირებული ბაზილიკის ტიპის ეკლესიათა გადაკეთება ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიებად ასურულიდან ნათარგმნი წმინდა წიგნების ბერძნულის მიხედვით გამართვასთან, ძნელი სათქმელია, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ბიზანტიის საიმპერატორო კარისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქთა მთავარი სამლოცველო, ყველა არქიტექტორისათვის მისაბაძი წმ. სოფიის გუმბათიანი ტაძარი ბაზილიკის ტიპის შენობაზე იქნა დაშენებული (მშენებლობა დამთავრდა 537 წ.)²⁰, როგორც ჩანს, ასეთი გადაკეთება მისაბაძი გახდა საქართველოშიც. ალბათ, არაერთი ბაზილიკური ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობად გადაკეთდა, მათ შორის შეიძლება დავასახელო IV ს-ში აგებული ციხეგოჯის 40 წამებულთა სახელობის ეკლესია, წყაროსთავის VI ს. ეკლესია ჯავახეთში, დაბოლოს, მცხეთის სვეტიცხოველი, ტაძარი, რომელშიც 975 წელს შერიგების ცერემონიალი შესრულდა, სულ მოკლე ხანში ახლად ასაგები გამხდარა. რადგან ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ტაძარი „დაძველებულ იყო და ჟამთა შლილობით გარშემო სტოანი და ბჭენი დაქცეული იყო“.

¹⁸ კეკელიძე კ., საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ. კტიუდები..., ტ. I, თბ., 1956, გვ. 23.

¹⁹ მელიქსეთ-ბეგი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1914, გვ. 57.

²⁰ ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 132.

თავი VIII. როლის და ვისი საფასით აიბო სვეტიცხოველი

ჩემ მიერ წამოყენებული თვალსაზრისი ქართლის კათალიკოსად ბაგრატ III-ის მიერ მეღქისედეკ I-ის დაახლ. 982 წელს დადგენის შესახებ, როგორც ვხედავთ, ქართულ მეცნიერებაში მეღქისედეკ I-ის აღსაყდრების თარიღად მიღებულ 1010 წელს ეწინააღმდეგება. ამიტომ, ახლა უნდა გავარკვიო, რამდენად შეესაბამება ეს თარიღი ისტორიულ რეალობას, რას ეფუძნებიან ის მკვლევრები, რომლებიც მეღქისედეკ I-ის მიერ ქართლის კათალიკოსის ტახტის დაკავების თარიღად 1010 წელს მიუთითებენ.

ქართველი მკვლევრები მეღქისედეკ I-ის აღსაყდრების წელს უშუალოდ აკავშირებენ მის მიერ სვეტიცხოვლის ტაძრის ახლად აშენების სამუშაოების დაწყებას. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი ადვილად გადაწყდებოდა სვეტიცხოვლის ტაძრის კედლებზე სამუშაოს დაწყების თარიღზე ქტიტორს რომ სათანადო მითითება გაეკეთებინა. მაგრამ არც სვეტიცხოვლის ტაძრის ქტიტორსა და არც იმ დროის მემკვიდრეებს ამ უდიდესი და მეტად მნიშვნელოვანი ძეგლის მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების შესახებ ცნობა არ დაუტოვებიათ. ტაძარზე არსებული წარწერები მხოლოდ მეღქისედეკისა და არსუკიდის დავაწლის შესახებ მოგვითხრობენ.

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, შუა დეკორატიული თაღის ქვემოთ, თორმეტ დისკოზე არსებულ წარწერებს ასე კითხულობენ: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მეღქისედეკ ქართლისა კათალიკოზი ამენ. აღეშენა ესე წმიდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკიდისაითა ღმერთმან განუსუენე სულსა მისსა“¹. ტაძრის ჩრდილო ფასადზე, მთავარი სარკმელის ზემოთ, ორ ქვაზე არსებულ წარწერაში კი აღნიშნულია: „ხელი მონისა არსუკიდისაჲ შეუნდვეთ“ (ამ ორ ქვას შორის ჩასმულია მესამე ქვა ქვახელისა და გონიოს რელიეფით)².

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის წარწერებში, როგორც ვხედავთ, არაფერია ნათქვამი თუ როდის დაიწყო ან დამთავრდა მისი მშენებლობა, ამიტომ ტაძრის მშენებლობის დროის საკითხით დაინტერესებული მკვლევრები ამ პრობლემის გადასაჭრელად ძირითადად მეღქისედეკის „მცხეთის საბუთში“ არსებულ ცნობებს იყენებდნენ. მშენებლობის დამთავრების განსასაზღვრავად მასში ამ ანდერძის შედგენის თარიღად აღნიშნულ 1020 წელს უთითებდნენ. რაც შეეხება ტაძრის მშენებლობის დაწყების თარიღად დღეისათვის მიღებულ 1010 წელს, ეს წელი, როგორც ზემოთაც ითქვა, მეღქისედეკ I-ის აღსაყდრების თარიღადაცაა მიჩნეული, და, ცხადია, საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რას ემყარება იგი.

როცა მეღქისედეკ კათალიკოსის აღსაყდრების თარიღად ქართულ მეცნიერებაში მიღებული 1010 წლის (აქედან გამომდინარე, მის მიერ სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დაწყების) რეალურობის საკითხით დავინტერესდით, უპირველეს ყოვლისა, აკად. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“ (ტომი II) ჩავიხედე. ეს წიგნი 1914 წლის გამოცემას ეყრდნობა³, ამიტომ მასში ბ-ნ ივანეს გვიანდელი ჩასწორებები არაა გათვალისწინებული. მეღქისედეკის „დაწერილის“ თარიღად 1020 წელია მითითებული⁴. რაც მთავარია, ამ წიგნში ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის (რომელთა ზეობის ხანაშიც, დღეს მიღებული თვალსაზრისით, სვეტიცხოველი აშენდა) შესახებ ისე მოგვითხრობს, სვეტიცხოველზე არაფერს წერს⁵. ასევე, 1926 წელს გამოცემულ „ქართულ პალეოგრაფიაში“ ივ. ჯავახიშვილი „მცხეთის

¹ ანდლულაძე ნ., სვეტიცხოვლის კომპლექსი, გვ. 262.

² იქვე.

³ რელაქტორისაგან. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბ., 1983, გვ. 02.

⁴ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია. თხზ., ტ. II, გვ. 15, 66.

⁵ იქვე, გვ. 123–136; 317–323.

საბუთს“ თუ 1020 წელს შედგენილად თვლიდა⁶, 1930 წელს გამოქვეყნებულ „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში“ (წიგნი I), 1020 წელი მცდარად მიიჩნია და ამ საბუთის შედგენის თარიღიც 1040 წელი მიუთითა⁷.

რა მოხდა, რატომ შეიცვალა ბ-მა ივანემ თავისი აზრი?

საქმე ისაა, რომ სწორედ 1930 წელს გამოქვეყნდა აკად. ნ. ბერძენიშვილის ჩემ მიერ არაერთხელ დამოწმებული ვრცელი გამოკვლევა – „მცხეთის საბუთი XI საუკუნის“, სადაც დეტალურადაა გაანალიზებული ამ საბუთის შექმნისა და შედგენილობის შესახებ წინამორბედ მკვლევართა მოსაზრებები. „მცხეთის საბუთში“ მელქისედეკ კათალიკოსის მიერ საბუთის შედგენის დროდ მითითებული 1020 წელი (სმ), მან მცდარად ჩათვალა⁸. ქრონიკონი ს~მ, – წერს ნ. ბერძენიშვილი, – თავის ადგილზე არ არის, ის ტექსტის სხვა ადგილიდანაა გადასმული ან გადამწერის მიერ აშიიდან არის შეტანილი ტექსტში⁹. რადგან რომანოზ არგირი 1028 წლის 28 ნოემბრის შემდეგ დღეებში გამეფდა, ქრონიკონი სმ თუ დედნისეულია და იგი გადამწერის მიერ ტექსტში არაა შეტანილი, მაშინ დ. ჩუბინაშვილთან და მ. ბროსესთან ერთად უნდა დაუფიქროთ, რომ მას ერთეულის აღმნიშვნელი ასო აკლია. ასეთი ასო მხოლოდ თ-ანი შეიძლება ყოფილიყო¹⁰. მისივე სიტყვით, „ერთად ერთი გამოსავალი ამ თარიღის გადასარჩენად არის მისი შესწორება ს~მთ ქრონიკონად = (1029 წ.), ე. ი. აღიარება, რომ XII ს-ის პირის გადმომწერმა შეცდომა დაუშვა თარიღის რიცხვის გადმოცემაში“¹¹.

„მცხეთის საბუთის“ შედგენის თარიღად, როგორც ჩანს, თვით მელქისედეკ კათალიკოსის მიერ მითითებული სმ – 240 ქრონიკონის (1020 წელი) ნაცვლად ასე იქნა მიღებული 1029 წელი (სვეტიცხოვლის მშენებლობის დამთავრების თარიღი).

ნ. ბერძენიშვილის თანახმად, ასევე, საერთოდ, მიღებული თარიღია მელქისედეკის კათალიკოსად კურთხევის 1010 წელი¹². ნ. ბერძენიშვილის მტკიცებით, 1010 წლის სისწორეს შემდეგი ადასტურებს: მელქისედეკ კათალიკოსმა თავის „დაწერილში“ აღი ამირას გვერდით „რანთა და კახთა მეფე“ რომ არ „მოიხსენა“, ეს იმაზე მიგვითითებს, ბაგრატ III-ს ისე როგორც ქართლზე, ჰერეთ-კახეთზეც ხელი მიუწვდება და ეს ის დროა, როცა მან „დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წარმოიყვანა კვირიკე, დაიმჭირა თვისსა კარსა ზედა“¹³. ამ უკანასკნელ ამბავს კი რადგან ადგილი ჰქონდა 1011 წელს (ე.ი. 1011 წლიდან ვიდრე 1014 წლამდე ბაგრატ მეფემ შეუვალობა მიანიჭა მცხეთის მამულებს), ამ დროიდან, როგორც ჩანს, მესხეთსა და ქართლში, ისე ჰერეთ-კახეთშიც ბაგრატ III-ს ხელი მიუწვდებოდა. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, – დასძენს ნ. ბერძენიშვილი, – მაშინ დასტურდება აგრეთვე მელქისედეკის კათალიკოსად კურთხევის საერთოდ მიჩნეული თარიღი – 1010 წელი¹⁴.

⁶ ჯავახიშვილი ივ., ქართული დამწერლობათ-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფილისი, 1926, გვ. 77, 84.

⁷ ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი, მეორე ახლად დაწერილი გამოცემა. ტფილისი, 1930, გვ. 99–100.

⁸ 1020 წლის სანდლობაში ეჭვი ჯერ კიდევ მარი ბროსემ შეიტანა. იხ. ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი..., გვ. 230. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის 232 გვერდზე 1020 წლის მცდარობის შესახებ ნ. ბერძენიშვილი თვით იმოწმებს ივ. ჯავახიშვილის ეკონომიკურ ისტორიას, I (გვერდისა და გამოცემის წელის მითითების გარეშე), საეჭვოდ არ მენჯენება, პირიქით, ივ.ჯავახიშვილმა ნ. ბერძენიშვილის ნაშრომის გავლენით რომ უარყო 1020 წლის რეალურობა. ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისს ბ-ნი ივანე შეიძლება პირად საუბარშიც გაცნობოდა.

⁹ ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი, გვ. 239.

¹⁰ იქვე, გვ. 235.

¹¹ იქვე, გვ. 239.

¹² იქვე, გვ. 245.

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე.

ასე გაიმართა მეღქისედეკ I-ის აღსაყდრების წლად 1010, ხოლო მის მიერ „დაწერილი“ სიგელის („მცხეთის საბუთის“) შედგენის თარიღად – 1029 წელი. თუმცა, იმ ხანად ეს წლები ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების თარიღებად (ამის შესახებ თვით ნ. ბერძენიშვილიც არაფერს წერს).

ნ. ბერძენიშვილის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დათარიღების საკითხში გარდატეხა 1942 წელს მოხდა. ამ წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში ლ. მუსხელიშვილმა სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დაწყება დაახლ. 1010, ხოლო დამთავრება 1029 წლით დაათარიღა.

მეღქისედეკ კათალიკოსის მიერ შედგენილი ანდერძი (ე. ი. „მცხეთის საბუთი“. – ვ. გ.), – წერს ლ. მუსხელიშვილი, – „სვეტი-ცხოვლის ტაძრის აშენებაზე რატომღაც დუმს“, „ჩვენამდე არ მოუღწევია არც მეღქიზედეკის „დაწერილს“, მიცემულს სვეტი-ცხოვლისათვის 1029 წელს¹⁵ და არც დედანს მისი ანდერძისას, რომელიც შედგენილია 1031–1033 წლებში და რომელშიც პირველ ნაწილად შეტანილია 1029 წლის „დაწერილიც“. „ამ ანდერძის უძველეს ჩვენამდე მოღწეულ პირს XII საუკუნისას სწორედ ის ადგილი აკლია, სადაც ტაძრის შენებაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი“¹⁶. მეორე მხრივ, – დასძენს ლ. მუსხელიშვილი, – რადგან „დაწერილი“ შედგენილ იქნა 1029 წელს („ქრონიკონ იყო სმ[თ]), თავში კი ნათქვამია: „ეს დაწერილი მოვაკსენე და შევწირე... საყდარსა მცხეთისასა... ჩუენ... ქართლის კათალიკოზ-პატრიარქმან მეღქიზედეკ მას ჟამსა ოდეს... ღირს ვიქმენ საჭეთ პერობად წმიდისა ამის ტაძრისა“ – „...გამოდის, რომ მეღქისედეკს თავისი „დაწერილი“ შეუდგენია და სვეტი-ცხოვლისათვის მოუხსენებია მაშინ, როდესაც ის კათალიკოსად დაჯდა, ე. ი. 1010 წლის ახლო“¹⁷.

ამის შემდეგ ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს: წინადადება „მას ჟამსა, ოდეს... ღირს ვიქმენ საჭეთ პერობად... კათოლიკე ეკლესიისა“, უნდა მიეკუთვნოს მომდევნო ტექსტს“, რის შემდეგაც დაასკვნა: „ამნაირად შესწორებული ტექსტი ჩვენ გვაუწყებს არა მარტო იმას, რომ მეღქისედეკს სვეტი-ცხოვლის ტაძარი აუშენებია, არამედ იმასაც, რომ ეს მშენებლობა თავისი კათალიკოსობის პირველსავე წელს დაუწყია...“, „მაშასადამე, ჩვენ ვღებულობთ *საკმაოდ ზუსტ თარიღებს* სვეტი-ცხოვლის ტაძრის მშენებლობის დაწყებისას: იგი დაიწყო 1010 წლის ახლ. და დამთავრდა 1029 წელს... „დაწერილი“, მის მიერ „ნაქმარის“ აღნუსხვით, მეღქიზედეკს მაშინ უნდა შეეგდინა და მოეხსენებინა ახალი ტაძრისათვის, როდესაც მშენებლობა დამთავრდა და ახალი შენობა მზად იდგა, ისე რომ, ჩვენი საბუთი ზემოთ არჩეულ წარწერებსაც ეჭვმიუტანელად 1029 წლით ათარიღებს“¹⁸. „რაკი მშენებლობა დაახლ. 19-20 წელიწადს გაგრძელდებოდა, აქედანაც კიდევ ერთხელ ჩანს, რომ მეღქიზედეკის „ნაქმარი“ არ შეიძლება მანამდე არსებული ძველი ნაგებობის თუნდაც ძალიან საფუძვლიანი შემკობა ანდა გადაკეთება ყოფილიყო, არამედ ეს იყო ძირითადად *სრულებით ახალი შენობის აგება*, რომლის „საერთო მწკრივში“ ხუროთმოძღვარს „უფრო ძველი შენობის ნაწილებიც“ (ნ. ჩუბინაშვილი) მოუქცევია“¹⁹.

¹⁵ 1029 წელი, როგორც ვნახეთ, „მცხეთის საბუთის“ ტექსტში ნ. ბერძენიშვილის მიერაა ჩასწორებული.

¹⁶ მუსხელიშვილი ლ., მცხეთის სვეტი-ცხოვლის უძველესი წარწერები, გვ. 139.

¹⁷ იქვე, გვ. 140.

¹⁸ იქვე, გვ. 141.

¹⁹ იქვე.

საკმაოდ ვრცელი ამონაწერის მოტანა მომიხდა, რათა მკითხველისათვის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის „საკმაოდ ზუსტი თარიღების“ დადგენის ღ. მუსხელიშვილისეული დასაბუთება მეჩვენებინა²⁰.

რა შეიძლება ითქვას ზემომოტანილი მსჯელობის შესახებ?

უპირველეს ყოვლისა, ის, რომ 1. „ქრონიკონი სმ[თ]“, საიდანაც ღ.მუსხელიშვილმა 1029 წელი მიიღო, „თ“ (ე. ი. რიცხვი 9) ნ. ბერძენიშვილის აღდგენას წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, ამ წლით სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დამთავრება პირობითია.

2. ჩვენ არანაირი ხელმოსაკიდი მასალა არა გვაქვს მეღქისედეკ I-მა სწორედ „1010 წლის ახლ.“ (ე. ი. ახლო ხანაში. – ვ. გ.) რომ დაიკავა ქართლის საკათალიკოსო ტახტი (ამის შესახებ თავის ვრცელ გამოკვლევაში აკად. ნ.ბერძენიშვილი არაფერს წერს და ამ თარიღის სისწორე არც სხვა მკვლევრებს დაუსაბუთებიათ). აღნიშნულიდან გამომდინარე, მცხეთის სვეტიცხოვლის კათედრალური ტაძრის მშენებლობის დაწყების თარიღად ღ. მუსხელიშვილის მიერ მიღებული 1010 წელი მხოლოდ „მცხეთის საბუთში“ „რანთა და კახთა მეფის“ მოუხსენებლობის ფაქტს ემყარება. მიუხედავად იმისა, რომ 1010 წლის სისწორე არც რეალურ-ისტორიულ მასალაზე არაა დაფუძნებული, იგი მაინც მისაღები გახდა ქართველი მეცნიერებისათვის. ასე მაგალითად, 1946 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში «Мцхета» ნ. სევეროვმა და ვ. ჩუბინაშვილმა აღნიშნეს: «Новейшие изыскания установили, что строительство католикося Мельхиседека и последовавшее затем полное и пышное оборудование собора... заняло в общем все время патриашества Мельхиседека и длилось около двадцати лет, начиная с 1010 г. и по 1029 г. включительно»²¹.

ხელოვნებათმცოდნეობისა და ქართული არქიტექტურის ისტორიის გამოჩენილ მკვლევართა მიერ სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის ღ.მუსხელიშვილისეული თარიღების გაზიარება ბევრს ნიშნავდა. ამის შემდეგ ეს თარიღები დამკვიდრდა ქართულ მეცნიერებაში²². აკად. ვ. ბერიძემ 1985 წელს ქართულ ენციკლოპედიაში მოთავსებულ წერილში „სვეტიცხოველი“, სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის თარიღად ყოველგვარი შენიშვნის გარეშე 1010–1029 წლები მიუთითა²³.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის თარიღებად (დასაწყისი 1010 წ., დამთავრება 1029 წ.) მიღებული წლების სისწორე, თითქოს, გადასინჯვას არ საჭიროებდა. ქართული საზოგადოება და მეცნიერების ყველა დარგის წარმომადგენელი ღრმად და დარწმუნებული (ეს ახლაც ასეა) სვეტიცხოვლის მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების თარიღებად მიღებული წლების ჭეშმარიტებაში. ასეთი ვითარების მიუხედავად, 1988 წელს უურნალ „მაცნეში“ გამოქვეყნდა ახალგაზრდა მკვლევრის ზურაბ ჯამბურისა წერილი „მცხეთის XI საუკუნის საბუთისა და სვეტიცხოვლის მშენებლობის თარიღისათვის“. დასახელებულ გამოკვლევაში

²⁰ აკად. ვ. ბერიძე წერდა: „ისტორიკოსმა ღ. მუსხელიშვილმა გამოარკვია, რომ არსუკიძეს სვეტიცხოვლის აგება დაუწვია 1010 წელს, მეღქისედეკ კათალიკოსის ტახტზე ასვლისთანავე. მშენებლობა 1029 წელს დამთავრდა და, როგორც წარწერებიდან ჩანს, იმავე წელს გარდაიცვალა თვით ხუროთმოძღვარიც“. იხ. ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 28.

²¹ Северов Н. Чубинашвили Г., Мцхета. М., 1946, გვ. 15.

²² მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დამთავრების თარიღის დასამკვიდრებლად მეტად მნიშვნელოვანი იყო აკად. ს. ჯანაშიას მიერ მისი შეტანა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში 1946 წელს (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. ნაწ. I, თბ., 1946, გვ. 176). ამ წიგნის 1940 (გამოქვეყნდა ხელნაწერის უფლებით) და 1943 წლის (I გამოცემა) გამოცემებში სვეტიცხოველი საერთოდ არაა ნახსენები (გვ. 143–145; 113–115).

²³ ბერიძე ვ., სვეტიცხოველი. ქსე, ტ. 9.

ზ.ჯამბურია მარი ბროსედან მოკიდებული ყველა იმ მკვლევრის თვალსაზრისი გააანალიზა, ვისაც „მცხეთის საბუთში“ სვეტიცხოვლის მშენებლობის დამთავრების თარიღად მითითებული 1020 წლის შესახებ აზრი ჰქონდა გამოთქმული²⁴.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მკვლევართა უმრავლესობა „მცხეთის საბუთში“ სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დამთავრების თარიღად მითითებული 1020 წლის რეალურობას ამ საბუთში ბიზანტიის იმპერატორების: კონსტანტინე VIII-ისა და რომან III-ის მოხსენიების გამო უარყოფდა. მათი მტკიცებით, დასახელებულმა პირებმა შესაბამისად რადგან 1025 და 1028 წელს დაიკავეს საიმპერატორო ტახტი, ისინი 1020 წელს შედგენილ საბუთში არ უნდა იხსენიებოდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, „მცხეთის საბუთი“ 1028 წლის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი. ასეთი თვალსაზრისის გასამყარებლად ჩასვა აკად. ნ. ბერძენიშვილმა „მცხეთის საბუთში“ 1020 წლის ნაცვლად 1029 წელი.

ზ. ჯამბურიას თანახმად, „მცხეთის საბუთის“ ის ადგილები, სადაც კონსტანტინე VIII (1025–1028) და რომანოზ III (1028–1034) არიან მოხსენიებულნი, 1020 წლის საბუთში გვიან უნდა იყოს ჩამატებული. ეს პროცესი მას ასე აქვს წარმოდგენილი: მელქისედეკ კათალიკოსმა, – წერს ზ. ჯამბურია, – თავისი მოღვაწეობის ანგარიში შეადგინა 1020 წ. და საბუთს აღნიშნული თარიღი დაუსვა. ბუნებრივია, აქ არ იქნებოდნენ მოხსენიებულნი ბიზანტიის კეისრები კონსტანტინე VIII და რომანოზ III²⁵. მელქისედეკი, როგორც კათალიკოსი, – დასძენს ზ. ჯამბურია, – ამის შემდეგაც ზრუნავდა სვეტიცხოვლის ქონების შესაძენად და, როგორც საბუთიდან ჩანს, ბიზანტიის კეისრებისაგან ძღვნად მიიღო „ხატი ოქროდსად“ და “შესამოსელი ოქროქსოილი“ 1025 წლიდან 1033 წლამდე, და 1031–1033 წლებში როცა მელქისედეკმა ანდერძი დაწერა, მასში 1020 წელს შედგენილი საბუთიც შეიტანა, თუმცა, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „არა მექანიკურად და სრულიად უცვლელად, არამედ შეცვლილი“²⁶. საბუთის გამაერთიანებელმა პიროვნებამ საბუთის თარიღი – 1020 წ. უცვლელი დატოვა და იგი შეავსო მომდევნო დროის ამბებით, რადგან ისინი თემატურად ამ ადგილს შეესაბამებოდნენ²⁷. ამის შემდეგ ზ. ჯამბურია ასკვნის: „მცხეთის საბუთის“ პირველი ნაწილის თარიღია 1020 წელი და, შესაბამისად, სვეტიცხოვლის მშენებლობის დამთავრებაც უნდა დათარიღდეს იმავე 1020 წლით და არა 1029 წლით, როგორც ეს არის მიღებული²⁸.

როგორც მოსალოდნელი იყო, ზ. ჯამბურიას გამოკვლევა და მის მიერ მიღებული დასკვნა „მცხეთის საბუთის“ პირველ ნაწილში სვეტიცხოვლის მშენებლობის დამთავრების თარიღად მითითებული 1020 წლის რეალურობის შესახებ, უყურადღებოდ დარჩა. 1990 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში“ სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის თარიღებად კვლავ 1010–1029 წლებია მითითებული²⁹ (ზ.ჯამბურიას გამოკვლევა ამ ტომისადმი დართულ ბიბლიოგრაფიაშიც კი არაა ასახული³⁰).

იმის გასარკვევად, თუ როდის უნდა დაწყებულიყო მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა, ზემოთ ვრცლად ვისაუბრე და სათანადო კვლევის შედეგად ვაჩვენე, თუ როდის უნდა დაეკავებინა მელქისედეკ I-ს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტი და როდის უნდა

²⁴ ჯამბურია ზ., მცხეთის XI საუკუნის საბუთისა და სვეტიცხოვლის მშენებლობის დათარიღებისათვის. მაცნე ისტორიის... სერია. 1988, № 1, გვ. 105–109.

²⁵ იქვე, გვ. 110.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე, გვ. 111.

²⁸ იქვე.

²⁹ ანდლულაძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

³⁰ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი 5, თბ., 1990, გვ. 470–471.

დაეწყო სათანადო სამუშაოები სვეტიცხოვლის ტაძრის „ახლად ასაშენებლად“. რაც შეეხება სვეტიცხოვლის მშენებლობის თარიღებად ქართულ მეცნიერებაში დამკვიდრებულ 1010 და 1029 წლებს, მათი რეალურობა, როგორც ვნახეთ, საეჭვოა. სამართლიანად სცადა მისი უარყოფა ზ. ჯამბურამ, მაგრამ რამდენად სწორია მის მიერ სვეტიცხოვლის მშენებლობის დამთავრების თარიღად მიჩნეული 1020 წელი? ერთ რამეში ზ. ჯამბურიას, ასევე იმ მკვლევრებს, რომლებსაც 1020 წელი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დამთავრების თარიღად მიაჩნდათ (თ. ჟორდანიას, ა. ნატროშვილი, ს. კაკაბაძე, ა. შანიძე, საურმაგ კაკაბაძე³¹), უნდა დავეთანხმო. 1020 წლისათვის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა, მართლაც, დამთავრებული უნდა ყოფილიყო.

„მცხეთის საბუთში“ სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დამთავრების თარიღად მითითებული 1020 წლის სანდოობაზე როცა ვსაუბრობთ, ერთ საკითხში უნდა შევთანხმდეთ. ამ საბუთის პირველ ნაწილად მიჩნეულ მონაკვეთში მითითებულ „ს~მ“-ს გადაკეთების არავითარი კვალი არ ამჩნევია და გარკვევით იკითხება „ქრონიკონი იყო ს~მ“³². სხვადასხვა დროს შედგენილი საბუთების გაერთიანებისას, თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში „მცხეთის საბუთად“ (მელქისედეკის „დაწერილი“) ცნობილ დოკუმენტში ადრინდელი საბუთის თარიღი თავის ადგილას უცვლელადაა დატოვებული (ამიტომ გაერთიანებულ საბუთს თარიღი შუაში უზის)³³.

„მცხეთის საბუთში“ 1020 წელი თუ დედნისეულია, მაშინ ჩემი დაკვირვებით, მელქისედეკ კათალიკოსის მიერ შედგენილი ამ დოკუმენტის გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს, მელქისედეკს სულაც არ ჰქონდა მიზნად ის დიდი სამუშაო წარმოეჩინა, რომელიც მან ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული და „უამთა ვითარებისაგან“ დაქცეული სვეტიცხოვლის ძველი ტაძრის ადგილზე ახალი ტაძრის ასაგებად გასწია. მელქისედეკის სიტყვები: „...მას უამსა, ოდეს უღირსი [ესე] ღირს ვიქმენ საჭეთ-პერობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოესა ეკლესიისა და შევამკევ სალხინებელად სულისა ჩემისა და წარსამართებელად ქრისტიანეთა. და შევამკევ ყოველითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარშემო სტოითა მოქმნითა და ზედადაბურვითა“³⁴, როგორც ზემოთაც ვთქვი, სვეტიცხოვლის ტაძრის არა თუ ახლად აგებას, ძველის საფუძვლიანად გადაკეთებასაც არ გულისხმობს. თავის „დაწერილ“ საბუთში მელქისედეკი ცდილობს, მისადმი ნაბოძები ფასეულობანი, ასევე ის საეკლესიო ნივთები და სოფლები წარმოაჩინოს, რომლებიც მან სვეტიცხოვლის ტაძრის „გარეთითა ბჭითა და გარშემო სტოითა მოქმნისა და ზედადაბურვის“ შემდეგ ტაძრისათვის შეიძინა. ძნელი წარმოსადგენია საბუთში დასახელებული უზარმაზარი სიმდიდრე მელქისედეკს სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის პარალელურად შეეძინა. სვეტიცხოვლის შემკობა „ყოველითა სამკაულობითა ოქროთა და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა და საღ(მრ)თოთა [წივნთა] დაწერითა“, სვეტიცხოვლის ტაძრის „ოქროთა და ვეცხლით“ მოჭედვა; „წ(მი)დად ს(ა)კურთხეველის [ოქროთა] და ვეცხლითა, თუალითა და მარგ(ა)ლიტითა“ მოჭედვა; „კანკელისა და საკურთხეველის კართა ოქროთა და ვერცხლით“ მოჭედვა³⁵ და სხვა მრავალი ჩამონათვალი ისეთ ფულად სახსრებს მოითხოვდა,

³¹ ამ საკითხზე იხ. ზ. ჯამბურიას დასახ. ნაშრომი, გვ. 105–109.

³² იქვე, გვ. 105. შდრ., დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 21.

³³ ჯამბურია ზ., დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

³⁴ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 22.

³⁵ იქვე.

ძნელი წარმოსადგენია სვეტიცხოვლის მაშენებელ კათალიკოსს საქართველოში (თუნდაც ბიზანტიაში) ტაძრის მშენებლობის ხანებში მოეძია³⁶.

„ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაში შეტანილ იმ ჩანართში, რომელიც „მელქისედეკის დაწერილიდან“ ამოღებულად ითვლება³⁷, ხომ პირდაპირაა თქმული: „...დიდი ესე კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი, რომელი ვახტანგ გორგასალსა აღეშენა, დაძველებულ იყო და ჟამთა შლილობით გარეშემო სტოანი და ბჭენი დაქცეულ იყო. და აღარავინ იყო მწე აღშენებად და არცარა-ვის ძალ-ედვა აღშენება მისი“³⁸. ამიტომ ჩავიდა მელქისედეკ კათალიკოსი კონსტანტინოპოლში და იმპერატორებს „მიუთხრა ყოველი შეუძლებლობა ქართველთა და სათხოველი თვისი“³⁹.

ზემომოტანილ ციტატაში გადმოცემული ამბავი, ვფიქრობ, რეალურად ასახავს იმ ვითარებას, რაც X ს-ის ბოლო მეოთხედის ქართლში იყო. როცა ბაგრატ III 980 წელს აფხაზეთიდან (დასავლეთ საქართველო) ქართლში გადმოვიდა, საქართველოს ამ კუთხეში შინაომების გამო მძიმე ეკონომიკური ვითარება იყო. რის გამოც, იმ დროის საქართველოში „აღარავინ იყო მწე [სვეტიცხოვლის] აღშენებად და არცარა-ვის ძალ-ედვა აღშენება მისი“. სამეფო ხელისუფლება, როგორც ჩანს, მელქისედეკს მატერიალურად დიდად ვერ ეხმარებოდა. მელქისედეკს მხოლოდ ის მოუხერხებია, რომ ბაგრატ მეფისათვის სვეტიცხოვლის ძველი ქონების დამტკიცება უთხოვია. მელქისედეკ კათალიკოსი თავის „დაწერილში“ წერს „...რ(ომე)ლნი ს(ო)ფ(ე)ლნი ძუელ(ა)დ ჰქონდეს ამას წ(მიდას)ა დედაქ(ა)ლ(ა)ქსა, შესავ(ა)ლნი იყუნეს. დ(ა) მე მოვაკსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიკადნეს და მიბოძეს სიმტკიცე შეუვალობისა“⁴⁰.

როგორც სვეტიცხოვლის ტაძრის კედლებზე არსებულ წარწერებში (ისინი ჩვენამდე თუ სრულადაა მოღწეული), ისე იმ დროის საისტორიო წყაროებში სვეტიცხოვლის ახალი ტაძრის მშენებლობაში სამეფო ხელისუფლების წვლილის შესახებ რომ არავითარი მითითება არაა, ეს, მართლაც, იმაზე მიგვიჩვენებს სათანადო სახსრები მელქისედეკმა უცხოეთში (ბიზანტიაში) მოიძია. სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის ძირითადი წყარო, ალბათ იმპერატორ ბასილ II-ის მიერ ნაბოძები 105 სოფლიანი კესტორის დიდი მონასტრის შემოსავალი იყო (ჩემი ვარაუდით, მას შემდეგ, რაც ბასილ II-მ იმპერიის დასავლეთში დიდი ომი წამოიწყო, განსაკუთრებით კი საქართველოსთან ომის დაწყების შემდეგ, მას ამ მონასტრის შემოსავალი სვეტიცხოვლისათვის უნდა ჩამოერთვა).

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის შესამკობად და გასაძლიერებლად მელქისედეკ კათალიკოსის მიერ „მცხეთის საბუთში“ დასახელებულ ჩამონათვალს თუ გავითვალისწინებთ (მათი შექმნა 1020 წლის წინა ხანაში ივარაუდება), მაშინ მხოლოდ ერთი რამ უნდა ვიფიქროთ, 1020 წლისათვის

³⁶ მ. ლორთქიფანიძის მითითებით, ბაგრატ III-ის დროს არსებული რთული ვითარების მიუხედავად, საქართველოში მნიშვნელოვანი კულტურული საქმიანობა მიმდინარეობდა, არაერთი ახალი ტაძარი აიგო (იხ. მისი, მეფე ბაგრატ მესამე, გვ. 51-54), რაც, დიდ სახსრებს მოითხოვდა.

³⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 282, შენ. 1.

³⁸ იქვე, გვ. 282.

³⁹ იქვე.

⁴⁰ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 27. ბაგრატ მეფეს მელქისედეკისათვის ერთი დიდი მოსახსნამი („დიდი სკარამანგი ა“) უბოძებია (იქვე, გვ. 25). ქ. მცხეთისათვის გადასახალი უპატიებია თბილისის ამირასაც. მელქისედეკი წერს: „რ(ომე)ლი ქალაქისა გასავალი იყო ამის წ(მი)დისა დედაქალაქისავ(ა)ნ: ცხუარი, ცხენი, ღვინო ზედანი და რადცა იყო, ყ(ოვე)ლი ალი ამირამ(ა)ნ ამოგუიგდო და ავკვადე ამას წ(მიდას)ა კ(ა)თოლიკე ეკლესიასა“ (იქვე). ალი ამირას შესახებ ქვემოთაც მექნება საუბარი.

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა კარგა ხნის დამთავრებული იყო, მაგრამ როდის?

სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დამთავრების მიახლოებითი თარიღის განსაზღვრაში, ჩემი აზრით, შემდეგი გარემოება უნდა იქნას გათვალისწინებული.

როგორც ცნობილია, ბელიისა და ნიკორწმიდის ტაძრების მშენებლობასთან ერთად, სწორედ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის სახელს უკავშირდება ქუთაისში ქართული არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლის – ამჟამად „ბაგრატის ტაძრად“ წოდებული ეკლესიის აგება. ამ ტაძრის ჩრდილო კედელზე არსებული წარწერიდან ვიცით: „ქ. ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223“ (ე. ი. 1003 წელი)⁴¹.

ქუთაისში 1003 წელს დამთავრებული ტაძრის კურთხევა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, იმდენად დიდი მოვლენა იყო იმ დროის საქართველოში, რომ იგი ასახულია XI ს-ის საისტორიო წყაროში. „მატიანე ქართლისა“-ს ავტორის სიტყვით, ბაგრატ III-მ „აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწოდომელითა“. ამ ცერემონიის შესრულებისას მეფემ „შემოიკრიბნა მახლობელი ყოველი კვლმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხვათა ყოველთა სახელმწიფოთანი“⁴².

ბაგრატ III რადგან 978 წელს ბიძის – უსინათლო თეოდოსის გადაყენების შემდეგ გახდა „აფხაზთა მეფე“, დაახლოებით ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ მის მიერ ქუთაისში ტაძრის მშენებლობის დაწყება – ესაა X ს-ის 80-იანი წლების დამდეგი. მშენებლობა კი 1003 წელს დასრულდა (მშენებლობა დაახლ. 20 წელი მიმდინარეობდა).

დაახლოებით მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის მიმართაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 980 წელს ბაგრატ III სრულწლოვანი გახდა და იგი ქართლში გადმოვიდა. ფეოდალურ და საეკლესიო ოპოზიციასთან საბრძოლველად, რათა სათანადო დასაყრდენი ჰქონოდა (საეკლესიო წრეები მაინც ჰყოლოდა მორჩილებაში), მან არსენ II-ის გარდაცვალების (დაახლ. 980 წ.) შემდეგ ქართლის საკათალიკოსო ტახტზე ასული სვიმონ III გადააყენა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლად (დაახლ. 982 წ.) „თავისი გაზრდილი“ მელქისედეკი დაადგინა (სვიმონ III ამის შემდეგ „აფხაზეთის კათალიკოსად“ იწოდა, ისიც ნომინალურად. იგი ძირითადად ხახულის ლავრაში მოღვაწეობდა).

საქართველოს საკათალიკოსო ტახტზე ასულმა მელქისედეკმა ისარგებლა იმ ხანად საქართველოსადმი ბიზანტიის იმპერიის მმართველთა კეთილგანწყობით და ბიზანტიის ახალგაზრდა იმპერატორებისაგან – ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-საგან, როგორც ეს „მცხეთის საბუთიდან“ ჩანს, მრავალი ნაბოძვარი მიიღო. რომელთაგან მნიშვნელოვანი, როგორც არაერთხელ ითქვა, ბასილ II-ისაგან ნაბოძები კესტორის 105 სოფლიანი მონასტრის შემოსავალი იყო. როგორც ვარაუდობენ, იმ დროს უნდა მიეღო (ან იმპერიის ეკლესიას დაედასტურებინა საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილება)

⁴¹ ანდლულაძე ნ., ბაგრატის ტაძარი. ქსე, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 132. ბაგრატის ტაძარზე პირდაპირაა მითითება ტაძრის მშენებლობაში ბაგრატ III-ის მონაწილეობის შესახებ. „ჩ შევწევითა ღმრთისაჲთა, ბაგრატისაგან – ნებითა ღმრთისაჲთა აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და დედისა მათისა – გურანდუხტ დედოფლისა, აღეშენა წმიდაჲ ესე საყდარი, კვლითა...“. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX–XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, გვ. 53.

⁴² მატიანე ქართლისა, გვ. 281.

მელქისედეკ I-ს კათალიკოს-პატრიარქის ტიტული. X ს-ის 80-იანი წლების დამდეგს მან სვეტიცხოვლის ახალი ტაძრის მშენებლობა დაიწყო.

ისე, როგორც ქუთაისში ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველიც, ალბათ, დაახლ. 20 წელს შენდებოდა და მისი მშენებლობა XI საუკუნის დამდეგს, – დაახლოებით 1002 წელს მაინც, დამთავრდა⁴³, რის შემდეგაც, როგორც ეს მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილიდან“ ჩანს, მელქისედეკს დაუწყო ზრუნვა ტაძრის შემკობა-გალამაზებაზე და დიდი წარმატებითაც. ახლადაგებული ბრწყინვალე არქიტექტურული ნაგებობა შიგნით ოქროსი და ვერცხლის ძვირფასი საეკლესიო ნივთებით დაამშვენა. შექმნა საეკლესიო ბიბლიოთეკა. მისივე ინიციატივით სვეტიცხოვლის გარშემო აიგო სხვა ნაგებობანიც⁴⁴.

როცა სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დამთავრებაზე ვსაუბრობთ, მკითხველის წინაშე აუცილებლად დაისმება საკითხი: თუ ქუთაისში აგებული ტაძრის კურთხევა დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა და იგი სათანადოდ აისახა ქართულ წყაროში, რა მოხდა, სათანადო ცნობა რატომ არა გვაქვს საქართველოს საეკლესიო არქიტექტურის უპირველესი ძეგლის – მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის შესახებ?

საქართველოს „წმიდა დედაქალაქში“ (ასე უწოდებს ქ. მცხეთას მელქისედეკი თავის „დაწერილში“) ახლად აგებული საპატრიარქო ტაძარი, როგორც ვთქვი, რა თქმა უნდა, ასევე საზეიმო ვითარებაში იკურთხებოდა, მაგრამ XI ს-ის ქართველი ავტორების (სუმბატ დავითის-ძე, „მატიანე ქართლისას“ ავტორი) თხზულებებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. როგორც ამ წიგნის წინათქმაში აღვნიშნე, ეს ავტორები საქართველოს პირველ კათალიკოს-პატრიარქს – მელქისედეკ I-საც კი არ ახსენებენ. ძველმა „ქართლის ცხოვრებამ“ სვეტიცხოვლის ტაძრის ახლად აღმშენებლის სახელი არ იცის.

სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობისა და კურთხევის შესახებ, ჩემი ვარაუდით, სათანადო ცნობა მელქისედეკ I-ის „დაწერილში“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი ყველაზე ძველი, XII ს-ის პირიც კი *თაენაკლულია* და მანაც დროთა განმავლობაში შესამჩნევი ცვლილებები განიცადა – „საკმაოდ დამახინჯდა“⁴⁵.

1020 წელს, როცა პირველად მელქისედეკ კათალიკოსმა თავისი ღვაწლის შესახებ „დაწერილით“ მცხეთის საყდარს მოახსენა, გიორგი I-ს ბასილ II-ის მიერ მიტაცებული ძველი ქართული ტერიტორიები უკვე დაბრუნებული ჰქონდა, თუმცა, ბიზანტია-საქართველოს შორის სისხლისმღვრელი ომი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული (ბასილ II საქართველოში დიდი ლაშქრით 1021 წელს შემოვიდა). ამიტომ, შესაძლოა, „დაწერილის“ შესავალ ნაწილში სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის საქმეში ბიზანტიის საიმპერატორო კარის ღვაწლზეც იყო საუბარი. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ბასილ II-მ და მისმა ძმამ – კონსტანტინე VIII-მ საქართველოს წინააღმდეგ მოიძოქმედეს, სავარაუდოა, მელქისედეკის „დაწერილს“ შესავალი ნაწილი მოხსნეს⁴⁶. ასეთი ვითარება უნდა ყოფილიყო საისტორიო წყაროების მხრივაც. ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის სამხედრო ოპერაციების შემდეგ არცერთ ქართველ მემკვიდრეს აღარ ექნებოდა სურვილი, სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის საქმეში ბიზანტიის საიმპერატორო კარის დამსახურებაზე

⁴³ დაახლოებით ამდენივე წელი გრძელდებოდა გელათის ტაძრის მშენებლობაც. მისი მშენებლობის დასაწყისად 1106, ხოლო დამთავრებისად 1125 წელი ითვლება (იხ. პ. ზაქარაია, ქართული ხუროთმოძღვრება XI–XVIII საუკუნეებში, თბ., 1990, გვ. 26–27). სვეტიცხოვლის ტაძრის ზომებია: 57,7 × 27 მ. სიმაღლე 49 მ. ბაგრატის ტაძრისა: 43 × 35 მ.

⁴⁴ ანდლულაძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

⁴⁵ ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი..., გვ. 250.

⁴⁶ ასეთი მაგალითი გვაქვს. როგორც ცნობილია, თეიმურაზ ბატონიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. რუმინაცვეისეულ ნუსხას, შესავლის ის ნაწილი, სადაც ჰაოსის უპირატესობაზე იყო საუბარი, განუქების წინ მოხსნა. იხ. ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. თბ., 1949, გვ. 7.

მიეთითებინა. გამორიცხული არაა „დაწერილმა“ სათანადო ცვლილება მელქისედეკის კათალიკოსობის ბოლო წლებში, უფრო მოსალოდნელია, ქართლის კათალიკოსის იოანე ოქროპირის დროს განიცადა.

გადაკეთებულ საბუთში სვეტიცხოვლის ძველი ტაძრის სავალალო მდგომარეობაზეც აღარ უნდა ყოფილიყო საუბარი. აღნიშნულით უნდა აიხსნას, მელქისედეკის „დაწერილის“ დღეს ჩვენთვის XII საუკუნისად ცნობილ ნუსხაში სვეტიცხოვლის ტაძრის მდგომარეობის შესახებ სრულიად განსხვავებული ცნობები რომ გვაქვს.

მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილზე“ საუბრისას ერთ საკითხსაც უნდა შევეხო. როგორც ზემოთ ვნახეთ, მელქისედეკის თხოვნით ბაგრატ III-ს სვეტიცხოვლის ტაძრისათვის კვლავ დაუმტკიცებია ძველი ქონება და მისთვის შეუვალაობა მიუნიჭებია. მელქისედეკი იქვე სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის საქმეში არაბი ამირას – ალის დამსახურებაზეც წერს. „(ომე)ლი ქალაქისა გასავალი იყო ამის წ(მი)დისა დედაქალაქისაგ(ან) : ცხუარი, ცხენი, ღუნოდ ზედანი და რაჲცა იყო, ყ(ოვე)ლი ალი ამირამ(ან) ამოგუიგდო და ავჰკადე ამას წ(მიდას)ა კ(ა)თოლიკე ეკლესიასა“-ო⁴⁷.

დღევანდელი თვალთახედვით ცოტა უცნაურად ჩანს, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ თბილისის არაბმა – მუსლიმმა ამირამ ქრისტიანული ტაძრის მაშენებელ მელქისედეკ კათალიკოსს „წმიდა დედაქალაქის“- მცხეთის გადასახადი: ცხვარი, ცხენი, ზედაშე ღვინო და სხვა რამ აპატიო და ამით სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა. მაგრამ, ჩემთვის ზემომოტანილი ცნობა სხვა მხრივაცაა საინტერესო.

ამ გამოკვლევაში ძირითადი ქარგა იმის ჩვენებას დაუვთმე, მელქისედეკ I-მა დაახლ. 982 წლის ახლო ხანაში რომ დაიკავა საპატრიარქო ტახტი და იმავე ხანებში დაიწყო მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა. ამიტომ საინტერესოა გაირკვეს, როდის სთხოვა მელქისედეკმა ამირა ალის მცხეთისათვის საამირო გადასახადი ეპატიებინა, უფრო სწორად, რომელი წლიდან იყო ამირა ალი ტახტზე?

როგორც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ამირა ალი (ალი იბნ-ჯაფარი) თბილისის ამირების ჯაფარიანთა დინასტიის წარმომადგენელი იყო. ცნობილია მის მიერ 996/997 წელს მოჭრილი ე. წ. თბილისური დრამა. ამ მონეტაზე მოხსენიებული ამირა ალი იბნ-ჯაფარი და მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილში“ ხსენებული ალი ამირა იდენტურ პირებადაა მიჩნეული⁴⁸. მეორე მხრივ, რადგან იმავე მონეტაზე, მის მოჭრამდე ხუთი წლით ადრე – 991/992 წელს გადაყენებული ხალიფა ატ-ტაის სახელი იხსენიება, ასკვნიან, რომ თბილისის ამირა ალი იბნ-ჯაფარი ტახტიდან გადაყენებული ხალიფა ატ-ტაის უზენაესობას აღიარებდა, მათი პოლიტიკური ურთიერთობა ატ-ტაის ხალიფობისას უნდა დაწყებულიყო⁴⁹.

თუ ასეთი მოსაზრებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ალი იბნ-ჯაფარის თბილისის ამირას ტახტი 991 წლის წინა ხანაში უნდა დაეკავებინა და მელქისედეკ კათალიკოსსაც 991 წლის წინა ხანაში უნდა ეთხოვა მისთვის მცხეთის მოსახლეობა საამირო გადასახადებისაგან გაენთავისუფლებინა.

ზემომოტანილი მასალა, ვფიქრობ, გარკვეულწილად ამყარებს ჩემს თვალსაზრისს ქართლის საკათალიკოსო ტახტი მელქისედეკ I-ს დაახლ. 982 წელს რომ უნდა დაეკავებინა და იმავე ხანებში ბასილ II-ის მიერ მცხეთისათვის

⁴⁷ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 27.

⁴⁸ ლორთქიფანიძე მ., თბილისის საამიროს ისტორიიდან. მიმომხილველი, II, თბ., 1951, გვ. 197; მისივე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. წიგნში – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 502–503.

⁴⁹ კაპანაძე დ., X საუკუნის თბილისური დრამა ალი ბენ ჯაფარისა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII-B, თბ., 1944, გვ. 185–187.

ბოძებული კესტორის მონასტრის შემოსავლით დაეწყო სათანადო სამუშაოები სვეტიცხოვლის ახალი ტაძრის ასაგებად.

თუ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას დაუფჯერებთ, IX–XI საუკუნეებში საამიროს საზღვარი დასავლეთით „დიდმის ხევაძემ“⁵⁰ (ჩათვლით) ვრცელდებოდა“⁵¹, მაგრამ ამირა ალის მიერ მცხეთის მოსახლეობის საამირო გადასახადისაგან განთავისუფლება იმაზე მიგვითითებს, მათე საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს (სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დაწყებისას) მცხეთა (ალბათ, მისი შემოგარენიც) თბილისის ამირას გამგებლობაში რომ რჩებოდა. თუმცა, იმ ხანად თბილისის ამირების ხელისუფლება ქალაქ მცხეთაზე ნომინალური უნდა ყოფილიყო და დროთა განმავლობაში მცხეთაში მათი გავლენა ძალას კარგავდა. XI საუკუნის დამდეგს ქ. მცხეთა ბაგრატ III-ის გამგებლობაში ჩანს, რაც ასევე „მცხეთის საბუთის“ მონაცემებით დასტურდება.

ქვემოთ რამდენიმე სიტყვით მინდა არსუკიდის პიროვნების შესახებ მოგახსენოთ.

როგორც აკად. ვ. ბერიძე წერს, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველი, დღემდე გადარჩენილთა შორის ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობა საქართველოში, საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანული საქართველოს სარწმუნოებრივი ცხოვრების ცენტრი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცნობთ ძველი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედის – არსუკიდის არც ერთ სხვა ნაწარმოებს. თავისთავად ცხადია, – დასძენს ვ. ბერიძე, – სანამ სვეტიცხოვლის აგებას შეუდგებოდა, მან ხანგრძლივი გზა გაიარა, ბევრი სხვა შენობა ააგო. როცა სვეტიცხოვლის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო, იგი სახელმძღვანელო ხუროთმოძღვარი იყო, ასე რომ არ ყოფილიყო, მელქისედეკ კათალიკოსი მას არ მიანდობდა თავისი ქვეყნის უმთავრესი ტაძრის აგებას⁵². ვ. ბერიძის სიტყვით, როცა სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა დასრულდა (დასრულების თარიღად იგი 1029 წელს გულისხმობს. – ვ. გ.), ტაძრის კედელზე არსებული წარწერების ცნობით, არსუკიდე გარდაცვლილი ყოფილა⁵³.

სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დაწყებისა და დასრულების შესახებ ჩემ მიერ მოტანილ მასალას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ არსუკიდე 1029 წელს კი არა, XI ს-ის დამდეგს უნდა გარდაცვლილიყო. რაც შეეხება მის მიერ ხორცშესხმულ სხვა არქიტექტურულ ძეგლებს, ასეთად, უპირველეს ყოვლისა, ოშკის დიდებული ტაძარი უნდა მივიჩნიოთ. ახალ გამოკვლევებში მისი მშენებლობის დამთავრების თარიღად X ს-ის 70-იანი წლებია მითითებული (ვ. სილოგავა ოშკის მშენებლობის დამთავრებას 976 წლით ათარიღებს⁵⁴), და 982 წელს საქართველოს საკათალიკოსო ტახტზე ასული მელქისედეკი სვეტიცხოვლის ახალი ტაძრის აგებას ვის სთხოვდა, თუ არა ოშკის (შეიძლება ხახულისაც) ტაძრის ხუროთმოძღვარს. გამორიცხული არაა, ეს დიდოსტატი იმ ხანად მშენებარე „ბაგრატის ტაძრის“ ხელმძღვანელიც იყო⁵⁵. 982 წლისათვის არსუკიდე საშუალო ასაკს გადაცილებული უნდა ყოფილიყო.

⁵⁰ ეს ხეობა მოიცავდა ახლანდ. სოფ. დიდმის ტერიტორიას და თბილისის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. იხ. დ. მუსხელიშვილი, დიდმის ხევი, ქსე, ტ. 3, თბ., 1978.

⁵¹ მუსხელიშვილი დ., კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII–XIII სს-ში. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, გვ. 75; ლორთქიფანიძე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 490.

⁵² ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება..., გვ. 54–55.

⁵³ იქვე, გვ. 55.

⁵⁴ სილოგავა ვ., ოშკი X ს. მემორიალური ტაძარი, თბ., 2006, გვ. 102–103.

⁵⁵ აკად. შ. ამირანაშვილის თანახმად, ქუთაისის კათედრალი გეგმის ზოგადი სახით და არქიტექტურული ფორმების მიხედვით ოშკის ტაძარს ენათესავება. მისივე სიტყვით, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველი წარმოადგენს არსუკიდის მიერ შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებს, აგებულს 1029 წელს. იხ. მისი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 236, 239.

ასეთი გრანდიოზული ტაძრების აგებას, დიდ ნიჭთან ერთად, უზარმაზარი ენერჯია სჭირდებოდა, და როგორც ჩანს, ხანშიშესული ხუროთმოძღვარი თავის გენიალური ქმნილების დამთავრებას ვეღარ მოესწრო.

თავი IX. ქართველ მოღვაწეთა ხახულური წრე XI ს-ის პირველ ნახევარში

ხახულის ლავრა. გიორგი მთაწმიდელი ხახულში

ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ხახულის მონასტერი ტაოში – მდ. თორთუმისწყლის ერთ-ერთ გვერდით ხეობაში, მდ. ხახულისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს (ამჟამად თურქეთშია). ტაძრის ირგვლივ, გალაგნის შიგნით, რამდენიმე მცირე სამლოცველოა, რომელთაგან ერთი X საუკუნის დასასრულს განეკუთვნება¹.

ხახულის სავანე გამოირჩევა თავისი მდებარეობით. ლ. მენაბდის თანახმად, ადგილობრივ მკვიდრთ მიეწერება ცნობილი გამოთქმა: „განთქმულია მხატვრობა იშხნისა, სილამაზე – ოშკისა, ადგილმდებარეობა – ხახულისა, წყალი – პარხალისა“². „მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობით, „...მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმიდა ეკლესია ხახულისა“ დავით III კურაპალატმა „აღაშენა“³ X ს-ის მეორე ნახევარში. შემდეგში, თანდათან ხახულის მომიჯნავე ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ხახულის თემი – ეკონომიკურად საგრძნობლად დაწინაურებული რეგიონი. რამაც, თავის მხრივ, ხახულის ლავრის აღორძინებას შეუწყო ხელი. ხახულის ლავრის მდიდარი საგანძურდანაა ქართული ოქრომჭედლობის ღირსშესანიშნავი ნაწარმოები – X საუკუნის ღვთისმშობლის კარელი ხატი (XII ს. პირველ ნახევარში გელათში ხატი თავიდან მოჭედეს. ამჟამად იგი „ხახულის ხატის“ სახელითაა ცნობილი და საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული)⁴.

ხახულის მონასტერში ქართული კულტურის მძლავრი ლიტერატურული კერა შეიქმნა და მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობის ისტორიაში⁵. ხახულელ მოღვაწეთაგან განსაკუთრებით იოანე ხახულელს (რომელსაც მჭერმეტყველებისათვის ოქროპირი ეწოდა) გამოჰყოფენ⁶. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ყრმობის წლები ხახულში გაატარა და იქვე სწავლა-განათლება მიიღო შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოღვაწემ – გიორგი მთაწმიდელმა. ქვემოთ სწორედ გიორგი მთაწმიდელზე და მის გამზრდელთა წრეზე (ბასილ ბაგრატის ძე, დემეტრე, ანტონი მნათე) მექნება საუბარი.

*

* * *

1019 წელს ათი წლის გიორგი მამამ – იაკობმა ტაძრისიდან, როგორც ითქვა, ხახულში თავის ძმებთან – გიორგისთან და საბასთან ჩაიყვანა. „ნეტართა მათ (ე. ი. გიორგის ბიძებმა გიორგიმ და საბამ. – ვ. გ.) ვითარცა იხილეს

¹ ბერძენიშვილი დ., მენაბდე ლ., ბერიძე ვ. ხახული, ქსე, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 448.

² მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I. ნაკვეთი მეორე, გვ. 458.

³ მატიანე ქართლისა, გვ. 274.

⁴ ყენია რ., ხახულის ხატი, ქსე, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 448. ხახულის ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისა იყო.

⁵ მენაბდე ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 455.

⁶ იქვე, გვ. 455–456.

გონიერებად იგი და დაწყნარებულებად სახისა მისისაჲ, უშფოთველი იგი და აღუძრველი ქცევად მისი, განიხარეს სიხარულითა დიდითა და ჰმადლობდეს ღმერთსა, რამეთუ იხილეს მათ ყრმაჲ მოხუცებულებითა შემკული და ჭაბუკი სიბერითა განშუენებული“⁷.

ძმებმა „ესრეთ შემკული“ თავიანთი ძმისწული „მიჰუარეს მამასა მაკარის, რომელი-იგი მას უამსა ღირსებისათჳს მისისა წინამძღუარი იყო დიდისა მის ლავრისაჲ“⁸. ხახულის ლავრის წინამძღვარმა მაკარმა, როგორც კი იხილა ყმაწვილი გიორგი „ფრიად განიხარა და ვითარცა შვილი შეიტკბო. აკურთხა იგი კურთხევითა მით აბრამეანითა, ეკლესიისა ევლოგიასა მონაწილე ყო და სულისა თჳსისა შვილად უწოდა“⁹. ამის შემდეგ, გიორგი „მოძღუარსა და განმანათლებელსა ქუეყანისა ჩუენისასა“, „დიდსა მასცა ბასილის ბაგრატის ძესა მიჰუარეს“, და „წმიდაჲ კურთხევაჲ“ გიორგიმ მისგანაც მიიღო¹⁰. ბასილის დალოცვის შემდეგ ბიძებმა გიორგი ანტონთან მიიყვანეს და „ღმერთშემოსილმან ანტონი მნათემან იხილა რაჲ, განიხარა და ყოველითა კურთხევითა აკურთხა“. ასე, როცა „ყოველთა მამათა კურთხევაჲ მიაღებეს“, ყმაწვილი გიორგი „მერმე-და წარიყვანეს სახედ თჳსად“¹¹.

ნიჭიერ ახალგაზრდას, ცხადია, სათანადო აღზრდა ესაჭიროებოდა, ამიტომ „...განიზრახეს საღმრთოთა მათ მოხუცებულთა თანა-ზრახვითა ზემოსენებულთა ამათ მამათადთა“ რათა „ღმრთივ-სულიერსა ვისმე და მწყემსსა კეთილსა შეჰვედრონ შვილი თჳსი“. მოძღვრის ხელში გიორგი სულიერად უნდა აღორძინებულიყო, საღმრთო სწავლანი შეეთვისებინა და სათნოებით სრულად წარმატებული ყოფილიყო¹².

იმ პიროვნებად, რომელიც ყრმა გიორგის სათანადო განათლებას მისცემდა, „დიდი ილარიონ თუალოელი“ მიიჩნიეს. ეს ილარიონი მას უამს იყო „სათნოებითა და სულიერთა მოძღურებათა შინა განთქმული“ და იმ ხანად, „ვითარცა მთიები, ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათასა“. ილარიონის სათნოებათა და მოღვაწებათა ახლა წარმოთქმა, – დასძენს გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი, – შეუძლებელი არისო¹³.

აი, ასეთ ნეტარს შეავედრეს ათი წლის გიორგი, რათა შემდეგ მონაზვნობაში წარმატება ჰქონოდა. და ყმაწვილიც, „წარმატებოდა ნებითა ღმრთისაჲთა. და ვითარცა ნერგი კეთილი დანერგული თანაწარსადინელსა ღმრთივ-სულიერთა სწავლათასა, დღითი-დღე აღორძინდებოდა“¹⁴.

ილარიონ თუალოელის წვრთნამ შედეგი გამოიღო. თავის თანატოლთა შორის გიორგიმ ყველაზე უკეთ შეისწავლა სწავლანი „საეკლესიონი და სამღვდელონი“, ხოლო „საგალობლნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავნა“¹⁵. „საღმრთო წიგნთა კითხვისას იგი თავს დასვენებისა და ძილის ნებას არ აძლევდა. ასე შეითვისა „ყოველნივე საღმრთონი წერილნი ძუელისა და ახლისა შჯულისანი“, რომელნიც კი ქართულ ენაზე ჰპოვა“¹⁶.

⁷ გიორგი მცირე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ..., გვ. 115.

⁸ იქვე.

⁹ იქვე, გვ. 115–116.

¹⁰ იქვე, გვ. 116.

¹¹ იქვე.

¹² იქვე. ხახულის ლავრაში არსებულ ლიტერატურულ კერაში მოღვაწე პირებზე საუბრისას პროფ. ლ. მენაბდე ბასილი ბაგრატის ძის შესახებ საუბრობს, მაგრამ სვიმეონ კათალიკოსის, დიმიტრისა და ანტონის შესახებ მას არაფერი უთქვია. იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 454–458.

¹³ გიორგი მცირე, დასახ. თხზ., გვ. 116.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე, გვ. 117.

გიორგი მთაწმიდელის აღზრდის საქმეში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს XI ს-ის ცნობილი ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის – ფერის ჯოჯიკის ძის ოჯახის ღვაწლი.

ფერის ბარდა სკლიაროსის დამამარცხებლის თორნიკე ერისთავის თანამებრძოლის, გამონენილი მხედართმთავრის – ჯოჯიკის ძე, როგორც ჩანს, იმ ტაოელ დიდებულთა შორის იყო, რომლებიც 1001 წელს დავით III კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორ ბასილ II-ის (976–1025 წწ.) ბრძანებით ბიზანტიაში გაასახლეს. ფერისმა იმპერიის სამხედრო ასპარეზზე სათანადო წარმატებას მიაღწია (ბიზანტიელი ავტორის გიორგი კედრენეს ცნობით, ფერისს პატრიკიოსის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული ჰქონდა¹⁷). 1022 წელს მას იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულებაში დასდეს ბრალი და სიკვდილით დასაჯეს¹⁸.

1019 წელს, როცა გიორგი ტაძრისიდან ხახულში ჩაიყვანეს, ფერის ჯოჯიკის ძის ოჯახი ტაოში – ტვარწატაფს ცხოვრობდა (ფერისის მეუღლე იყო ზემოხსენებული ბასილი ბაგრატის ძის დად. მისი სახელი არაა ცნობილი). იმ ხანად ფერისმა და მისმა მეუღლემ განიზრახეს, რათა „კაცი საღმრთოდ იძიონ სულისა მათისა კეთილისა მასწავლელად“, უნდოდათ ოჯახში ისეთი პიროვნება მიეწვიათ, რომელიც „ყოლადვე მახლობლად“ მათთან იქნებოდა. როცა ცოლ-ქმარმა ასეთი პიროვნება გამოიძიეს, მათი არჩევანი გიორგის ბიძაზე – „გიორგი მწერალზე“ შეჩერდა – „გიორგი მწერლისა უგონიერესსა ვერვის ჰპოვეს“. ამიტომ, „დიდითა ვედრებითა და ქნებითა“ (ხვეწნით. – ვ. გ.) გიორგი მწერალი ხახულიდან ტვარწატაფის სასახლეში „წარიყვანეს და ყოველი საქმე მათი სულიერი და ჳორციელი მას დაამორჩილეს“¹⁹. ნეტარმა გიორგი მწერალმა თავისი ძმისწული „ყრმაჲ გიორგი, თანა წარიყვანა“, რადგან გიორგი „ფრიად ეკმარებოდა ზეპირით კანანახობასა (გალობის წამოწყებას. – ვ. გ.) და წიგნის-კითხვასა და მისსა მსახურებასა, რამეთუ [თვით გიორგი მწერალი] მოხუცებულ იყო“²⁰.

ფერისმა და მისმა მეუღლემ ფრიად განიზარეს ყმაწვილი გიორგის ხილვით. „საღმრთომან მან დედაკაციმან [გიორგი] შვილად თუსად აღიარა“²¹. ასე დაიწყო ახალი ეტაპი გიორგის აღზრდის საქმეში, მაგრამ სამეფო ოჯახთან²² დაახლოებულ ფერისის კერაზე გიორგის დიდხანს არ დასცალდა ყოფნა. 1022 წელს, როგორც ითქვა, იმპერატორმა ბასილ II-მ ფერისს „განდგომილება დასწამა“ და მისი ბრძანებით ფერისი სიკვდილით დასაჯეს²³ („თავი წარკვეთეს“), ბასილისავე მოთხოვნით, „ესე ღირსი დედაკაცი ერთურთ თუსით“ კონსტანტინოპოლში გაასახლეს²⁴.

ასე აღმოჩნდნენ გიორგი მწერალი და მისი ძმისწული – ცამეტი წლის გიორგი ტაოდან იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში გადასახლებულთა შორის. კონსტანტინოპოლში მათ თორმეტი წელი დაჰყვეს²⁵. გიორგი მწერალმა

¹⁷ გიორგი კედრენე. წიგნში გეორგია. ტ. V, თბ., 1963, გვ. 48.

¹⁸ იქვე. ფერისის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ქართული წყაროებიც. იხ. მატინე ქართლისა, გვ. 286–287; სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზ., გვ. 384.

¹⁹ გიორგი მცირე, დასახ. თხზ., გვ. 117.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

²² ფერისის მეუღლე და მისი ძმა ბასილი ბაგრატის ძე ქართველ მკვლევართა მიერ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის შვილებად არიან მიჩნეულნი (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 235; ეს თვალსაზრისი ასახულია ქართულ ენციკლოპედიაშიც. იხ. ივ. ლოლაშვილი, ბასილი ბაგრატის ძე. ქსე, ტ. 2, გვ. 221). აღნიშნულ საკითხზე იხ. აგრეთვე ქვემოთ, თავი X.

²³ გიორგი მცირე, დასახ. თხზ., გვ. 118.

²⁴ იქვე.

²⁵ იქვე.

და ფერისის მეუღლემ გიორგი „სასწავლოდ მისცეს... კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა, ორითავე ცხორებითა შემკობილთა, არა ერისკაცთა, არამედ მონაზონთა ღმრთის-მოშიშთა და ყოველთა მიერ წამებულთა“²⁶. სწავლისას გიორგიმ თავისი *მახვილი გონებითა* და გულმოდგინებით ისე გამოიჩინა თავი, რომ „...დიდად განკურდეს ყრმანი იგი ბერძენთანი“. ისინი შენატროდნენ გიორგის და ცდილობდნენ მისთვის მიეზაძათ²⁷. გარდა იმისა, რომ თორმეტი წლის განმავლობაში იმპერიის დედაქალაქში გიორგიმ ბრწყინვალედ შეისწავლა ბერძნული ენა, იგი იმ დროის შესაფერის განათლებასაც ეზიარა.

1034 წელს ბიზანტიის ხელისუფალთა ნებართვით, ფერისის მეუღლე კონსტანტინოპოლიდან თავის მამულში – ტვარწატაფს დაბრუნდა. მათთან ერთად ჩამოვიდა გიორგიც. გიორგიმ იქ გაიგო დედის – მარიამის გარდაცვალების ამბავი, მამა – იაკობი კვლავ ცოცხალი იყო. უფროსმა ძმამ – „გიორგი მწერალმა“ იაკობიც ტვარწატაფს გადაიყვანა საცხოვრებლად. თვით გიორგი კი ხახულის ლავრაში გადავიდა, სადაც იმ ხანად მისი მეორე ბიძა – საბაჲ მოღვაწეობდა²⁸. ხახულის მონასტერში ოცდახუთი წლის გიორგიმ „უღელსა მონაზონებისასა ქედი თვისი მოუდრიკა“ – კურთხევა თავისი პირველი მოძღვარის დიდი ილარიონისაგან მიიღო (სწორედ ამ დროს უნდა შექმნილიყო ზემოხსენებული ე. წ. „ახალციხური ტყავის სახარება“).

ხახულში გიორგიმ ორი წელი დაჰყო²⁹. 1036 წელს, როგორც აკად. კ. კეკელიძე წერს, იერუსალიმისაკენ გაემართა³⁰. ეს ამბავი როგორც კი შეიტყვეს ხახულის ლავრის წინამძღოლმა მაკარმა და „ყოველთა მათ ღმერთ-შემოსილთა ბერთა, შეწუნეს ფრიად“, გიორგის მაძიებელნი დაადევნეს³¹. გიორგი როცა მიხვდა, რომ შეიძლებოდა იგი უკან დაებრუნებინათ, ისევე, როგორც დიდმა ათანასემო, – წერს მისი ბიოგრაფი, – „საღმრთოდ ღონე იხმარა“: თავისი შესამოსელი ერთ გლახაკს „დაბეჭულ“ (დაკონკილ) ტანსაცმელში გაუცვალა და „წარემართა გზასა თვისსა“. „ესრეთ განეშორა დამახრწეველთა (ხელის შემშლელთა. – ვ. გ.) გზისა მის კეთილისათა“³².

დიდი წვალების შემდეგ გიორგიმ სირიის დედაქალაქ ანტიოქიის მახლობლად მდებარე „შავსა მთასა მიიწია“. „მერმე აღვიდა მთასა საკურველსა, თაყვანის-სცა და ამბორს-უყო ლარნაკსა (კუბოსა, სამარხსა. – ვ. გ.) წმიდისა და საკურველთ-მოქმედისასა სუმეონისსა და ღირსისა დედისა მისისა ნეტარისა მართაძსსა. და ყოველნი მონასტერნი მოილოცნა და წმიდანი მამანი მოიკითხნა და ყოველთაგან ლოცვად მიიღო“³³. იქ ნახა გიორგიმ „ნაპრალსა შინა კლდისასა ბერი წმიდად“ გიორგი შეყენებული, რომელიც იყო „ვითარცა გურიტი უბიწო და ტრედი უმანკოდ, კაცი ზეცისად და ანგელოზი ქუეყნისად“. გიორგი მას დაემოწავა. შავ მთაზე გიორგი რომანა წმიდის ქართველთა ლავრაში დამკვიდრდა, სადაც სამი წელი გაატარა (გიორგის იქ შეუსრულდა ოცდაათი წელი).

გიორგი შეყენებულმა „ვითარცა იხილა... სიბრძნითა და გონიერებით“ გიორგის სრულქმნილობა, „სქემითა (ბერის სამოსლით. – ვ. გ.) აკურთხა, და ესრეთ სრულ-ყო მონაზონებისა მოღუაწეობად სქემისა გურგუნითა, და მერმე-და იერუსალემად წარგზავნა“³⁴.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე, გვ. 118–119.

²⁹ იქვე, გვ. 119.

³⁰ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I. გვ. 218.

³¹ გიორგი მცირე, დასახ. თხზ., გვ. 119.

³² იქვე, გვ. 120.

³³ იქვე, გვ. 120–121. მართას შესახებ ვრცლად იხ. გოილაძე ვ. ასურელ მამათა სამშობლო..., გვ. 133–139.

³⁴ გიორგი მცირე, დასახ. თხზ., გვ. 121–122.

ზემოთ საკმაოდ დეტალურად წარმოვადგინე გიორგი მთაწმიდელის თანამოღვაწეთა და მოძღვართა ის წრე, რომელთა შორისაც იერუსალიმში ჩასვლამდე მას ცხოვრება უხდებოდა. გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი – გიორგი მცირე კი, გიორგი მთაწმიდელის ანდერძ-მინაწერში, მის გამზრდელებად დასახელებულ არც „სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსს“ და არც დიმიტრის არ ახსენებს. მას რატომ გამორჩა ისინი მხედველობიდან ძნელი სათქმელია, იგი ხომ „განუყრელად თავის მოძღვართან იყო“ და „დაწვრილებით იცოდა ყოველი თავგადასავალი დიდებული მოძღვრისა“³⁵. ისევე, როგორც სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი, დიმიტრიც რომ გიორგი მთაწმიდელის უფროსი თანამედროვე იყო, ეს ცხადია. ისიც ცხადია, ისინი ხახულის ლავრის მოღვაწენი რომ უნდა ყოფილიყვნენ (ამ მხრივ სვიმონის შესახებ ზემოთ ვრცლად ვისაუბრე).

გიორგი მთაწმიდელის თანამედროვე ქართველი მოღვაწეების ვინაობით გვიანაც დაინტერესებულან, ამ მიზნით შეუდგენიათ კატალოგი, რომლის სახელწოდებაა – „ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის წმიდათა მამათა და მეცნიერთათვის, თუ რომელსა... მეფის დროს, ან სადაურნი იყვნენ და ამათ გადმოიღეს ელინურიდამ სრულიად საღმრთო წერილი“³⁶. ეს კატალოგი, როგორც ე. მეტრეველი წერს, ორი ხელნაწერით (A – 1580 და A – 1767) არის შემონახული და XIX საუკუნის ნუსხებია, თუმცა, კატალოგი ძველი ჩანს³⁷. მასში 1008 წლისათვის დასახელებულნი არიან: ეფთიმი ქართუჭლი, კვალად ეფთიმი, იოანე ხახულელი ოქროპირი, ზაქარია მირდატის ძე, ანუ შარიტის ძე...³⁸. მათ შემდგომად 1027 წლისათვის: ბერი გრძელი, ახალი აბრაამ, არსენი, ანტონი მნათე, ვასილი ბაგრატის ძე, ... კუალად იყვნენ: იოანე ანუ ილარიონ თუალელი, მოძღუარი გიორგი მთაწმიდელისა გიორგი შეყენებული, მოძღუარი გიორგისავე გიორგი და გიორგი ოლთისელი³⁹.

ამავე კატალოგის სხვა ვარიანტში, რომელიც ამბროსი ნეკრესელის (გარდ. 1812 წლის შემდეგ) მიერ შედგენილ კრებულს ერთვის, დასახელებულნი არიან: გიორგი მთაწმიდელი, იოანე პატრიკ ყოფილი, გიორგი ოლთისელი, სტეფანე, დიდი ილარიონ თუალელი, მოძღუარი გიორგისა გიორგი, *ბასილი ბაგრატის ძე ხახულს მყოფი*⁴⁰.

დასახელებული პირები, ე. მეტრეველის თანახმად, ერთი კულტურული წრის წევრები არიან, სახელდობრ, ტაოსა და ათონის სამონასტრო მოღვაწენი⁴¹.

ისე როგორც გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ ავტორი, ისე კატალოგის შემდგენელიც, მართალია, გიორგი მთაწმიდელის მიერ თავის გამზრდელებად დასახელებულ „სუმეონ აფხაზეთა კათალიკოსსა“ და დიმიტრის არ ახსენებს, მაგრამ ერთი ცხადია, გიორგის ანდერძში არსებული ცნობა სანდოა. როგორც „სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი“, ისე დიმიტრიც ხახულის ლავრის მოღვაწე უნდა ყოფილიყო. ხახულის ლავრაში დიმიტრის (დემეტრეს) სახელის მქონე პიროვნების არსებობა ხახულის სავანიდან იერუსალიმის ჯვრის

³⁵ კეკელიძე კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

³⁶ მეტრეველი ე., ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში. კუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, თბ., 1952, გვ. 194.

³⁷ კატალოგი რომ ადრევე იყო შედგენილი, ეს ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებიდან დასტურდება. მეფე ბაგრატ IV-ზე საუბრისას იგი ფრჩხილებში ურთავს შემდეგ ტექსტს: „მთარგმნელნი ამ ჟამთა იყვნენ: ბერი გრძელი, ახალი აბრაამ, არსენი, ანტონი მნათე, ბასილი ბაგრატის ძე; ეფთვიმესაც და მთაწმიდელსაც მოესწრნენ“. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 144.

³⁸ მეტრეველი ე., ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის..., გვ. 194.

³⁹ იქვე.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ იქვე.

მონასტრისადმი შეწირული ხელნაწერის მინაწერით დასტურდება. მაგრამ, სანამ ამ მინაწერის ცნობას მოვიტან, მინდა ხახულიდან იერუსალიმში გიორგი მთაწმიდელის გამგზავრების ამბავს კვლავ გადავაგლოთ თვალი.

უცნაურად ჩანს, მაგრამ ფაქტია, გიორგი მცირე გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსსა და დიმიტრის არ ახსენებს. თუ „ცხოვრების“ ცნობებს გავითვალისწინებთ, თავის გამზრდელთა შორის გიორგი მთაწმიდელს პირველ რიგში ილარიონ თუალოელი, ფერისის მეუღლე, ხახულის ლავრის წინამძღოლი მამა მაკარი და თავისი ბიძები უნდა დაესახელებინა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თუმცა, გიორგი მთაწმიდელმა თავის გამზრდელებად რომ სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი და დიმიტრი დაასახელა, ამაში უჩვეულო არაფერია. როგორც ზემოთ ვაჩვენე, გიორგიმ თავისი ცნობილი ანდერძი ხახულში ყოფნისას შეადგინა და იმ ხანად სუმეონი და დიმიტრი იქ მოღვაწეობდნენ⁴². ანდერძში მან მისთვის ყველაზე მისაღები პიროვნებები ახსენა, სხვების მოხსენიება (უპირველეს ყოვლისა, მამის ძმები) რომ არ ისურვა, არ მინდა ეს, ხახულელ მოღვაწეებთან მისი დაპირისპირებით აგხსნა. ხახულის მონასტრის ძმობა გიორგი მთაწმიდელის იერუსალიმში წასვლას რომ ეწინააღმდეგებოდა და მათ მისი უკან დაბრუნება სცადეს, ეს, ალბათ, იმით იყო განპირობებული, სურდათ, ახალგაზრდა, ნიჭიერ მოღვაწეს ხახულში დაედო ბინა.

ხახულის ლავრიდან მალულად წასვლის შემდეგ, როგორც ითქვა, გიორგიმ სამი წელი შავ მთაზე – რომანას მონასტერში დაჰყო (იგი რადგან იერუსალიმში აპირებდა ჩასვლას, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ ხანად ჯვრის მონასტრის მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული). 1040 წელს გიორგი იერუსალიმში ჩავიდა, იქ რამდენიმე თვის ყოფნის შემდეგ, კვლავ შავ მთაზე დაბრუნდა, იქიდან კი გიორგი დაყუდებულის თხოვნით ათონის მთაზე გადავიდა. ხახულის ლავრაში იგი აღარ დაბრუნებულა.

გიორგი მთაწმიდელის მიერ თავის გამზრდელად დასახელებული სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსის შესახებ ზემოთ სათანადო მასალა მოვიტანე. რაც შეეხება გიორგის მიერ ასევე თავის გამზრდელად და მოძღვრად დასახელებულ დიმიტრის, მის შესახებ ჩვენ ნაკლები ვიცით.

დიმიტრი (დემეტრე) მონაზონი. ათონის მთაზე ბასილი ბაგრატის ძის მოღვაწეობის საკითხი

რომანაწმიდის მონასტრიდან გიორგი როცა იერუსალიმში ჩავიდა, გიორგი-პროხორეს ჯვრის მონასტრის მშენებლობა დასრულებული ჰქონდა. ე. მეტრეველის სიტყვით, XI საუკუნის 30-იან წლებში იერუსალიმის მახლობლად ჯვრის მონასტრის აშენებას საქართველოსათვის გარკვეული სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ჯვრის მონასტრის მშენებლობაში პროხორეს დიდ დახმარებას უწევდნენ სახელმწიფოს მესვეურები. ჯვრის მონასტრის მშენებლობა იმდროინდელი ქართული საზოგადოების ზრუნვის საგანიც ყოფილა. ზრუნავდნენ ამ მონასტრის ბიბლიოთეკაზეც. ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკისათვის ხელნაწერები იგზავნებოდა საქართველოს ყოველი კუთხიდან და საზღვარგარეთის ქართული მწიგნობრული კერებიდან. ამით აიხსნება ჯვრის მონასტრის დაარსებიდან მოკლე ხანში ბიბლიოთეკაში თავი რომ მოიყარა არა მარტო მონასტრის სკრიპტორიუმის პროდუქციამ,

⁴² ანდერძში გიორგი მთაწმიდელი მკითხველს შესთხოვს ღოცვათა შინა პირველად მოიხსენიონ მისი გამზრდელნი *სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი* და მოძღვარი *მისი დიმიტრი* და შემდგომად სულიერნი მოძღვარნი და მშობელნი მისნი, ასევე ძმანი და თუთ იგი საწყალობელი. ვ. სილოგავა, უძველესი წერილობითი ცნობა..., გვ. 110.

არამედ, ქართული ორიგინალური თუ ნათარგმნი ლიტერატურის თითქმის მთელმა მონაპოვარმა⁴³.

ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერი ამჟამად პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული და იგი Georg. 28-ად იწოდება. ე. მეტრეველის თანახმად, ეს ხელნაწერი ოთხოავის ტექსტია და როგორც ხელნაწერიდან ირკვევა, ის გადაწერილია საქართველოში. ხოლო ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავთ *ბასილი და დემეტრე მონაზვნებს*. ერთ-ერთ მათგანს, დემეტრეს, – აღნიშნავს ე. მეტრეველი, – განზრახული ჰქონია პირადად წაეღო ხელნაწერი იერუსალიმში, მაგრამ სიბერის გამო ეს ვერ მოუხერხებია და იგი სკემონ ხუცესის ხელით გაუგზავნია. ხელნაწერის მინაწერში აღნიშნულია: „საცნაურ იყავნ სიწმიდისა თქუენისა, რომელ ჟამი აღსასრულისა ჩემისაჲ მაგას მონასტერსა შინა გამეგო, გარნა *სიღრმემან სიბერისამან* და თვთმჰყრობელთა კელმწიფებამანცა არღარა მაუფლეს. ესე წმიდაჲ სახარებაჲ სულიერისა შვილისა ჩემისა სკემონ ხუცის კელით მიითუალეთ“⁴⁴.

ზემომოტანილი მინაწერიდან გამომდინარე, ბასილი და დემეტრე ხელნაწერის მომგებლები (შემძენნი) ყოფილან, ხელნაწერის გადამწერი კი „ცოდვილი მალდავითის ძეა“ („ამისი დამწერელი ცოდვილი მალდავითის ძე ლოცვასა ღირს მყავით, ვინცა ჰნახოთ“ – წერს გადამწერი)⁴⁵.

ანდერძს თარიღი არ გააჩნია. ე. მეტრეველის ვარაუდით, ტექსტის ხელის მიხედვით, ის XII საუკუნისაა, თუმცა ე. თაყაიშვილი (ხელნაწერი პირველად მან შეისწავლა⁴⁶) პალეოგრაფიულად მას XIII საუკუნით ათარიღებდა, – მაგრამ, დასძენს ე. მეტრეველი, – ხელნაწერში მოხსენიებული გაბრიელ შაჰინელი⁴⁷ რადგან ჯვრის მშენებლის გიორგი-პროხორეს უმცროსი თანამედროვე იყო – ე. ი. XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, ხელნაწერი XII ს-ის შუა წლებით უნდა დათარიღდეს⁴⁸. ამის შემდეგ ე. მეტრეველს მოაქვს ხელნაწერზე არსებული ის მინაწერები, რომლებშიც დასავლეთ ევროპელი (ფრანგი და იტალიელი) პილიგრიმების სახელებია მოხსენიებული. ამ მოსახსენებელთა ჩამონათვალში ჩემი ყურადღება მიიქცია იმ მინაწერმა, რომელშიც ნათქვამია: „მოივსენენ, უფალო ღმერთო: ხაზინ ღუსმარა და ფერის“⁴⁹. ე. მეტრეველის შენიშვნით, ამ მოსახსენებელში დასახელებული პირები გაქრისტიანებული არაბები უნდა იყვნენ⁵⁰.

რამდენად მისაღებია აკად. ე. მეტრეველის ზემომოტანილი მტკიცებულებები, ვინ არიან ის პირები, რომლებმაც მინაწერის ცნობიდან გამომდინარე, ხელნაწერი ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკას შესწირეს?

ამჯერად მე ძირითადად ბასილისა და დემეტრეს ვინაობა და მოღვაწეობის დრო მაინტერესებს. ფერისის ვინაობაზე ქვემოთ შევჩერდები.

ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, ხელნაწერის დათარიღებისას ე. თაყაიშვილი და ე. მეტრეველი მხოლოდ ტექსტის პალეოგრაფიული ანალიზით არ დაკმაყოფილებულიყვნენ. ტექსტის შედარებით ზუსტად დათარიღების საქმეში,

⁴³ მეტრეველი ე., საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტი. კრებულში – ე. მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვეთი I, თბ., 2007, გვ. 282.

⁴⁴ მეტრეველი ე., ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით. კრებულში – ე. მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვ. I, გვ. 278.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ იქვე, შენ. № 5

⁴⁷ შეჰანის უდაბნო პალესტინაში მდებარეობდა, იხ. ე. მეტრეველი, შეჰანის უდაბნო, XI საუკუნის უცნობი სამწერლობო კერა პალესტინაში. მრავალთავი, ტ. V, თბ., 1975.

⁴⁸ მეტრეველი ე., ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი..., გვ. 278.

⁴⁹ იქვე, გვ. 279.

⁵⁰ იქვე, გვ. 280, შენ. № 14.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ბასილისა და დემეტრეს ვინაობის დადგენა უნდა დაგვეხმაროს.

რადგან ხელნაწერი საქართველოშია გადაწერილი და იგი ბასილი და დემეტრე მონაზვნების ნებით შესწირა სუმეონ ხუცესმა ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკას, დასახელებული პირებიც ქართული სავანის მოღვაწეთა შორის უნდა ვეძიოთ და ამ მხრივ მათი მოღვაწეობის ადგილად ხახულის ლავრა მეჩვენება.

როგორც ზემოთ ითქვა, 1019 წელს მცირეწლოვანი გიორგი ბიძებმა იმ ხანად უკვე სახელმოსვეჭილ, ჩვენი ქვეყნის განმანათლებლად მიჩნეულ ბასილ ბაგრატის ძესაც წარუდგინეს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, XI ს-ის 20-იანი წლების დამდეგისათვის გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი ხახულში მოღვაწე ბასილ ბაგრატის ძეს ქვეყნის წინაშე უკვე დიდად დამსახურებულ პირად – „განმანათლებლად ქუეყნისა ჩუენისა“ მიიჩნევს. იმაზეც მივუთითო, ბასილმა და დემეტრემ ზემოდასახელებული ხელნაწერი მოხუცებულობისას რომ შეწირეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ხელნაწერიც ხახულიდან იქნა გაგზავნილი იერუსალიმში, მაგრამ ასეთ მტკიცებას ქართულ მეცნიერებაში გამოთქმული ის თვალსაზრისი ეწინააღმდეგება, რომლის თანახმად. 1022 წლიდან ბასილი ბაგრატის ძე საქართველოში აღარ იმყოფებოდა.

1022 წლიდან ათონის მთაზე ბასილი ბაგრატის ძის მოღვაწეობის საკითხი ე. მეტრეველმა 1952 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში დასვა. მისი სიტყვით, ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი ერთი საგალობლის ავტორია გიორგი მთაწმიდელი, ხოლო მეორე საგალობელი ვინმე ბასილი ბაგრატის ძეს ეკუთვნის. ამ ხელნაწერში საგალობლის გასწვრივ მიწერილია „ბასილ ბაგრატის ძე“, სადაც „ბაგრატის ძე“ ძნელად იკითხება⁵¹. ლიტერატურის ისტორიაში, – აღნიშნავს ე. მეტრეველი, – ჰიმნოგრაფი ბასილ ბაგრატის ძე აქამდე ცნობილი არ იყო. ეგრეთ წოდებულმა „ათონის კრებულმა“ (A-558) შემოგვინახა XI საუკუნის მოღვაწის ბასილი ათონელის სახელი, რომელსაც *ეფთვიმისა და იოანეს საგალობელი* დაუწერია. მაგრამ ბასილი ათონელი არ არის ბასილი ბაგრატის ძე. ბასილის მამის სახელით წოდება ნიშნავს იმას, რომ ბასილი წარჩინებული პირი იყო⁵².

„ათონის კრებულში“ მოხსენიებული ბასილი ათონელის ბასილი ბაგრატის ძესთან იდენტურობის საკითხი აკად. კ. კეკელიძემაც უარყო. 1074 წელს გადაწერილ ხელნაწერში (A-558) შემონახული იმ აკროსტიხის (რომელიც იძლევა წინადადებას – „ღმერთშემოსილსა ეფთიმის გლახაკი ბასილი შეამკობს“) ავტორი იყო თუ არა ბასილი ბაგრატის ძე, გადაჭრით ვერ ვიტყვი⁵³. ყოველ შემთხვევაში, – დასძენს კ. კეკელიძე, – ეს ბასილი არ უნდა იყოს ის ბასილი ბაგრატის ძე, რომელსაც აგრეთვე დაუწერია ექვთიმეს საგალობლები. ეს ბასილი იყო ძე ბაგრატ მესამისა (გარდ. 1014 წ.), მოღვაწე ხახულის ლავრისა, რომელსაც ლოცვა-კურთხევის მისაღებად წარუდგინეს 10 წლის გიორგი⁵⁴.

ამრიგად, თუ კ. კეკელიძისა და ე. მეტრეველის ზემომოტანილ თვალსაზრისებს გავითვალისწინებთ, 1074 წელს გადაწერილ „ათონის კრებულში“ დასახელებული ბასილ ათონელი არაა ბასილი ბაგრატის ძე და არც ამ უკანასკნელის ათონის მთაზე გადასვლის შესახებ შეიძლება საუბარი. ასეთი დასკვნა, თითქოს, ლოგიკური უნდა ყოფილიყო ე. მეტრეველისათვისაც, მაგრამ მას იქვე მოაქვს პლატონ იოსელიანისა და პორფირი უსპენსკის

⁵¹ მეტრეველი ე. ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის, გვ. 191.

⁵² იქვე, გვ. 193.

⁵³ კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 235.

⁵⁴ იქვე.

ნააზრევი ბასილი ბაგრატის ძის შესახებ და აღნიშნავს: „ორივე ავტორი ნამყოფია ათონის ივერიის მონასტერში, ისინი იცნობენ ქართულ ხელნაწერთა კოლექციებსა და ბერძნულ მასალებს. პ. იოსელიანისა და პ. უსპენსკის ცნობით, ბასილი ბაგრატის ძე ათონის მოღვაწეთა კოლექტივის წევრია“⁵⁵.

ასე, სათანადო დასაბუთების გარეშე, გაიზიარა ე. მეტრეველმა დასახელებულ მკვლევართა თვალსაზრისი ბასილ ბაგრატის ძის ათონის მთაზე მოღვაწეობის შესახებ და თავის მხრივ დასძინა: „ძნელია იმის თქმა, თუ როდის უნდა წასულიყო ბასილი ბაგრატის ძე ათონზე. 1022 წელს ბასილი ხახულშია. 1022 წელზე ადრე ის ათონს ვერ ჩავიდოდა. ხოლო ის გარემოება, რომ „იონანსა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ ბასილი ბაგრატის ძე არ ჩანს, ეფთვიმეს თანამოღვაწეთა შორის, გვაფიქრებინებს, რომ ბასილი ეფთვიმეს *სიცოცხლის ბოლოს ან მისი გარდაცვალების უძალ* მისულა ათონს, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ეფთვიმეს უახლოეს თანამოღვაწეთა შორის ეფთვიმის ცხოვრების დეტალები, რითაც ისარგებლა კიდევ ბასილი ბაგრატის ძემ ეფთვიმეს სახელზე დაწერილ საგალობელში“⁵⁶.

ე. მეტრეველის დასკვნით, ბასილი ბაგრატის ძე XI საუკუნის პირველი ნახევრის იმ მოღვაწეთაგანია, რომელიც ტაოსა და ათონის კულტურულ ცენტრებს აკავშირებდა. ბასილი თავის დროისათვის მეტად ცნობილი მოღვაწე ყოფილა როგორც ტაოში, ისე ათონზე⁵⁷.

ათონზე ბასილი ბაგრატის ძის ჩასვლის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ბასილი ბაგრატის ძე, როგორც ფერისის ცოლის ძმა, ფერისის ოჯახთან ერთად იყო გადასახლებული კონსტანტინოპოლში, მაშინ 1034 წელს, როცა ფერისის ოჯახის წევრები ტაოში დაბრუნდნენ, ბასილი ბაგრატის ძეც მათთან ერთად უნდა დაბრუნებულიყო. კონსტანტინოპოლიდან ათონის მთაზე მისი ჩასვლის შესახებ წყაროებში მინიშნებაც კი არაა. რაც მთავარია, პორფირი უსპენსკისა და პლატონ იოსელიანს ათონის მთაზე ბასილი ბაგრატის ძის მოღვაწეობის შესახებ დამატებითი დამადასტურებელი ცნობა არა აქვთ მოხმობილი. ე. მეტრეველი, ათონის მთაზე ბასილის ჩასვლას ექვთიმე მთაწმიდელის *სიცოცხლის ბოლო წელს ან „გარდაცვალების უძალ“* – დაახლოებით 1029 წელს ვარაუდობს, რაც გამორიცხებულია. გადასახლებულებმა, როგორც ითქვა, კონსტანტინოპოლში თორმეტი წელი – 1034 წლამდე დაჰყვეს და ისინი, ალბათ, მეთვალყურეობის ქვეშ იქნებოდნენ. ბასილს კონსტანტინოპოლიდან ათონზე ჩასვლის ნებას არ დართავდნენ.

ზემოთქმული მხოლოდ ვარაუდია, ისე კი ბასილ ბაგრატის ძეს ღრმა მოხუცებულობამდე რომ უნდა გაეგრძელებინა მოღვაწეობა ხახულის ლავრაში, ამის შესახებ მიუთითებს ზემომოტანილი Georg-28-ად წოდებული ხელნაწერის ის მინაწერი, რომლის თანახმად, ბასილის თანამოღვაწე დემეტრე მონაზონმა „სიბერის სიღრმის“ გამო იერუსალიმში ჩასვლა რომ ვერ შეძლო⁵⁸. ამ ხელნაწერის მინაწერში ბასილი, მართალია, ბაგრატის ძედ არ იწოდება, მაგრამ გიორგი მთაწმიდელის მიერ თავის გამზრდელად დასახელებული დიმიტრის – დემეტრეს გვერდით მისი მოხსენიება, სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, იმ ხანად ბასილიც ღრმა სიბერეს მიღწეული იყო, და ბასილი იგივე ბასილი ბაგრატის ძე არის.

⁵⁵ მეტრეველი ე. ქართული ორიგინალური პიმნოგრაფიის..., გვ. 197.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ იქვე, გვ. 197–198.

⁵⁸ მეტრეველი ე., ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ხელნაწერი..., გვ. 278. ბასილის საგალობელში არავითარი მინიშნება არაა ამ საგალობლის მაინცდამაინც ათონის მთაზე შექმნის შესახებ. იხ. ბასილი, გალობანი ეფთვიმე მთაწმიდელისანი. ჩვენი საუნჯე, I, თბ., 1960, გვ. 505–509.

ჩემი დაკვირვებით, ასევე ბასილი ბაგრატიის ძეა ის პიროვნება, რომელიც 1027–1034 წლებში ხახულში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში „ბასილი ღმერთშემოსილად“ იწოდება. მასში აღნიშნულია: „ხოლო დაიწერა ჳელითა დაავითისათა ლავრასა დიდსა ხახულისა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, მეფობასა რომანოსისა ქართველთა ზედა ბაგრატ მცირისა, მთავარმამობასა ბასილი ძისა დავით პატრიკისა. მნათეობასა ღმერთშემოსილისა მამისა ანტონისსა, დეკანოზობასა კინტიანესა, ხოლო უმეტეს ყოველთა აღიდენ ღმერთმან მამად ბასილი, კაცი ღმერთშემოსილი. მსგავსებითა და ღირსებითა სწორი წმიდათა მოციქულთა, ნავთსაყუდელი ყოველთა უცხოთა და მიეცინ ღმერთმან მადლი...“⁵⁹. ამის შემდეგ მინაწერის ავტორი ჩამოთვლის ხახულში მოღვაწე სხვა პირებს და დასძენს: „ამის წიგნის წერასა“, რომელთაც ნუგეში მცეს ერთხელ, ორჯერ და „რომელმანმე უმეტეს“, ესენი არიანო: „პირველად ღმერთშემოსილი მამად ბასილი“ (მოსდევს ჩამოთვლა)⁶⁰.

ანდერძში ნახსენები „მეფე რომანოსი“ რადგან ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ არგირია (1028–1034 წწ.), ხოლო ქართველთა მეფე „ბაგრატ მცირე“, ბაგრატ მეოთხე, რომელიც 1027 წელს მცირეწლოვანი გამეფდა, აქედან გამომდინარე, ხელნაწერსაც შესაბამისად 1027–1034 წლებით ათარიღებენ⁶¹. მართალია, ე. მეტრეველი თვლის, რომ ამ მინაწერის შესრულებისას ბასილი ბაგრატიის ძე ხახულში აღარ იყო, რადგან იგი გიორგი მთაწმიდელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, ეფთვიმეს თანამოღვაწეთა შორის არა ჩანს⁶², მაგრამ ამ თხზულებაში ბასილი ბაგრატიის ძის მოუხსენებლობა იმის მყარ საბუთად არ გამოდგება იგი ხახულში რომ არ მოღვაწეობდა. გიორგი მთაწმიდელს „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ ყველა დეტალი დოკუმენტური სიზუსტით არა აქვს მოთხრობილი⁶³.

მინაწერის ავტორის დახასიათებით „ღმერთშემოსილი მამად ბასილი“ იყო „მსგავსებითა და ღირსებითა სწორი წმიდათა მოციქულთა, ნავთსაყუდელი ყოველთა უცხოთა“, რომელმაც ხელნაწერზე მუშაობისას მას ორჯერ და უფრო მეტადაც „ნუგეში სცა“. ასეთი პიროვნება სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არა „მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისა“ ბასილი ბაგრატიის ძე? გვიანდელი ავტორებიც მას ხომ ხახულელ მოღვაწედ მიიხნევენ (იხ. ზემოთ, გვ. ...).

გიორგი მთაწმიდელი თავის ანდერძში ხახულში მყოფ დიმიტრის (დემეტრეს) რადგან თავის აღმზრდელად ასახელებს და ამ სახელის მატარებელი პიროვნება საქართველოში გადაწერილ ხელნაწერში ბასილთან ერთად იხსენიება, ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, ხელნაწერი ხახულის ლავრაში რომ უნდა გადაეწერათ. Géorg-28 ხელნაწერის მინაწერში დემეტრე იერუსალიმში ჩაუსვლელობის მიზეზად „ღრმა სიბერეს“ ასახელებს, და მართლაც, ჯვრის მონასტრის მშენებლობის დამთავრებისას (XI ს-ის 30-იანი წლების დასასრულს), დემეტრე (ასევე ბასილი), მოხუცი იქნებოდა. ასე რომ, დემეტრეც ხახულური წრის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. აღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, ევროპელ პილიგრიმების მოსახსენებელთა შორის არსებულ იმ მინაწერში, რომელშიც „ფერის“ არის მოხსენიებული, ფერის ჯოჯიკის ძეს ეკუთვნის და არა ვიღაც ქრისტიან არაბს. ხახულის სავანიდან გამოსულ ხელნაწერში ფერის ჯოჯიკის ძის მოსახსენებლის არსებობა კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

თუ ზემომოტანილი დასაბუთება მისაღებია, მაშინ Géorg-28 ხელნაწერი, როგორც ე. მეტრეველი ამტკიცებს, XII ს-ის მეორე ნახევარში კი არა, XI ს-ის

⁵⁹ მეტრეველი ე. ქართული ორიგინალური პიმნოგრაფიის..., გვ. 194–195.

⁶⁰ იქვე, გვ. 195.

⁶¹ იქვე.

⁶² იქვე, გვ. 197.

⁶³ გოილაძე ვ., გიორგი მთაწმიდელიდან მომდინარე ერთი ცნობა...

30-იანი წლების დასასრულს, ხახულის ლავრაში უნდა იყოს გადაწერილი. იმ ხანად, როგორც დიმიტრი, ისე ბასილ ბაგრატიის ძე, როგორც ჩანს, კვლავ ხახულში მოღვაწეობდნენ და მათ მიერ ხახულიდან იქნა გაგზავნილი ხელნაწერი იერუსალიმში. იქ ჩასვლა მათ „ღრმა სიბერის“ გამო ვერ შეძლეს.

აი, ის მასალა, რაც გიორგი მთაწმიდელის მიერ თავის გამზრდელად დასახელებული დიმიტრის შესახებ მოვიპოვე. რაც, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ ასახავს იმ დიმიტრის პიროვნებას, რომელმაც ახალგაზრდა გიორგიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ანტონ მნათე*. სვეტიცხოვლის ტაძრის ბიბლიოთეკა

გიორგი მთაწმიდელის თანამოღვაწეთა ხახულური წრის შედარებით სრული სურათის წარმოსადგენად მოკლედ მინდა გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ „ბასილი ღმერთშემოსილთან“ ერთად დასახელებული ხახულის მონასტრის მნათის – „ღმერთშემოსილი მამა ანტონის“ მოღვაწეობის საკითხსაც შევეხო.

ხახულის მონასტრის მნათე ანტონი, როგორც ზემოთ ითქვა, იმ პირთა შორის იყო, რომლებმაც 1019 წელს ხახულში ჩასული ათი წლის გიორგი დიდი სიხარულით მიიღეს. როგორც გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ ავტორი გიორგი მცირე წერს, „ღმერთშემოსილმა ანტონი მნათემან იხილა რაჲ, [გიორგი] განიხარა და ყოვლითა კურთხევითა აკურთხა“¹.

ხახულის მონასტერში მოღვაწე ანტონ მნათის შესახებ გიორგი მცირე სხვას არაფერს გვამცნობს, მაგრამ მის ცნობებს გარკვეულწილად ავსებს სხვა ძველქართულ ძეგლებში არსებული მონაცემები. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელო 1027-1034 წლებში ხახულის ლავრაში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძი. მასში ხახულის ლავრის მნათედ ისევ ანტონია დასახელებული („მნათეობასა ღმერთშემოსილისა მამისა ანტონისსა“²). ანდერძის ავტორი იმაზეც მიუთითებს, ხელნაწერზე მუშაობისას ანტონ მნათე იმ პირთა შორის რომ იყო, რომლებმაც მას „ნუგეში სცეს“³.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც გიორგი მცირე, ისე ზემოხსენებული ანდერძის ავტორი მხოლოდ ანტონის მნათეობის შესახებ მიუთითებენ და მისი ლიტერატურული საქმიანობის შესახებ არაფერს წერენ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვახუშტი ბატონიშვილს თავის თხზულებაში ჩართული აქვს ცნობა ბაგრატ IV-ის (1027–1072 წწ.) თანამედროვე ქართველი მთარგმნელების შესახებ. მათში ანტონ მნათეც არის დასახელებული⁴.

ანტონ მნათეს ლიტერატორად თვლის ანტონ I კათალიკოსიც (გარდ. 1788 წ.). თავის „წყობილსიტყვაობაში“ „მამისა ანტონი მნათისა“ შესახებ წერს:

ანტონი მნათი, ქართუცლთა დიდებული,
სიტყუთ და საქმით, ბრძენი ყოველთა შორის,
ხედუთ და საქმით დიდი სიბრძნისმოყუარე,
წიგნთა თარგმანი, ბრძენ, საღმრთო ღუთის-მეტყუცლი,

* ანტონ მნათეს პიროვნების შედარებით სრულად წარმოსაჩვენად ზოგიერთი წყაროს მონაცემები ქვემოთ განმეორებულია.

¹ გიორგი მცირე, დასახ. თხზ., გვ. 116.

² მეტრეველი ე., ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის..., გვ. 195.

³ იქვე.

⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 144.

რიტორი უხუ-სიტყუა, შუჭნიერ, მჭევრ-მოუბნარ“⁵.

ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობის“ გამომცემელი პლატონ იოსელიანი ზემომოტანილი სტრიქონების სქოლიოში წერს: „ანტონი მნათი, ანუ სხუათა წერილთა შინა წოდებული ანტონი მნათე. ესე გარდაიცვალა მეფისა გიორგი მეორისა დროსა 1085 წელსა. წერილთაგან მისთა მინახავს მხოლოდ ათონისა მთასა, სადაც აღიზარდა იგი, საგალობელი დღისათვის მოსხენებისა ევთიმი ათონელისა, პორტაიტისა მონასტრისა დამფუძნებლისა“⁶.

ანტონ მნათეს ასევე მთარგმნელად თვლის იოანე ბატონიშვილი. „კალმასობაში“ იგი წერს: „მამა ანტონი მნათი, ქართველი, ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსი და მთარგმნელი წერილთა. უბნობასა შინა მჭევრმეთქვი, და მშვენიერი მზრახველი, და მქადაგებელი, რომელიცა იწოდებოდა დიდ მეცნიერად. ამან კეთილად განვლო ცხოვრება თვისი და მრავალნი ნაყოფნი სწავლისანი გამოიღო და მერე უფლისად მიიცვალა“⁷.

ანტონ მნათე მთარგმნელადაა დასახელებული იმ კატალოგში, რომელიც XIX ს-ის ორი ნუსხითაა შემონახული. თუმცა, როგორც ე. მეტრეველი წერს, ცნობების ხასიათისა და სიზუსტის გამო კატალოგი ძველი ჩანს⁸. როგორც ზემოთ შევნიშნე, ამ კატალოგით ისარგებლა ვახუშტი ბატონიშვილმა (გარდ. 1757 წ.), როცა ბაგრატ IV-ის თანამედროვე მთარგმნელთა შესახებ მიუთითა.

კატალოგში 1027 წელსა და შემდგომ ხანაში მოღვაწე მთარგმნელთა შორის, ისე, როგორც ვახუშტისთან, დასახელებული არიან: „ბერი გრძელი, ახალი აბრაამ, არსენი, ანტონ მნათე, ვასილი (ვახუშტისთანაა ბასილი) ბაგრატის ძე“. იქვე ნათქვამია, რომ ესენი ევთიმეს და მთაწმიდელსაც მოესწრენო⁹.

ანტონ მნათეს შესახებ ასეთი მითითებების მიუხედავად, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევრები მას არც მთარგმნელად და არც ლიტერატორად არ თვლიან. აკად. ე. მეტრეველმა 1952 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში მხოლოდ შემდეგი მიუთითა: ხახულის ანდერძის მიხედვით, ანტონ მნათე, მეტად საპატიო წევრი ყოფილა ხახულის მონასტრის კოლექტივისა-ო¹⁰. ანტონ მნათეზე, როგორც XI ს-ის ქართველ მოღვაწეზე, წერილი არც ქართულ ენციკლოპედიაშია შეტანილი.

ანტონ მნათეს ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, როგორც ჩანს, აკად. კეკელიძისათვისაც არაფერი იყო ცნობილი. ამით უნდა აიხსნას, მის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (ტ. I, თბ., 1960), სადაც დეტალურადაა გაანალიზებული ძველ ქართველ მოღვაწეთა შემოქმედება (როგორც ორიგინალური ისე თარგმნილი ლიტერატურა), ანტონ მნათეს შესახებ რომ არაფერია თქმული. ბ-ნი კორნელი ანტონ მნათეს მხოლოდ 1019 წელს მცირეწლოვანი გიორგის ხახულში ჩაყვანასთან დაკავშირებით ახსენებს¹¹.

ანტონ მნათეს, როგორც XI ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე პიროვნების წარმოსახენად გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის მიერ მისი „ღმერთშემოსილად“ მიჩნევა და როგორც აკად. ე. მეტრეველი წერს, ხახულის მონასტრის მოღვაწეთა შორის – „მეტად საპატიო წევრად“ დასახელებაც დიდი პატივია, მიუხედავად ამისა, მე მაინც მინდა ანტონ მნათეს შესახებ ჩემი აზრი გამოვთქვა.

⁵ წყობილ-სიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირუჭლისა კათალიკოს-პატრიარქისა ყოვლისა საქართუჭლოდსა, თფილისი, 1853, № 715.

⁶ იქვე, სქოლიო № 128.

⁷ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტ. II, თბ., 1948, გვ. 172.

⁸ მეტრეველი ე., ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის..., გვ. 194.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე, გვ. 196.

¹¹ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 214.

ანტონ მნათე, როგორც საეკლესიო მოღვაწე რომ „ღმერთშემოსილი“ იყო, ეს ცხადია, მაგრამ „კატალოგის“ შემდგენელი, ანტონ I, ასევე იოანე ბატონიშვილი მას რომ მთარგმნელად („მთარგმნელი წერილთა“), „ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსად“, „მქადაგებლად“ თვლიან, განა ეს მათი მხოლოდ ლიტონი სიტყვებია? იქნებ კატალოგის შემდგენელს მაინც ჰქონდა ხელთ გარკვეული მასალა, რომელიც ანტონ მნათეს ლიტერატურულ მოღვაწეობას ასახავდა?

ჩემი აზრით, ძნელი გასაზიარებელია პლატონ იოსელიანის მითითება იმის შესახებ, ანტონ მნათე რომ 1085 წელს გარდაიცვალა, ასევე თითქოს ანტონ მნათე ათონის მთაზე აღიზარდა, მაგრამ მისი მითითება იმაზე, მან ათონის მთაზე, „ეფთიმი ათონელის, პორტაიტისის მონასტრის დამფუძნებლის“ სახელზე ანტონ მნათეს მიერ შეთხზული საგალობელი ნახა, იქნებ სიმართლეს შეიცავს, ძველი საქართველოს ისტორიაში არაერთია ისეთი პიროვნება, რომელთა ღვაწლის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა, ან საერთოდ, არაფერი ვიცით. მათი ღვაწლის გამომზიურება დიდი საქმეა. ასევე, თითქმის, არაფერი ვიცით ანტონ მნათეს ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ, თუმცა, ჩემი დაკვირვება, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენ, თუ ისტორიული რეალობის ამსახველი აღმოჩნდება, ანტონ მნათე XI ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი მთარგმნელი თუ არა, საღვთო წიგნთა გადამწერად მაინც უნდა მივიჩნიოთ და მას სათანადო ადგილი მივუჩინოთ შუა საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შორის.

ჩემი დაკვირვებით, ხახულის ლავრაში მოღვაწე ანტონ მნათე (რომელიც 1019 წლისათვის უკვე „ღმერთშემოსილად“ და დიდად პატივცემულ პირად ითვლებოდა), და მელქისედეკ ქართლის კათალიკოსის მიერ „მცხეთის საბუთში“ მის დედის ძმად (ბიძად) დასახელებული ანტონი იდენტური პირები უნდა იყვნენ. მათ იდენტურობაზე, ჩემი აზრით, შემდეგი მიგვითითებს: მელქისედეკ კათალიკოსი თავის „დაწერილში“ (იგივე „მცხეთის საბუთი“), როგორც ცნობილია, ბაგრატ III-ს თავის გამზრდელად ასახელებს¹². თავის მხრივ, საქართველოს ერთიანობისათვის მეზობელ 18 წლის ბაგრატ III-ს ქართლში გადმოსვლის შემდეგ საქართველოს ეკლესიის თანადგომა ესაჭიროებოდა. ამიტომ, როგორც ზემოთ ვაჩვენე, იგი შეეცადა კათალიკოსის პოსტზე თავისი ახლობელი დაესვა.

ბაგრატ III-ის „გაზრდილი“ მელქისედეკი (ბ. ლომინაძის თანახმად, მელქისედეკი ბაგრატ III-ის ახლობელი იყო), ან გურგენ „მეფეთა მეფის“, ან დავით III-ის სამეფო კარზე „გაზრდილი“, ან, უფრო სავარაუდოა, სამეფო კართან ახლოს მყოფი ოშკის ან ხახულის მონასტრებიდან გამოსული მოღვაწე უნდა ყოფილიყო.

მელქისედეკ კათალიკოსის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან წარმომავლობის შესახებ მოსაზრება მე ჯერ კიდევ სათანადო მასალის გაცნობამდე გამოვთქვი. საეჭვო არა ჩანს, ბაგრატ III-ის „გაზრდილის“ ბიძაც, სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ კულტურული კერიდან რომ უნდა ყოფილიყო. ასეთად კი სწორედ ხახულის ლავრაში მოღვაწე ანტონ მნათე უნდა მივიჩნიოთ¹³.

ის მდიდარი და მრავალგვარი ლიტერატურა, რომელიც მელქისედეკ კათალიკოსს თავის დედის ძმამ – ანტონმა უბოძა, მხოლოდ ხახულის მდიდარ მონასტრს შეეძლო გაეღო მცხეთის საპატრიარქო ტაძრისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხახულის მომიჯნავე ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ეკონომიკურად საგრძნობლად დაწინაურებული რეგიონი ანტონ მნათესა და

¹² დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 24.

¹³ მელქისედეკის მიერ თავისი ბიძის სახელის დასახელებას მაშინ ჰქონდა აზრი, თუ ეს სახელი ცნობილი იყო. ამ მხრივ ანტონი მნათეს, XI ს-ის I ნახევრის საქართველოში, ალბათ, პოპულარობა არ აკლდა.

ხახულის ლავრის ძმობას ასეთი ქმედების საშუალებას აძლევდა. ალბათ, არც ისაა შემთხვევით, სწორედ ხახულში რომ შეიქმნა შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვანი ძეგლი – ღვთისმშობლის კარელი ხატი.

ახლა ვნახოთ, რა უბოძა ანტონ [მნათემ] მელქისედეკ კათალიკოსს.

მელქისედეკი წერს: „დედიძმას ჩემსა ანტ(ო)ნის ებოძა ჩემდა ანდრია სალოსი[ს] ცხო[რება] წიგნი ა.

დავითისა თარგმ(ა)ნი წიგნი ა.

ს(ა)თანაოდ მრ(ა)ვ(ა)ლთავი ა.

ს(ა)წელიწდოდ დადგ(ა)რი ახალი ა.

და კ(უ)რთხ(ე)ვ(ა)ნი, რ(ომე)ლსა შ(ინ)ა სწერია ეკლესიისა კ(უ)რთხ(ე)ვ(ა)დ, ხუცეს-დიაკონთა კ(უ)რთხ(ე)ვ(ა)დ, გ(ა)რე ოქროდსა ხატითა და ცუართთა მოჭედილნი ა.

კურთხევანი სხუანი საწელიწდონი სრულნი ყოვლითა ფერითა, გარე ვეცხლისა ცუართთა მოჭედილნი ა.

შჯულის კანონი ახალი ა.

მარხვანი, რომელ სამეფოს იტყუიან ა.

და სხუ(ა)დ წიგნები, თავი ზ.

და ორად გაყოფილი იადაგარი მეხური, რომელსა შიგან განგებად საწელიწდოდ სწერია ა.

მატიანენი საშინაონი და სააღაპენი, ვეცხლითა მოჭედილნი ა.

და მატიანენი სათანაონი, ვეცხლითა მოცუარულნი ა.

ჟამის-წირვანი სათანაონი ა.

ესე წიგნები, რომელ მე დამიწერიან, ჯუმლად არს თავი კე¹⁴.

წიგნების ჩამონათვალს მოსდევს იმ ნივთების სია, რომელიც მელქისედეკმა ანტონისაგან მიიღო.

სანამ ანტონ [მნათემ] სვეტიცხოველს მელქისედეკის მიერ დასახელებულ წიგნებს შეწირავდა, – სვეტიცხოვლის წიგნთსაცავში, როგორც ეს მელქისედეკის „დაწერილში“ არსებული ჩამონათვალიდან ჩანს, სულ 12 ხელნაწერი ყოფილა. შეწირული წიგნების შემდეგ, როგორც მელქისედეკი აცხადებს, სვეტიცხოვლის წიგნები ჯუმლად კე – 25 გახდა¹⁵.

შემდეგში – დროთა განმავლობაში სვეტიცხოვლის საპატრიარქო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი თანდათან ივსებოდა. საპატრიარქო ბიბლიოთეკაზე არაერთი ქართველი მოღვაწე ზრუნავდა. ასეთმა ზრუნვამ, რა თქმა უნდა, შედეგი გამოიღო. როგორც პროფ. ლ. მენაბდე წერს, მცხეთის სვეტიცხოვლის ბიბლიოთეკას შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი წიგნთსაცავი ჰქონდა. „საუნჯეთა წიგნის საცავთა მცხეთისა ეკლესიისათა“ ხშირად ახსენებენ ძველი მოღვაწენი. ერთი ცნობით, ანტონ პირველის დროს მცხეთის ტაძარში 7000-მდე წიგნი იყო.¹⁶

მიუხედავად იმისა, რომ სვეტიცხოვლის ტაძრის მდიდარი ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავი არაერთხელ განადგურდა მტრის მიერ, ჩვენამდე მაინც არაერთმა „მცხეთურმა ხელნაწერმა“ მოაღწია.

¹⁴ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 24–25.

¹⁵ მელქისედეკის „დაწერილში“ არსებული ცნობით, სანამ ანტონი სვეტიცხოველს წიგნებს შეწირავდა, წიგნთსაცავში 12 ხელნაწერი ყოფილა. ანტონი მნათემაც თუ 20 შეწირა, საერთო რიცხვი 32 გამოვა და არა 25, როგორც „დაწერილშია“ მითითებული. ამ შემთხვევაში „სხუად წიგნები, თავი ზ“ – ე. ი. 8, თუ ერთი კრებული იყო, მაშინ წიგნთა საერთო რაოდენობა, მართლაც, 25 იქნებოდა.

¹⁶ მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი I, გვ. 202–203.

თავი X. ბასილი ბაგრატის ძის პიროვნება და წარმომავლობა

XI ს-ის პირველი ნახევრის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ბასილი ბაგრატის ძე ჯერ კიდევ ნაკლებადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. ამიტომ გადავწყვიტე ბასილი ბაგრატის ძის პიროვნების შედარებით სრული სურათის წარმოსაჩენად მის წარმომავლობის საკითხსაც შევეხო.

თუ იმ საქებარ სიტყვებს გავითვალისწინებთ, რომლებიც ბასილი ბაგრატის ძეზე ძველმა ქართულმა ძეგლებმა შემოგვინახა, იგი XI ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი დიდი მოღვაწე უნდა ყოფილიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენამდე არ მოუღწევია¹. საერთოდ, ბასილის მოღვაწეობის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით, თუმცა თანამედროვეთა (ასევე გვიანი ხანის ავტორების) მიერ ბასილისადმი მიმართული სიტყვები გვავალებულებს მისი პიროვნება, წარმომავლობა შედარებით კარგად ვიცოდეთ.

კიდევ ერთხელ ვნახოთ, ვინ რას წერდა ბასილი ბაგრატის ძეზე.

როგორც ზემოთაც ითქვა, 1019 წელს ხახულში გიორგის (მთაწმიდელის) ჩასვლისას, ბასილი უკვე სახელგანთქმული მოღვაწე იყო. გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი გიორგი მცირე ბასილი ბაგრატის ძეს რომ „დიდს“, „მოძღვარს და განმანათლებელს ქუეყანისა ჩუენისას“² უწოდებს, ეს, რა თქმა უნდა, თვით გიორგი მთაწმიდელის შეხედულებას ასახავს.

1027–1034 წლებში ხახულის ლავრაში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში ბასილი ბაგრატის ძის შესახებ ნათქვამია: „ხოლო უმეტეს ყოველთა ადიდენ ღმერთმან მამად ბასილი, კაცი ღმერთშემოსილი, მსგავსებითა და ღირსებითა სწორი წმიდათა მოციქულთა, ნავთსაყუდელი ყოველთა უცხოთა და მიეცინ ღმერთმან მადლი...“³. ანდერძის ავტორის სიტყვით, „ღმერთშემოსილი მამად ბასილი“ პირველი იყო იმ პირთა შორის, რომლებმაც წიგნის წერისას მას რამდენჯერმე ნუგეში სცეს⁴.

რა წყაროებზე დაყრდნობით, არა ჩანს, მაგრამ უფრო გვიან ქართლის კათალიკოსმა ანტონ I-მა (გარდ. 1788 წ.) თავის „წყობილსიტყვაობაში“ ბასილის შემდეგი სტრიქონები უძღვნა:

ვასილი წარმო მეშუთაგან ჩინებულთა,
ძე ბაგრატისი, ვგონებ რეცა მეფისა,
ქრისტეს შედგომა, ქრისტესად მოქმედება
მისთა მცნებათა, ნიადგ დამცუწლობით
აწ წესებულეს, წმიდათა თანა მკუდრად.

მოქალაქობა ვასილისა საქებელ,
სახარებისა ჰსჯულთა დაცუა უქცეველ,
ქრისტესდა მუდამ ჳმევა სიბრძნეთა თუსთა,
ეკლესიისა, სამკაულ-ყოფა ამით,
ქებულ არს, აწცა იქების წიგნთა შინა⁵.

იოანე ბაგრატიონი კი „კალმასობაში“ ბასილს ახასიათებს, როგორც ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში განსწავლულ მწიგნობარს, მთარგმნელს,

¹ ლოლაშვილი ი., ბასილი ბაგრატის ძე, ქსე, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 221.

² გიორგი მცირე, ცხორებად გიორგი მთაწმიდელისაძ., გვ. 116.

³ მეტრეველი ე., ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის..., გვ. 195.

⁴ იქვე.

⁵ ანტონ ბაგრატიონი, „წყობილსიტყვაობა“, წიგნი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ.ბარამიძემ, თბ., 1972, გვ. 168; შდრ., წყობილ-სიტყვაობა, № 717, 718.

„რიტორ-მოხრობელს და მაღალ ფრასასა ზედან დამოხზველს“. მას „ქართველთა ეკლესიათა სამკაულს“ უწოდებს⁶.

როგორც ჩანს, გვიან შუასაუკუნეებში შედგენილ კატალოგში, რომელშიც აკად. ე. მეტრეველის სიტყვით, ერთი კულტურული წრის წევრები – ტაოსა და ათონის მონასტრებში მოღვაწენი არიან ჩამოთვლილნი, XI ს-ის ლიტერატორთა შორის დასახელებულია „ბასილი ბაგრატის ძე ხახულს მყოფი“⁷. მეფე ბაგრატ მეოთხეზე თხრობისას ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც ჩანს, კატალოგზე დაყრდნობით წერს – „მთარგმნელნი ამ ჟამთა იყვნენ“-ო და სხვებთან ერთად ბასილი ბაგრატის ძესაც ასახელებს⁸.

აღნიშნული კატალოგი დღეს XIX ს-ის ნუსხებით (A – 1580; A – 1767) არის შემორჩენილი და მას სათაურად აქვს: „ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის წმიდათა მამათა მეცნიერთათვის, თუ რომელსა, რომლის მეფის დროს, ან სადაურნი იყუნენ და ამათ გადმოიღეს ელინურიდამ სრულიად საღმრთო წერილი“⁹.

აღბათ, დამეთანხმებით, პიროვნება, რომელმაც თავისი თანადროული, ისე გვიანი ხანის ქართველი მოღვაწეებისაგან ასეთი საქებარი სიტყვები დაიმსახურა, ჩვენგანაც მეტი პატივისცემისა და ყურადღების ღირსია. მისი წარმომავლობის გასარკვევად ჩემ მიერ მოტანილი მასალით იქნებ ბასილი ბაგრატის ძის ბიოგრაფიას ერთი საინტერესო შტრიხი შევმატო.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჩვენი მეცნიერები ბასილს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის ძედ მიიჩნევენ, რაც მკვლევართა ნაწილს აეჭვებს. XI ს-ის გამოჩენილი მოღვაწის ბასილი ბაგრატის ძის ბიოგრაფიის შესავსებად, მართლაც, საინტერესოა იმის გარკვევა, თუ ვისი ძე იყო იგი.

დასმული საკითხის არა თუ გადასაწყვეტად, აზრის გამოსათქმელადაც კი, მართალია, ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში ხელმოსაკიდი მასალა არაა, მაგრამ მ. ჩამჩიანისა და მარი ბროსეს ნაშრომებზე დაყრდნობით ამ საკითხზე აკად. ე. მეტრეველმა თავისი თვალსაზრისი უკვე გამოთქვა, თანაც, რადგან ჩემი ვარაუდით, ბაგრატ III-ის ბიოგრაფიის ერთი დეტალი გარკვეულ საფუძველს იძლევა მ. ჩამჩიანის ცნობის სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის, მე შევეცადე ე. მეტრეველის მიერ მოხმობილი მასალა ცოტა სხვა მხრივ გამეანალიზებინა და ისე მიმეწოდებინა მკითხველისათვის. რამდენად რეალურია ჩემი დასკვნები, ეს თვით მკითხველმა განსაჯოს.

XI ს-ის პირველ ნახევარში ხახულის ლაგრაში მოღვაწე „ღმერთშემოსილი ბასილი“ რომ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი იყო, ეს მთლად დადასტურებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ თუ გვიან შექმნილი ტრადიცია (ბაგრატ III-ის ძედ ბასილის მიჩნევის შესახებ) მცდარი არ არის, მაშინ დღეს ქართულ მეცნიერებაში მიღებულ შეხედულებას ჩემი დასკვნები გარკვეულწილად გაამყარებს.

ბასილი ბაგრატის ძის წარმომავლობით ჯერ კიდევ კათალიკოსი ანტონ I დაინტერესდა. მისი „წყობილსიტყვაობიდან“ ზემომოტანილ სტროფში, როგორც ვნახეთ, აღნიშნულია: „*გასილი... ძე ბაგრატისი, ვჰგონებ რეცა მეფისა*“. თუ ანტონ პირველმა ბასილის მხოლოდ მეფის ძეობაზე მიუთითა, 1813–1828 წლებში შედგენილ „კალმასობაში“¹⁰ იოანე ბატონიშვილმა ბასილი ბაგრატის ძე ბაგრატიონად გამოაცხადა („ბასილი ბაგრატიონისათვის“), თუმცა, ბასილი რომ ბაგრატ III-ის ძე იყო, ამის შესახებ მას არაფერი უთქვამს. ბასილი ბაგრატ III-

⁶ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, გვ. 172.

⁷ მეტრეველი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 144.

⁹ მეტრეველი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

¹⁰ ბარამიძე ა., იოანე ბატონიშვილი, ქსე, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 188.

ის ძედ პირველად პლატონ იოსელიანმა მიიჩნია. 1853 წელს ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობის“ გამოცემისას, იმ ადგილას, სადაც ანტონი „ვასილი ბაგრატის ძეზე“ წერს, სქოლიოში განმარტა: „ამან გარდამოიღო ბერძულით წიგნი, „ლავესაიკონი“. ვასილი იყო ძე მეფისა ბაგრატისა (1008 – 1014) ვითარცა ჰგონებს კათოლიკოსი ანტონ I. ამანვე გარდამოიღო ბერძულით წიგნი „ეფრემ ასურისა“¹¹.

მსგავს დასკვნამდე მივიდა რუსი საეკლესიო მოღვაწე პორფირი უსპენსკი (1804–1885 წწ.). მისი სიტყვით, ათონის მთაზე მოღვაწე ექვთიმეს წმიდა შრომაში ეხმარებოდნენ: იოანე გრძელისძე, არსენ ნინოწმიდელი ეპისკოპოსი და მონაზონი ვასილი ძე მეფე ბაგრატ III-ისა, რომელმაც თარგმნა „ლავესაიკონი“ და ეფრემ ასურის თხზულებანი (1008 წ.)¹².

ე. მეტრეველის სიტყვით, დასახელებულ ავტორებს (ე. ი. პ. იოსელიანსა და პ. უსპენსკის. – ვ. გ.) საიდან აქვთ ეს ცნობები მიღებული, არ ჩანს. ბასილი ბაგრატის ძის შესახებ ზოგიერთი ცნობა... დაცულია ძველსა და მოგვიანო ხანის წყაროებში. ამისდა მიუხედავად, მისი ვინაობა დადგენილად მაინც ვერ ჩაითვლება. ბასილი უძველესი წყაროების მიხედვით ბაგრატის ძედ არის ცნობილი. ეს წყაროებია: XI საუკუნის თვენი (H-1710) და ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა¹³.

ასე რომ, ბასილი რომ მაინცდამაინც ბაგრატ III-ის ძე იყო, ამის შესახებ ძველ წყაროებში ხელმოსაკიდი მასალა არაა. აღნიშნულის მიუხედავად, თვალსაზრისი – ბასილი რომ ბაგრატ III-ის ძე იყო, ქართული ლიტერატურის გამოჩენილმა მკვლევარმა აკად. კ. კეკელიძემაც გაიზიარა. იგი წერდა: ფერის ჯოჯიკის ძეს „ცოლად ჰყოლია ბაგრატ III-ის ქალი, დაი ბასილი მოღვაწისა და გიორგი პირველისა“¹⁴. 1962 წელს გამოცემულ ძველი ქართული მწერლობის კერებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში პროფ. ლ. მენაბდე აღნიშნა: „ხახულის ცნობილი მოღვაწეა ბაგრატ მესამის (975–1014) შვილი ბასილი, რომელსაც გიორგი მთაწმიდელის აღზრდაშიც მიუღია მონაწილეობა“¹⁵. შემდეგში ბაგრატ III-ის ძედ ბასილის მიჩნევის თვალსაზრისი აისახა ქართულ ენციკლოპედიაში ბასილი ბაგრატის ძისადმი მიძღვნილ პროფ. ი. ლოლაშვილის წერილში¹⁶.

როგორც ე. მეტრეველი წერს, მართალია, გიორგი მთაწმიდელი პირადად იცნობდა ბასილს, ამავე დროს ის იზრდებოდა მისი დის ოჯახში კონსტანტინოპოლში და, თითქოს, გამორიცხულია რაიმე შეცდომა მის მოწოდებულ ცნობებში, მაგრამ იმავე გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ბასილი მეფის (ბაგრატ III-ის) ძე იყო. „ძნელი დასაჯერებელია, – დასძენს ე. მეტრეველი, – რომ ბაგრატ მესამეს ჰყოლოდა ისეთი სახელმოსხვეჭილი ძე და ასული, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე და აღუნიშნავი დარჩენილიყო სუბპატის ქრონიკაში და „მატიანე ქართლისაჲში“, ეს წყაროები არც ბასილს და არც

¹¹ წყობილ-სიტყვაობა..., № 717–718, შენ. 129 (ბაგრატ III-ის გამეფების თარიღად 1008 წელია მითითებული). აკად. კ. კეკელიძის თანახმად, პალადი ჰელენოპოლელის „ლავესაიკონი“ ქართულად ეფრემ მცირემ თარგმნა. იხ. მისი, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 260. ე. მეტრეველის შენიშვნით, პლატონ იოსელიანის ცნობა საეჭვოა, რადგან „ლავესაიკონის“ ერთადერთი ეფრემისეული თარგმანია ცნობილი, თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ბასილი ბაგრატის ძის თარგმანი ან გამოვლენილი არ არის, ანდა დაკარგულია. იხ. ე. მეტრეველის დასახ. ნაშრომი, გვ. 197, შენ. 3.

¹² Успенский П., История Афона (часть III), Киев, 1877, გვ. 162. იქვე პ. უსპენსკი იოანე გრძელისძეს მეფე გიორგი პირველის ძედ ასახელებს.

¹³ მეტრეველი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

¹⁴ კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 214.

¹⁵ მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I. ნაკვ. II, გვ. 456.

¹⁶ ლოლაშვილი ი., ბასილ ბაგრატის ძე, ქსე, ტ. 2, გვ. 221.

ფერისის მეუღლეს არ იცნობენ, ორივე წყაროში კი მეფეთა გენეალოგიაზე დეტალური ცნობებია დაცული¹⁷.

ე. მეტრეველის დასკვნით, ბასილი არ უნდა იყოს ბაგრატ III-ის ძე, თუმცა, – დასძენს იგი, – ამგვარი ნეგატიური პასუხი არ წყვეტს საკითხს, მხოლოდ ეჭვქვეშ აყენებს აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებას¹⁸.

ამრიგად, თვალსაზრისი, თითქოს ბასილი ბაგრატის ძე ბაგრატ III-ის ძე უნდა ყოფილიყო, აკად. ე. მეტრეველმა მხოლოდ ეჭვქვეშ დააყენა.

ბასილ ბაგრატის ძის თანამედროვე სუმბატ დავითის ძისა და „მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობებიდან გამომდინარე, ბაგრატ III-ს მხოლოდ ერთი ძე ჰყავდა – გიორგი. თუ ბასილსა და ფერისის მეუღლესაც მის შვილებად ჩავთვლით, მაშინ გამოდის, რომ ბაგრატს ორი ძე და ერთი ასული ჰყოლია.

ერთი ცხადია, ბასილი ბაგრატის ძის წარმომავლობა და მშობლები როგორც გიორგი მთაწმიდელს, ისე XI ს-ში ხახულის ლავრაში მოღვაწე სხვა პირებს კარგად ეცოდინებოდათ. მაგრამ ისინი, ისე, როგორც სუმბატ დავითის ძე და „მატიანე ქართლისას“ ავტორი, ბასილის მშობლების შესახებ არაფერს გვამცნობენ, გამოსავალი ერთია: ბასილის წარმომავლობა და მშობელთა ვინაობა ან ისე ნათელი და საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ თანამედროვეებმა მასზე მითითება საჭიროდ არ ჩათვალეს, ან ბასილზე საუბრისას მისი მშობლების მითითებას სპეციალურად აარიდეს თავი.

ბასილი ბაგრატის ძე შეიძლება ბაგრატ III-ის პაპის – ბაგრატ II რეგენის (გარდ. 994 წ.) ძედაც მიგვეჩნია და ერთხანს, სანამ მ. ჩამჩიანის ცნობას გავეცნობოდი, ასე ვფიქრობდი კიდევ. ქვემოთ მინდა ამ მხრივაც გადავხედო მასალებს.

1019 წელს, როცა ტაძრისის დედათა მონასტრიდან მამამ ათი წლის გიორგი ხახულში ჩაიყვანა¹⁹, ბასილი ბაგრატის ძე თანამოდვაწეთა შორის უკვე დიდად დამსახურებული პიროვნება იყო. მას რომ 1019 წლისათვის „ჩვენი ქვეყნის განმანათლებლის“ სახელი მოეხვეჭა, მონასტერში საკმაოდ დიდ ხანს უნდა დაეყო, მაგრამ რამდენი წელი?

ე. თაყაიშვილის მიერ მოტანილი მასალებიდან გამომდინარე, ბაგრატ II-ის შვილებიდან ცნობილია: ძე სუმბატ II (992 წელს უშვილოდ გარდაიცვალა), ქალიშვილი – ბაგრატ II არტანუჯელის მეუღლე (ბაგრატ III-ის მიერ 1011/1012 წელს თმოგვის ციხეში დახოცილი სუმბატ და გურგენ არტანუჯელების დედა) და ბაგრატ III-ის მამა გურგენ მეფეთა-მეფე 994 წლიდან (გარდ. 1008 წ.)²⁰.

ასე რომ, ძველი ქართული წყაროები საკმაოდ ზუსტ ცნობებს გვაწვდიან ბაგრატ II რეგენის ოჯახის წევრთა შესახებ. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არავითარი ისეთი მინიშნება არა გვაქვს, რაც ბასილს ბაგრატ II რეგენის ძედ

¹⁷ მეტრეველი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

¹⁸ იქვე, გვ. 199.

¹⁹ გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში ფერის ჯოჯიკის ძე ბასილ ბაგრატის ძის „დის - სიძედ“ არის დასახელებული. იქვე ნათქვამია, რომ „დად ბასილისი“ იმისთვის ვახსენე, რომ „არა უდარეს იყო ღირსი ესე დედაკაცი ღმრთის-მსახურებითა ძმასა თუსსა ნეტარსა ბასილისო“ (გიორგი მცირე, დასახ. თხზ., გვ. 117). აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით აკად. კ. კეკელიძემ ფერისი სამართლიანად მიიჩნია ბასილის დის ქმრად. ასე გაიგო ეს ცნობა ნ. ლომოურმაც (იხ. მისი, К истории грузинского петрицонского монастыря, Тб., 1981, გვ. 23). 2008 წელს გამოცემულ „ივირონის აქტების“-ადგი (ტ. I) წამძღვარებულ გამოკვლევაში, პირიქით, ბასილია დასახელებული ფერისის სიძედ (გვ. 26). იქვე შენიშვნაში მითითებულია: „აშკარაა, რომ ბასილი ფერისის სიძეა და არა ჯოჯიკის ძმა, ლომოურის აზრი, რომ ბასილი ჯოჯიკის სიძეა მცდარია“ (გვ. 26, შენ. 4). ასეთი რამ ნ. ლომოურის დასახელებულ ნაშრომში არაა. იმავე გამოკვლევაში რატომღაც ნათქვამია, რომ გიორგი ხახულში ჩასვლისას 6 წლისა იყო და 1020 წლის მახლობლად ფერისი გიორგის მზრუნველად დაინიშნა“ (გვ. 64).

²⁰ იხ. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგია ყველა არსებული ცნობების მიხედვით (ტაბულა II). წიგნში – თაყაიშვილი ე., სუმბატ დავითის ძის ქრონიკა...

გავარაუდებინებს. ამ მხრივ ბაგრატ III-ის ბიოგრაფია უფრო ხელმოსაკიდ მასალას იძლევა.

ბასილს თუ ბაგრატ II რეგვენის ძედ მივიჩნევთ, მაშინ ის, სავარაუდოდ, თავის ძმაზე გურგენ მეფეთა-მეფეზე (ვეულისხმობ, რომ გურგენი ბაგრატის პირმშო იყო) 2/3 წლით უმცროსი (ხოლო მისი და ფერისის მეუღლე 4/5 წლით) უნდა ყოფილიყო და 1019 წლისათვის ხანში შესული იქნებოდა. ასეთად კი იმ დროისათვის არც ბასილი და არც მისი და არ წარმოგვიდგება. 1019 წელს როცა გიორგი მთაწმიდელის ბიძა – „გიორგი მწერალი“ ფერისის ოჯახში ტვარწატაფს „სულისა მათისა კეთილისა მასწავლებლად“ მიიწვიეს, ფერისის ძე ჯოჯიკი შესაძლოა უკვე ბიზანტიის სამსახურში იყო. 1036 წელს, როცა მისი საფასით ოშკის ტაძარი მოიხატა, იგი ცოცხალი აღარ იყო. ტაძრის წარწერაში ჯოჯიკი პატრიკიოსის ბიზანტიური ტიტულით იხსენიება²¹.

ასე რომ, ბასილი ბაგრატის ძის თანადროულად ბაგრატ II რეგვენის თანამედროვეთა – თორნიკე ერისთავისა და მისი თანამებრძოლის ჯოჯიკის (ფერისის მამის) მესამე თაობა ცხოვრობდა.

ბასილი ბაგრატის ძეს თუ ბაგრატ III-ის ძედ მივიჩნევთ, მაშინ, ერთი ნათელია, იგი ბაგრატის უფროსი ძე უნდა ყოფილიყო და ტახტის მემკვიდრეც, მაგრამ რაღაც მიზეზით სამეფო ტახტს მან საეკლესიო მოღვაწეობა ამჯობინა. ხახულის ლავრაში მონაზვნად აღიკვეცა (ბასილი მისი მონაზვნობის სახელი უნდა ყოფილიყო) და საეკლესიო-ლიტურატურულ ასპარეზზე დიდი წარმატებით იღვაწა. თანამედროვეთა მიერ მაღალი შეფასება – „ჩვენი ქვეყნის განმანათლებლის“ სახელი მოიხვეჭა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მ. ჩამჩიანის ცნობა გარკვეულ საფუძველს იძლევა ბასილ ბაგრატის ძის ბაგრატ III-ის ძედ მისაჩნევად, თუმცა გამოთქმული თვალსაზრისი მხოლოდ ვარაუდის სახით მინდა მივაწოდო სამეცნიერო საზოგადოებას.

1014 წელს ბაგრატ III-ის გარდაცვალებისას საქართველოს სამეფო ტახტზე ასული მისი ძე გიორგი I, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, იმ ხანად ჯერ კიდევ სრულჭასაკოვანი არ იყო. ახალგაზრდა მეფე მაშინ „წლისა ათექუსმეტისა“ ყოფილა. უფრო მეტიც, „ქართლის ცხოვრების“ (მატიანე ქართლისას) ანა დედოფლისეულ ნუსხაში გიორგის წლოვანებად 12 წელია მითითებული²². ასე რომ, – დასძენს ივ. ჯავახიშვილი, – სუმბატის ცნობებიდან გამომდინარე, გიორგი I 998, ხოლო „მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობით, 1002 წელს დაბადებულია²³.

ამრიგად, ბასილი, თუ მართლაც, ბაგრატ III-ის ძე იყო, გიორგი I-ზე გაცილებით ადრე უნდა დაბადებულიყო. თავის მხრივ, 977/978 წელს, როცა ბაგრატ III აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) მეფედ დასვეს, ისიც მცირეწლოვანი იყო. „მატიანე ქართლისას“ ავტორისა და სუმბატ დავითის ძის ცნობებით, ბაგრატ III „მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ და გარდაიცვალა მშცითა შუენიერთა“ შემკული ქრონიკონს სლდ (=234 წ.) თუესა *მაისსა შვიდსა, დღესა პარასკევსა*“²⁴.

ამ ცნობის გაანალიზებისას ივ. ჯავახიშვილი წერს: აღნიშნულიდან გამომდინარე, ბაგრატ III გამეფებულია (1014 - 36) = 978 წელს. ამგვარივე თარიღი ჩანს ათონის მონასტრის ერთ ხელნაწერში შენახულ ანდერძისდა მიხედვით. მასში 1002 წელი რადგან ბაგრატ III-ის მეფობის 25 წლადაა მითითებული, მისი

²¹ გოილაძე ვ., ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის..., გვ. 126–127.

²² ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 133.

²³ იქვე.

²⁴ მატიანე ქართლისა, გვ. 283; სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზ., გვ. 383; ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

გამეფება (1002 - 25) = 977 წელზე მოვა, ხოლო თუ დასაბამიდან ავიღებთ, მაშინ 978 წელი გამოვა (6607 - 5604) = 25 წ.²⁵.

ამრიგად, 977/978 წელს გამეფებული ბაგრატ III მცირეწლოვანი იყო და იგი მაშინვე არ შედგომია ქვეყნის მართვას. ამის შემდეგ „ვითარ გარდახდა ამას შინა წელიწადო ორი, იწყო განგებად“²⁶. ე. ი. 979/980 წელს ბაგრატ III სრულწლოვანი (18 წლის) გახა, გადმოვიდა ქართლში და ქვეყნის მართვას შეუდგა, დაახლ. იმავე ხანს მას მეუღლეც უნდა შეერთო, თუმცა, მისი გარდაცვალებისას (1014 წ.) საქართველოს ტახტზე ასული მისი ძე – გიორგი I მხოლოდ 998 ან 1002 წელს გამოდის დაბადებული.

რა მოხდა, 979/980 წლიდან 997/1001 წლამდე მთელი 18/20 წლის განმავლობაში ბაგრატ III-ს მეუღლე არ ჰყავდა?

„მატიანე ქართლისას“ ავტორი ბაგრატ III-ის დახასიათებისას, მართალია, ცდილობს სრულად წარმოაჩინოს მისი ღვაწლი, მაგრამ ბაგრატ III-ის ოჯახური მდგომარეობის შესახებ არაფერს გვამცნობს. ჩასაფიქრებელი კი ნამდვილად არის, განა დაახლ. 980 წლიდან (როცა ბაგრატ III სრულწლოვანი გახდა) 997 ან 1001 წლამდე იგი უცოლო იყო?

ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთაც მივუთითე, გარკვეულ ისტორიულ სიმართლეს ხომ არ უნდა შეიცავდეს აკად. ე. მეტრეველის მიერ მოხმობილი მასალა. მისი სიტყვით, ერთადერთი ცნობა, რომელიც, თითქოს, გიორგის გარდა ბაგრატის სხვა ვაჟიშვილებზედაც მიუთითებს, შემოუნახავს XVIII ს. სომეხ ისტორიკოსს მ. ჩამჩიანს, რომლის მიხედვით შეუვსია მ. ბროსეს მის მიერ შედგენილი ქართველ ბაგრატიონთა გენეალოგია²⁷. ამ გენეალოგიიდან, – წერს ე. მეტრეველი, – ვგებულობთ, რომ ბაგრატს ჰყოლია ორი მეუღლე, *პირველისაგან მას ჰყავდა ძე გურგენი*, იგივე გიორგი, შემდგომ გამეფებული, ხოლო მეორისაგან ძენი, რომელთა სახელებს არ იცნობს არც ჩამჩიანი. ამ ცნობას რომ დავუჯეროთ კიდევ, – დასძენს ე. მეტრეველი, – შეუძლებელია ბაგრატ III-ის შვილებში მეორე მეუღლისაგან ბასილიც ვივარაუდოთ, ვინაიდან ამავე ცნობის მიხედვით, სინამდვილეში ბასილი ბევრად უფროსი უნდა ყოფილიყო გიორგი პირველზე²⁸.

რა ისტორიული საბუთი უდევს საფუძვლად მ. ჩამჩიანის ცნობას, მ.ჩამჩიანი ასეთ ამბავს თვითონ ხომ არ შეთხზავდა? ძველ სომხურ ხელნაწერთა მინაწერებში ან რომელიმე ავტორთან იქნებ, მართლაც, იყო მსგავსი მითითება²⁹.

ჩემ მიერ ზემომოტანილი მასალიდან გამომდინარე, სავარაუდებელი ერთია, ბაგრატ III-ს იმ მეუღლის გარდა, რომლისგანაც გიორგი I შეეძინა, შეიძლება, მართლაც ჰყავდა პირველი მეუღლე, რომლისგანაც მ. ჩამჩიანის

²⁵ ჯავახიშვილი, ივ., დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

²⁶ მატიანე ქართლისა, გვ. 275.

²⁷ მეტრეველი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

²⁸ იქვე, გვ. 199.

²⁹ ა. აბღალაძის მიერ გამოცემულ ნაშრომში (სომხურ ხელნაწერთა X–XIII სუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 2005) ბაგრატ III-ზე არავითარი ცნობა არაა. სომეხი ისტორიკოსი მიქაელ ჩამჩიანი კონსტანტინოპოლში დაიბადა 1738 წელს. 1760 წლიდან სწავლობდა ვენეციაში, მიიღო სასულიერო განათლება. იყო მხითარისტთა კონგრეგაციის წევრი. მან პირველად გამოიყენა მრავალრიცხოვანი ძველი სომხური ხელნაწერები. რაც შეეხება მ. ბროსეს ცნობას, ნაშრომის 160–161 გვერდებს შორის ჩართული ბაგრატიონთა სახლის გენეალოგიაში, იგი, მართლაც, მიუთითებს ბაგრატ III-ის მეორე ქორწინებიდან ანონიმი შვილების შესახებ. პირველი ქორწინებიდან ნაშობი გურგენის დედად სენაქერიმის ასული მარიამი ჰყავს მითითებული. შენიშვნაში კი ჩამჩიანის ნაშრომის (II ტ. გვ. 869) და XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობაზე დაყრდნობით წერს, სენაქერების ასული ბაგრატ III-ის მეორე მეუღლე იყო (Brosset M., Additions et éclaircissements à l' Histoire de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu' er 1469 de I. C. St-Petersbourg, 1851). „მატიანე ქართლისას“ ცნობით (გვ. 299), სენაქერების ასული მარიამი ბაგრატ IV-ის დედა იყო (ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 143).

ცნობით, გურგენი (და ქალიშვილი) შეეძინა. აქვე იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ უძველესი ქართული ტრადიციით შვილიშვილი ხშირად პაპის სახელს ატარებდა, მ. ჩამჩიანის ცნობა უფრო რეალურ ხასიათს მიიღებს. ასაღვარდა ბაგრატ III-მ თავის პირმშოს (პირველი მეუღლისაგან), როგორც ჩანს, თავისი მამის – მეფეთა-მეფის გურგენის სახელი დაარქვა. გურგენი და გიორგი (ემეტრეველი ამ სახელებს აიგივებს) სულაც არაა ერთი და იგივე სახელი. გიორგი I-ის შემდეგ ბაგრატიონთა სახლიდან გამოსული მეფეები ქართულ წყაროებში მხოლოდ გიორგის სახელით იწოდებიან. გამოთქმული ვარაუდი თუ მისაღებია, მაშინ გურგენის დაბადება დაახლ. 981/982 წელსაა სავარაუდებელი. ერთი-ორი წლით გვიან, დაახლ. 983/984 წ. დაიბადებოდა ფერის ჯოჯიკის ძის მომავალი მეუღლე (მისი დაბადების თარიღად 983 წელი უნდა მივიჩნიოთ)³⁰. ჩემი ვარაუდით, სწორედ ბაგრატ III-ის პირმშო გურგენი შედგა ხახულის ახლადდაგებულ ლავრაში მონაზვნად და ბასილად იწოდა³¹. საეკლესიო ასპარეზზე მოღვაწე ბასილი, რა თქმა უნდა, საერო ცხოვრებაში აღარ მონაწილეობდა და იგი XI ს-ის ისტორიკოსების თვალთახედვის მიღმა დარჩა, თუმცა, თანამოღვაწეთა შორის მუდამ ბაგრატის ძედ იწოდებოდა და დიდი პატივითაც სარგებლობდა.

დაახლ. 981 წელს დაბადებული ბასილი 1019 წელს, როცა ხახულის ლავრაში მცირეწლოვანი გიორგი მიიყვანეს, 38 წლისა იქნებოდა, და, მართლაც, შეიძლება იგი იმ ხანად ქვეყნის წინაშე დამსახურებული პიროვნება ყოფილიყო (ე. მემეტრეველის ვარაუდით, ხახულში გიორგის მისვლისას ბასილი საკმაოდ ხანში შესული იყო). აღნიშნულს გარდა, როგორც მე ვვარაუდობ, ის ბასილი, რომელმაც დემეტრესთან (დიმიტრი) (ამ დემეტრესა და სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოსს გიორგი მთაწმიდელი თავის გამზრდელეებად ასახელებს) ერთად ღრმა სიბერეში 1040 წლის შემდგომ ხანაში ხახულიდან იერუსალიმში ხელნაწერი გააგზავნა³², იგივე ბასილ ბაგრატის ძეა, გამოდის, რომ XI ს-ის შუახანებში ბასილი კვლავ ცოცხალი იყო, რაც ბაგრატ II რეგვენის (გარდ. 994 წ.) ძედ მის მიჩნევას საეჭვოდ ხდის.

ზემოთ ფერისის მეუღლის (იგი თუ, მართლაც ბაგრატ III-ის ქალიშვილი იყო) დაბადება დაახლ. 983 წელს ვივარაუდებ. 1022 წელს, როცა ბასილ II-მ აჯანყებაში მონაწილეობისათვის ფერისი სიკვდილით დასაჯა, იგი კარგა ხნის გათხოვილი უნდა ყოფილიყო³³, რადგან მათი ძე ჯოჯიკი (როგორც ნ. შოშიაშვილი ვარაუდობს, მას პაპის – თორნიკე ერისთავის თანამებრძოლის

³⁰ ეს მხოლოდ ვარაუდია. ფერისის მეუღლე შეიძლება ბასილზეც უფროსი იყო. როგორც ცნობილია, 998 წელს ფერისი მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში გურგენ მეფეთა-მეფის 6000-იან ლაშქარს სარდლობდა. სავარაუდოდ, ამ გამარჯვების შემდეგ უნდა შეერთო მას ცოლად ბასილი ბაგრატის ძის და.

³¹ როგორც საქართველოში ისე ბიზანტიაში არსებული ტრადიციით, მშობლები უფროს შვილს ხშირად ღვთისმსახურად აწესებდნენ. ასე მაგალითად, გიორგი მთაწმიდელის მშობლებმა „პირველი ნაყოფი თუსი“ ღმერთს შესწირეს (გიორგი მცირე, დასახ. თხზ., გვ. 111); ასევე, ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ I-მა უფროსი ძე – სტეფანე დაბადებისთანავე ღვთისმსახურებისათვის განაწესა. იხ. Лопарев Хр., М., Греческие жития святых VIII–IX веков, Петроград, 1914, გვ. 23.

³² მემეტრეველი ე. ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი..., გ. 278.

³³ დაახლ. 983/984 წელს დაბადებული თუ 16/17 წლისა გათხოვდა, 1022 წელს ჯოჯიკი 20/21 წლისა იქნებოდა. მეკვლევებს ასევე ფერისის ძეებად მიაჩნიათ გიორგი და ვარაზხანე. ვ. კოპალიანის თანახმად, გიორგი ათონის ივერიის მონასტრის №№ 56,73 და 96 აღაპებში მაგისტროსად და ამავე მონასტრის დიდ მოამაგედ იხსენიება, ხოლო ვარაზხანე ერთხანს გადასახლებაში იყო. გადასახლებიდან დაბრუნებულს დიდი თანამდებობა მისცეს. ის პროტოსპათარის ტიტულს ატარებდა და ქ. ედესის მმართველი იყო. თავისი გონიერი მოქმედებით ქალაქი მაჰმადიანთა ურდოებისაგან იხსნა. იხ. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 137.

ჯოჯიკის სახელი ერქვა) 1036 წლის წინა ხანაში იმპერიის ასპარეზზე საკმაოდ დაწინაურებული და შეძლებული პიროვნება ჩანს. იგი იმ მიწების გამგებლად მიაჩნიათ, რომელიც 1001 წელს დავით III კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ იმპერიამ საქართველოს ჩამოაცილა³⁴. ჯოჯიკ ფერისის ძე, როგორც ითქვა, პატრიკოსის ბიზანტიური ტიტულით იხსენიება 1036 წელს მისი საფასით მოხატულ ოშკის ტაძრის ფრესკულ წარწერაში³⁵. ამავე წარწერიდან გამომდინარე, 1036 წელს იგი ცოცხალი აღარ ყოფილა³⁶. იქნებ მამასავით ისიც იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა?

ჯოჯიკ ფერისის ძე იმპერიის ერთგული ვერ იქნებოდა.

როგორც საქართველოს მეფე გიორგი I, ისე ქართველი დიდებულები ბიზანტიის მიერ ქართული მიწების („დავითის მემკვიდრეობა“) მიტაცების ფაქტს ვერ ეგუებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ფერისი იმპერიის სამსახურში იყო და პატრიკოსის მაღალ ტიტულს ატარებდა, იგი ქართველ პატრიოტად რჩებოდა.

კედრენეს ცნობით, 1001 წელს დავით III-ის გარდაცვალების შემდეგ ბასილ II იბერიაში ჩავიდა და ქართულ მიწებს დაეუფლა, უკან გაბრუნებისას თან წაიყვანა იბერიის დიდგვაროვნები, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ ბაკურიანი, ფეკდატე და ფერისი, ღვიძლი ძმები, რომელნიც მან პატრიკოსთა ხარისხში აიყვანა³⁷.

ბიზანტია-საქართველოს ომის მიმდინარეობისას, როცა იმპერატორმა ბასილ II-მ „კუალად უბოროტესადრე შურის-გებით მოაოკრნა“ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და დასაზამთრებლად ქალდეაში – ტრაპიზონის ახლოს ჩავიდა, მის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფერის ჯოჯიკის ძე იყო. XI ს-ის ბიზანტიელი ავტორის გიორგი კედრენეს ცნობით, აჯანყებაში ქართველებიც მონაწილეობდნენ, აჯანყების მომზადებაში კი გიორგი I-ის („აბაზგის მთავრის“) ხელიც ერია³⁸. აჯანყების მიმდინარეობისას მან ომისათვის სამზადისი დაიწყო, მაგრამ აჯანყება დამარცხდა.

აჯანყების მეთაურთაგან ბასილ II-მ ქსიფიასს თუ მხოლოდ დედაქალაქიდან გასახლება აკმარა („ექსორია ყო კუნძულსა რომელსამე“), ფერის ჯოჯიკის ძე (ე. ი. გიორგი I-ის დის ქმარი?) სიკვდილით დასაჯა („თავი წარკვეთეს“). „მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობით, სიკვდილით დასჯილთა შორის მხოლოდ ფერისი იყო ქართველი – „ნათესავით ტაოელი, სხუანი იყვნეს ბერძენნი“³⁹. სასჯელს ვერც ფერისის ოჯახი გადაურჩა. როგორც ზემოთ ითქვა, ბასილ II-მ ფერისის მეუღლე ოჯახით ტაოდან (სოფ. ტვარწატაფიდან) კონსტანტინოპოლში გაასახლა, სადაც მათ 12 წელი დაჰყვეს. გადასახლებულთა შორის ასე მოხვდნენ ფერისის ოჯახში „სულისა მათისა კეთილისა მასწავლებლად“ მიწვეული „გიორგი მწერალი“ და მისი ძმისწული მცირეწლოვანი გიორგი (მთაწმიდელი).

³⁴ ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 58.

³⁵ იქვე, გვ. 52, შდრ., ვ. გოილაძე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის..., გვ. 125–130.

³⁶ ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 52.

³⁷ გიორგი კედრენე. ისტორიული მიმოხილვა..., გეორგიკა, ტომი მეხუთე, გვ. 46.

³⁸ იქვე, გვ. 47–48.

³⁹ მატიანე ქართლისა, გვ. 286–287. როგორც კედრენე გვამცნობს, ფერისი „ყველაზე უწინარეს მიეკედლა აჯანყებულებს“. იხ. გიორგი კედრენე, დასახ. თხზ., გვ. 48.

ამ გამოკვლევის დასრულების შემდეგ მეჩვენებოდა, ბაგრატ III-ს რომ ორი მეუღლე ჰყავდა, სათანადოდ ვერ დავასაბუთე. ამ საკითხის დადებითად გადაჭრას – ე. ი. რაიმე ხელმოსაკიდი ცნობის მოპოვებას არც მოველოდი. ვფიქრობდი, ასეთი ცნობა 250-წლიან ქართულ ისტორიოგრაფიას შეუძნეველი არ დარჩებოდა-მეთქი. მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. ერთ დღეს, შემთხვევით ხელში ავიღე კრებული, რომელშიც, სხვა წერილებთან ერთად, გამოქვეყნებულია ამირან ჩხარტიშვილის გამოკვლევა „X-XI სს-ის ჭედური ხელოვნების რამდენიმე ძეგლის შესახებ“. ამ წერილის გადათვალიერებისას გამაკვირვა იმან, რომ ჩემთვის საინტერესო ცნობას ბრეთის საწინამძღვრო ჯვრის წარწერა შეიცავდა.

წარწერაში ნათქვამია: „ქ. დაამყარე და ადიღე ბაგრატ, აფხაზთა მეფე ძეი მეფეთა მეფისა გურგენისი. ქრისტე შეიწყალე მართა დეოფალთ“⁴⁰.

წარწერაში „ბაგრატ აფხაზთა მეფის“ (ბაგრატ III-ის) მამად და მეფეთა მეფის ტიტულით მოხსენიებული გურგენი რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის მამაა, ეს საეჭვო არაა. იგი 994 წლიდან იწოდებოდა მეფეთა-მეფედ. მეორე მხრივ, წარწერაში როგორც გურგენი, ისე ბაგრატ III რადგან ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით არ იხსენიებიან (როგორც ცნობილია, 1001 წელს იმპერატორმა ბასილ II-მ ბაგრატ III-ს კურაპალატის, ხოლო მის მამას – გურგენ მეფეთა-მეფეს მაგისტროსის ტიტული უბოძა), ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ჯვარი 994-1001 წლებს შორის უნდა იყოს დამზადებული⁴¹.

ბრეთის საწინამძღვრო ჯვარი გაბრიელ საფარელის მიერაა დამზადებული⁴² და მესხ მოღვაწეს ბაგრატ III-ის ოჯახური ამბები კარგად ეცოდინებოდა. ჯვრის დამზადებისას ბაგრატ III-ის პირველი მეუღლე მართა დედოფალი გარდაცვლილი ყოფილა.

დღემდე ბასილი ბაგრატის ძეს ბაგრატ III-ის ძედ, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ფილოლოგები (აკად. კ. კეკელიძე, პროფ. ლ. მენაბდე, პროფ. ი.ლოლაშვილი) მიიჩნევდნენ. ისტორიკოსებს ამ საკითხზე რომ არაფერი უთქვამთ, ეს ჩემთვის გასაკებია. ერთ ხანს მეც ვფიქრობდი, რომ ბაგრატისონთა სახლის ისტორიკოსს – თვით ბაგრატ III-ის თანამედროვე სუმბატ დავითის ძეს, ბაგრატ III-ის ოჯახური ამბები მხედველობიდან არ გამორჩებოდა (ამის შესახებ აკად. ე. მეტრეველმაც მიუთითა), მაგრამ, როგორც „მატიანე ქართლისას“ ავტორს, ისე სუმბატს ყველაფერი დიდი სიზუსტით არა აქვთ გადმოცემული (მაგალითად, „მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობით, ბაგრატ IV ცხრა წლისა გამეფდა და 1072 წლის 24 ნოემბერს 56 წლისა გარდაიცვალა (გვ. 315). ამ ცნობიდან გამომდინარე, ბაგრატ IV 1016 წელს დაბადებულია და 1022 წელს მძევლად წაყვანისას სამისა კი არა, 6 წლისა იქნებოდა).

ყოველივე ზემოთქმულის, განსაკუთრებით კი ბრეთის საწინამძღვრო ჯვარზე არსებული წარწერის სახით ჩვენ ხელთაა უნიკალური ცნობა, რომელიც ახალი მასალით ავსებს ჩვენს ცოდნას საქართველოს გამაერთიანებელი მეფის – ბაგრატ III-ის ოჯახის შესახებ. ახლა ვიცით, რომ მისი პირველი მეუღლის სახელი ყოფილა მართა, რომელიც 1001 წლის წინა ხანაში გარდაცვლილა. ბაგრატ III-ს მისგან უნდა შესძენოდა გურგენი (იგივე ბასილი ბაგრატის ძე) და ასული (ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე). ვისი ასული იყო მართა დედოფალი, ამის შესახებ

⁴⁰ ჩხარტიშვილი ა., X-XI სს-ის ჭედური ხელოვნების რამდენიმე ძეგლის შესახებ. ნარკვევები, VII, თბ., 2001, გვ. 155.

⁴¹ იქვე, გვ. 156. Чубинашвили Г. Н., Грузинское чеканное искусство, გვ. 72.

⁴² ჩხარტიშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 156; ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, გვ. 62-64.

ჯერჯერობით ხელმოსაკიდი მასალა არა გვაქვს⁴³. X ს-ის 90-იანი წლების დასასრულს ბაგრატ III-მ, როგორც ჩანს, მეორე ცოლი შეირთო, რომლისგანაც 998 წელს⁴⁴ გიორგი I შეეძინა. ბრეთის წარწერით გარკვეულწილად დადასტურდა ქართულ მეცნიერებაში არსებული მითითება XI ს-ის პირველ ნახევარში ხახულის ლავრაში მოღვაწე ბასილი ბაგრატის ძის ბაგრატ III-ის ძედ მიჩნევის შესახებ. რაც შეეხება ბაგრატ III-ის კურაპალატის ტიტულით მოხსენიებას, 1001 წლის შემდეგ შესრულებულ წარწერებში იგი ყოველთვის ამ ტიტულითაა ნახსენები (იხ. თავი XIII)⁴⁵.

ამრიგად, ბრეთის საწინამძღვრო ჯვარზე არსებული წარწერიდან გამომდინარე, არ ცდებოდა აკად. კ. კეკელიძე, როცა ქართულ საისტორიო ტრადიციაზე (ანტონ I კათალიკოსი, იოანე ბაგრაციონი, პლატონ იოსელიანი) დაყრდნობით, ბასილი ბაგრატის ძე ბაგრატ III-ის ძედ მიიჩნია. თანამედროვეთა მიერ ჩვენი ქვეყნის განმანათლებლად, მოძღვრად, „ღმერთშემოსილად“, „მსგავსებითა და ღირსებით წმიდათა მოციქულთა სწორად“ სახელდებული ბასილი ბაგრატის ძე XI ს-ის I ნახევარში ხახულის ლავრაში მოღვაწე ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატორი (მთარგმნელი) უნდა ყოფილიყო. ბასილი და მისი და, ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე, ბაგრატ III-ს, როგორც ჩანს, პირველი მეუღლისაგან – მართასაგან შეეძინა. მართა დედოფალი X ს-ის 90-იან წლებში გარდაცვლილა.

ბაგრაციონთა სახლის წარმომადგენელმა ბასილი ბაგრატის ძემ წარმატებით იღვაწა სასულიერო ასპარეზზე და თანამედროვეთა შორის დიდი სახელი მოიხვეჭა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული (აკად. ე.მეტრეველი), მამის სახელით ბასილის მოხსენიება მის წარჩინებულ წარმომავლობაზე მიუთითებს.

ბასილი ბაგრატის ძისა და მისი ძის ბაგრატ III-ის შვილებად მიჩნევის შემდეგ ნათელი გახდება, გიორგი I-თან ერთად ფერის ჯოჯიკის ძის ოჯახის წევრები თავდადებით რატომ იბრძოდნენ ბასილ II-ის წინააღმდეგ. სავარაუდოა, რომ სწორედ გიორგი I-თან ახლო ნათესაობის გამო დასაჯა ბასილ II-მ, 1022 წელს აჯანყების მონაწილეთაგან სიკვდილით მხოლოდ ფერის ჯოჯიკის ძე, მისი ოჯახი კი ტაოდან კონსტანტინოპოლში გაასახლა.

⁴³ ვინაა „მართა დედოფალი“, – წერდა აკად. გ. ჩუბინაშვილი, – უცნობი რჩება. ამ ტიტულის მიხედვით იგი სამეფო ან ერისთავის საგვარეულოს წევრი უნდა ყოფილიყო. იგი იქვე შენიშნავს: თ. ჟორდანიას (ქრონიკები, I, გვ. 152) ფიქრობდა, რომ „მართა დედოფალი“ ბაგრატ III-ის უცნობი მეუღლე უნდა იყოსო (Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 72–73). თ. ჟორდანიას ეს მნიშვნელოვანი მინიშნება, რატომღაც, დღემდე უყურადღებოდ რჩებოდა. ამ ცნობას მეც გვიან, მონოგრაფიისა და ამ თავის დამთავრების შემდეგ მივაქციე ყურადღება. 980 წელს ქართლში გამეფებულ ბაგრატ III-ს მეზობელი სამეფოს მხარდაჭერა ესაჭიროებოდა და ვასპურაკანის სამეფოსთან დანათესაება გამართლებული პოლიტიკური ნაბიჯი იქნებოდა. 960 წელს ვასპურაკანის ტახტზე ასულ სენაქერიმ II-ს ბაგრატ III-ის თანატოლი ასული ეყოლებოდა. მარი ბროსე ამ მხრივ, იქნებ, მართლაც არ ცდებოდა. მითუმეტეს, ვახუშტი ბატონიშვილი გიორგი I-ის მეუღლედ ელენე დედოფალს ასახელებს (იხ. მისი დასახ. თხზ., გვ. 144).

⁴⁴ „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში გიორგი I-ის გამეფებისას, მის წლოვანებად რადგან 16 წელია დასახელებული (გვ. 222), გიორგი I-ის დაბადების თარიღად 998 წელი უნდა მივიჩნიოთ.

⁴⁵ ბაგრატ III-ის ბიოგრაფიისათვის არანაკლებ საინტერესოა ბედიის თასის წარწერა. იხ. როგორც ბრეთის ჯვრის წარწერაში, ბედიის თასის წარწერაშიც ბაგრატ III კურაპალატის ტიტულის გარეშეა მოხსენიებული, ხოლო მისი დედა – გურანდუხტ დედოფალი ცოცხლად იხსენიება.

წარწერაში ვკითხულობთ: „ქ. წმიდაო ღვთისმშობელო მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა ამის ბარძიძისა შემწირველთა, ამის საკურთხეველისა შემეკობთა და ამის წმიდისა საყდრისა აღმშენებელთა ამინ“. იხ. ჩხარტიშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 157. სოფ. ახალსოფლის (თეთრი წყაროს რ-ნი) ძველი ეკლესიიდან თბილისში ჩამოტანილ ქვაზე არსებულ წარწერაში გურანდუხტ დედოფალი უკვე გარდაცვლილად იხსენიება: „ქ. წმიდაო მოწამეო ბაგრატ, აღიდე ბაგრატ [მეფეთა-მეფე და აღიდე სული გურანდუხტ დედოფლისა“. იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიული ძეგლების კატალოგი. დასაბუჟლად მომზადებულია ა. ბაქრაძისა და ს.ბოლქვაძის მიერ. თბ., 1953, გვ. 28.

**თაზი XI. „ყოვლისა აღმოსავლეთისა კატრიარქის“ ტიტულის
რაობისათვის. მელქისედეკ კათალიკოსისათვის
კატრიარქის წოდების მინიჭების პრობლემა**

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებით, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლებიდან კათალიკოს (კათოლიკოს)-პატრიარქის ტიტული პირველად მელქისედეკ I-მა მიიღო¹. მანამდე საქართველოს (ქართლის) ეკლესიის მეთაურებს „ქართლის კათალიკოსს“ („მცხეთის კათალიკოსს“) უწოდებდნენ. XI საუკუნიდან „ქართლის კათალიკოსი“ – „საქართველოს პატრიარქის“, „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის“ თანაბარი მნიშვნელობითაც იხმარებოდა². ასე იყო თვით მელქისედეკ I-ის შემთხვევაშიც, იგი წყაროებში ზოგჯერ „ქართლის კათალიკოსადაც“ იწოდება³.

მელქისედეკ I-ის მიერ კათალიკოს-პატრიარქის ტიტულის მიღებას, საერთოდ, ცვლილებას ქართული ეკლესიის მეთაურის ტიტულში ჩვენი მკვლევრები საქართველოს ეკლესიის პოლიტიკურ და სტრუქტურულ ცვლილებასთან აკავშირებენ⁴, მაგრამ რას უნდა განეპირობებინა ის, საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი ეპარქიის მეთაური იოვანე თავს რომ „ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქად“ ასახელებს. როდის შემოვიდა ჩვენში ეს ტიტული?

პარხალის ტაძრის ზემოხსენებულ წარწერაში იოვანეს „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქად“ დასახელებამ ვ. სილოგავას საფუძველი მისცა, პატრიარქის ინსტიტუტის დაწესება საქართველოში უფრო ადრეულ (მელქისედეკ I-ის წინააღმდეგ) ხანაზე, კერძოდ, X ს-ის ბოლო ოცწლეულზე გადაეტანა (დასმული საკითხი მან სპეციალურ გამოკვლევაში გააანალიზა). მისი მტკიცებით, პარხალის წარწერა X ს-ის 80-იან წლებს ეკუთვნის და ამ წარწერაში „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქად“ დასახელებული იოვანე X ს-ის 80-იანი წლების მოღვაწე იყო⁵. შესაბამისად, იოვანე მელქისედეკ I-ზე ადრე იწოდებოდა კათალიკოს-პატრიარქად. რაც შეეხება თვით მელქისედეკს, მის მიერ პატრიარქის ტიტულის მიღებას, – წერს ვ. სილოგავა, – ბიზანტიაში მისი ხშირი მოგზაურობით, კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე დიპლომატიური საქმიანობით, ბიზანტიის სამ იმპერატორთან – ბასილი II (976–1025), კონსტანტინე VIII (1025–1028) და რომანოზ III არგვიროსი, ახლობლობით ხსნიან; თითქოს, კონსტანტინოპოლში ერთ-ერთი ვიზიტის დროს აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ მიეღოს თანხმობა პატრიარქის ხარისხში აყვანის შესახებ⁶. „ქვეყნის საეკლესიო საჭეთმპყრობლისათვის პატრიარქის უმაღლესი ტიტულის მოპოვებას და მინიჭებას, – დასძენს ვ. სილოგავა, – უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა და ქვეყნის საერთო-პოლიტიკური განვითარებით, მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ დასახული მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესებით იყო განპირობებული. საქართველოს ისტორიაში ასეთი იყო სწორედ დავით კურაპალატის ეპოქა, როდესაც დაისახა ქვეყნის ცალკეული პოლიტიკური ერთეულის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების მკაფიო გეგმა და დაიწყო მისი თანმიმდევრული განხორციელება. პოლიტიკურად დამოუკიდებელ (ბიზანტიის იმპერიისაგან), ძირითადად გაერთიანებულ ქვეყანას ეკლესიური

¹ ლომინაძე ბ., მელქისედეკ I, ქსე, ტ. 6; მისივე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია. საღვთისმეტყველო კრებული, 1981, № 12, გვ. 95. ამ ტიტულით მოიხსენიებს თავს მელქისედეკი მის მიერ დაწერილ „მცხეთის საბუთში“. იხ. დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 22.

² ლომინაძე ბ., კათალიკოსი, ქსე, ტ. 5.

³ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 30.

⁴ ლომინაძე ბ., კათალიკოსი, ქსე, ტ. 5; მისივე, საქართველოს საპატრიარქო..., გვ. 96.

⁵ სილოგავა ვ., პატრიარქი X საუკუნის საქართველოში..., გვ. 302–303. ვ. სილოგავას ეს თვალსაზრისი, როგორც ზემოთ ვნახეთ, არ დადასტურდა.

⁶ სილოგავა ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 302.

დამოუკიდებლობაც სჭირდებოდა, რაც მისი ეკლესიის საჭეთმპყრობლისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭებით უნდა გამოხატულიყო. ამისთვის ყველა წინაპირობა არსებობდა – მრავალი (40-ზე მეტი) საეპისკოპოსო კათედრა და მონასტერი, ამ დროისათვის უკვე ორი საკათალიკოსოს – ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების არსებობა, ჯერ კიდევ IX ს-იდან წმ. მირონის ხარშვის უფლების მოპოვება, რაც დოკუმენტურად დასტურდება „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“⁷.

ვ. სილოგავას მტკიცებათა საჩვენებლად მისი ნაშრომიდან საკმაოდ ვრცელი ციტატა მოვიტანე. ქვემოთ ვნახოთ, რამდენად მისაღებია იგი.

დავით III კუროპალატის მეფობისას ტაოს სამეფომ, მართლაც, მნიშვნელოვან პოლიტიკურ სიძლიერეს მიაღწია. დავით III იყო ინიციატორი საქართველოს გაერთიანებისა, მაგრამ მისი მეფობის დროისათვის „ქვეყნის ეკლესია“ – ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია ბიზანტიის (უფრო სწორად, ანტიოქიის საპატრიარქოსაგან) ეკლესიისაგან უკვე კარგა ხნის დამოუკიდებელი იყო⁸. 681 წელს მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობელთ მირონის კურთხევის (დამზადების) უფლებაც მიეცათ⁹. ამიტომ, პოლიტიკურად დამოუკიდებელი და „ძირითადად გაერთიანებული ქვეყნის“ ეკლესიის მეთაურისათვის ვის უნდა მიენიჭებინა პატრიარქის ტიტული, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა უფრო სრულყოფილი ყოფილიყო? ასეთებად ვ. სილოგავას დავით III და ბაგრატ III მიაჩნია. მაგრამ, აქვე ისმის კითხვა – ადგილობრივ რომელიმე საერო ხელისუფალს შეეძლო, თავისი ქვეყნის (თუნდაც დამოუკიდებელი) ეკლესიის საჭეთმპყრობლისათვის, ქვეყნის ისტორიაში პირველად, პატრიარქის ტიტული მიენიჭებინა? რამდენად იქნებოდა ასეთი ქმედება საერთაშორისო კანონიკური სამართლით სრულყოფილი?

ვ. სილოგავას მტკიცებით, „ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქის“ ტიტულს იოვანეს გარდა, სხვებიც ატარებდნენ. მისი სიტყვით, მართალია, პარხალის წარწერაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ პატრიარქის ტიტულს ატარებდა იოვანეს მომდევნო სვიმონიც (1001–1012), რადგან სვიმონის მომდევნო კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი ორ დოკუმენტურ წყაროში („მცხეთის დაწერილი“ და ინგუშეთში ტყობა-ერედის წარწერა) აღმოსავლეთის პატრიარქადაა დასახელებული¹⁰.

მელქისედეკ I რომ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო, შესაძლოა, ეს საკამათო არ იყოს¹¹. რაც შეეხება პარხალის წარწერაში „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქად“ მოხსენიებულ იოვანეს, იგი, როგორც ზემოთ ვაჩვენე, მელქისედეკ I-ის შემდეგ საქართველოს საპატრიარქო ტახტზე ასული იოვანე-ოქროპირია, ამიტომ პარხალის წარწერაში იგი, მართლაც, შეიძლება „კათალიკოს-პატრიარქად“ (თუნდაც „ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქად“) მოეხსენებინათ¹². რაც შეეხება სვიმონ III-ს, იგი პატრიარქად არსად არაა მოხსენიებული (მასზე ზემოთ ვრცლად ვისაუბრე).

ვ. სილოგავას მტკიცებით, ზემოხსენებული პირები (იოვანე და სვიმონი. – ვ. გ.) რომ „აღმოსავლეთის პატრიარქთა“ ტიტულებს ატარებდნენ, ეს უჩვეულოდ არ უნდა მოგვეჩვენოს. „პატრიარქის ტიტულის ტარება იმ დროისათვის უცხო არ იყო.

⁷ იქვე, გვ. 302–303.

⁸ გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თავი X.

⁹ გოილაძე ვ., მირონის კურთხევის დაწესება საქართველოში, თბ., 2008, გვ. 15.

¹⁰ სილოგავა ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 303.

¹¹ მიუხედავად იმისა, რომ იგი „ქართლის კათალიკოს-პატრიარქად“ იხსენიება „მცხეთის საბუთში“ (იხ. დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა, გვ. 22) მისი პატრიარქობა აკად. ემეტრეველს საეჭვოდ ეჩვენება (იხ. ქვემოთ).

¹² „მცხეთის საბუთის“ დამტკიცებისას იგი თავს „ქართლის კათალიკოსად“ იხსენიებს (იქვე, გვ. 31).

ასეთი ტიტულით ზაქარია ბანელ-ვალაშკერტელის ანდერძში დასახელებულია „პატრიარქი ასათი“, რომელიც ე. მეტრეველის აზრით, ბანელი მღვდელმთავარი უნდა იყოს, რომელიც, როგორც ტაოს უპირველესი მღვდელმთავარი, პატრიარქის, თუმცა, რეალური შინაარსისაგან დაცლილ ტიტულს ატარებდა¹³.

ე. ი. ასათ ბანელი პატრიარქის ტიტულს ფლობდა, მაგრამ იგი მთელი ქვეყნის (იგულისხმება დავით III-ის სამეფო) ეკლესიის მეთაურიც კი არ იყო. კითხვაზე – ვინ მიანიჭა ასათ ბანელს პატრიარქის ტიტული და რა მიზნით? – ვ. სილოგავა ასე პასუხობს: „ტაოს მფლობელმა დავით კუროპალატმა, რომლის სამფლობელოშიც შედიოდა ბანის ეპარქია“, ბანის ეპარქიის მმართველისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭებით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგა, რაც საბოლოოდ ქართლის კათალიკოსისათვის ამ ტიტულის მინიჭებით დამთავრდა, როგორც ამას ამტკიცებს პარხალის წარწერა¹⁴.

ამრიგად, თუ ვ. სილოგავას მტკიცებულებებს გავიზიარებთ, გამოდის, რომ ისე, როგორც იოანე ოქროპირს (იგი მელქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსად ჰყავთ მიჩნეული), ასათ ბანელსაც (ვ. სილოგავას ვარაუდით, ასევე სვიმონ III-ს) „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქის“ ტიტული დავით III-მ მიანიჭა და ამით „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგა“.

როგორც ვხედავთ, ვ. სილოგავამ არა მარტო გაიზიარა მელქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსად მიჩნეული იოანე IV-ის (ოქროპირის) კათალიკოსობის თარიღად ზ. აბაშიძის მიერ მითითებული წლები, არამედ იმის დასაბუთებაც სცადა, იგი მელქისედეკ I-ზე ადრე ატარებდა „ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქის“ ტიტულს. მისივე თქმით, „აღმოსავლეთად“ და „ყოვლისა აღმოსავლეთად“ X–XI საუკუნეების ბიზანტიურ და ქართულ წყაროებში საქართველო იწოდება და პარხალის წარწერაში იოვანე რომ „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქად“ დასახელებული, იმაზეა საზგასმა, საქართველოში გარდა ქართლის საკათალიკოსოსი, მეორე, აფხაზეთის საკათალიკოსო რომ არსებობდა¹⁵.

„ყოვლისა აღმოსავლეთში“ რატომ იგულისხმება აფხაზეთის საკათალიკოსოც, ეს საკითხის ერთი მხარეა და არც ისე დამაჯერებლად მეჩვენება. რაც შეეხება დავით III-ის მიერ მის სამეფოში შემავალი რომელიმე ეპისკოპოსისთვის პატრიარქის (თუნდაც რეალური შინაარსისაგან დაცლილი) ტიტულის ბოძებას, უნდა აღვნიშნო: ვახტანგ გორგასლის მეფობაში როცა ქართლის ეკლესიამ ანტიოქიის საპატრიარქოსაგან ავტოკეფალია მოიპოვა, სამსრეთ-დასავლეთი საქართველო (სადაც ბანისა და პარხალის ტადრები მდებარეობენ) ქართლის სამეფოში შედიოდა და მისი საეპისკოპოსოები მცხეთის საკათალიკოსოს მეთაურობით ერთიან ავტოკეფალურ ეკლესიას წარმოადგენდა. ასე იყო დავით III-ის მეფობის ხანაშიც. ქართლის საკათალიკოსოსაგან ტაოს სამეფოს ეკლესიის გამოყოფის შესახებ, IX–X საუკუნეების ისტორიის ამსახველ საისტორიო წყაროებში არავითარი მითითება არაა – „მიუხედავად იმისა, რომ ტაო-კლარჯეთი, ჰერეთი, კახეთი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად ისინი მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდნენ“¹⁶.

ამიტომ, მითითება იმაზე, თითქოს, ტაოს სამეფოს ტერიტორიაზე მდებარე რომელიმე ეპარქიის ხელმძღვანელისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭებით,

¹³ სილოგავა, ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 303.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე. ვ. სილოგავა აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობას ცალკე მსჯელობის საგნად თვლის (იქვე).

¹⁶ დიასამიძე ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

დავით III თავისი ქვეყნის ეკლესიას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან ათავისუფლებდა, ისტორიულ რეალობას არ ასახავს¹⁷.

დავით III-ის სამეფოში მოქცეული საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს 1001 წლამდე არ ექვემდებარებოდნენ. 451 წელს ქ. ქალკედონში გამართული მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, როგორც ცნობილია, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ეპისკოპოსები პატრიარქებად იწოდნენ. კონსტანტინოპოლის პატრიარქს, ჯერ კიდევ 381 წლიდან (კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით), როგორც იმპერიის დედაქალაქის ეკლესიის მეთაურს, იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის იერარქებს შორის პირველი ადგილი მიენიჭა (ამის საფუძველზე იგი შემდეგში მსოფლიო პატრიარქად იწოდა). ქალკედონის კრების გადაწყვეტილებით კი კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ანტიოქიის ეკლესიისაგან ტერიტორიებიც მიიღო¹⁸, რის შედეგადაც ეგრიის სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში მოექცა¹⁹. IX ს-ის შუახანებში დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ, სწორედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან მოიპოვა დამოუკიდებლობა და აფხაზეთის ავტოკეფალურ საკათალიკოსოდ ჩამოყალიბდა²⁰. X ს-ის შუახანისათვის იგი უკვე თავისუფალი იყო. იმ დროიდან აფხაზეთის მეფეები, პირიქით, ცდილობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიაზეც (სადაც ტაოს ეკლესიაც შედიოდა) თავისი გავლენა დაემყარებინათ²¹. ასე რომ, დავით III-ის ზეობის ხანაში (1001 წლამდე) ტაოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დამოკიდებულების შესახებ საუბარი არ შეიძლება.

1001 წლამდე სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს რომ არ ექვემდებარებოდა, ეს, ვფიქრობ, ნათელია²². პირველ პატრიარქად კი მელქისედეკ I უნდა იქნას მიჩნეული, მაგრამ ვინ მიანიჭა მას ეს ტიტული?

თუ ვ. სილოგავას მოსაზრებას გავიზიარებთ, მელქისედეკ I-ისათვის პატრიარქის ტიტული ბაგრატ III-ს უნდა მიენიჭებინა. ახლა ვნახოთ, რა აზრისაა ამ საკითხის შესახებ აკადემიკოსი ელენე მეტრეველი და საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ბაბილინა ლომინაძე. აკად. ე. მეტრეველი მელქისედეკის პატრიარქობის საკითხს 1030 წელს შედგენილ ზაქარია ბანელის ანდერძის ცნობათა გაანალიზებისას შეეხო.

დასახელებულ ანდერძში, – როგორ ითქვას, – ასათ ბანელი პატრიარქად იწოდება²³. ანდერძის ცნობებიდან გამომდინარე, ზაქარია ყოფილა ტაოდან, დაახლოებული დავით კურაპალატთან, რომელსაც ზაქარია „მზრდელსა და

¹⁷ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ეკლესია, როგორც ჩანს, 1001 წლის (დავით III-ის გარდაცვალების) შემდეგ დაემორჩილა. რაც ასახულია ოშკის ტაძრის წარწერებში. იხ. გოილაძე ვ., ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა, გვ. 106.

¹⁸ გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 14–15.

¹⁹ იქვე, გვ. 177–178.

²⁰ იქვე.

²¹ დიასამიძე ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 225–226.

²² საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი დავით III, რა თქმა უნდა, მცხეთის საკათალიკოსოსაგან სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ეკლესიის გამოყოფას არ შეეცდებოდა.

²³ ანდერძის ერთ ნაწილში ნათქვამია: „...და სალოცველად სულისა მზრდელისა და შემოქმედისა ჩემისა დავით ქართველთა კურაპალატისა, რომლისამცა სული ბრწყინავს სასუფეველსა ცათასა, და საკსენებელად სულისა მოძღუართა და მშობელთა ჩემთასა: არსენი მამადმთავრისა, ბაკურისსა და თეკლადისსა, პატრიარქისსა ასათისსა, დავითისსა და დაფანჯულისასა“. ე. მეტრეველი, ზაქარია ბანელის ანდერძი და ბერძნული ლექსი მცირე სვინაქსარიდან. წიგნში – ე. მეტრეველი, ნარკვევი ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996., გვ. 171.

შემოქმედს“ (მისი მოღვაწეობის წარმართველს) უწოდებს. დავითის შემდეგ იგი თავის მოძღვრად არსენ მამამთავარს²⁴ ასახელებს²⁵.

ქართული ეკლესიის წარმომადგენლის მიმართ, – წერს ე. მეტრეველი, – პატრიარქის წოდების ხმარების სხვა შემთხვევა ქართულ წერილობით ძეგლებში არ გვხვდება. რას უნდა ნიშნავდეს ამ შემთხვევაში „პატრიარქი“, ეს გარკვევას თხოვლობს²⁶. პატრიარქზე საუბრის დაწყებამდე, ე. მეტრეველი უარყოფს ე. მაჭავარიანის თვალსაზრისს ანდერძში დასახელებული ასათის დავით I (944–955) კათალიკოსთან იდენტურობის შესახებ და დასძენს: რა ნიშნით ატარებდა ასათი პატრიარქის ტიტულს? „საფიქრებელია, რომ ასათი იყო ტაოს ყველაზე გავლენიანი მთავარეპისკოპოსი ანუ მამამთავართა მთავარი. ასეთებად... ითვლებოდნენ ბანას საეპისკოპოსოს მესაჭენი. უნდა ვიფიქროთ, რომ ასათ პატრიარქად წოდებული ბანას მამამთავართა მთავარი უნდა ყოფილიყო. ეს თანამდებობა შემდგომ დაიკავა ზაქარია ბანელ-ვალაშკერტელმა, მაგრამ წყაროებში ის პატრიარქად არ იწოდება. ეს გვაფიქრებინებს, რომ ბანელი მამამთავრისათვის პატრიარქის წოდება ტაოში არ გავრცელებულა“²⁷. ე. მეტრეველის სიტყვით, „განსხვავებული ვარიანტი გვაქვს მელქისედეკ კათალიკოსის შემთხვევაში: „მცხეთის საბუთში“ მელქისედეკი თავს წარმოგიდგენს კათალიკოს-პატრიარქის ტიტულით, ე. ი. თავის ძირითად ტიტულს უმატებს პატრიარქის ტიტულსაც. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ერთი საერთო ნიშანი მაინც აკავშირებს ამ ორ ქართველ პატრიარქს: ორივე შემთხვევაში პატრიარქის ტიტული დაცლილია რეალური შინაარსისაგან და ამიტომ არც ასახავდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დამოკიდებულებას ტაოსა და ქართლის ეკლესიის მესაჭეებისადმი“²⁸. „ორივე შემთხვევაში ქართული ეკლესიის მესაჭეების ტიტულატურაში პატრიარქის გამოჩენა გარკვეული ქრონოლოგიური მონაკვეთით იფარგლება (X საუკუნის დასასრული და XI საუკუნის 30-იანი წლები) და ამიტომ ტაოსა თუ ერთიანი საქართველოს ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობის კონტექსტში უნდა იქნას განხილული. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ეს ის პერიოდი, როდესაც ბიზანტიაში ჩნდებიან რეგიონალური პატრიარქები“ (ერთ-ერთ ასეთად ე. მეტრეველს ბულგარეთის საპატრიარქოს წარმოშობა მიაჩნია. – ე. გ.). შემდეგ ე. მეტრეველი დასძენს: „არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაშიც, პატრიარქის ტიტულის საშუალებით ასათ პატრიარქიც და მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქიც იმ ეკლესიის ავტოკეფალიას უსვამდნენ ხაზს, რომლის საჭეთმპყრობელნიც ისინი იყვნენ. ამით განსაზღვრავდნენ თავის დამოკიდებულებას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიმართ, რაც იმავდროულად ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობის ერთ-ერთი გამოხატულება იყო. ჯერჯერობით ამ ფაქტს სხვა ახსნას ვერ ვუძებნი“²⁹.

ე. მეტრეველის შენიშვნით, ეჭვს იწვევს ვ. სილოგავას მოსაზრება, თითქოს „მცხეთის საბუთში“ რეალურადაა დადასტურებული მელქისედეკ I-ის „კათალიკოს-პატრიარქის“ ტიტულით მოხსენიება³⁰. მიუხედავად იმისა, რომ მელქისედეკ I-ს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან და იმპერატორებისაგან ძვირფასი საჩუქრებიც მიიღო, რამაც „განსაზღვრა მელქისედეკის ოფიციალურ ტიტულატურაში პატრიარქის დამატება“³¹, მელქისედეკის „დაწერილში“ არაფერია თქმული იმის შესახებ, რომ

²⁴ ე. მეტრეველის თანახმად, ანდერძში ნახსენები არსენი, არსენი ნინოწმიდელია. ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172–173.

²⁵ იქვე, გვ. 171–172.

²⁶ იქვე, გვ. 175.

²⁷ იქვე, გვ. 177.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე, გვ. 177–178.

³⁰ იქვე, გვ. 178, შენ. 2.

³¹ იქვე, გვ. 180.

მან ოფიციალურად მიიღო პატრიარქის პატივი ბიზანტიაში... „დაწერილში“ კათალიკოს-პატრიარქის წოდებით „მელქისედეკი მხოლოდ ერთხელ არის მოხსენიებული (დოკუმენტის დასაწყისში), როდესაც „დაწერილის“ ავტორი გვაცნობს თავის თავს. „ანდერძის“ ბოლოს დართულ მეფეთა დამტკიცებებში მელქისედეკი მხოლოდ კათალიკოსად იხსენიება“³².

ე. მეტრეველის თანახმად, არანაკლებ უცნაურია ის, რომ კათალიკოს-პატრიარქის ტიტულით ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში არ იხსენიებიან მელქისედეკის მემკვიდრე კათალიკოსები: იოანე (1033–1045 წწ.) და ოქროპირი (1045–1048 წწ.)³³ ასევე სხვებიც, ვიდრე XIII ს-ის შუახანებამდე. 1260 წლით დათარიღებული კახა თორელის მიერ რკონის მონასტრისათვის მიცემული „დაწერილის“ მტკიცებულებით ნაწილში ნიკოლოზ კათალიკოსი თავს მსოფლიო პატრიარქთა თანახმად თვლის და თავს „მეექვსე პატრიარქს“ უწოდებს. პატრიარქის ტიტულის რეალური შინაარსის შემცველი დამადასტურებელი ცნობა მხოლოდ XIII ს-ის შუახანებიდან გვაქვს³⁴.

საქართველოში პატრიარქის წოდების შემოღების საკითხზე აკად. ე. მეტრეველის დასკვნა ასეთია: „ქრისტიანული ეკლესიის მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებად გაყოფის შემდეგ (1054), პატრიარქი მხოლოდ აღმოსავლური ეკლესიის უმაღლეს მესვეურს ეწოდება. იქამდე კი ცნება „პატრიარქი“ უფრო ვიწრო მნიშვნელობისა იყო და სშირად როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ რომის იმპერიაში ეპისკოპოსის ნაცვლად იხმარებოდა. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ პატრიარქის ტიტულის ხმარება ქართველი მამამთავრის (ასათ პატრიარქი), თუ ქართლის ეკლესიების მესაჭის მიმართ (მელქისედეკი) დასტურდება ქრისტიანული ეკლესიის გაყოფამდე, ხოლო ეკლესიების გაყოფის შემდეგ, როდესაც ცნება „პატრიარქმა“ ახალი შინაარსი შეიძინა, ეს ტიტული ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ტიტულატურაში არა ჩანს და მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ (XV ს.) მკვიდრდება (კათალიკოს-პატრიარქი შიო)“³⁵.

რა შეიძლება ითქვას პროფ. ვ. სილოგავას და აკად. ე. მეტრეველის ზემოთხსენებულ მტკიცებულებათა შესახებ?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო: ჯერ ერთი, კათალიკოსის ტიტულის მინიჭების საკითხში ასათ ბანელისა და მელქისედეკ I-ის ერთ კონტექსტში განხილვა არ შეიძლება. მელქისედეკისაგან განსხვავებით, ასათი მხოლოდ ერთი საეპისკოპოსოს მეთაური იყო. რაც მთავარია, საქართველოში პატრიარქის ტიტულის შემოღების საკითხი ვ. სილოგავასა და ე. მეტრეველს ერთობ გაუბრალოებული სახით აქვთ წარმოდგენილი. პატრიარქის ტიტულს ვინ ატარებდა პირველად – მელქისედეკი, ნიკოლოზ კათალიკოსი (XIII ს.) თუ შიო (XV ს.)?

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლის მიერ პატრიარქის ტიტულის მიღების საკითხი როგორც ქართული ეკლესიის, ისე, საერთოდ, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემათაგანია და მისი ერთი ხელის დაკვრით უარყოფა არ შეიძლება. აკად. ე. მეტრეველი ერთ საკითხში მართალი ბრძანდება. „მცხეთის საბუთში“ (მელქისედეკის „დაწერილი“), მართლაც, არაფერია ნათქვამი მელქისედეკ I-ს პატრიარქის ტიტული ოფიციალურად რომ ჰქონდა მინიჭებული. ასეთი ცნობა,

³² იქვე.

³³ „მცხეთის საბუთში“ მოხსენიებული იოვანე და ოქროპირი, როგორც ზემოთ ვნახეთ, აკად. ნ. ბერძენიშვილის მტკიცებით, ერთი პიროვნება იყო.

³⁴ იქვე, გვ. 180–181.

³⁵ იქვე, გვ. 181.

როგორც ითქვა, არც იმ დროის საისტორიო წყაროებში გვაქვს³⁶, მაგრამ მელქისედეკ I-ს პატრიარქის ტიტულის ტარების უფლება რომ კონსტანტინოპოლში უნდა მიეღო, ეს უეჭველად ჩანს. როგორც ვ. სილოგავა წერს, გაერთიანებული საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს – მელქისედეკს, მის წინამორბედთაგან განსხვავებული და უფრო პრესტიჟული ტიტული ესაჭიროებოდა. ეს ქვეყნის საერო მმართველის – ბაგრატ III-ის ინტერესშიც შედიოდა.

კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარს მელქისედეკის სათხოვარი 987 წლის წინა ხანაში, მისი ერთ-ერთი პირველი ვიზიტისას უნდა დაეკმაყოფილებინა. კონსტანტინოპოლში მელქისედეკ I-ისათვის ბოძებულ პატრიარქის ტიტულს, მართალია, მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დადასტურება ესაჭიროებოდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, მელქისედეკ I-ის შემდეგ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტზე ასულ იოანე-ოქროპირისათვის, რათა თავი პატრიარქის ტიტულით მოეხსენებინა (მხედველობაში მაქვს პარხალის წარწერაში პატრიარქად მისი მოხსენიება). აღნიშნულიდან გამომდინარე, პატრიარქის ტიტული XIII ს-ის შუახანებზე გაცილებით ადრე გვაქვს დადასტურებული ნარატიულ წყაროსა და ეპიგრაფიკაში³⁷.

ახლა ვნახოთ, მელქისედეკ I-ის მიერ პატრიარქის ტიტულის მიღების შესახებ რა აზრისაა ბ. ლომინაძე.

ბ. ლომინაძის სიტყვით, ქართული ეკლესიის უმაღლესი საჭეთმპყრობლის მიერ „პატრიარქის“ წოდებულობის მიღების რაიმე ოფიციალურ გადაწყვეტილების შესახებ ცნობა შემონახული არ არის და არც არის მოსალოდნელი, რადგან მაშინ არსებული პრაქტიკის მიხედვით, ასეთი რამ არ ხდებოდა. „პატრიარქის“ სახელით შეიძლება ესარგებლათ. ამით არ მოხდებოდა კანონის რაიმე დარღვევა³⁸. მხოლოდ გვიან შემოვიდა წესად კრების გადაწყვეტილებით პატრიარქის სახელის მიღება³⁹.

ე. ი. XI ს-ის დამდეგს (ბ. ლომინაძე გულისხმობს მელქისედეკ I-ის აღსაყდრების თარიღად მიღებულ 1010 წელს), როცა მელქისედეკ I-მა პირველად, თუ, მართლაც, მიიღო პატრიარქის ტიტული, იგი არავითარ სპეციალურ დადგენილებას არ ემყარებოდა?

ბ. ლომინაძეს მელქისედეკ I-ის მიერ პატრიარქის ტიტულის მიღების პროცესი ასე აქვს წარმოდგენილი: „პატრიარქის“ ტიტული მცხეთის საკათალიკოსომ, – წერს ბ. ლომინაძე, – მას შემდეგ დაიმკვიდრა, რაც საქართველოს ეკლესია გაფართოვდა და შეიძინა ბერძნული საპატრიარქოს გარეგნული ნიშნები, და, როგორც ჩანს, ეს არ იყო უცხო და საპრეტენზიო არც ბიზანტიის იმპერატორებისა და პატრიარქებისათვის. მელქისედეკ I, რომელმაც პირველმა ისარგებლა ამ წოდებით, ბიზანტიაში იმპერატორების კარზე: ბასილთან (970–1025)⁴⁰, კონსტანტინესთან (1025–1028) და რომანოზთან (1028–1034) მიღებული და დაფასებული პიროვნება იყო, მათგანვე მელქისედეკმა მიიღო მატერიალური დახმარება და შეწირულობანი მცხეთის სვეტიცხოვლის მშენებლობისათვის, მიიღო სოფლები ბიზანტიის ტერიტორიებზე და სხვ.“⁴¹.

³⁶ საკვირველია, მაგრამ ფაქტია – „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ საისტორიო თხზულებებში მელქისედეკი ნახსენები არაა. იგი მხოლოდ „მცხეთის საბუთიდან“ შეტანილ ჩანართებში იხსენიება.

³⁷ ჩრდილო კავკასიაში – ინგუშეთის სოფ. ტუბო-ერედის ეკლესიის წარწერაში ნათქვამია: „ქრისტე, ადიდე [ყოვლისა] აღმოსავლეთისა პატრიარქი მელქისედეკ, ამენ“. სილოგავა ვ. პატრიარქი X საუკუნის საქართველოში, გვ. 303.

³⁸ ლომინაძე ბ., საქართველოს საპატრიარქო..., გვ. 96.

³⁹ იქვე.

⁴⁰ ბ. ლომინაძეს ბასილ II-ის გამეფების თარიღად 970 წელი აქვს მითითებული.

⁴¹ ლომინაძე ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

მისივე თქმით, „საქართველოს საპატრიარქოს დაარსება დაემთხვა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას X ს-ის დასასრულს, როცა ჩამოყალიბდა „ქართლის“ მაგიერ „ყოველი საქართველო“, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი „ყოველი საქართველოს“ ეკლესიური გამგებელი იყო... ქართველი პატრიარქების ტიტულატურაში გაჩნდა ისეთივე ფორმულა, როგორც ქართველ მეფეთა ტიტულატურაში მამათმთავარი „აღმოსავლეთისა“⁴².

მელქისედეკ I-ის მიერ პატრიარქის ტიტულის მიღების ბ. ლომინაძისეული თვალსაზრისი გაიზიარა მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ. მისი სიტყვითაც, „...ერთიანი საქართველოს სამეფოში... საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით არსებული ორი საკათალიკოსოსაგან შეიქმნა ერთი საპატრიარქო“⁴³. ამის შემდეგ სრულად იმოწმებს ბ. ლომინაძის ნაშრომიდან ზემომოტანილ ციტატას და წერს: „კათალიკოს სვიმეონის გარდაცვალების“⁴⁴ შემდეგ ბაგრატ III-მ მელქისედეკი დასვა საქართველოს პატრიარქად. საქართველოს პატრიარქად დადგომისთანავე მელქისედეკი მაშინვე გაემგზავრა კონსტანტინოპოლში საიმპერატორო კარზე ბასილ II-სთან, ჩანს, იმისთვის, რომ კონსტანტინოპოლს ეცნო ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსება“⁴⁵. მეუფე ანანია ბოლოს დასძენს: „ბაგრატ III-მ ჯერ „პატრიარქად დასვა“ მელქისედეკ I, ხოლო შემდეგ მიმართა კონსტანტინოპოლს, ელიარებინა ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსება... ასეთ დიდმნიშვნელოვან მოვლენას – ახალი საპატრიარქოს დაარსებას – არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა საერთაშორისო საეკლესიო რეზონანსი, ბაგრატმა იზრუნა, რომ რეზონანსი დადებითი ყოფილიყო“⁴⁶. „ბაგრატ III-ის დროს საიმპერატორო კარს უცნია, როგორც ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსება, ასევე მისი იურისდიქცია შავიზღვისპირეთში... მეტიც, კონსტანტინოპოლს საქართველოს საპატრიარქოს ცენტრის სვეტიცხოვლის ტაძრის რესტავრაციისათვის შეუწირავს მდიდარი მონასტერი და 105 სოფელი“⁴⁷.

როგორც ბ. ლომინაძე წერს, XI ს-ის 20-იან წლებში პატრიარქობის დაწესება, „საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელოვან გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს“, რადგან „პატრიარქობა გაერთიანებულ ქართულ მონარქიას ესაჭიროებოდა თავისი სრული პოლიტიკური სუვერენიტეტის დასადასტურებლად საერთაშორისო ასპარეზზე“⁴⁸, მაგრამ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში მომხდარი ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა (პატრიარქობის დაწესება), ზემოდამოწმებულ მკვლევართა ნაშრომებში გამოკვეთილად არ არის წარმოდგენილი. პატრიარქის წოდება მელქისედეკ I-ს თუ საქართველოში მიანიჭეს (თანაც, ვინ მიანიჭა ბაგრატ III-მ, თუ ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ?), კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარისაგან რატომ მოითხოვდნენ მის დადასტურებას და აღიარებას?

ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ, სამწუხაროდ, ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების (აკად. ივ. ჯავახიშვილი, აკად. კ. კეკელიძე, აკად. ნ.ბერძენიშვილი და სხვანი) ნაშრომებში ვერაფერი მივაკვლიე. ისე კი, დასმული საკითხის შესახებ სანამ სამეცნიერო ლიტერატურას გავეცნობოდი, მეგონა, რომ

⁴² იქვე, გვ. 97.

⁴³ ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II, თბ., 1998, გვ. 170.

⁴⁴ სვიმეონ კათალიკოსის შესახებ ზემოთ ვრცლად ვისაუბრე და ვაჩვენე იგი 1010 წელს კვლავ ცოცხალი რომ იყო.

⁴⁵ ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი), დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ იქვე, გვ. 173–174.

⁴⁸ ლომინაძე ბ., სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII–XII საუკუნეების საქართველოში. კრებული – საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 78–79.

იგი დეტალურად იყო შესწავლილი და გამოკვლეული. რაც შეეხება ზემოდამოწმებულ მკვლევართა თვალსაზრისებს, როგორც ვნახეთ, ვ. სილოგავა საყვედურს გამოთქვამდა ბ. ლომინაძის მიმართ პატრიარქობის დაწესებას მელქისედეკის კონსტანტინოპოლში ხშირ დიპლომატიურ ვიზიტებთან რატომ აკავშირებს, პატრიარქის ტიტულს თვით ქართველი მეფეები (ამ შემთხვევაში დავით III და ბაგრატ III) ანიჭებდნენო. ბ. ლომინაძის და მეუფე ანანიას თანახმად, მელქისედეკს პატრიარქის ტიტული საქართველოში მიანიჭეს, მაგრამ იგი კონსტანტინოპოლის პატრიარქს უნდა ელიარებინა (აკად. ე. მეტრეველის თვალსაზრისზე აქ აღარაფერს ვიტყვი).

მართლაც, საინტერესოა, ვინ მიანიჭა მელქისედეკ I-ს პატრიარქის წოდება – საქართველოს საეკლესიო კრებამ თუ ბაგრატ III-მ? დაბოლოს, რა როლი შეასრულა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ და კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარმა მელქისედეკისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭების საქმეში? მათ მელქისედეკს პატრიარქის ტიტული მიანიჭეს თუ დაუდასტურეს? იყო თუ არა სავალდებულო საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში მომხდარი ეს ცვლილება მსოფლიო საეკლესიო კრებას დაედასტურებინა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ტიტული მელქისედეკს ბასილ II-საგან ან კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან ჰქონდა ნაბოძები?

მელქისედეკ კათალიკოსისათვის როცა პატრიარქის ტიტულის მინიჭების შესახებ ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნას ძველი საეკლესიო ტრადიცია და საერთაშორისო კანონიკური სამართლის ნორმები. აღნიშნულთან ერთად, ქართული პოლიტიკური ერთეულების საერო და საეკლესიო მეთაურები, იმ ხანად, მართალია, ბიზანტიის იმპერიისაგან სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ, მაგრამ, მათ მაინც ბევრი რამ აკავშირებდათ იმპერიის ხელისუფლებასთან. იყო საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ბიზანტიის იმპერატორის, მსოფლიო პატრიარქისა და მსოფლიო საეკლესიო კრების პრეროგატივას წარმოადგენდა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორც დავით III, ისე ბაგრატ III დამოუკიდებელი ქვეყნების მბრძანებლები იყვნენ, მაგრამ ისინი (ასევე ბაგრატიონთა სამეფო სახლის სხვა წარმომადგენლები) ბიზანტიის იმპერატორებისაგან არამარტო სიამოვნებით დებულობდნენ ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს, არამედ მოითხოვდნენ კიდევ მათგან ტიტულების მინიჭებას. მართალია, როგორც „კურაპალატის“, ისე სხვა საკარისკაცო ტიტულებს იმპერატორები მათთვის სასურველ პირებს აძლევდნენ და ამ გზით მათ ქვეყანაზე იმპერიის ძველი გავლენის აღდგენას, ან გავლენის ახლად დამყარებას ლამობდნენ, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ როგორც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები, ისე გაერთიანებული საქართველოს არაერთი მეფე (სანამ დავით IV აღმაშენებელმა საბოლოოდ არ თქვა უარი ბიზანტიურ ტიტულზე) ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს ატარებდა (იხ. ქვემოთ).

ამ მხრივ სულ სხვა ვითარება იყო საეკლესიო სფეროში. თუ მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებების პრაქტიკას გავითვალისწინებთ, ბიზანტიის იმპერიის გარეთ არსებული ეკლესიების საჭეთმპყრობლებისთვისაც კი, პატრიარქის ტიტულის მინიჭება მსოფლიო საეკლესიო კრებისა (გავიხსენოთ, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ეპისკოპოსებს სწორედ IV მსოფლიო საეკლესიო კრებამ რომ მიანიჭა პატრიარქების ტიტულები) და მსოფლიო პატრიარქის (კონსტანტინოპოლის პატრიარქის) პრეროგატივა იყო. ამა თუ იმ ქვეყნის საერო ხელისუფალს (მეფეს, ერისმთავარს) ასეთი უფლება არ ჰქონდა. ასე რომ, ბანის ეპარქიის მეთაური თუ მართლა ატარებდა პატრიარქის ტიტულს, იგი, როგორც აკად. ე. მეტრეველი წერს, მართლაც, შინაარსისაგან დაცლილი იქნებოდა.

ახალი საპატრიარქოს გაჩენა სხვა პატრიარქებსაც უნდა ეღიარებინათ. რაც მთავარია, ბიზანტიის საიმპერატორო კარისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის თანხმობას – მელქისედეკ I-ს პატრიარქის ტიტული ეტარებინა, მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ მისი დადასტურება აკლდა. ალბათ, აღნიშნულით უნდა აიხსნას, იმავე „მცხეთის საბუთში“ მელქისედეკი ქართლის კათალიკოსადაც რომ იწოდება.

ამრიგად, გაერთიანებული საქართველოს ეკლესიის პირველმა საჭეთმპყრობელმა – კათალიკოსმა მელქისედეკ I-მა, სავარაუდოდ, სწორედ კონსტანტინოპოლში თავისი ერთ-ერთი პირველი ვიზიტისას (დაახლ. 987 წლამდე, სანამ დავით III ბასილ II-ის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას მიემხრობოდა) ითხოვა, მისთვის პატრიარქის წოდება მიენიჭებინათ (ამ საქმის დადებითად გადაწყვეტაში იმხანად ქართველებისადმი იმპერატორი ძმების – ბასილისა და კონსტანტინეს კეთილგანწყობამაც გარკვეული როლი შეასრულა). იმ დროიდან, როგორც ბ. ლომინაძე წერს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელმა – რომის პაპის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ მეექვსე ადგილი დაიკავა⁴⁹. თუმცა, საიმპერატორო კარის (და შესაძლოა, კონსტანტინოპოლის პატრიარქის) მიერ მელქისედეკ I-სათვის პატრიარქის წოდების მინიჭება მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ არ იყო დადასტურებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითებით, XI ს-ის ბიზანტიის იმპერიაში კონსტანტინოპოლის პატრიარქი მიჩნეული იყო „ქრისტეს ცოცხალ გასულიერებულ სახედ“⁵⁰. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის პატრიარქთა შორის კონსტანტინოპოლის პატრიარქის პირველობა მხოლოდ ღირსების საქმე იყო და იგი პირველი იყო თანასწორთა შორის, ბიზანტიური სახელმწიფო სამართლით და ჩამოყალიბებული კანონიკური ტრადიციით, სხვა პატრიარქებთან შედარებით კონსტანტინოპოლის პატრიარქს უფრო მეტი უფლებები ჰქონდა. თუ დანარჩენი პატრიარქების იურისდიქცია მხოლოდ მათდამი დაქვემდებარებული საპატრიარქოს ტერიტორიაზე ვრცელდებოდა და, საერთოდ, იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის საეკლესიო ცხოვრებაში მათ მცირე გავლენა ჰქონდათ, კონსტანტინოპოლის პატრიარქს სახელმწიფო სამართალი საშუალებას აძლევდა სხვა საპატრიარქოებში წარმოქმნილ უთანხმოებებში ჩარეულიყო⁵¹. საერთოდ, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, როგორც იმპერიის დედაქალაქის ეკლესიის მეთაური, საერთო საეკლესიო საქმეებში დიდი უფლებებით სარგებლობდა.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ავტორიტეტსა და სიძლიერეს შემდეგიც განაპირობებდა: XI ს-ის დამდეგისათვის დასახელებული საპატრიარქოებიდან მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო იყო ის

⁴⁹ 879/880 წლებში კონსტანტინოპოლში გამართული მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ ქრისტიანულ ეკლესიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მართლმადიდებლური და კათოლიკური მიმდინარეობები. ამის შემდეგ მართლმადიდებლურ საპატრიარქოთა მონაწილეობით მსოფლიო საეკლესიო კრება აღარ მოუწვევიათ (Каждан, А. П., Вселенские соборы. Краткий научно-атеистический словарь, М., 1969). რის გამოც, მრავალი საკითხი – მ. შ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მეთაურისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭება, კრებას არ დაუდასტურებია.

ლომინაძე ბ., საქართველოს საპატრიარქო..., გვ. 95. როგორც ბ. ლომინაძე წერს, 1054 წელს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებად გაყოფის შემდეგ საქართველოს ეკლესიას თუ მე-5 ადგილი ეჭირა, და XVI ს. დასასრულს როცა აღმოსავლეთის პატრიარქებმა რუსეთის ეკლესიას მე-5 ადგილი მიანიჭეს, საქართველოს კი მე-6 (ბ. ლომინაძე, დასხ. ნაშრომი, გვ. 95), მაშინ 1260 წელს შედგენილ კახა თორელის საბუთში ნიკოლოზ კათალიკოსი თავს რატომ აცხადებს მეექვსე პატრიარქად? იხ. დაწერილი კახა თორელისა, გვ. 155.

⁵⁰ Скабаланович Н., Византийское государство и церковь в XI веке, С.-Петербург, 1884, гв. 362.

⁵¹ იქვე, გვ. 362–363.

ეკლესია, რომელმაც არა თუ შეინარჩუნა ძველი ეპარქიები, არამედ გააფართოვა (მაგალითად, რუსეთის მოქცევის ხარჯზე) კიდეც⁵².

*
* *
*

როცა X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის დამდეგის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელთა სტატუსზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ყურადღების გარეშე და აუხსნელი დარჩეს – რას უნდა განეპირობებინა ის, პარხალის ტაძრის ზემომოტანილ წარწერაში იოვანე „*ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქად*“ რომ იხსენიება.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ნ. ბერძენიშვილმა ეს იოვანე მელქისედეკ I-ის შემდეგ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტზე ასულ იოანე-ოქროპირად მიიჩნია (ვ. სილოგავას თანახმად, იოვანე დავით III კურაპალატის – გარდ. 1001 წ., თანამედროვე იყო). აღნიშნულთან ერთად, პატრიარქის ტიტული პირველად რადგან მელქისედეკს უნდა მიეღო, პარხალის ტაძრის წარწერაში იოვანე (იგივე იოანე-ოქროპირი) პატრიარქად რომ იწოდება, ამაში გასაკვირი არაფერია. მაგრამ რას ნიშნავს იოვანეს ტიტულატურაში „*ყოვლისა აღმოსავლეთი*“?

ვ. სილოგავას თანახმად, X–XI საუკუნეებში „აღმოსავლეთად“ საქართველო იწოდებოდა (იხ. ზემოთ) და იოვანეს ზემომოტანილ ტიტულატურაში მისი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქობა იგულისხმება.

X–XI საუკუნეებში საქართველო, მართლაც, იწოდებოდა „აღმოსავლეთად“, მაგრამ პარხალის წარწერაში იოვანე რადგან „*ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქადაა*“ ნახსენები, გამოდის, რომ წარწერის შემსრულებელი იოვანეს „ქართლისა და ყოველი საქართველოს“ პატრიარქად თვლიდა, რაც ცოტა უცნაურად ჩანს.

ჩემი აზრით, იმ გარემოებამ დავით III, შემდეგ კი გაერთიანებული საქართველოს პირველი სამი მეფე – ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV თავიანთ ბიზანტიურ ტიტულატურას მსაზღვრეულად რომ „ყოვლისა აღმოსავლეთს“ ურთავდნენ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქსაც (ამ შემთხვევაში იოანე-ოქროპირს) გარკვეული საფუძველი მისცა, თავისი თავიც „ყოვლისა აღმოსავლეთის“ პატრიარქად წარმოედგინა.

დასახელებულ მეფეთა ტიტულატურაში თუ რას უნდა განეპირობებინა ასეთი წოდების გაჩენა, ამის შესახებ ჩემს თვალსაზრისს ქვემოთ წარმოვადგენ. ქართველი პოლიტიკოსების ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მიღების საკითხს ბიზანტიის აღმოსავლურ პოლიტიკასთან კავშირში განვიხილავ.

⁵² იქვე, გვ. 404 და შემდეგი. არა თუ პატრიარქის ტიტულის დადასტურება მიიღო რუსეთის ეკლესიამ კონსტანტინოპოლიდან, რუსეთის პირველმა მეფემ ივანე მრისხანემ მეფობის დადასტურებაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან მოითხოვა, იხ. Голубинский Е., История русской церкви, т. II, М., 1900, გვ. 845–846.

თავი XII. ბიზანტიური ტიტულატურა იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში

III საუკუნის 20-იანი წლებიდან ახალწარმოქმნილი სასანიანთა ირანისა და რომის (შემდეგში ბიზანტიის) მეტოქეობა ამიერკავკასიის ქვეყნებში გასაბატონებლად, სასანიანთა ირანის გამარჯვებით დამთავრდა. 369 წელს ირანი ქართლის სამეფოს ერთ ნაწილს, V ს-ის შუახანებიდან კი მთელ ქართლს დაეუფლა. დაახლ. 537 წელს სასანიანებმა ქართლში მეფის ხელისუფლებაც გააუქმეს. ირანის პროვინციად გადაქცეულ ქვეყანას ირანელი მოხელე მარზპანი განაგებდა. ასეთ ვითარებაშიც კი ქართლის დიდებულები და ბიზანტიის ხელისუფალნი შექმნილ ვითარებას არ შერიგებიან.

ქართლში მეფობის გაუქმებიდან არც ისე დიდი ხნის გასვლის შემდეგ, დაახლ. 555 წელს, როცა „უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და [ბიზანტიის იმპერატორისაგან]... ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა... მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი, და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს“¹.

ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერით დაახლ. 555 წელს ქართლის ერისმთავრის ტახტზე გუარამ I ბაგრატიონი ავიდა. „ამას გუარამს, – ნათქვამია ძველ ქართულ წყაროში, – მოსცა კეისარმან კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას“².

ქართლში ადგილობრივი ხელისუფლების აღდგენა ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I-ის (527–565 წწ.) მხარდაჭერით მოხდა. ქართლში ირანელთა უშუალო ბატონობის პირობებში, მართალია, მეფის ხელისუფლების (ე. ი. ფარნავაზიანთა დინასტიის) აღდგენა ვერ მოხერხდა, ქართლის ერისმთავრის ტახტი ვახტანგ გორგასლის ასულის წულმა დაიკავა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ გუარამის ტახტზე ასვლით, ადრეფეოდალური ქართლის სახელმწიფოს აღდგენა მოხერხდა³.

იმპერატორ იუსტინიანე I-ის მიერ სასანიანთა გავლენაში მყოფი ქვეყნის მმართველისათვის კურაპალატის ტიტულის მინიჭება პირადულ ხასიათს ატარებდა და არავითარ საერთაშორისო უფლებრივ საფუძველს არ ემყარებოდა⁴. ეს აქტი ბიზანტიის იმპერიის მხრივ, მისდამი მტრულად განწყობილი სასანიანთა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა იყო. თავის მხრივ, ბიზანტიური ტიტულის მიმღები ქართლის ერისმთავრისათვის ბიზანტიის იმპერია მფარველ ძალად მოიაზრებოდა. ბიზანტიის ხელისუფლება როცა რომელიმე ქვეყნის (მათ შორის ქართლის) ხელისუფალს, მისი ოჯახის წევრს,

¹ ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 217–218.

² იქვე, გვ. 218.

³ გოილაძე, ვ. VI საუკუნეში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1979 № 1, გვ. 121–122.

⁴ Юзбашян К. Н., Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX–XI вв. М., 1988, гв. 89.

ან ცალკეულ დიდებულს საკარისკაცო ტიტულს აძლევდა, ამ გზით ამ ქვეყანაში ბიზანტიური ორიენტაციის მქონე ჯგუფის შექმნას ცდილობდა. იგულისხმებოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში თავის ხელდებულ პოლიტიკურ მოღვაწეს (ან მოღვაწეებს) იმპერია სათანადო სამხედრო ძალითაც უნდა დახმარებოდა. აღნიშნულით უნდა აიხსნას 571 წელს ანტიირანული აჯანყების მარცხის შემდეგ გუარამ I-მა ბაგრატიონმა და აჯანყებულთა სხვა თავკაცებმა კონსტანტინოპოლს რომ მიაშურეს.

გუარამ I ბაგრატიონი პრობიზანტიური ორიენტაციის მოღვაწე იყო, ამიტომ 589 წელს იგი კვლავ ბიზანტიელთა მიერ ორგანიზებულ ანტიირანულ კოალიციას მიემხრო, მაგრამ ეს გამოსვლა კვლავ მარცხით დამთავრდა. თუმცა, ამის შემდეგაც ბიზანტიის ხელისუფალნი ირანის ქვეშევრდომ ქართლში გავლენის მოსაპოვებლად ძალისხმევას არ იშურებდნენ.

გუარამ I-ის ძეს ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ I-ს, როგორც ეს მის მიერ აგებული მცხეთის ჯვრის მონასტრის წარწერებიდან ჩანს, პატრიკოსის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული ჰქონდა. ამავე ტაძრის წარწერებში ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით იხსენიებიან სტეფანოზის ძმა დემეტრე და ფარნავაზიანთა სახლის წარმომადგენელი ადარნერსე (ადარნასე).

წარწერაში ნათქვამია: (წარწერები მომაქვს ქარაგმების გარეშე).

„ესე ჯუარი ქრისტესი აღხემართა სალოცველად სტეფანოს პატრიკოსისა, დემეტრე უპატოსისა, ადარნერსე უპატოსისა სულთა და ხორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა მომავლისა მცველად“⁵.

იგივე პირები იმავე ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით იხსენიებიან ტაძარზე არსებულ მოსახსენებელ წარწერებშიც:

1. „ჯუარო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკოსი შეიწყალე“.
2. „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადარნერსეს უპატოსსა მეოხ ეყავ“.
3. „წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრე უპატოსსა მეოხ ხეყავ“⁶.

ადარნასე ერისმთავარი მცხეთის ჯვრის ტაძრის წარწერებში, როგორც ვნახეთ, ვიპატოსის ბიზანტიური ტიტულითაა მოხსენიებული, მაგრამ თუ ძველი ალბანელი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატვაცის თხზულებაში არსებულ ცნობას გავითვალისწინებთ, მას სხვა ბიზანტიური ტიტულებიც ჰქონია. როგორც მოვსესი წერს, „დიდად პატივცემულ იშხანს“ „ატრნერსეს... ჰრომაელთა სამეფოსაგან სამმაგი პატივი ჰქონდა მიღებული“⁷. სავარაუდოდ, ვიპატოსის შემდეგ ადარნასეს უფრო მაღალი საკარისკაცო ტიტულები უბოძეს⁸, მაგრამ რა დამსახურებისათვის, ამის შესახებ მოვსეს კალანკატვაცი არა წერს.

ადარნასე ფარნავაზიანის ძეს – ქართლის ერისმთავარს სტეფანოს II-ს ჰქონდა თუ არა რაიმე ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული, წყაროებიდან არა ჩანს⁹, ბიზანტიის საიმპერატორო კარს მისთვის რომ რომელიმე ტიტული ებოძებინა, ეს არც იყო მოსალოდნელი. საქმე ისაა, რომ ქართლის ერისმთავრის

⁵ ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 96.

⁶ იქვე, გვ. 160, 162, 164. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ადარნასე ვიპატოსი შეცდომითაა მიხნეული სტეფანოს I-ის ძედ, და აქედან გამომდინარე, ბაგრატიონთა სახლის წევრად. ამ საკითხზე იხ. ვ. გოილაძე, „ქართლის ცხოვრების“ ერთი ჩანართის ცნობათა რეალურობისათვის. კრებულში – საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IX, თბ., 2008.

⁷ მოვსეს კალანკატვაცი, აღვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985, გვ. 91–92.

⁸ ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ვიპატოსის ტიტულის მიღებამდე ჰქონდა ადარნასეს პროტოსპათარისა და სპათაროკანდიდატის ტიტულები. იხ. მისი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 158.

⁹ მცხეთის ჯვრის წარწერა მასზე გვაუწყებს: „წმიდაო სტეფანე, ქობულ-სტეფანოსი შეიწყალე“. იხ. ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 165.

ტახტზე ასვლიდან ახლო ხანაში, ქართლში არაბები შემოვიდნენ. იგი არაბებს უბრძოლველად დანებდა და მათთან ე. წ. „დაცვის სიგელი“ დადო¹⁰.

არაბთა სახალიფოს ჩამოყალიბება და არაბთა დაპყრობების დასაწყისი სასანიანთა სახელმწიფოსათვის კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდა. ჩქარა მან არსებობა შეწყვიტა. ბიზანტიის იმპერიამ კი მოკლე ხანში დაკარგა: სირია, ფინიკია, პალესტინა, აღმოსავლეთი სომხეთი, ეგვიპტე, ჩრდილო შუამდინარეთი. არაბებმა არაერთხელ სცადეს კონსტანტინოპოლის აღება. VII ს-ის შუახანებში ჩრდილო კავკასიაში ხაზართა ძლიერი გაერთიანება შეიქმნა. ხაზართა კაგანატმა ამიერკავკასიაში გასაბატონებლად დაიწყო ბრძოლა, რის გამოც საკმაოდ შესუსტდა ქართლის მიმართ არაბთა აგრესია. ამ ფონზე ბიზანტიის იმპერიას აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურების საშუალება მიეცა. მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ქვეყნები ოფიციალურად არაბთა ხელდებულებად ითვლებოდნენ, ამ ქვეყნების ქრისტიანული მოსახლეობა მაინც პრობიზანტიური ორიენტაციის მატარებლად რჩებოდა. ბიზანტიელთა მხარდაჭერით დაახლ. 686 წელს ქართლის ერისმთავრის ტახტზე 628 წელს იმპერატორ ჰერაკლეს თურქი მოკავშირეების მიერ სიკვდილით დასჯილი სტეფანოს I ბაგრატიონის შთამომავალი ნერსე I ავიდა¹¹. სტეფანოს II ფარნავაზიანი იძულებული გახდა, ოჯახით ეგრისში გადასულიყო¹².

ქართლის ერისმთავრის ტახტზე ასული ნერსე I ბაგრატიონის სახლის ზოგიერთი წევრი ჯერ კიდევ მის მიერ ქართლის ტახტის დაკავებამდე ატარებდა ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს. მაგალითად, სტეფანოს I-ის ძეს – გუარამს კურაპალატის წოდება ჰქონდა¹³. ნერსე I-ის შთამომავალთაგან – ვარაზ-ბაკურს აპე პატრიკოსის, მის ძმას – არშუშას კურაპალატის (აბასთუმნის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაში იგი პატრიკოსის ტიტულითაა მოხსენიებული¹⁴) ტიტულები ჰქონდათ მინიჭებული. ასევე კურაპალატის ტიტული ჰქონდა აშოტ I ბაგრატიონს¹⁵. ბაგრატიონთა სამეფო სახლში კურაპალატის ტიტული მემკვიდრეობითი ჩანს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ტიტულით ზოგიერთი უფლისწული უკვე ტახტზე ასვლამდე იწოდებოდა.

სახალიფოში მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესმა, ცენტრალური ხელისუფლების კრიზისმა და არაბთა სახალიფოს რღვევამ, ქართლის საერისმთავროზე არაბთა ბატონობა შეასუსტა. VII ს-ის დასასრულიდან ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი დიდი სენიორია წარმოიქმნა. იმავე ხანებში დაიწყო ამ პოლიტიკურ ერთეულთა ეკონომიკური აღორძინება, რაც დიდ საკულტო მშენებლობებშიც გამოიხატა. ცალკეული ერისმთავრები, მთავრები (შემდეგში მეფეები) მათ მიერ აგებულ ტაძრებზე აკვეთინებენ ბარელიეფებს, მოსახსენებელ წარწერებს (ასეთებია: კავთისხევის, ატენისა და სამშვილდის სიონის ტაძრები; ეკლესიები: აბასთუმანში, ერედში, ტბეთში და სხვა)¹⁶. ამ ტაძართა და ეკლესიათა ზოგიერთ წარწერაში ქტიტორები უკვე ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით იხსენიებიან. ერთ-ერთი ასეთი ახალდაწინაურებული და განდიდებული პიროვნებაა თავისი ოჯახით გამოსახული ახლანდ. კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში VII საუკუნით

¹⁰ სილაგაძე ბ., არაბთა ბატონობა საქართველოში, თბ., 1991, გვ. 56–65.

¹¹ გოილაძე ვ., რატომ გადავიდა ქართლის ერისმთავარი სტეფანოს II ოჯახით ეგრისში? ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 2008.

¹² იქვე, გვ. 85.

¹³ ჯუანშერი, დასახ. თხზულება, გვ. 252 (ჩანართი).

¹⁴ ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 103.

¹⁵ მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ.გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 327.

¹⁶ შოშიაშვილი ნ., შესავალი. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა-დაცვა. წიგნში – ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 39.

დათარიღებულ კატაულას სტელაზე. სტელაზე ამოკვეთილ წარწერაში ვინმე გრიგოლი ვიპატოსის ტიტულით იხსენიება (არაა გამორიცხული ეს გრიგოლი ბაგრატიონთა ან ფარნავაზიანთა სახლის წევრი ყოფილიყო).

სტელის წარწერაში ნათქვამია:

„წმიდაო თევდორე და ილარიონ შეიწყალე გრიგოლ ვიპატოსი“¹⁷.

სტელაზე ასევე გამოქანდაკებულია მეორე წარწინებული მამაკაცი სამსტრიქონიანი წარწერით¹⁸.

გრიგოლ ვიპატოსის სურვილი ტაძრის სტელაზე მთელი ოჯახით წარმოდგენილიყო, მისი ოჯახის ახალდაწინაურებაზე მიგვანიშნებს. ვინ იყო გრიგოლ ვიპატოსი საისტორიო წყაროებში, არავითარი მითითება არა გვაქვს.

იმავე ხანებში ქართლში დიდი საფეოდალოს არსებობაზე მიუთითებს უსანეთის სტელა. მასზე, გარდა რელიგიური ხასიათის კომპოზიციისა, გამოსახულია წმიდა კვირიკესა და ანგელოზის წინ მუხლმოდრეკილი და ხელებაპყრობილი წარწინებული (თავისი შვილით), რომელსაც ანგელოზი გვირგვინს უწვდის¹⁹.

კავთისხევის წარწერაში მოხსენიებულ გრიგოლ ვიპატოსსა და უსანეთის სტელაზე გამოსახულ პიროვნებას თუ ადგილობრივ, ახალდაწინაურებულ დიდებულებად მივიჩნევთ, მაშინ VIII ს-ის დასასრულის ქართლში შექმნილი ვითარების აღწერისას „მატიანე ქართლისას“ ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას“²⁰, რეალურ საფუძველს იძენს.

VIII საუკუნის დასასრულისა და IX საუკუნის დამდეგის ქართლში ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მქონე დიდებულები რომ მრავლად იყვნენ, ეს არაბი ავტორის იაკუბის (გარდ. დაახლ. 905 წ.) მონაცემებით დასტურდება. როგორც იაკუბი წერს, ხალიფა არ-რაშიდის (786–809 წწ.) მიერ არმენიის მმართველად დადგენილმა ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამამიმ ქართლში შეიპყრო პატრიკიოსები, მეფეთა შვილები და თავები მოჰკვეთა²¹.

ბიზანტიის საიმპერატორო კარის ცდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთათვის ბიზანტიური ტიტულების მინიჭებით ქართლში მყარი დასაყრდენი შეექმნა, მარცხით დამთავრდა. მართალია, არაბთა სადამსჯელო ექსპედიციებმა ქართლსა და წანარეთში დიდი აჯანყება გამოიწვია, მაგრამ ამას არაბთა ბატონობის შეცვლა არ მოჰყოლია. არაბთა ზეწოლის გამო ქართლის ერისმთავარი აშოტ I კურაპალატი (ბაგრატიონი) იძულებული შეიქნა დაახლ. 813 წელს რეზიდენცია თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – არტანუჯში გადაეტანა, და იქ ბიზანტიის იმპერიის საზღვართან უფრო ახლოს იწყო „ახლად შენება“ და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა „ქართველთა სამეფოს“²². იმ დროიდან ბიზანტიის საიმპერატორო კარის პოლიტიკურმა ურთიერთობამ ქართველთა სამეფოსთან ახალი ნიუანსი შეიძინა – უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

„ქართველთა სამეფო“ მუსლიმებთან ბრძოლაში მოკავშირეს საჭიროებდა, თავის მხრივ, მუსლიმებთან მეზობელი ბიზანტია „ქართველთა სამეფოს“ სახით

¹⁷ ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 120.

¹⁸ იქვე, გვ. 121.

¹⁹ იქვე, გვ. 39.

²⁰ მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 250.

²¹ Якуби, «История». Перевод с арабского П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 12. აკად. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, არაბთა შემოსვლისას ქართლში თვრამეტი დამოუკიდებელი სამთავრო იყო. იხ. მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი I, თბ., 1964, გვ. 25. X ს-ის 80-იან წლებში შიდა ქართლში – ტბელების საგვარეულოში სახელ „პატრიკის“ დამოწმება იმის დასტურად მიაჩნდათ, IX–X ს-ებში ტბელები „პატრიკიოსის“ ტიტულს რომ ატარებდნენ. შემდეგში ეს ტიტული საკუთარ სახელად იქცა. იხ. ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 60.

²² გოილაძე ვ., ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა, გვ. 71.

მოკავშირეს ხედავდა. ბიზანტიასა და ტაო-კლარჯეთში წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ასეთი ურთიერთობა უცვლელი დარჩა მანამ, სანამ ბიზანტიას საფრთხე ემუქრებოდა²³. ბიზანტიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობისას აშოტ I-ის ზოგიერთმა მემკვიდრემ, მართალია, თავისი სამფლობელოების საზღვრები სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით საკმაოდ განავრცო (მაგ. დავით III-მ), მაგრამ იმ ხანად ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან პარტნიორულ პრინციპებს არ გასცილებია. ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებისათვის ბიზანტიური ტიტულების უხვად დარიგება სწორედ იმაზე მიგვითითებს, საიმპერატორო კარი ამ გზით ამჯერად საქართველოს ამ კუთხეში დამკვიდრებას რომ ცდილობდა. იმპერიასთან ეს ურთიერთობა ასახული ბაგრატიონთა სახლის წევრების ტიტულატურაში.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ბიზანტიური საკარისკაცო პატივები იყო: პატრიკოსი, მაგისტროსი, კურაპალატი. საიმპერატორო კარი ყველაზე უხვად კურაპალატის პატივს ანიჭებდა. იყო შემთხვევა, როცა ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს ერთი საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელი იღებდა, ან ტიტული თაობიდან თაობას გადაეცემოდა, რის შემდეგაც ამ საგვარეულოს წარმომადგენელს ამა თუ იმ ტიტულზე მემკვიდრეობითი ფლობის სურვილი უჩნდებოდა²⁴. ასე მაგალითად, ბაგრატ IV ერთ სიგელში კურაპალატად ასახელებს თავის ძეს – გიორგის (შემდეგში – გიორგი II 1072–1089 წწ.). ბაგრატ IV წერს: „სალოცველად მეფობისა ჩემისა და შვილისა ჩემისა გიორგი კურაპალატისა“²⁵. შემდეგში, გიორგი II-ის მეფობაში, ასევე უკვე კურაპალატის ტიტული ჰქონდა უფლისწულს – დავითს (დავით IV აღმაშენებელი, 1089–1125 წწ.). საბუთში ნათქვამია: „...სამლოცველად მეფობისა ჩემისა და ძისა ჩემისა დავით კურაპალატისა...“²⁶.

ტიტულის მემკვიდრეობით გადასვლის შემთხვევაშიც მას ყოველთვის უფროსი ძე არ იღებდა. ტიტული შეიძლებოდა ერთი ცნობილი საგვარეულოს რამდენიმე წევრისთვის მიეცათ²⁷.

საკარისკაცო ტიტულების მისანიჭებლად ბიზანტიის იმპერატორები საგანგებო ელჩებს გზავნიდნენ შესაფერისი ტანისამოსით, სამკაულებითა და საჩუქრებით. პატივის მინიჭების ცერემონიალი საზეიმო ვითარებაში იმართებოდა²⁸.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წევრებიდან კურაპალატის ტიტული აშოტ I კურაპალატის (ბაგრატიონის) შემდეგ მისმა შუათანა ძემ ბაგრატმა მიიღო. ამის შემდეგ, როგორც პ. ინგოროყვა წერს, არ ყოფილა შემთხვევა, აშოტ კურაპალატის შთამომავლების რომელიმე თაობას ეს ხარისხი არ მიეღო. ბაგრატ I-ის (826–876 წწ.) შემდეგ კურაპალატის ტიტულს ატარებდა მისი ძე დავით I (876–886 წწ.), შემდეგ ამ დავითის შვილი ადარნასე II ქართველთა მეფე (881–923 წწ.), შემდეგ მისი ორი შვილი – ჯერ აშოტ IV (923–954 წწ.) და მერე სუმბატ I (954–958 წწ.). შემდეგ, მეექვსე თაობაში – ჯერ ადარნასე III (958–961 წწ.), ბაგრატ მაგისტროსის, ქართველთა მეფის შვილი, ხოლო მერე სუმბატ I-ის შვილი – ადარნასე IV (961–983 წწ.). შემდეგ ადარნასე

²³ კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა. გვ. 21–22.

²⁴ თაყაიშვილი ე., სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. წიგნში – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 27, თბ., 1949, გვ. 43.

²⁵ სიგელი ბაგრატ მეფისა ოპიზას და მიჯნადორელ მამებისადმი. წიგნში – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 33.

²⁶ სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი. წიგნში – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 46.

²⁷ Юзбашян К. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 88–90.

²⁸ თაყაიშვილი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

III-ის ძე დავით III დიდი კურაპალატი (978 წლიდან) ტაოს მეფე (გარდ. 1001 წ.) და ბოლოს ბაგრატ III (გარდ. 1014 წ.) გურგენ მეფეთა მეფის შვილი, აფხაზთა და ქართველთა მეფე²⁹. რაც შეეხება ბაგრატიონთა სახლის კლარჯეთის შტოს, პ. ინგოროყვას თანახმად, აქ მხოლოდ ორი პირი ატარებდა კურაპალატის ხარისხს: გურგენ I (გარდ. 891 წ.) ადარნასე I-ის შვილი, აშოტ I დიდის შვილიშვილი და გურგენ II, აშოტ კეკელას შვილი³⁰.

აღნიშნულის მიუხედავად, ჩვენ არ მოგვეპოვება სრული ცნობა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ბიზანტიური საკარისკაცო პატივების შესახებ. მაგალითად, კონსტანტინე პორფიროგენეტი რამდენიმე ბაგრატიონს იხსენიებს ისეთი ბიზანტიური პატივებით, რომელნიც ქართულ წყაროებში არ გვხვდება. ასევე, ეკლესიათა წარწერებში და ხელნაწერებში ზოგჯერ ვპოულობთ ამა თუ იმ ბაგრატიონის ბიზანტიურ პატივს, რომელიც მატიანეში აღნიშნული არ არის³¹.

აშოტ I დიდის მემკვიდრეთა ზეობის ხანაში კვლავ გრძელდებოდა ძველი ტრადიცია და მეტი დამსახურებისათვის საიმპერატორო კარი, შესაბამისად, უფრო მაღალი ტიტულის ბოძებით იმადლიერებდა მისთვის სასურველ პიროვნებას. მაგალითად, აშოტ I-ის ერთ-ერთი შთამომავალი, ტაოს მეფე დავით III, ოშკის ტაძრის საამშენებლო წარწერაში თუ მაგისტროსად იწოდება³², მას შემდეგ რაც მან საიმპერატორო კარის თხოვნით, იმპერატორთა (ბასილ II, კონსტანტინე VIII) წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსი დაამარცხა, ბასილ II-მ მას კურაპალატის ტიტული უბოძა³³. დავით მეფის ეს ახალი ტიტული სათანადოდ აისახა მის თანადროულ წერილობით ძეგლებსა და ეპიგრაფიკაში³⁴.

ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში შეტანილი დიდი წვლილი ბასილ II-მ თორნიკე ერისთავსაც დაუფასა. თორნიკე ერისთავს პატრიკოსის ნაცვლად სვინგელოზის ტიტული უბოძეს³⁵.

პატრიკოსის ტიტულს ატარებდა XI საუკუნეში მოღვაწე მესხი დიდებული ფერის ჯოჯიკის ძე. ამ ტიტულით იგი ოშკის ტაძრის წარწერაში იხსენიება³⁶.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლებთან მჭიდრო ურთიერთობის თანადროულად, ბიზანტიის საიმპერატორო კარი X საუკუნის ბოლო მეოთხედიდან (ე. ი. როცა საფუძველი ჩაეყარა ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლას), კეთილმეზობლური ურთიერთობისა და პოლიტიკური დასაყრდენის გამონახვას ცდილობდა საქართველოს პოლიტიკურ სპექტრშიც. აღნიშნულის დასტურად უნდა მივიჩნიოთ ის უხვი საჩუქრები და მატერიალური დახმარება, რაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა იმპერატორებმა – ბასილ II-მ და მისმა ძმამ კონსტანტინე VIII-მ,

²⁹ იქვე, გვ. 43–44.

³⁰ იქვე, გვ. 44.

³¹ იქვე, გვ. 43.

³² ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 49–50.

³³ ლორთქიფანიძე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. წიგნში – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 476.

³⁴ დავით მესამე პირველად კურაპალატის (უფრო სწორად „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“) ტიტულით 977 წელს გადაწერილ ე. წ. „ოშკის სამოთხეზე“ 979 წელს დართულ თორნიკე ერისთავის ანდერძში იხსენიება. იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 108; შდრ., ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996, გვ. 10.

³⁵ მეტრეველი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 10. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 108.

³⁶ ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 52. გიორგი კედრენეს ცნობით, ბაკურიანი, ფევედატე და ფერისი იყვნენ ღვიძლი ძმები, ბასილ II-მ ისინი პატრიკოსის ხარისხში აიყვანა. იხ. გეორგიკა, ტ. V, გვ. 46.

შემდეგ კი იმპერატორმა რომანოზ არგირმა მცხეთის სვეტიცხოვლის დიდი ტაძრის მშენებლობისათვის კონსტანტინოპოლში რამდენიმეჯერ ჩასულ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს – მელქისედეკ I-ს გამოუყვეს და უბოძეს³⁷. ბიზანტიის საიმპერატორო კარი საქართველოში არსებულ ცალკეულ ფეოდალურ საგვარეულოების წარმომადგენლებთანაც რომ პოულობდა საერთო ენას, ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ ნიკორწმინდის ეკლესიის (ამბროლაურის რ-ნი) წარწერაში ნიანია ერისთავის ნოველისიმოსის ტიტულით მოხსენიება. ნიანია ერისთავმა რა დამსახურებისათვის მიიღო აღნიშნული ტიტული, საისტორიო წყაროებში ამის შესახებ არავითარი ცნობა არაა. წარწერის ტექსტში კი ნათქვამია: (წარწერა მომაქვს ქარაგმების გარეშე).

„წმიდაო ნიკოლოზ მღვდელთმთავარო, მეოხ ექმენ და მფარველ წინაშე ღმრთისა ნიანიას, ერისთავთა ერისთავსა და ნოველისიმოსს³⁸.

ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს ბაგრატ III-ის მემკვიდრეებიც ღებულობდნენ. მათ ბიზანტიური ტიტულის მიღებაზე მაშინაც კი არ უთქვამთ უარი, როცა „დავითის მემკვიდრეობისათვის“ ბიზანტიასთან გართულებული ვითარება ბიზანტია-საქართველოს ომში გადაიზარდა. ბაგრატ III-ის ძე გიორგი I (1014–1027 წწ.) მანგლისის ეკლესიის წარწერაში „ყოველისა აღმოსავლეთის კურაპალატად“ იხსენიება (იხ. ქვემოთ). გიორგი I-ის ძის „აფხაზთა და ქართველთა მეფის“ – ბაგრატ IV-ის დედა მარიამ დედოფალი ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით, როცა კონსტანტინოპოლში ჩავიდა, მან იმპერატორს თვითონ სთხოვა, მისი ძისათვის კურაპალატის ტიტული მიენიჭებიათ. „მატიანე ქართლისას“ ავტორი წერს:

„დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისა, აფხაზთა მეფისა, წარვიდა საბერძნეთად ძიებად მშვიდობისა და ერთობისა, და კუალად ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათვის თვისისა, ვითარცა არს ჩვეულება და წესი სახლისა მათისა... და ბერძენთა მეფემაც (იგულისხმება იმპერატორი რომანოზ III არგირი – 1028–1034 წწ. – ვ. გ.) „აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისათვის, დაუწერნა ოქრო-ბეჭედნი მოსცა პატივი კურაპალატობისა“³⁹.

ბაგრატ IV შემდეგში ნოველისიმოსის⁴⁰ (XI ს-ის 40-იან წლებში), ბოლოს კი, 60-იანი წლებიდან სევასტოსის ტიტულს ატარებდა⁴¹. ასევე, ბაგრატ IV-ის ძის – აფხაზთა და ქართველთა მეფის გიორგი II (1072–1089 წწ.) ტიტულატურაში ნოველისიმოსის წოდებას ჯერ სევასტოსი ცვლის, შემდეგ კესაროსი⁴². ყველა ამ შემთხვევაში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ქართველ მეფეთა ბიზანტიური ტიტულატურა ბიზანტიის იმპერიასთან არსებულ ურთიერთობის ფორმაზე მიუთითებს⁴³.

გიორგი II-ის ძის დავით IV აღმაშენებლის (1089–1125 წწ.) ზეობაში ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის ფორმა იცვლება. ზემოდასახელებული

³⁷ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 22–31.

³⁸ ლაპიდარული წარწერები, II (დასავლეთ საქართველოს წარწერები), ნაკვ. I (IX–XIII ს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, გვ. 101.

³⁹ მატიანე ქართლისა, გვ. 294.

⁴⁰ ბაგრატ IV ნოველისიმოსის ტიტულით აღავერდის სახარების მინაწერში იხსენიება. მასში აღნიშნულია: „მეფობასა კონსტანტი მონომახისა, ანტიოქიის პატრიარქობასა პეტრესსა, და ბაგრატის აფხაზთა მეფის ნოველისიმოსისა სამეფოს ყოფასა“ გადაიწერა ეს ხელნაწერი. იხ. ე.მეტრეველი, შავი მთის მწიგნობრული კერიის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 2007, გვ. 91.

⁴¹ ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 328; ლორთქიფანიძე მ., საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში, დავით IV აღმაშენებელი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 255.

⁴² ლორთქიფანიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

⁴³ იქვე.

სიგელის ცნობიდან გამომდინარე, მეფე დავით IV-ს ჯერ კიდევ უფლისწულობის დროს ჰქონდა მინიჭებული კურაპალატის ბიზანტიური ტიტული. შემდეგ სევასტოსისა და პანიპერსევასტოსის ტიტულს ფლობდა. მაგრამ გამეფების შემდეგ ამ ტიტულებზე უარი თქვა. XII ს-ის დამდეგს შედგენილ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“, სადაც მის მამას, უკვე ტახტიდან გადაყენებულ მეფე გიორგი II-ს კესაროსის მაღალი ტიტული აქვს, დავითი იხსენიება, როგორც „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“⁴⁴. ეს, ასეც იყო მოსალოდნელი. დავით აღმაშენებლის, განსაკუთრებით თამარის (1184–1213 წწ.) დროიდან საქართველოს სამეფო ბიზანტიის იმპერიის მეტოქედ გამოდის, უფრო მეტიც, იმპერიის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზეც კი თავის გავლენას ამყარებს და ასეთ ვითარებაში ბიზანტიურმა საკარისკაცო ტიტულებმა საქართველოს მეფეებისათვის მნიშვნელობა დაკარგა.

*
* *
*

X–XII საუკუნეებში საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის არსებული ურთიერთობის წარმოსახენად მნიშვნელოვანია ე. წ. ქართულ-ბიზანტიური მონეტები.

საიმპერატორო კარის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, როგორც ითქვა, 979 წელს დავით III-მ საიმპერატორო კარისაგან მაგისტროსის ნაცვლად კურაპალატის ტიტული მიიღო, რაც მის მიერ მოჭრილ მონეტებზე (ნაპოვნია 3 ცალი) არის ასახული. მონეტის ზურგზე ასომთავრულით ქარაგმით აწერია „კპტი“ (კურაპალატი).

დავით III-ის შემდეგ კურაპალატის ტიტულს ატარებდნენ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეები – ბაგრატ III და გიორგი I. ბაგრატ IV-ის გამეფების შემდეგ, იმპერიასთან დაპირისპირება მოწესრიგდა. 1028 წელს კონსტანტინოპოლში მარიამ დედოფლის ვიზიტისას ბაგრატ IV-ს კურაპალატის ტიტული უბოძეს. შემდეგში ბაგრატ IV-მ ნოველისიმოსის ტიტული მიიღო. ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე მონომაქოსის (1042–1053 წწ.) მონეტების მიბაძვით მოჭრილ ბაგრატ IV-ის მონეტის შუბლზე არის ვლადკერნის წმიდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება ბერძნული ზეწერილით „ΗΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ“ (ე. ი. „წმიდა ღვთისმშობელი“), ხოლო მონეტის ზურგზე აწერია: „ქრისტე, აღიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი“ (ამ ტიპის ორი მონეტაა ცნობილი). მას შემდეგ, რაც ბაგრატ IV-მ სევასტოსის ტიტული მიიღო, მონეტაზე იგი უკვე ამ ტიტულითაა მოხსენიებული.

ბაგრატ IV-ის ძეს – გიორგი II-ს (1072–1089 წწ.), როგორც ითქვა, ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან ნოველისიმოსის, სევასტოსისა და კესაროსის ტიტულები ჰქონდა მიღებული, შესაბამისად, მის მიერ მოჭრილი მონეტებიც სამ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფის მონეტების შუბლზე ვლადკერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულების თავზე არის შარავანდედი სამი ვარდულით და ბერძნული წარწერა „დედა ღვთისა ვლადკერნისა“. მონეტის ზურგზე აწერია: „ქრისტე აღიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და ნოველისიმოსი“. მეორე და მესამე ჯგუფის მონეტებზე გიორგი II სევასტოსისა და კესაროსის ტიტულებითაა მოხსენიებული.

საქართველოს მეფეებიდან ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს, როგორც ზემოთ ვნახეთ, ბოლოს დავით IV აღმაშენებელი (1089–1125 წწ.) ატარებდა, ბიზანტიური ტიტულების აღმნიშვნელი მისი 6 მონეტაა ნაპოვნი. მონეტათა ერთ

⁴⁴ ლორთქიფანიძე, მ., მეფე ბაგრატ მესამე, გვ. 57.

ჯგუფზე ფრაგმენტულად შემორჩენილ ქართულ ზედწერილზე „სევასტოსის“ ან „პანიპერსევასტოსის“ ტიტულს ვარაუდობენ. ამისი თარიღად 1085–1103 წლები მიაჩნიათ. მას შემდეგ, რაც დავით IV-მ, საერთოდ, უარი თქვა ბიზანტიური ტიტულის ტარებაზე, ეს ტიტულები აღარც მის შთამომავალთა მიერ მოჭრილ მონეტებზე გვხვდება (განხილული საკითხის შესახებ იხ. კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, თბ., 2006; რ. ქებულაძე, დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXIX-B, თბ., 1987; Р. Метревели, Византийско-грузинские отношения (XI в.) в свете нумизматических материалов и титулярников грузинских царей. წიგნში – რ.მეტრეველი, საისტორიო ნარკვევები, თბ., 2009).

თავი XIII. „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის“ წოდება საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში*

„ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“ ერთიანი საქართველოს მხოლოდ პირველი სამი მეფე იხსენიება. თვით ეს წოდება კი ტაოს მეფის – დავით III ბაგრატიონის კარზე შემუშავდა. დასახელებული წოდების შესახებ მსჯელობისას თავისთავად ისმის კითხვა: რამ განაპირობა – ბაგრატ III, გიორგი I და ბაგრატ IV თავს რომ „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“ აცხადებდნენ და ბაგრატ IV-ის მემკვიდრეებმა რატომ თქვეს უარი აღნიშნულ წოდებაზე?

ოშკის ტაძრის საამშენებლო წარწერაში დავით III მაგისტროსის ბიზანტიური ტიტულით იხსენიება, ხოლო 993 წელს შესრულებულ ყალბონის ეკლესიის საამშენებლო წარწერაში კურაპალატად⁴⁵, მაგრამ უფრო ადრე, – კერძოდ, 977 წელს გადაწერილი „სამოთხის“ კრებულისადმი 979 წელს თორნიკე ერისთავის მიერ დართულ ანდერძში, დავით III „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატადა“ დასახელებული⁴⁶.

დავით III-ის ამ წოდების რაობით აკად. მ. ლორთქიფანიძე დაინტერესდა. 1973 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ მან თუ პირდაპირ მიუთითა: როგორც სამართლიანად ვარაუდობენ, დავით III-ის „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის“ ტიტულით მოხსენიება, მის ხელში ბიზანტიის აღმოსავლეთის პროვინციების ნაწილის გადასვლას უკავშირდება-ო⁴⁷, 2002 წელს ბაგრატ III-სადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, ასეთი მკვეთრი დასკვნისაგან თავი შეიკავა და აღნიშნა: „გარკვეულ ინტერესს იწვევს დავითის ტიტული „აღმოსავლეთის დიდ კურაპალატი“. როდის და რატომ მიენიჭა მას ეს ტიტული და ჰქონდა თუ არა ამ ტიტულს რაიმე რეალური დატვირთვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „აღმოსავლეთის დიდ კურაპალატად“ ბაგრატ III-ც იწოდება, მაგალითად, კაცხის ტაძრის წარწერაში. ეს ტიტული რომ მხოლოდ დავით ტაოელს ჰქონოდა, მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ის

* საქართველოს მეფეთა ტიტულატურას სხვადასხვა დროს გამოკვლევები მიუძღვნეს: ვ.კოპალიანი (ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის საკითხისათვის. „მაცნე“ ისტორიის... სერია, 1972, № 3), ჯ. სტეფანაძე (XI–XII სუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976).

⁴⁵ ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 269.

⁴⁶ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, თბ., 1954, გვ. 186–187; შდრ., გეორგიკა, ტ. V, გვ. 38–39. ამ ტექსტში დავით III-ის ტიტულად მხოლოდ „კურაპალატი“ მითითებული.

⁴⁷ ლორთქიფანიძე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, გვ. 477.

„ზემონი ქვეყნების“ ბოძებასთან დაკავშირებით მიენიჭა, მაგრამ ბაგრატ III-ზე ამას ვერ ვიტყვით, რადგან მან ეს „ზემონი ქვეყანანი“ ვერ მიიღო. ამიტომ შეიძლება გამართლებულია მოსაზრება, რომ ამ ტიტულს არ ჰქონდა იურიდიული დატვირთვა, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ საიმპერატორო კარი, რომელმაც, მართალია, არ დათმო დავით კურაპალატის მემკვიდრეობა, ცდილობდა, საქართველოს მეფე ბაგრატთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა და არ იყო იმის წინააღმდეგი, რომ მას „აღმოსავლეთის დიდი კურაპალატის“ წოდება ჰქონოდა, მართლაც, ყოველგვარი იურიდიული დატვირთვის გარეშე⁴⁸.

როგორც ვხედავთ, მ. ლორთქიფანიძე არ გამორიცხავს ბაგრატ III-ს „ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატის“ ტიტული საიმპერატორო კარისაგან მიეღო. მაგრამ, რადგან ამის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ გვაქვს, ასეთი თვალსაზრისის გაზიარება ძნელია.

დავით III-ის „ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდ კურაპალატად“ მოხსენიება, მართლაც, მის მიერ „ზემონი ქვეყანანის“ მფლობელობას უნდა დაეუკავშიროთ, მაგრამ მსგავსი ტიტულით ერთიანი საქართველოს მეფეების (ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV) მოხსენიება ცოტა უცნაურად ჩანს. ჯერ კიდევ 1932 წელს, როცა აკად. ნ. ბერძენიშვილი მანგლისის სიონის იმ წარწერას შეეხო, რომელშიც გიორგი მეფე „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატადაა“ დასახელებული, აღნიშნა: „საინტერესოა როდის მიიღეს ქართველმა ბაგრატიონებმა „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის ტიტული. X ს-ნის კურაპალატები ჩვეულებრივ მარტივად კურაპალატებად იწოდებიან“-ო⁴⁹.

იმ ხანად, „სამოთხის“ კრებულისადმი დართული თორნიკე ერისთავის ზემოდასახელებული ანდერძი, რომელშიც დავით III „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“ იწოდება, როგორც ჩანს, აკად. ნ. ბერძენიშვილისათვის უცნობი იყო. რაც მთავარია, მან არ სცადა ამ ტიტულის წარმოშობის მიზეზზე აზრი გამოეთქვა.

1969 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში პროფ. ვ. კოპალიანი ჩვენთვის საინტერესო საკითხსაც შეეხო. მისი შენიშვნით, „ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ მსჯელობის დროს ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი ქართული წყაროს ცნობა, სადაც საქართველოს მეფეები „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატად იხსენიებიან“... ამასთანავე, – დასძენს ვ. კოპალიანი, – ქართული ნარატიული ძეგლები პირდაპირ მიუთითებენ, რომ ბაგრატ III-ს და ბაგრატ IV-ს მხოლოდ კურაპალატობა უბოძა კეისარმა... ზემოაღნიშნულის გამო საფიქრებელია, რომ XI საუკუნის ზოგიერთ წყაროში ქართველი მეფეების „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“ ხსენება შემთხვევითია და არა ბიზანტიის კეისრისეული. ანდა, სიტყვები: „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ ხომ არ არის იდენტური „ყოვლისა საქართველოს“⁵⁰.

მას შემდეგ, რაც ბარდა სკლიაროსზე გამარჯვებაში გაწეული წვლილისათვის დავით III ბაგრატიონმა ბიზანტიის იმპერატორისაგან „ზემონი ქვეყანანი“ მიიღო, თავის თანამედროვე იმ მოღვაწეთა შორის, რომელნიც კურაპალატის ბიზანტიურ ტიტულს ატარებდნენ, იგი, მართლაც, გამორჩეული ფიგურა იყო, და, შეიძლება ითქვას, რომ თორნიკე ერისთავმა დავით III-ს სამართლიანად უწოდა „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი“, მაგრამ, როგორც ვ. კოპალიანი წერს, ისიც უნდა ითქვას, ეს ტიტული დავით III-ს იმპერიისაგან არ ჰქონდა ნაბოძები, თანაც, კურაპალატის ტიტული ისეთ ფართო შინაარსს არ გულისხმობდა, როგორადაც დავით III „სამოთხისადმი“ დართულ თორნიკე ერისთავის „ანდერძში“ იხსენიება.

⁴⁸ ლორთქიფანიძე მ., მეფე ბაგრატ მესამე, გვ. 20.

⁴⁹ ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 28.

⁵⁰ კოპალიანი ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 177–179, შენ. 147.

ტაოს მეფის დავით III ბაგრატიონის შემდეგ „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“ (ან „ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდ კურაპალატად“) რადგან ერთიანი საქართველოს მხოლოდ პირველი სამი მეფე (ბაგრატ III, გიორგი I და ბაგრატ IV) იწოდებიან და ასეთი ტიტული მათ, ისევე როგორც დავით III-ს ბიზანტიის ხელისუფალთაგან არ ჰქონდათ მინიჭებული, ეს, მართლაც, იმის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ, მათი თანადროული საქართველოს საზოგადოება დასახელებულ ტიტულში განსაკუთრებულ შინაარსს დებდა.

ასე რომ, ტიტული – „ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატი“ („ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი“) დავით III ტაოელის კარზე თვით თორნიკე ერისთავის მიერ შემუშავებული წოდება იყო⁵¹ და, უნდა ითქვას, რომ იგი რეალურად ასახავდა იმ მდგომარეობას, რაც დავით III-მ ქვეყნის აღმშენებლობით საქმეში და ბიზანტიისაგან „ზემონი ქვეყანანის“ მიღების შემდეგ მეზობელ (ძირითადად კურაპალატის ტიტულის მატარებელ ქართველ და სომეხ) მმართველთა შორის დაიკავა⁵², მაგრამ იმავე ტიტულით გაერთიანებული საქართველოს მხოლოდ პირველი სამი მეფე რომ მოიხსენიება, არა მგონია ამით მათ „ყოველი საქართველოს“ მეფედ თავის წარმოჩენა ნდომებოდათ.

ქვემოთ ვნახოთ – სად იხსენიებიან ბაგრატ III, გიორგი I და ბაგრატ IV „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატებად“.

„ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდ კურაპალატად“ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III 1010–1014 წლებით დათარიღებულ კაცხის ეკლესიის (ახლანდელი ჭიათურის რ-ნი) წარწერაში იხსენიება.

წარწერაში ნათქვამია:

„† წმიდაო სამებაო აღიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ აფხაზთა [და] ქართველთა მეფე, ტაო(დ)სა, და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატი“⁵³.

წარწერაში მეფე ბაგრატ III რადგან ტაოს, რანისა და კახეთის მფლობელადაც არის წარმოდგენილი, ვ. სილოგავას თანახმად, ეს იმას ნიშნავს, წარწერის ამოკვეთისას მას კახეთიც შემოერთებული (1010 წ.) რომ ჰქონდა⁵⁴, მაგრამ რატომ იწოდება ბაგრატ III „ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდ კურაპალატად“, ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III, დავით III-ის შვილობილი იყო და იგი დავითის სამფლობელოთა (იმიერ ტაო და „ზემონი ქვეყანანი“) მემკვიდრედ ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, ბაგრატ III-ს დავით III-ს ტიტულზეც შეიძლებოდა პრეტენზია ჰქონოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1001 წელს (ამ წელს დავით III გარდაიცვალა) ბასილ II დავითის მთელ სამფლობელოს დაეუფლა, ხოლო ბაგრატ III-მ ბასილ მეორისაგან მხოლოდ კურაპალატის ტიტული მიიღო⁵⁵, ნათელი გახდა, ბიზანტიის საიმპერატორო კარი მას დავით III-ის მემკვიდრედ არ მიიჩნევდა. ამიტომ, ამის შემდეგ – დაახლ. 1010/1014 წლებში ამოკვეთილ კაცხის ეკლესიის საამშენებლო წარწერაში ბაგრატ III საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად თავს ტაოს მფლობელადაც

⁵¹ ანდერძის უკანასკნელი ფურცელი განკუთვნილია ბარდა სკლიაროსზე გამარჯვებულთა სადიდებლად და სალოცველად, პირველ რიგში დავით კურაპალატისა, როგორც ბრძენი მმართველისა და მართლმადიდებელთა თვალისა, რომლის მოღვაწეობის ასპარეზი მარტო ტაოთი ან საქართველოთი არ იფარგლება. ვ. მეტრეველი, ნარკვევები ათონის..., გვ. 12.

⁵² ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 128.

⁵³ ლაპიდარული წარწერები, II, გვ. 56.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იმიერ ტაოში ჩამოსულმა ბასილ II-მ ბაგრატ III-ს თუ კურაპალატის ტიტული უბოძა, ბაგრატის მამას გურგენ მეფეს მაგისტროსის ტიტული მისცა. სუმბატ დავითის ძის სიტყვით, ბასილ II ასე იმიტომ მოიქცა, რათა „მტერ ვყენა ერთმანეთისა მიმართ მამა-ძენი ესე“, მაგრამ „გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკვითა“. იხ. სუმბატ დავითის ძე, გვ. 382.

რომ აცხადებს და „ყოვლისა აღმოსავლისა დიდ კურაპალატად“ იწოდება, განა ეს თვით ტაძრის მაშენებელთა შემოქმედებად უნდა ჩავთვალოთ?

დასახელებული წარწერა რადგან ერთადერთი შემთხვევა არაა და ბაგრატ III ასევე „ყოვლისა აღმოსავლეთის კურაპალატად“ იწოდება ცაგერის მაცხოვრის ხატის წარწერაში⁵⁶ (მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, ეს ხატი 1001 წლის შემდგომია შექმნილი⁵⁷), უნდა ვივარაუდოთ, რომ თანამედროვენი ბაგრატ III-ს ასეთი ტიტულით შემთხვევით არ მიმართავდნენ. მისი ოფიციალური ტიტული, მართალია, კურაპალატი იყო (ასეა მოხსენიებული იგი – ნიკორწმიდის, ხცისის, ქუთაისის ბაგრატის ტაძრების წარწერებში⁵⁸), მაგრამ თუკი ვინმე მას „ყოვლისა აღმოსავლეთის დიდ კურაპალატად“ მოიხსენიებდა, იგი წინააღმდეგი არ იყო.

ბაგრატ III-ის შემდეგ „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“, როგორც ითქვა, მანგლისის ეკლესიის ერთ წარწერაში ბაგრატ III-ის ძე გიორგი I იხსენიება. წარწერაში ნათქვამია: „მვბსა ღთვდმყ...ისა გ~ი ყ~ლისა აღმოსავლეთისა კურაპალატისა...“⁵⁹ („მეფობასა ღვთივდამყარებულისა გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატისა“).

გიორგი I-ის შემდეგ „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“ გიორგი II-ის ძე ბაგრატ IV „მცხეთის საბუთში“ იხსენიება. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I მას მიმართავს:

„ძლიერო ბაგრატ აფხაზთა მეფეო, და... ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატო...“⁶⁰. თვით ბაგრატ მეფე როცა ამ საბუთს ამტკიცებს, წერს: „მე ბაგრატს... აფხაზთა მეფესა და კურაპალატსა ჳელითა ჩემითა დამიმტკიცებია“⁶¹.

როგორც ვნახეთ, ვ. კოპალიანი შესაძლებლად ჩათვალა წოდება „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ [კურაპალატი], „ყოველი საქართველოს“ იდენტური ცნება ყოფილიყო, მაგრამ რადგან ზემოდასახელებულ მეფეთა ოფიციალური წოდება იყო – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, კურაპალატი“⁶², თანაც წოდება „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი“ „კეისრული არაა“ და იგი დავით III-ის სამეფო კარზე ჩანს შემუშავებული, ცხადია, დასახელებულ წოდებაში დავით III-ის სხვა დამსახურებასთან ერთად მისი „ზემონი ქვეყანანის“ მფლობელობა იგულისხმება. როგორც მ. ლორთქიფანიძე წერს, დავით III-ის „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის“ ტიტულით მოხსენიება, მის ხელში ბიზანტიის აღმოსავლეთის პროვინციების ნაწილის გადასვლას უკავშირდება.

„ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის“ შინაარსი რომ ასე უნდა გავიგოთ, ეს კაცხის ეკლესიის წარწერაში საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად უკვე ბიზანტიის მიერ მიტაცებული – „ტაოღს“ მფლობელად ბაგრატ III-ის გამოცხადება მოწმობს. აღნიშნული ტიტულით ბაგრატ III, გიორგი I და ბაგრატ IV როცა ტაოს მეფის დავით III-ის მემკვიდრეობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას, ისინი ამით, რა თქმა უნდა, თავიანთი თანადროული საქართველოს საზოგადოების საერთო აზრს გამოხატავდნენ.

„მცხეთის საბუთის“ დამტკიცებისას ბაგრატ IV-მ აღნიშნა: „მე ბაგრატს აფხაზთა მეფესა და კურაპალატს ჳელითა ჩემითა დამიმტკიცებია“-ო (ეს არ იყო

⁵⁶ ლორთქიფანიძე მ., მეფე ბაგრატ მესამე, გვ. 54.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ ლაპიდარული წარწერები, II, გვ. 53–54 (ბაგრატის ტაძრის საამშენებლო წარწერები); იქვე, გვ. 55 (ნიკორწმიდის ეკლესიაზე ბაგრატ მეფის წარწერა); ხცისის წარწერის ტექსტი იხ. მ. ლორთქიფანიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 51–52. სუმბატანაა „ბაგრატ აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი“ (გვ. 382).

⁵⁹ ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 28.

⁶⁰ დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა..., გვ. 30.

⁶¹ იქვე.

⁶² ლორთქიფანიძე მ., მეფე ბაგრატ მესამე, გვ. 56.

ბაგრატ IV-ის სრული ტიტული), მაგრამ, იმავე საბუთში იგი რომ „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“ იყო დასახელებული, ეს მისთვის სრულად მისაღები იყო.

როცა ბაგრატ IV-ის ტიტულატურაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს „ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსად“ მისი მოხსენიების ფაქტიც. ე. ი. კურაპალატის ტიტულის შემდეგ როცა მან ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან ნოველისიმოსის წოდება მიიღო, საისტორიო საბუთებში მისი ტიტული „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი“, „ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსით“ შეიცვალა. ამ უკანასკნელი ტიტულით იგი იწოდება 1057/1058 წელს გაცემულ სიგელში მღვიმის ლავრისადმი⁶³. საინტერესოა ის, რომ ბაგრატ IV-ს ამავე ტიტულით მოიხსენიებს ბაღვაშთა ფეოდალური სახლის ცნობილი წარმომადგენელი ივანე ბიზანტიიდან დაბრუნების შემდეგ. კაცხის მონასტრისათვის შეწირულ ერთ ხელნაწერში აღნიშნულია: „ესე ანდერძი მე, ივანე პროედროსმან, ძემან ლიპარიტის[მან] ერისთავთა ერისთავმან, პროედროსისა და პროტოარხონისამან, დავწერე მას ჟამსა ოდეს... ძლიერმან აფხაზთა და ქართუელთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსმან კონსტანტინოპოლით მომიყვანეს და მოვედ კაცხს“. იქვე, არსებული ივანეს ყმების მინაწერიდან ჩანს, რომ როცა „ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსმა“ ბაგრატ IV-მ ივანე და ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავები კაცხს მოიყვანა, 1059 წლის 11 აპრილი ყოფილა⁶⁴.

საქართველოში დაბრუნებული ივანე ლიპარიტის ძე ბაგრატ მეფემ სპასალარად დაადგინა. ამის შემდეგ იგი „ჰმონებდა ერთგულებით“ მეფესა⁶⁵.

ამრიგად, გაერთიანებული საქართველოს პირველ სამ მეფეს: ბაგრატ III-ს, გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ს მათი თანამედროვე ქართველები რომ „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატს“ (ბაგრატ IV-ს დამატებით „ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსს“) უწოდებდნენ, ამით თვით ეს მეფეები და მათი თანადროული ქართველი საზოგადოება დავით III-ის მემკვიდრეობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. სწორედ ასეთი პრეტენზიის შედეგი იყო გიორგი I-ის მეფობაში (1014–1027 წწ.) სისხლისმღვრელი ომი ბიზანტიის იმპერიასთან, რაც სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს აოხრებით დამთავრდა⁶⁶.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, XI საუკუნის 70-იანი წლების დამდეგიდან ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური ვითარება ისე წავიდა, რომ იგი იძულებული გახდა საქართველოს მიმართ ყოველგვარ დათმობაზე წასულიყო. 1071 წელს მანასკერტთან თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ დიოგენის მარცხი „ბიზანტიისათვის მზის დაბნელების დასაწყისს“ წარმოადგენდა⁶⁷. ბიზანტიელი ავტორი, – წერს ვ. კოპალიანი, – ნიკიფორე ვრიენიოსი (გარდ. 1136 წ.) სამართლიანად შენიშნავს, რომ მანასკერტის ბრძოლას არა მარტო თვით შეეწირა რომანოზ დიოგენი, არამედ მან რომის სახელმწიფოც თან გადაიყოლა⁶⁸. მიუხედავად იმისა, რომ რომანოზ დიოგენის შემდეგ ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ასული ოცი წლის მიხეილ დუკა ბაგრატ IV-ის სიძე იყო, – დასძენს ვ. კოპალიანი, – საქართველოს მთავრობამ მაინც ისარგებლა შექმნილი ვითარებით და დაიწყო თავის მიწა-წყალზე შემოჭრილი ბიზანტიელების განდევნა⁶⁹.

⁶³ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 37.

⁶⁴ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 150.

⁶⁵ მატიაზე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 305.

⁶⁶ იქვე, გვ. 284–285. გოილაძე ვ., ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა..., გვ. 117–119.

⁶⁷ კოპალიანი ვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 279.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ იქვე, გვ. 280.

ამის შემდეგ უფრო უკეთესობისაკენ შემობრუნდა საქართველოსთვის ბიზანტიაში შექმნილი რთული ვითარება. ძველი ქართველი ავტორის ცნობით, დაახლ. 1072/1073 წელს, როცა საქართველოს მეფე გიორგი II ბანაში იმყოფებოდა, „...მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და განიყარნეს“⁷⁰.

მართალია, ეს მიწები მცირე ხნის შემდეგ, დროებით თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს, მაგრამ აღმავლობის გზაზე მდგარ ქართულ სახელმწიფოს მისი ხელახლა დაბრუნება აღარ გაჭირვებია. გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ საქართველოს მეფისათვის დასახელებული ტერიტორიების გადაცემის შემდეგ საქართველოს მეფეების ტიტულატურაში წოდება – „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი“ აღარ ჩანს. როგორც ზემოთ ითქვა, გიორგი II-ის ძემ – დავით IV აღმაშენებელმა საერთოდ უარი თქვა ბიზანტიურ საკარისკაცო წოდებაზე. დავით IV-დან მოკიდებული საქართველოს სიძლიერის ხანაში საქართველოს მეფეებს არც ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები აინტერესებდათ და აღარც „დავით III-ის მემკვიდრეობაზე“ აცხადებდნენ პრეტენზიას. კარგა ხანი იყო, რაც ეს პრობლემა საქართველომ თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

კურაპალატის (ეს ტიტული, როგორც ვნახეთ, გიორგი II-ს უფლისწულობისას ჰქონდა), ნოველისიმოსის, სავასტოსისა და კესაროსის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მქონე გიორგი II, როგორც ცნობილია, 1089 წელს ტახტიდან გადადგა და ტახტზე მისი 16 წლის ძე დავით IV ავიდა. ამის შემდეგ 1104 წელს დავით IV-ის მიერ მოწვეულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში გიორგი II „კეთილ მსახურ, ღმრთივ-დაცულ მეფეთა-მეფედ, ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსად“ იხსენიება⁷¹.

როგორც ვხედავთ, დასახელებულ ტიტულში აღარ გამოსჭვივის პრეტენზია დავით III-ის მემკვიდრეობაზე. გიორგი II-ის წოდებაში მხოლოდ მის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეფეთა მეფობაზე (?) და კესაროსობაზეა ხაზგასმია.

დავით V ულუს მეფობაში (1259–1270 წწ.) კვლავ იხინა თავი ძველი ტიტულის ერთმა ნაწილმა „ყოვლისა“, მხოლოდ უფრო ფართო შინაარსით. ამჯერად იგი ისევე, როგორც გიორგი II-ის შემთხვევაში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შესაბამის ტერმინადაა ნახმარი. ახლანდელი ნინოწმიდის რაიონში, სადამოს ტბასთან მდებარე ნასოფლარის ეკლესიის წარწერაში (ეს წარწერა 1946 წელს ჩამოიტანეს თბილისში) აღნიშნულია: „ადიდენ და დაამყარენ ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვთმპყრობელი მეფეთა მეფე დავით“⁷².

⁷⁰ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318; კოპალიანი ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 284.

⁷¹ [ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისად], ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI–XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 125. საინტერესოა გიორგი III-ის ტიტული. იოანე სამთავენელის 1168 წლის წარწერაში: „ძლიერი და უძლეველი, ღმრთივგურგნოსანი, ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა მეფე“. იხ. ვ. სილოგავა, მომართვის ობიექტი მცხეთის ჯვრის სტეფანოს პატრიკიოსის წარწერაში. ჟურნალი – ქართველოლოგია, 2008, № 9, გვ. 67.

⁷² ოთხმეხური ვ., XII–XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981, გვ. 35.

საერთო დასკვნები

ვასტანგ გორგასლის მიერ აგებული სვეტიცხოვლის ბაზილიკური ტიპის ტაძარი, როგორც ქართლის კათალიკოსთა რეზიდენცია, საუკუნეების განმავლობაში ემსახურა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. X ს-ის დასასრულს მისი „გარშემო სტოანი და ბჭენი“ იმდენად „დაქცეული“ ყოფილა, რომ ახლის აგება გამხდარა საჭირო. მაგრამ, იმ დროის საქართველოში „ადარავინ იყო მწე აღშენებად და არცარავის ედვა აღშენება მისი“. ამიტომ მელქისედეკ კათალიკოსი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე ჩავიდა და „მიუთხრა ყოველი შეუძლებლობა ქართველთა“, რათა ახალი ტაძარი აეგოთ. იმპერატორმა ბასილ II-მ (976–1025 წწ.) დააკმაყოფილა მელქისედეკ I-ის თხოვნა და სხვა მრავალ ძვირფას საეკლესიო ნივთებთან ერთად, უბოძა კესტორის 105 სოფლიანი მონასტრის შემოსავალი. კათალიკოსს საჩუქრები უბოძა ბასილის უმცროსმა ძმამ – კონსტანტინემაც. მცხეთაში დაბრუნებულმა მელქისედეკმა დაიწყო სვეტიცხოვლის ტაძრის ახლად შენება.

ეს ყველაფერი ჩვენ მელქისედეკ კათალიკოსის მიერ 1020 წელს ტაძრისადმი მოხსენებული „დაწერილიდან“ (ეს ძეგლი „მცხეთის საბუთადაც“ იწოდება) ვიცით. ამ საბუთზე დაყრდნობით, მკვლევართა ნაწილი (თ. ჟორდანიას, გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი) სვეტიცხოვლის მშენებლობის დამთავრების თარიღად 1020 წელს თვლიდა (ამ ბოლო დროს ასეთივე აზრისაა ზ. ჯამბურია).

„დაწერილის“ გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს 1020 წლისათვის ტაძარი კარგა ხნის აგებული იყო. მელქისედეკი ძირითადად იმ მრავალრიცხოვანი ნივთებისა და სოფლების შესახებ მოახსენებს, რომლებიც მას უბოძეს, ან დროთა განმავლობაში თვითონ შეიძინა. ივარაუდება, რომ ტაძრის მშენებლობის დასრულების შემდეგ მელქისედეკი მის გამდიდრებასა და შემკობაზე ზრუნავდა.

მელქისედეკის შემდგომმა კათალიკოსმა იოანემ (ოქროპირმა) „დაწერილი“ განაახლა და იგი თავისი თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწეების (ბაგრატ IV, კურიკე მეფე) და სასულიერო პირების ხელმოწერით დაამტკიცა. განახლებულ საბუთში, რადგან ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ III არგირის (1028–1034 წწ.) მიერ ნაბოძები ნივთების შესახებაცაა მითითება, ჯერ კიდევ მარი ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა „დაწერილის“ შედგენის დროდ 1028 წლის შემდგომი ხანა ივარაუდეს. 1930 წელს აკად. ნ. ბერძენიშვილმა „დაწერილი“ ვრცელ გამოკვლევაში გააანალიზა და დედნისეული 1020 წელი 1029 წლით შეცვალა. შემდგომში (1942 წ.), იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ „დაწერილში“ კახეთ-ჰერეთის მეფე არაა ნახსენები (გულისხმობენ, რომ ეს მხარე 1010–1014 წლებში ბაგრატ III-ს შემოერთებული ჰქონდა), ისტორიკოსმა ლ. მუსხელიშვილმა 1010 წელი სვეტიცხოვლის მშენებლობის დაწყების, ხოლო 1029 წელი დასრულების თარიღად მიიჩნია. ამ თარიღების სისწორეზე მიუთითეს 1946 წელს გ. ჩუბინაშვილმა და ნ. სევეროვმა. იმავე წელს ეს თარიღები აკად. ს. ჯანაშიამ „საქართველოს ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში შეიტანა, რის შემდეგაც დამკვიდრდა ქართულ მეცნიერებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ ბასილ II-მ და კონსტანტინემ ის მრავალრიცხოვანი საბოძვრები, რომელთა შესახებ „დაწერილშია“ საუბარი, სვეტიცხოვლის ასაშენებლად 1010 წლის შემდგომ ხანაში გაიღეს. მაგრამ, ასეთი დასკვნა საეჭვო გახდება, თუ იმ დროის ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობასა და თვით ბიზანტიაში არსებულ ვითარებას გავითვალისწინებთ.

1010 წლისათვის ბიზანტიასა და საქართველოს შორის, მართალია, ჯერ კიდევ არ იყო საომარი მოქმედება დაწყებული, თუმცა, არც ისეთი მეგობრული ურთიერთობა იყო, რომ ბასილ II-სა და მის ძმას კონსტანტინე VIII-ს ძვირფას საეკლესიო ნივთებთან ერთად მელქისედეკისათვის 105 სოფლიანი მონასტერი

ებოძებინათ. მას შემდეგ, რაც 987 წელს დავით III-მ ბასილ II-ის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას დაუჭირა მხარი, ბასილ II-ის კეთილი განწყობა ქართველების მიმართ მტრობით შეიცვალა. 1001 წელს ქართველებსა და ბასილ II-ის ლაშქარს შორის პირველი შეტაკება მოხდა. ამის შემდეგ ბასილ II-ს არავითარი სურვილი არ ექნებოდა, მელქისედეკისათვის მდიდრული საბოძვრები მიეცა, მით უმეტეს 986 წლიდან ბასილ II დასავლეთში (1018 წლამდე) განუწყვეტელ და მძიმე სამხედრო ოპერაციებს აწარმოებდა, რაც იმპერიას ძალიან ძვირი უჯდებოდა. მთავარი კი ისაა, რომ 985 წლიდან ბასილ II-მ უმცროსი ძმა კონსტანტინე სახელმწიფოს მმართველობას ჩამოაშორა, ამიტომ ივარაუდება, რომ 1010–1025 წლებში მელქისედეკი კონსტანტინესაგან საბოძვრებს ვერ მიიღებდა.

ბიზანტიის იმპერატორთა მიერ ნაბოძები ნივთების ჩამოთვლისას მელქისედეკი „კოსტანტი და ბასილ ბერძენთა მეფეებს“ რადგან ერთად ასახელებს, ივარაუდება, რომ მათ მელქისედეკი ერთად შეხვდა. ასეთი დრო კი ბარდა სკლიაროსის დამარცხების (979 წ.) შემდგომი ხანა იყო, როცა „რომანოზ II-ის ძეებმა დაიწყეს მეფობა და საქმეების გაძღოლა“ (*იაკობ ანტიოქიელი. XI ს.*).

ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობის საქმეში გადამწყვეტი როლი ტაოს მეფემ დავით III-მ შეასრულა, რის საზღაურადაც მან იმპერიისაგან „ზემონი ქვეყანანი“ მიიღო. იმპერატორი ძმების მადლიერება დავით III-ისა და ქართველებისადმი მხოლოდ „ზემონი ქვეყანანის“ დათმობით არ გამოიხატა. როგორც ოშკის ტაძარზე არსებული წარწერა გვაუწყებს, მათი საფასით „განსრულებულ იქნა მეორედ დაბურვით ტაძარი ესე“. წარწერაში „გურგუნოსანი მეფენი“ „ბასილი და კოსტანტი“ ერთად იხსენიებიან, რაც იმის დასტურად უნდა იქნას მიჩნეული, ოშკის ტაძრის განსასრულებლად სათანადო საფასი იმპერატორმა ძმებმა ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდგომ ახლო ხანში რომ გაიღეს. მსგავს ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე „დაწერილშიც“, სადაც ბასილ II-სა და კონსტანტინეს მელქისედეკი ერთად ასახელებს. ბარდა სკლიაროსის დამარცხებიდან (979 წ.) ბარდა ფოკას აჯანყებამდე (987 წ.) ბიზანტიის საიმპერატორო კარს საქართველოსთან ყველაზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა. 979 წლიდან 985 წლამდე ორივე ძმა საქვეყნო საქმეებს ერთად განაგებდა, თუმცა, ბასილ II-ს კონსტანტინესთან შედარებით მეტი ძალაუფლება ჰქონდა.

ტაოს სამეფოსთან დამყარებული მეგობრული ურთიერთობის შემდეგ ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ სვეტიცხოვლის ტაძრის ახლად ასაგებად 105 სოფლიანი მონასტრის შეწირვა, ამჯერად უკვე საქართველოსთან დასაახლოვებლად იმპერიისათვის საუკეთესო საშუალება იყო. სწორედ ასეთი კეთილმეზობლური ურთიერთობის ხანაში (979–985 წწ.) უნდა შეხვედროდა მელქისედეკ კათალიკოსი იმპერატორ ძმებს კონსტანტინოპოლში (985 წელს ბასილ II-მ კონსტანტინე მმართველობას ჩამოაშორა) და მათგან საბოძვრები მიიღო. იმ დროს უნდა მიეღო (ან იმპერიის ეკლესიას დაედასტურებინა საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილება) მელქისედეკ I-ს კათალიკოს-პატრიარქის ტიტული, X ს-ის 80-იანი წლების დამდეგს – დაახლ. 982 წელს კი სვეტიცხოვლის ახალი ტაძრის მშენებლობა დაეწყო*.

* როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნე, სვეტიცხოვლის ტაძრის „ახლად შენება“ მელქისედეკ I-ს 982 წელს იმპერატორ ბასილი II-ის მიერ მისთვის კესტორის მონასტრის შემოსავლის გადაცემის შემდეგ უნდა დაეწყო, მაგრამ სად მდებარეობდა კესტორის მონასტერი, ვერ მივაკვლიე. კესტორის მონასტრის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ის, რომ სწორედ 982 წლის ბრძანებით, ბასილ II-მ და კონსტანტინე VIII-მ უფლება დართეს ქართველ ბერებს, მოეძებნათ და შეეერთებინათ კოლგუს მონასტრის კუთვნილი ყველა მამული (იხ. ივირონის აქტები, I, დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე, I, თბ., 2008, გვ. 48). კოლგუ ივირონის მონასტრის დომენი იყო, ამიტომ აღნიშნულ ფაქტს კავშირი ხომ არ აქვს „მცხეთის საბუთში“ არსებულ კესტორის მონასტრის ცნობასთან, ჯერჯერობით უცნობია.

იმპერიის მმართველობაში ძმების მონაწილეობის შესახებ სათანადო წარმოდგენას გვიქმნის მათ მიერ გამოშვებული მონეტები. ძმების ერთად მმართველობისას გამოშვებულ ოქროს ნომისმის შუბლზე ორივე ძმის წელზეთი გამოსახულებაა პირდაპირ. მარცხნივაა წვერიანი ბასილ II, მარჯვნივ – კონსტანტინე VIII. ბასილი ლორონით, კონსტანტინე წამოსასხამით. ქხერსონესში მოჭრილ სპილენძის მონეტის შუბლზე მხოლოდ ბასილ II-ის გამოსახულებაა, რაც იმის დასტურია, კონსტანტინე იმპერიის მართვაში რომ აღარ მონაწილეობდა. სამაგიეროდ, 1025 წლის შემდეგ გამოშვებულ კონსტანტინე VIII-ს ოქროს მონეტის შუბლზე კონსტანტინეს წვერიანი გამოსახულებაა თავზე თვალითა და ჯვრით შემკობილი გვირგვინით, შემოსილია ლორონით. მონეტაზე წარწერაა – „იმპერატორი კონსტანტინე“.

„დაწერილში“ სვეტიცხოვლის შესახებ არსებული ცნობები რომ 1010 წლამდე ხანას ეკუთვნის, ამის შესახებ პროფ. ს. კაკაბაძემ ჯერ კიდევ 1928 წელს მიუთითა. საურმაგ კაკაბაძის თანახმად კი, „დაწერილში“ სიტყვა „ნაბოძვარი“ („пожалованное“) რადგან უპირო ფორმითაა ნახმარი, ის საბოძვრები, რომლებზეც ტექსტშია საუბარი, მელქისედეკს კი არა, მის ერთ-ერთ წინამორბედ კათალიკოსს უნდა მიეღო. სხვათა შორის, ნ. ბერძენიშვილიც არ გამორიცხავდა ტაძრის შენება კათალიკოსად მელქისედეკის დაჯდომამდე დაეწყოთ და მის დროს მხოლოდ დაესრულებინათ.

979–985 წლებში ძმების ერთად მმართველობა და მათ მიერ მელქისედეკ I-სათვის საბოძვრების ერთად მიცემა იმას ნიშნავს, ქართლის საკათალიკოსო ტახტი მელქისედეკს 985 წლის წინა ხანიდან რომ ეკავა.

გამოთქმულ თვალსაზრისს შემდეგი ადასტურებს: თბილისის ამირების ჯაფარინთა დინასტიის წარმომადგენლის – ალი ბენ ჯაფარის მიერ 996/997 წელს მოჭრილ თბილისურ დრამაზე რადგან ამ მონეტის მოჭრამდე ხუთი წლით ადრე – 991 წელს გადაყენებული ხალიფა ატ-ტაის სახელი იხსენიება, ასკვნიან, რომ ალი ბენ ჯაფარი ხალიფა ატ-ტაის უზენაესობას აღიარებდა და მათი პოლიტიკური ურთიერთობა ატ-ტაის ხალიფობისას უნდა დაწყებულიყო. შესაბამისად, ალი ბენ ჯაფარისავე თბილისის ამირას ტახტი 991 წლის წინა ხანაში უნდა დაეკავებინა და მელქისედეკ კათალიკოსსაც 991 წლის წინა ხანაში უნდა მიემართა მისთვის, რათა მცხეთის მოსახლეობა საამირო გადასახადისაგან გაეთავისუფლებინა. XI ს-ის დამდეგიდან მცხეთაზე უკვე ბაგრატ III-ის ხელისუფლება ვრცელდებოდა, შესაბამისად, იმ დროს დაუდასტურა მან მელქისედეკ კათალიკოსს მცხეთის ყოფილი მამულების შეუვალობა.

მელქისედეკ კათალიკოსის აღსაყდრების თარიღად რადგან X ს-ის 80-იანი წლების დამდეგი ჩანდა, საჭირო გახდა, 980 წლიდან 1010 წლამდე (ე. ი. მელქისედეკ I-ის წინამორბედი) ქართლის კათალიკოსებად მიჩნეული პირების: ილარიონის, იოანეს (ოქროპირის) და სვიმონ III-ის შესახებ არსებული მასალის გადამოწმება. „სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსის“ მოღვაწეობის დროის დადგენისას, XI ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე გიორგი მთაწმიდელისა და ხახულის ლავრაში მოღვაწე ზოგიერთი პირის ბიოგრაფიის საკითხის განხილვაც მომიხდა.

მელქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსებად მიჩნეული პირების შესახებ ცნობა 1270 წელს გადაწერილ შიო მღვიმის ხელნაწერშია (იგი 1172 წლის ხელნაწერიდანაა აღებული). მასში იოვანე-ოქროპირი და სვიმონი „აღმოსავლელ პატრიარქებად“ არიან დასახელებულნი. მელქისედეკ I-ის წინამორბედი კათალიკოსების „პატრიარქის“ ტიტულით მოხსენიება ამ ხელნაწერის ცნობების სანდოობას ეჭვქვეშ აყენებდა, რაზეც ჯერ კიდევ 1928 წელს მიუთითა ს. კაკაბაძემ. ნ. ბერძენიშვილის თანახმად კი, „შიომღვიმის XIII ს. გადაწერილ ხელნაწერში დაცული კათალიკოსთა სია, ყველა სადაო ხასიათის მოწმობებია და თვით მოითხოვენ შესწავლა-დათარიღებას“. როგორც გაირკვა, შიომღვიმის

ხელნაწერში მელქისედეკ I-ის წინამორბედ კათალიკოსებად დასახელებული პირებიდან: ილარიონი („მამამთავარი ილარიონი“) რადგან იგივე ილარიონ იშხნელია (იგი იშხნის ეპისკოპოსად ჩანს 1002 და 1033 წლებში), იოანე-ოქროპირს მელქისედეკ I-ის შემდეგ ეპყრა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ტახტი (ამიტომ მას „ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქის“ ტიტულიც შეიძლება ეტარებინა), გამოდის, რომ მელქისედეკ I-ის წინამორბედი კათალიკოსებიდან მხოლოდ სვიმონ III-ის შესახებ გვაქვს უტყუარი ცნობები.

აფხაზეთ-ქართლის კათალიკოსს სვიმონ III-ს დაახლ. 980 წელს ქართლის კათალიკოსის არსენ II-ის გარდაცვალების შემდეგ უნდა დაეკავებინა საკათალიკოსო ტახტი. იგია საეკლესიო მუხუუმის № 86 ხელნაწერში ქართლის კათალიკოსად დასახელებული „სუმონი“. ეს სვიმონი და გიორგი მთაწმიდელის ანდერძიდან ცნობილი „სუმონ აფხაზეთისა კათალიკოსი“ იდენტური პირები არიან. 980 წელს როცა ბაგრატ III ქართლში გამეფდა, ფეოდალურ და საეკლესიო ოპოზიციასთან საბრძოლველად, რათა სათანადო დასაყრდენი საეკლესიო წრეებშიც ჰყოლოდა, დაახლ. 982 წელს ქართლის საკათალიკოსო ტახტზე თავისი „გაზრდილი“ მელქისედეკი დასვა. იმ დროიდან სვიმონ III-ს მხოლოდ აფხაზეთის კათალიკოსის სახელი შერჩა და ქუთაისში იმყოფებოდა. მაგრამ არც იქ დასცალდა მას დიდხანს მოღვაწეობა. იმ დროს აფხაზეთის უსინათლო მეფე, ბაგრატ III-ის ბიძა – თეოდოსი უკვე ტაოში დავით III-ის კარზე იმყოფებოდა. ბაგრატ III-ის სურვილით, როგორც ჩანს, სვიმონ III იძულებული გახდა, ტაოში გადასულიყო. 1001 წელს, როცა დავით III-ის სამეფო კარმა არსებობა შეწყვიტა, ისე, როგორც გიორგი მთაწმიდელის ბიძებმა („გიორგი მწერალი“ და საბა), სვიმონ III-მაც ხახულის ლავრაში გადაინაცვლა. დავით III-ის კარზე და ხახულში მოღვაწეობისას სვიმონ III ნომინალურად იწოდებოდა აფხაზეთის კათალიკოსად. აღნიშნულით უნდა აიხსნას, 1003 წელს ბაგრატის ტაძრის კურთხევისას იგი სახელის გარეშე რომ იხსენიება, ხოლო 1033 წელს „დაწერილის“ დამტკიცებისას თავს „რეცა სახელით კათალიკოსს“ უწოდებს. სწორედ ხახულის ლავრაში შეხვდა „სუმონ აფხაზეთისა კათალიკოსს“ ახალგაზრდა გიორგი [მთაწმიდელი] 1019 წელს. გიორგის მის გვერდით მოღვაწეობა უხდებოდა 1034–1036 წლებშიც. შემდეგში გიორგი მთაწმიდელმა „სუმონ აფხაზეთისა კათალიკოსი“, იმავე ლავრაში მოღვაწე დიმიტრისთან ერთად, თავის „გამზრდელთა“ შორის დაასახელა.

სვიმონ III-ის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრა რომ მოიშალა და უშუალოდ ქართლის კათალიკოსს დაექვემდებარა, ეს 1104 წლის რუის-ურბნისის „ძეგლისდებით“ დასტურდება. მასში მხოლოდ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იოვანე იხსენიება. XI–XII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ცალკე საკათალიკოსო არ არსებობდა. მას შემდეგ კი, რაც დასავლეთ საქართველოში საკათალიკოსო შეიქმნა (?) (ვარაუდობენ XIII ს-ის 70-იან წლებს), აფხაზეთის კათალიკოსის უფლებები აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსთან შედარებით შეზღუდული იყო (ნ.ბერძენიშვილი), რაც მას XIII ს-ის შემდეგაც „რეცა კათალიკოსის“ პირობებში აყენებდა. დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ტახტზე მჯდომი პირების უფლებები იმდენად შეზღუდული იყო, რომ მათი სახელები ისტორიამ არ შემოინახა.

გიორგი მთაწმიდელმა „სუმონ აფხაზეთისა კათალიკოსი“ რომ თავის „გამზრდელთა“ შორის დაასახელა, შემთხვევითი არ იყო. სვიმონი თავისი დროისათვის დიდად განათლებული პიროვნება და საეკლესიო ლიტერატურის კარგი მცოდნე უნდა ყოფილიყო. იგი ავტორია „ქართული ლიტურგიკის უნიკალური ძეგლის“ – „წმიდა ჟამისწირვათა სამღვდელთმოდვრო საწირავისა“ (კ. კეკელიძე).

ახალციხური ტყავის სახარების მინაწერში დასახელებული პირებიდან: „სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი“, როგორც ითქვა, იგივე სვიმონ III-ა; „გიორგი გლახაკი“ („გიორგი ხუცესმონაზონი“) გიორგი მთაწმიდელი, ტექსტის გადამწერი და ტექსტზე მინაწერების შემსრულებელი საბა, გიორგი მთაწმიდელის მამის ძმა – ხახულის მონასტერში მოღვაწე საბაა. ხოლო გიორგი მთაწმიდელის მიერ ასევე თავის „გამზრდელად“ დასახელებული დიმიტრი, ხახულის ლავრაში მოღვაწე ის „დემეტრეა“, რომელმაც Georg-28 ხელნაწერის მინაწერის თანახმად, „ღრმა სიბერის“ გამო ხახულში გადაწერილი ოთხთავის იერუსალიმში ჩატანა ვერ შეძლო. ჯვრის მონასტრის მშენებლობის დასრულებისას (XI ს-ის 40-იანი წლები), ცოცხალი ყოფილა ბასილი ბაგრატის ძე, რომელიც იმავე Georg-28 ხელნაწერის მინაწერში დემეტრესთან ერთად იხსენიება.

ხახულის ლავრაში მოღვაწე ანტონ მნათე და „დაწერილში“ მელქისედეკ კათალიკოსის მიერ თავისი დედის ძმად დასახელებული ანტონი, ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. როგორც ჩანს, სწორედ ანტონ მნათემ შეწირა სვეტიცხოვლის ბიბლიოთეკას სხვადასხვა ხელნაწერი წიგნები, რომელთა ნაწილი, ალბათ, თვით ანტონ მნათეს მიერ იყო გადაწერილი. უფრო გვიან შედგენილ „კატალოგში“ იგი ხომ XI ს-ში მოღვაწე მთარგმნელთა შორისაა დასახელებული.

მას შემდეგ, რაც ყურადღება მივაქციე ბრეთის საწინამძღვრო ჯვრის წარწერას [მასში ბაგრატ III, მისი მამა – მეფეთა მეფე გურგენი და დედოფალი მართა (ეს უკანასკნელი გარდაცვლილად) იხსენიებიან], აღმოჩნდა, რომ არ ცდებოდა აკად. კ. კეკელიძე, როცა ქართულ საისტორიო ტრადიციაზე (ანტონ I კათალიკოსი, იოანე ბაგრატიონი, პლატონ იოსელიანი) დაყრდნობით, ბასილი ბაგრატის ძე ბაგრატ III-ის ძედ მიიჩნია. თავის თანამედროვეთა მიერ „ჩვენი ქვეყნის განმანათლებლად“, „მოდვრად“, „ღმერთშემოსილად“, „მსგავსებითა და ღირსებით წმიდათა მოციქულთა სწორად“ სახელდებული ბასილი ბაგრატის ძე, XI ს-ის პირველ ნახევარში ხახულის ლავრაში მოღვაწე ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატორი (მთარგმნელი) უნდა ყოფილიყო. იგი და მისი და (ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე) ბაგრატ III-ს, როგორც ჩანს, პირველი მეუღლისაგან – მართასაგან შეეძინა. მართა დედოფალი, ბრეთის საწინამძღვრო ჯვრის წარწერიდან გამომდინარე, X ს-ის 90-იანი წლების დასასრულს უკვე გარდაცვლილი ჩანს. გიორგი I 998 წელს ბაგრატ III-ს, როგორც ჩანს, მეორე მეუღლისაგან შეეძინა.

ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელმა – ბასილი ბაგრატის ძემ წარმატებით იღვაწა სასულიერო და ლიტერატურულ ასპარეზზე და თანამედროვეთა შორის დიდი სახელი მოიხვეჭა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული (ე. მეტრეველი), ბასილის მამის სახელით მოხსენიება მის წარჩინებულობაზე მიუთითებს. არ დასტურდება გამოთქმული ვარაუდი (კ. კეკელიძე, ე. მეტრეველი) ბასილი ბაგრატის ძის ათონის მთაზე მოღვაწეობის შესახებ.

ბაგრატ III-ის შვილებად ბასილი ბაგრატის ძისა და ფერისის მეუღლის მიჩნევის შემდეგ ნათელი გახდა, გიორგი I-თან ერთად, ფერის ჯოჯიკის ძის (ე. ი. გიორგი I-ის დის ქმრის) ოჯახის წევრები თავგამოდებით რატომ იბრძოდნენ ბასილ II-ის წინააღმდეგ. სავარაუდოა, რომ სწორედ გიორგი I-თან ახლო ნათესაობის გამო დასაჯა ბასილ II-მ 1022 წელს სიკვდილით აჯანყებულთა თავკაცებიდან მხოლოდ ფერის ჯოჯიკის ძე, მისი ოჯახი კი ტაოდან 12 წლით კონსტანტინოპოლში გაასახლა.

ისე, როგორც ბაგრატისა და გელათის ტაძრები, სვეტიცხოველიც, ალბათ, 20 წელი შენდებოდა და XI ს-ის დამდეგისათვის (დაახლ. 1002 წელი) დასრულდა. ტაძრის მშენებლობის დაწყებისას მელქისედეკი თუ ახალგაზრდა იყო, არსუკიძე შუახანს მიღწეული უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, მას ტაოში რამდენიმე ეკლესია უნდა ჰქონოდა აგებული.

„დაწერილის“ ცნობებიდან გამომდინარე, ტაძრის მშენებლობის დასრულების შემდეგ მელქისედეკ კათალიკოსის ძალისხმევით სვეტიცხოველი იმ დროის საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი ტაძარი გახდა. მელქისედეკმა შექმნა მდიდარი ბიბლიოთეკა. მისივე ინიციატივით სვეტიცხოველთან ააგეს სხვადასხვა ნაგებობები.

„წმიდა დედაქალაქის“ საამირო გადასახადისაგან განთავისუფლებით, სვეტიცხოველის ტაძრის მშენებლობის საქმეში გარკვეული წვლილი თბილისის არაბმა (მუსლიმმა) ამირამ ალი ბენ ჯაფარმაც შეიტანა.

კონსტანტინოპოლში მელქისედეკ კათალიკოსისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭება „საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელოვანი გამარჯვება“ იყო. „პატრიარქობა გაერთიანებულ ქართულ მონარქიას საერთაშორისო ასპარეზზე თავისი სრული პოლიტიკური სუვერენიტეტის დასადასტურებლად ესაჭიროებოდა“ (ბ. ლომინაძე). ეს ტიტული მელქისედეკ I-ს კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან თავისი ერთ-ერთი პირველი ვიზიტისას, 985 წლამდე უნდა მიეღო. საკითხის დადებითად გადაჭრაში, სავარაუდოდ, იმ ხანად ქართველებისადმი იმპერატორი ძმების – ბასილისა და კონსტანტინეს კეთილგანწყობამაც შეასრულა. იმ დროიდან საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლებმა რომის პაპის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ მეექვსე ადგილი დაიკავეს (ბ. ლომინაძე). საიმპერატორო კარის თანხმობით, კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ მელქისედეკ I-სათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭება მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ არ იყო დადასტურებული.

ქართველ პოლიტიკოსებს ბიზანტიასთან კავშირი მუსლიმებთან ბრძოლებში მხარდასაჭერად სჭირდებოდათ, ბიზანტიის საიმპერატორო კარი კი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის ბიზანტიური ტიტულების მინიჭებით, ქართლში (საქართველოში) მყარი დასაყრდენის შექმნასა და ძველი გავლენის აღდგენას ცდილობდა. ამ მიზნით ანიჭებდნენ ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრებსა და ცალკეულ დიდებულებს: კურაპალატის, ვიპატოსის, ნოველისიმოსის, სევასტოსისა და სხვა ტიტულებს.

საქართველოს მეფეებს „ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატის“ ტიტული ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან არ ჰქონდათ მინიჭებული. ამ ტიტულით პირველად ტაოს მეფე დავით III 979 წელს კრებულ „სამოთხისადმი“ თორნიკე ერისთავის შეკვეთით დართულ ანდერძ-მოსახსენებელში იხსენიება. ეს ტიტული თვით თორნიკე ერისთავის მიერ იყო შემუშავებული და რეალურად ასახავდა იმ ვითარებას, რაც დავით III-მ ბასილ II-საგან „ზემონი ქვეყანანის“ მიღების შემდეგ მეზობელ (ძირითადად კურაპალატის ტიტულის მატარებელ ქართველ და სომეხ) მმართველთა შორის დაიკავა.

დავით III-ის შემდეგდროინდელ წყაროებში „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“ მხოლოდ გაერთიანებული საქართველოს პირველი სამი მეფე (ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV) იხსენიება (ამასთან ბაგრატ IV დამატებით „ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსად“ იწოდება). დასახელებულ მეფეთა ასეთი ტიტულით მოხსენიებით, მათი თანადროული ქართველი საზოგადოება დავით III-ის მემკვიდრეობაზე აცხადებდა პრეტენზიას (ასეთი პრეტენზიის შედეგი იყო 1021–1023, 1028 წლებში ბიზანტია-საქართველოს ომები). მას შემდეგ, რაც ბიზანტიის ლაშქარმა მანასკერტთან ბრძოლაში თურქ-სელჩუკებთან მარცხი განიცადა, ხოლო 1072/1073 წელს მეფე გიორგი II-ს გრიგოლ ბაკურიანის ძემ ბიზანტიის მფლობელობაში მყოფი ზოგი პროვინცია გადასცა, საქართველოს „დავითის მემკვიდრეობის“ დაბრუნება აღარ გასჭირვებია. ამის შემდეგ საქართველოს მეფეები „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის“ ტიტულით აღარ იხსენიებიან. 1104 წლის შემდეგ დავით IV აღმაშენებელმა საერთოდ უარი თქვა ადრე მისთვის მინიჭებულ ბიზანტიურ ტიტულებზე.

თანამედროვეთა მიერ ზემოდასახელებული მეფეების „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“ მოხსენიებამ ზოგიერთ საეკლესიო მოღვაწეს (მაგალითად, კათალიკოს იოანე-ოქროპირს) გარკვეული საფუძველი მისცა თავისი ტიტულისათვის „ყოვლისა აღმოსავლეთი“ დაერთო.

თუ „დაწერილის“ XII ს-ის ნუსხის (რომელიც გადაკეთებული და დამახინჯებულია) ცნობებიდან გამომდინარე, სვეტიცხოვლის ტაძარი ახლად აშენებას არ საჭიროებდა, „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაში „დაწერილიდან“ შეტანილ ფრაგმენტში არსებული ცნობით, სვეტიცხოვლის ტაძრის „გარშემო სტოანი და ბჭენი“ დაქცეული ყოფილა და ახლის აგება იყო საჭირო. ამ უკანასკნელს ეთანხმება თვით ტაძრის კედელზე არსებული ის წარწერა, რომელშიც მელქისედეკის მიერ ტაძრის „მეორედ აღშენებაზე“ არის მითითება. ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილიც (ლ. მუსხელიშვილი, ნ. სევეროვი, გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, ნ. ანდლულაძე და სხვანი) იმ აზრისა არიან, რომ მელქისედეკ I-მა ტაძარი ახლად ააგო.

1020 წელს, როცა მელქისედეკ კათალიკოსმა თავისი ღვაწლის შესახებ „დაწერილით“ მცხეთის საყდარს მოახსენა, გიორგი I-ს „დავითის მემკვიდრეობა“ უკვე დაბრუნებული ჰქონდა, თუმცა ბიზანტია-საქართველოს ომი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული (ბასილ II დიდი ლაშქრით საქართველოში 1021 წელს შემოვიდა). ამიტომ, სავარაუდოა, „დაწერილის“ შესავალში იყო საუბარი სვეტიცხოვლის მშენებლობის საქმეში ბიზანტიის საიმპერატორო კარის ღვაწლზე, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ბასილ II-მ და კონსტანტინე VIII-მ საქართველოს მიმართ მოიმოქმედეს, როგორც ჩანს, იოანე-ოქროპირის მიერ საბუთის ხელახლა დამტკიცებისას „დაწერილი“ გადაკეთებული იქნა. არც „დაწერილსა“ და არც იმ დროის საისტორიო წყაროებში სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის საქმეში ბასილ II-ის დამსახურებაზე მითითება აღარაა. გამორიცხული არაა, რომ საქართველოსთან ურთიერთობის გაუარესების გამო, ბასილ II-ს მელქისედეკ კათალიკოსისათვის კესტორის მონასტრის შემოსავალი ჩამოერთვა.

P. S.

ამ მონოგრაფიაზე მუშაობის დამთავრების შემდეგაც თვალწინ მედგა სვეტიცხოვლის ტაძრის ჩრდილო ფასადზე ამოტვიფრული ის ორი ბარელიეფი, რომლის შესახებ ბ-ნი კ. გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენაში“ ასე მოგვითხრობს: დილით ადრე ტაძრის ჩრდილო კედელზე მიდგმულ ხარაჩოზე ასულმა მწერალმა გონიოთი ხელში გამოსახული არსუკიდის მარჯვენის „შორიასლოს“ [დაინახა] „უცნაური ქანდაკი ორი კაცისა“. „ერთი, – წერს ბ. კონსტანტინე, – უწვერული ჭაბუკია ქართულ ჩოხაში მორთული, ხოლო მეორეს, სახედარეჯილ მოხუცს, პირი დაუბჩენია ვაგლახად. ირანული სამოსი აცვია და გულბოროტების იერი გადაჰკრავს სახეზე“¹.

ხარაჩოებიდან ჩამოსულ ბ. კონსტანტინეს სვეტიცხოვლის მოხუცმა მეთვალყურემ უთხრა: „ეს უწვერული – კონსტანტინე არსაკიძეა, ხოლო ჩაქუჩიანი მოხუცი – მისი ოსტატი ფარსმან სპარსია“².

სვეტიცხოვლის მეთვალყურის, უფრო სწორად, ბ-ნი კ. გამსახურდიას მითითება იმის შესახებ, რომ სვეტიცხოვლის ჩრდილო კედელზე გამოკვეთილი ორი „ქანდაკიდან“, ერთი – „სახედარეჯილი მოხუცი“, თითქოს, ფარსმან

¹ გამსახურდია კ., დიდოსტატის მარჯვენა, თბ., 1953, გვ. 11.

² იქვე.

სპარსია, რა თქმა უნდა, ისტორიულ რეალობას არ ასახავს³. ტაძრის ჩრდილო კედელზე გამოკვეთილი ხანშიშესული ისტორიული პირი კონსტანტინემ საკუთარი ფანტაზიით შექმნილ გამოგონილ ლიტერატურულ პერსონაჟთან – ფარსმან სპარსთან გააიგივა. კედელზე ხანშიშესული და ახალგაზრდა (უფრო სწორად, წვერიანი და უწვერო) მამაკაცთა ბარელიეფების ამოკვეთა, ცხადია, გარკვეულ ისტორიულ რეალობის ასახვაა, მაგრამ, კერძოდ, ვინ არიან მასზე გამოსახულნი, სვეტიცხოვლის შემსწავლელ მკვლევართაგან დღემდე არავინ დაინტერესებულა.

დასმულ საკითხში უკეთ გასარკვევად მცხეთაში ჩავედი და ტაძრის ჩრდილო კედელზე ამოკვეთილი ბარელიეფები კიდევ ერთხელ მოვინახულე, მაგრამ სპეციალური ტექნიკის გარეშე ამ პიროვნებათა სახეები და ჩაცმულობა ვერ გავარჩიე.

სვეტიცხოვლის ჩრდილო კედელზე არსებულ ბარელიეფებზე გამოსახულ პიროვნებათა შესახებ ვერც ტაძარში მოსამსახურე სასულიერო პირებმა მომცეს სათანადო განმარტება. ერთმა ქალბატონმა, რომელმაც ექსკურსიამძღოლად და მცხეთის მუზეუმის თანამშრომლად წარმომიდგინა თავი, მითხრა, რომ ბარელიეფებზე ტაძრის მშენებლობაში მონაწილე მონები არიან გამოსახულნი (ეს ექსკურსიამძღოლი სვეტიცხოვლის დამთვალიერებლებს, ალბათ, ასე აცნობს ბარელიეფებზე გამოქანდაკებულ პიროვნებებს).

თბილისში დაბრუნების შემდეგ გავეცანი ქართულ ტაძრებზე არსებულ ბარელიეფთა შესახებ ქ-ნ ნათელა ალადაშვილის გამოკვლევას. მისი სიტყვით, „X საუკუნის მანძილზე ძლიერ გაიზარდა ფიგურული ქანდაკების როლი ხუროთმოძღვრული ძეგლის გაფორმებაში“. „ოშკის ტაძრის (X ს-ის მეორე ნახევარი) ქანდაკებაში გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი გამოსახულების პლასტიკურ ფორმაში გადმოცემის თვალსაზრისით. ამაზე ნათლად მეტყველებს სამსრეთის ფასადზე მოთავსებულ ისტორიულ პირთა სახეები. აქ წარმოდგენილი არიან ოშკის ტაძრის აღმშენებლები: ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის და დავით მაგისტროსის... მწყობრი, მოხდენილი ფიგურები, რომელთა სიმაღლე ადამიანის ნატურალურ ზომას უახლოვდება“⁴.

დასახელებულ გამოკვლევაში სათანადოდაა გაანალიზებული ქართული ტაძრების კედლებზე არსებული ბარელიეფები, მაგრამ, სამწუხაროდ, სვეტიცხოვლის ბარელიეფებზე არაფერია ნათქვამი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შუა საუკუნეების ხელოვნებაში ჩვეულებრივი იყო, ტაძრის კედელზე, მისი ქტიტორის (ან ქტიტორების) გამოსახვა (როგორც ვნახეთ, ასეა ოშკის ტაძარზეც). ქტიტორი (ბერძ. κτίτωρ, მესაკუთრე, დამფუძნებელი, შემქმნელი) კი ის პიროვნებაა, რომლის ხარჯითაც შენდება ან ხელახლა ირთვება ეკლესია ან რაიმე ნაგებობა, მაშინ იმ დიდი შენაწირის (მხედველობაში მაქვს კესტორის მონასტრის შემოსავალი) გამო, რომელიც ბასილ II-მ და კონსტანტინე VIII-მ სვეტიცხოვლის ტაძრის ახლად ასაგებად გაიღეს, ტაძრის არქიტექტორი არსუკიძე ვაღდებულებიც იყო სვეტიცხოვლის ტაძრის კედელზე იმპერატორი ძმების ბარელიეფები გამოკვეთა.

სვეტიცხოვლის ტაძრის ჩრდილო კედელზე არსებულ ორ ბარელიეფზე ბასილ II და კონსტანტინე VIII რომ უნდა იყოს გამოკვეთილი, ამ მხრივ ჩემი მოსაზრება ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს დავით ხოშტარას გავაცანი. ბ-ნ

³ პროფ. ნოდარ ლომოურმა ჩემთან საუბარში განაცხადა: ჩვენი გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნეები (გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე, ვ. ცინცაძე) ბ. კონსტანტინეს ასეთ ინტერპრეტაციას რომ არ იზიარებდნენ ვიცი, მაგრამ მათ ასეთი აზრის უარსაყოფად არც არაფერი დაუბეჭდიათო. იგივე დამიდასტურა ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი თუმანიშვილმა.

⁴ ალადაშვილი ნ., ქანდაკება ძველ საქართველოში (V–XI საუკუნეები), საბჭოთა ხელოვნება, 1974, № 7, გვ. 101.

დავითს არაერთი გამოკვლევა აქვს მიძღვნილი სვეტიცხოვლის ტაძრისადმი და მას ჩემი თვალსაზრისი საინტერესო ეჩვენა. ამის შემდეგ ჩემთვის ისევ პრობლემად რჩებოდა, რა საერთო ჰქონდა ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის მიერ იმპერიის ერთად მმართველობის დროს ემისირებულ მონეტაზე არსებულ მათ ჩაცმულობას ტაძრის ბარელიეფებზე გამოქანდაკებულ პირთა ჩაცმულობასთან. ამ მხრივ დახმარებისათვის მივმართე საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომელს, ქ-ნ მაია პატარიძეს. მისი თხოვნით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ბ-მა ბუბა კუდავამ მოგვაწოდა ჩვენთვის საინტერესო ბარელიეფების ფოტო მასალა. როგორც გაირკვა, მონეტაზე არსებულ ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის ჩაცმულობას საერთო არაფერი აქვს ტაძრის ბარელიეფებზე გამოსახულ პირთა ჩაცმულობასთან. ერთად-ერთი, რაც მონეტაზე გამოსახულ იმპერატორი ძმების პორტრეტებს ტაძრის ბარელიეფებზე გამოკვეთილ პირებთან ამსგავსებს, ეს მათი წვერით და უწვეროდ გამოსახვაა. კონსტანტინე რადგან სულ რაღაც 2/3 წლით უმცროსი იყო უფროს ძმაზე⁵, ამიტომ ვფიქრობ, როგორც მონეტებზე, ისე სვეტიცხოვლის ტაძრის ბარელიეფებზე წვერით და უწვეროდ მათი გამოსახვა სიმბოლურია და, ეს დეტალი საკმაოდ ხელმოსაკიდია იმის სამტკიცებლად, ტაძრის კედელზე იმპერატორი ძმები რომ არიან გამოსახულნი. ისევე, როგორც მონეტაა მათი ერთად მმართველობისას მოჭრილი, ბარელიეფებიც მათი ერთად მმართველობისას (979–985 წწ.) გაღებული შეწირულობის ასახვას წარმოადგენს.

რაც შეეხება მათ სამოსს, ბ-ნი კონსტანტინეს მითითება „უწვერული“ ჭაბუკი რომ „ქართულ ჩოხაშია მორთული“, რამდენად მისაღებია ზემოთქმულის შემდეგ, არ ვიცი – ბარელიეფის ამოკვეთი რატომ წარმოადგენდა უმცროს ძმას ქართულ ჩოხაში? ის კი უნდა აღვნიშნო, ბ-ნი კონსტანტინეს მოსაზრება „მოხუცს რომ ირანული სამოსი აცვია“, საყურადღებოა.

როცა სვეტიცხოვლის ტაძრის ჩრდილო კედლის ბარელიეფებზე გამოქანდაკებულ პირთა სამოსზე ვსაუბრობთ, ისმის კითხვა, იმპერატორი ძმები სკარამანგით ხომ არ არიან შემოსილნი?

ძველი ქართული ენის ლექსიკონში არსებული განმარტებით, სკარამანგი მოსასხამია⁶, მაგრამ იგი დიდებულითა სამოსიც იყო. სკარამანგი, როგორც ვნახეთ, „მცხეთის საბუთშიც“ იხსენიება – მეღქისედეკ I-ს იგი ბაგრატ III-მ უბოძა. ალბათ, ამ სამოსით დადიოდა მეღქისედეკი და, ასევე, იმ დროინდელი არა ერთი მოღვაწე. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითებით, „სკარამანგს (ბერძნულად სკარამანგიონი – σκαραμαγγιον) IX საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორები და მაღალი თანამდებობის პირები, განსაკუთრებით კი სამხედროები, ატარებდნენ და მას ყველა სამოსთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდნენ. ეს სამოსი აღმოსავლურ (შესაძლოა, სპარსულ) წარმოშობისად ითვლება და IX ს-ში ჯერ კიდევ არ იყო რაიმე თანამდებობის მქონე პირის საპატიო სამოსად დადგენილი, ყველა საკუთარს ატარებდა. საიმპერატორო კარის თერძები ამზადებდნენ სხვადასხვა ფერის სკარამანგიონებს საჩუქრებად „ბარბაროსთა მთავრებისათვის“⁷. ბიზანტიის საიმპერატორო კარის სახელოსნოებში დამზადებული ასეთი სკარამანგები, ალბათ, მრავლად იყო X საუკუნის საქართველოშიც.

ყოველივე ზემოთქმული რამდენად დამაჯერებელია იმის დასამტკიცებლად, სვეტიცხოვლის ტაძრის ჩრდილო კედელზე გამოკვეთილ ორ ბარელიეფზე რომ ტაძრის ქტიტორები – იმპერატორი ძმები: ბასილ II და კონსტანტინე VIII არიან

⁵ Михаил Пселл, დასახ. თხზ., გვ. 18; გოილაძე ვ., გიორგი მთაწმიდელიდან მომდინარე ერთი ცნობა..., გვ. 34.

⁶ აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 399.

⁷ ჩოფიკაშვილი ნ., ქართული კოსტუმი (VI–XIV სს.), თბ., 1964, გვ. 15–16. სამწუხაროდ, ქ-ნი ნინო ჩოფიკაშვილი არ აანალიზებს სვეტიცხოვლის ტაძრის ბარელიეფებზე გამოკვეთილ პირთა ჩაცმულობას.

გამოქანდაკებულნი, საქმის ერთი მხარეა⁸, ისე კი, როგორც აღვნიშნე, რადგან ტაძრის კედლებზე ქტიტორთა გამოსახვა შუა საუკუნეების ხელოვნებაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, სვეტიცხოვლის კედელზე ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის ბარელიეფების გამოსახვა უჩვეულოდ არ უნდა მოგვეჩვენოს. რაც მთავარია, ჩვენი ხელოვნებათმცოდნეები, ალბათ, ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ დაინტერესდებიან და სვეტიცხოვლის აღნიშნულ ბარელიეფთა შესახებ თავიანთ თვალსაზრისს გამოაქვეყნებენ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	გვ. 1
თავი I. სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის დაწყებისას არსებული ისტორიული ვითარება	8
თავი II. საქართველოს კათალიკოსები X ს-ის 80-იანი წლებიდან 1010 წლამდე	
პრობლემის შესწავლის მდგომარეობა	21
ილარიონი	24
იოანე IV ოქროპირი	26
სვიმონ III	29
თავი III. XI–XII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობის საკითხი	33
თავი IV. ახალციხური სახარების მინაწერებში დასახელებული საბასი და „გლახაკი ბიორბის“ (ბიორბი ხუცესმონაზონის) ვინაობისათვის	38
თავი V. რომელ ხელნაწერს დაურთო ბიორბი მთაწმიდელმა თავისი ცნობილი ანდერძი?	43
თავი VI. არსენ II ქართლის კათალიკოსი	44
თავი VII. სვეტიცხოვლის ტაძარი აღადგინეს თუ ახალი ააგეს?	48
თავი VIII. როდის და ვისი საფასით აიბო სვეტიცხოველი	52
თავი IX. ქართველ მოღვაწეთა ხახულური წრე XI ს-ის პირველ ნახევარში	
ხახულის ლავრა. გიორგი მთაწმიდელი ხახულში	63
დიმიტრი (დემეტრე) მონაზონი. ათონის მთაზე ბასილი	
ბაგრატის ძის მოღვაწეობის საკითხი	68
ანტონ მნათე. სვეტიცხოვლის ტაძრის ბიბლიოთეკა	73
თავი X. ბასილი ბაბრატის ძის პიროვნება და წარმომავლობა	77
თავი XI. „ყოვლისა აღმოსავლეთისა კატრიარქის“ ტიტულის რაობისათვის. მელქისედეკ კათალიკოსისათვის კატრიარქის წოდების მინიჭების პრობლემა	87

⁸ რაც შეეხება სვეტიცხოვლის ბარელიეფთა ამოკვეთის დროს, სპეციალისტები არ გამორიცხავენ, ბარელიეფი X საუკუნისა იყოს.

თავი XII. ბიზანტიური ტიტულატურა იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში	98
თავი XIII. „ყოველისა აღმოსავლეთისა კურაპალატის“ წოდება საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში	106
საერთო ღასკვნები	112
P. S.	118